ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების
სადოქტორო პროგრამა

გიორგი ლეკვეიშვილი

# „სამხედრო ოკუპაციების წარუმატებლობის მიზეზები“

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია საერთაშორისო ურთირთობების  დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, თორნიკე თურმანიძე

თბილისი
2018

# სარჩევი

1. I თავი. შესავალი ----------------------------------------------------------------3

2. II თავი. 1979-89 წლებში სსრკ-ის მიერ ავღანეთის ოკუპაცია -------------- 21

3. III თავი. საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების ძალების ---------- 60

(ISAF-ის) 2001-2014 წლების მისია ავღანეთში

4. IV თავი. აშშ-ის მიერ ერაყის ოკუპაცია 2003-2011 წლებში ---------------- 91

5. V თავი. მე-20 საუკუნის ოკუპაციები ---------------------------------------- 116

6. VI თავი. დასკვნა ----------------------------------------------------------- 146

7. ცხრილები და რუკები ------------------------------------------------------- 155

8. ინტერვიუები ----------------------------------------------------------------- 164

9. ბიბლიოგრაფია--------------------------------------------------------------- 186

# I თავი

# შესავალი

სამხედრო ოკუპაცია განმეორებადი მოვლენაა თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში, მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხი არ არის საფუძვლიანად გამოკვლეული. წარსულში მომხდარი ოკუპაციების შესახებ უამრავი ნაშრომი არსებობს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ავტორს აქვს ჩატარებული წარუმატებლობის მიზეზების კომპლექსური კვლევა, სადაც განხილული და გაანალიზებულია სხვადასხვა ოკუპაცია, მათი შედეგები და წარუმატებლობის მიზეზები.

მსოფლიოს უსაფრთხოების არქიტექტურის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ნაშრომში გამოკვლეული თემა საკმაოდ აქტუალურია და აქ წარმოდგენილმა ანალიზმა შეიძლება კარგი სამსახური გაუწიოს გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს.

## 1.1 კვლევის პრობლემა

სამხედრო უპირატესობის მიუხედავად ზოგიერთი ოკუპაცია წარუმატებლობით დასრულდა, რამაც მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა საერთაშორისო უსაფრთხოებას და ხელი შეუწყო დესტაბილიზაციის კერების გაღვივებას. სამხედრო ოკუპაცია ერთ-ერთი იარაღია ძლიერი სახელმწიფოს ხელში საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. თუმცა, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ კრიზისული სიტუაციის დროს სამხედრო ინსტრუმენტის გამოყენება არ იწვევდეს იმაზე მეტი პრობლემის წარმოშობას საერთაშორისო ასპარეზზე, ვიდრე მის გამოყენებამდე არსებობდა.

შედარებით სუსტი სახელმწიფოს წარუმატებლობა შესაძლოა მარტივად აიხსნას

რესურსების, ან სამხედრო პოტენციალის სიმწირით, თუმცა თავსატეხს წარმოადგენს, *თუ რატომ ვერ ხერხდება წარმატების მიღწევა სამხედრო უპირატესობის პირობებში?*

ოკუპაციების შესახებ, სისტემური და მრავალმხრივი ანალიზი, იშვიათობაა, ხოლო ოკუპაციების წარუმატებლობის მიზეზების კვლევა, რომელშიც ბევრი სხვადასხვა შემთხვევა არის გაანალიზებული, მხოლოდ რამდენიმე ავტორს აქვს ჩატარებული. ზოგიერთი მათგანის აზრით ოკუპაციები ძირითადად წარუმატებლობით სრულდება, რასაც ჩვენ არ ვიზიარებთ (Edelstein D. M. 2004, p 49-91). გარდა ამისა, წარუმატებელი მაგალითები არ არის შედარებული წარმატებულ მაგალითებთან, სადაც ნაკლები ფინანსური დანახარჯით მოხერხდა სასურველი შედეგების მიღწევა. ასევე, არ არის ახსნილი და ურთიერთშედარებული ის შემთხვევები, სადაც სამხედრო უპირატესობის მიუხედავად ვერ მოხერხდა წარმატების მიღწევა. გარდა ამისა, დღემდე განხორციელებულ არცერთ კვლევაში არ არის ჩატარებული სსრკ-ის და აშშ-ის სამხედრო ოკუპაციების შედარებითი ანალიზი. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომს ღირებული წვლილი შეაქვს აღნიშნული საკითხის კვლევის საქმეში.

## 1.2 კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები

კვლევის მიზანია იმ მიზეზების დადგენა, რომელთა გამოც ვერ ხერხდება წარმატების მიღწევა სამხედრო ოკუპაციის პირობებში. კვლევის დაწყებამდე ჩვენ დავსვით ზოგადი კითხვა:

*- რა მიზეზები იწვევს სამხედრო ოკუპაციების წარუმატებლობას?*

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ შევარჩიეთ ისეთი მაგალითები, სადაც ოკუპაციის განმახორციელებელ სახელმწიფოს გააჩნდა ყველა შესაბამისი რესურსი და სამხედრო ძალა, რადგან შესაძლებლობების სიმწირის პირობებში ოკუპაციის წარუმატებლობის მიზეზი მარტივად შეიძლება აიხსნას მათი ნაკლებობით. გარდა ამისა,

მოწინააღმდეგე მხარემ შეიძლება დაამარცხოს კიდეც ოკუპანტი სამხედრო ძალა. სწორედ ამის გამო, დისერტაციაში ჩვენ აქცენტი გავაკეთეთ აშშ-ის და სსრკ-ის მიერ განხორციელებულ ოკუპაციებზე და დეტალურად განვიხილეთ სამი შემთხვევა. საკვლევი კითხვა ჩვენ შემდეგი ქვე-კითხვების სახით ჩამოვაყალიბეთ:

1. რატომ ვერ მოახერხა საბჭოთა კავშირმა 1979-89 წლებში ავღანეთის ოკუპაციის დროს წარმატების მიღწევა და რამ განაპირობა მისი პოლიტიკის წარუმატებლობა აღნიშნულ ქვეყანაში?

2. რატომ ვერ მოახერხა აშშ-მ და მის მიერ ჩამოყალიბებულმა კოალიციამ 2001-2014 წლებში, ISAF-ის მისიის წარმატებით დასრულება და რამ განაპირობა მისი ნაკლებად წარმატებული შედეგები?

3. რატომ ვერ მოახერხა აშშ-მ 2003-2011 წლებში ერაყის ოკუპაციის წარმატებით დასრულება და რამ განაპირობა მისი პოლიტიკის წარუმატებლობა აღნიშნულ ქვეყანაში?

ნაშრომის ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში: *ოკუპირებული ქვეყნის მმართველ და არამმართველ ელიტაზე ზეწოლის პროპორციულად, იზრდება ოკუპაციის წარუმატებლობის რისკი.* ჩვენს დისერტაციაში აღნიშნულ ზეწოლაში ვგულისხმობთ ზეგავლენას გავლენიანი ინდივიდების ან საზოგადოების ნაწილის მიმართ, რათა აიძულონ ისინი იმოქმედონ საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ. ზემოთ ჩამოთვლილი კითხვებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, დისერტაციის მთავარი თემა და დამოკიდებული ცვლადი იქნება ოკუპაციის წარუმატებლობა, ხოლო დამოუკიდებული ცვლადებია ზეწოლა მმართველ და არამმართველ ელიტებზე (კონტრელიტებზე).

აღნიშნული ჰიპოთეზა არ გამორიცხავს ოკუპაციის წარუმატებლობის შესაძლო სხვა მიზეზებს, მაგრამ, კვლევის დროს შესწავლილ მონაცემებზე დაყრდნობით მიგვაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც აღნიშნული ოკუპაციების დროს ზესახელმწიფოების წარუმატებლობა გამოიწვია, იყო ოკუპირებული ქვეყნის ელიტებზე მიმართული ზეწოლა.

დამოკიდებული ცვლადის ინდიკატორებია: 1. ოკუპაციამდე გაცხადებული

მიზნების შეუსრულებლობა 2. ძალების ოკუპირებული ტერიტორიიდან ნაადრევად გაყვანა 3. ვითარების ესკალაცია ოკუპირებულ ტერიტორიაზე 4. ამბოხებულთა რიცხვის სტაბილური მატება 5. ოკუპაციის ხარჯის ზრდა 6. ოკუპირებული ქვეყნის ადმინისტრაციის მიერ ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე დროგამოშვებით კონტროლის დაკარგვა.

დამოუკიდებელი ცვლადების ინდიკატორებია: 1. შერჩევითი ზეწოლა მოსახლეობის ფართო ფენებზე 2. ეთნიკური, პარტიული, ან სხვა ნიშნით ელიტების შევიწროვება 3. ელიტების წარმომადგენლებისათვის მაღალი პოლიტიკური და ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავების შეზღუდვა 4. მმართველი ელიტის იძულება იმოქმედოს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. 5. ქვეყანაში დამკვიდრებული სოციალ-პოლიტიკური სისტემის შეცვლის მცდელობა.

ელიტის და კონტრელიტის მახასიათებლებია: მოსახლეობის ფართო ფენებზე გავლენის შესაძლებლობა, რესურსების ფლობა, მაღალი პოლიტიკური და ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავება, კავშირების ფართო ქსელის კონტროლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ.

## 1.3 კვლევის დიზაინი და მეთოდები

დისერტაციის ფარგლებში ჩვენ არჩევანი პოსტპოზიტივისტურ ფილოსოფიურ ხედვაზე შევაჩერეთ, რადგან ჩვენი აზრით სწორედ ამ პარადიგმის ფარგლებში არის შესაძლებელი ჩვენს მიერ წარმოდგენილი თემის საფუძვლიანი ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ფარგლებში არ ჩაგვიტარებია ექსპერიმენტები და გამოკითხვები, ჩვენ დავაკვირდით 18 ოკუპაციის შემთხვევას, შევამოწმეთ წარმოდგენილი ჰიპოთეზის მართებულობა  და პასუხი გავეცით კვლევაში დასმულ შეკითხვებს.

პოსტპოზიტივსტები პრობლემის ანალიზის დროს განსაზღვრავენ და აკვირდებიან იმ მიზეზებს, რომლებიც გავლენას ახდენენ შედეგზე. ხსენებული პარადიგმის ფარგლებში მკვლევარები ასევე ცდილობენ საკუთარი იდეის კონკრეტულ ცვლადებად

ჩამოყალიბებას და მის წარმოდგენას ჰიპოთეზის და საკვლევი კითხვების სახით. ცოდნა, რომელიც ამ მიდგომის ფარგლებში გენერირდება ეფუძნება, ემპირიული მონაცემების ანალიზს და თეორიის დაკავშირებას დაკვირვების ქვეშ არსებულ მოვლენასთან (Creswell J. W. 2009, p-36).

პოსტ-პოზიტივისტები მხედველობაში იღებენ, რომ მათ მიერ შერჩეულმა თეორიულმა მიდგომებმა და პირადმა გამოცდილებამ შეიძლება სუბიექტურობის ელემენტი შემოიტანოს კვლევაში (Ryan, A. B. 2006, p 12-26). სუბიექტურობის შემცირების მიზნით ჩვენ რამდენიმე თეორიულ მიდგომას ვიყენებთ და ჩვენს მიერ წარმოდგენილ ჰიპოთეზას სხვადასხვა გარემოებებში ვამოწმებთ. ასევე ინფორმაციის მოძიების პროცესში ჩვენ რამდენიმე წყაროზე დაყრდნობით ვახდენდით დასკვნების გამოტანას. გარდა ამისა კვლევის პროცესში ჩავატარეთ ინტერვიუები სამხედრო ექსპერტებთან და საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებთან, რომლებიც მონაწილეობდნენ ჩვენს მიერ დეტალურად შესწავლილ სამხედრო კამპანიებში.

პოსტ-პოზიტივისტური ფილოსოფიური პარადიგმის ფარგლებში სულ უფრო ხშირად გამოიყენება ხარისხობრივი მიდგომები (Khanal, R. C. 2014, p 115-129). ჩვენს ნაშრომშიც, ძირითადად, გამოყენებულია ხარისხობრივი კვლევის მეთოდი და მოყვანილია სამი სიტუაციური მაგალითის დეტალური ანალიზი. დისერტაციაში ჩვენ ასევე ჩავატარეთ აშშ-ის და სსრკ-ის მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განხორციელებული ოკუპაციების კვლევა და შევამოწმეთ ჩვენს მიერ მოყვანილი ჰიპოთეზის მართებულობა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომის ძირითადი მიზანი ოკუპაციის წარუმატებლობის მიზეზების ძიებაა, ჩვენ ასევე ვიხილავთ აშშ-ის და სსრკ-ის მიერ წარმატებით ჩატარებულ ოკუპაციებს, რითაც შევეცდებით სრულყოფილად წარმოვაჩინოთ წარუმატებლობის მიზეზი.

დისერტაციის საკვლევი კითხვა ‘განმარტებითი’ ხასიათისაა, სადაც ჩვენ უნდა ვუპასუხოთ, თუ *რა მიზეზები იწვევს ზოგიერთი სამხედრო ოკუპაციის*

*წარუმატებლობას? ანუ გვაინტერესებს, 'რატომ'* სრულდება ზოგიერთი ოკუპაცია წარუმატებლად? ამ ტიპის კითხვაზე პასუხის გასაცემად უპრიანია მრავალი შემთხვევის ანალიზის მეთოდის გამოყენება.

მრავალი შემთხვევის ანალიზის მეთოდზე საუბრისას რობერტ აინი განმარტავს, რომ მაგალითები უნდა შევარჩიოთ ისე, რომ შესაძლებელი იყოს მსგავსი შედეგების პროგნოზირება (პირდაპირი დუბლირება), ან თეორიის დახმარებით განსხვავებული შედეგების მიღების განმარტება (Yin, R. K. 2009, p 54).

რობერტ აინის აზრით, კონკრეტული შემთხვევების შერჩევა უნდა მოხდეს ისე, როგორც ამას ლაბორატორიის ოპერატორი აკეთებს ექსპერიმენტის ჩატარებამდე (Yin, R. K. 2009). ასეთ პირობებში განზოგადების მეთოდი არის 'ანალიტიკური განზოგადება'. მრავალი შემთხვევის ანალიზი კი უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ექსპერიმენტების ნაკრები, სადაც მკვლევარი აკვირდება განმეორებითობას (Yin, R. K. 2009, p 38).

'ურთიერშედარებითობა' ნებისმიერი სამეცნიერო კვლევის ქვაკუთხედს წარმოადგენს (Kaarbo, J., & Beasley, R. K. 1999, p 369-391). შესაბამისად, დეტალური ანალიზისათვის ჩვენ გადავწყვიტეთ მაქსიმალურად მსგავსი და ურთიერთშედარებადი შემთხვევები შეგვერჩია, რომლებიც დროის ერთ 35 წლიან მონაკვეთს მოიცავს (1979-2014 წლები). სამივე მაგალითში ოკუპაციის განმახორციელებელი არის ზესახელმწიფო, რომელსაც კონფლიქტის დასაწყისში გააჩნდა ყველა საჭირო პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსი გამარჯვების მოსაპოვებლად. დაკვირვების ობიექტი სამიდან ორ შემთხვევაში არის ავღანეთი, რაც საშუალებას მოგვცემს პარალელები გავავლოთ ამ მაგალითებს შორის და შესაბამისად, შევამოწმოთ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ჰიპოთეზა.

დისერტაციაში ჩვენ ვახდენთ *შემთხვევების შედარებით ანალიზს*. ეს მეთოდი მოიცავს ორი ან მეტი შემთხვევის შესახებ არსებული ინფორმაციის შედარებას. შედარებითი ანალიზის შერჩევა როგორც წესი ხორციელდება იმ შემთხვევებში, როდესაც მკვლევარს აინტერესებს, თუ რა გავლენას ახდენს შედეგზე ესა თუ ის მოქმედება (Kaarbo, J., & Beasley, R. K. 1999, p 369-391). შედარებითი ანალიზის დროს ასევე ხდება შესასწავლ

მაგალითებს შორის არსებული მსგავსებების და განსხვავებების ანალიზი. ნაშრომში მოცემული შემთხვევების ურთიერთშედარებისას აქცენტს გავაკეთებთ შემდეგ ფაქტორებზე:

1. მმართველ და არამმართველ ელიტებზე ზეწოლა:
2. სამხედრო მოქმედებების ეფექტურობის ხარისხი.
3. საგარეო მხარდაჭერის როლი.

*პირველწყაროების სახით* ჩვენს ნაშრომში გაანალიზებულია გადაწყვეტილების მიმღები პირების მემუარები, ოფიციალური სამთავრობო დოკუმენტები, სტატისტიკური და დემოგრაფიული მონაცემები, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, საჯარო განცხადებები. ჩვენს კვლევაში ასევე გამოყენებულია გასაჯაროვებული საიდუმლო დოკუმენტები. გარდა ამისა გაიმართა ინტერვიუები ექსპერტებთან და საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებთან. კვლევის სფეციფიკიდან და რესპოდენტების გამოცდილებიდან გამომდინარე, მოხდა შესაბამისი კითხვების ჩამოყალიბება. რესპოდენტების ინტერვიუირება განხორციელდა ერთი-ერთზე შეხვედრების დროს და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. რესპოდენტების შერჩევისას ყურადღება ექცეოდა მათ გამოცდილებას და დისერტაციაში აღწერილ შემთხვევებში მონაწილეობას.

*მეორადი წყაროების* ანალიზის დროს განხილულ იქნა ექსპერტების მიერ განხორციელებული კვლევები, საგაზეთო პუბლიკაციები, სამეცნიერო სტატიები, წიგნები და ინტერნეტპორტალებზე ხელმისაწვდომი ინფორმაცია. მეორადი მონაცემების შეგროვების პროცესში ჩვენ ყურადღება მივაქციეთ შემდეგ საკითხებს: 1. შეესაბამებოდა თუ არა ავტორის კომპეტენცია სტატიაში განხილულ თემას, ან იყო თუ არა ის მოვლენების უშუალო მონაწილე. 2. პუბლიკაციის თარიღს 3. აღწერილი მოვლენიდან რა დროის გასვლის შემდეგ დაიწერა სტატია ან წიგნი. 4. იყენებდა თუ არა ავტორი სხვა მკვლევარების მიერ გაანალიზებულ მონაცემებს. გარდა ამისა, ობიექტურობის ხარისხის გასაზრდელად ჩვენ გავაანალიზეთ სხვადასხვა ეთნიკურ-კულტურული წარმომავლობის

მქონე ავტორების ნამუშევრები.

*სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება* განვახორციელე ელექტრონული სამეცნიერო ბაზების და ელექტრონული საძიებო სიტემების გამოყენებით. მეორადი მონაცემების მოსაპოვებლად ასევე ვსარგებლობდი ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკით და JSTOR-ით. საკვანძო საძიებო სიტყვებად გამოვიყენე: ოკუპაცია, სამხედრო წარმატება, წარუმატებლობა, რეჟიმის შეცვლა, ომის ტრანსფორმაცია, ავღანეთის ოკუპაცია, ერაყის ოკუპაცია, ამბოხების საწინააღმდეგო ოპერაციები.

## 1.4 ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომის პირველი თავი ეთმობა შესავალს, დისერტაციის თემასთან დაკავშირებული ტერმინების განმარტებას და ამ საკითხზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვას. აქვე მიმოვიხილავთ ნაშრომში გამოყენებულ თეორიულ მიდგომებსაც.

ნაშრომის მეორე თავში გავაანალიზებთ, 1979-89 წლებში, სსრკ-ის მიერ ავღანეთის ოკუპაციას. ამ შემთხევაში, ჩვენ შევეცდებით, ხაზი გავუსვათ იმას, რომ კრემლის მცდელობა, შეეცვალა დამკვიდრებული საზოგადოებრივი წყობა და ჩაეხშო ელიტების აქტივობა, საბოლოოდ, ოკუპაციის წარუმატებლობით და საბჭოთა ჯარების მიერ ავღანეთის ტერიტორიის დატოვებით დასრულდა.

ნაშრომის მესამე თავში განვიხილავთ, 2001-2014 წლებში, NATO-ს ქვეყნების კოალიციის მიერ წარმოებული ISAF-ის მისიას. დღეისათვის, გაწეული ძალისხმევისა და ცამეტწლიანი სამხედრო ოპერაციის მიუხედავად, ავღანეთი ისევ წარმოადგენს დესტაბილიზაციის კერას ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის რეგიონში. ამ თავში გაანალიზებული იქნება ის მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუშალა ქვეყანაში სტაბილურობის დამყარებას.

ნაშრომის მეოთხე თავს დავუთმობთ აშშ-ის მიერ, 2003-2011 წლებში, ერაყის

ოკუპაციის წარუმატებლობის მიზეზების ანალიზს. აქვე, აღვნიშნავთ იმას, თუ რა გავლენა მოახდინა ერაყის სტაბილურობაზე, დამკვიდრებული საზოგადოებრივი წყობის რადიკალურად შეცვლამ და სუნიტი პოლიტიკური ელიტის განეიტრალების მცდელობამ.

დისერტაციის მეხუთე თავში მოხდება აშშ-ის და სსრკ-ის მიერ მე-20 საუკუნეში განხორციელებული ოკუპაციების მიმოხილვა, სადაც აქცენტს გავაკეთებთ, ელიტების მიმართ ზეწოლასა და წარმატებას შორის არსებულ კავშირზე. ამ თავში წარმოვაჩენთ ზემოაღნიშნული სახელმწიფოების მიერ სამხედრო ოკუპაციის წარმატებით განხორციელების მაგალითებს, კერძოდ, ამერიკის მიერ იაპონიისა და გერმანიის ოკუპაციას. სადაც ხაზს გავუსვამთ იმას, რომ როდესაც ოკუპანტი სახელმწიფო ინარჩუნებს და ეფექტურად იყენებს ქვეყანაში ჩამოყალიბებულ იერარქიულ მოდელს, ოკუპაციის წარუმატებლობის ალბათობა მკვეთრად მცირდება, რაც, თავის მხრივ, ქმნის, ოკუპირებული ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სტაბილურობის საფუძველს.

ნაშრომის მეექვსე თავში წარმოგიდგენთ დასკვნით ანალიზს, სადაც შევაჯამებთ დისერტაციაში განხილულ ყველა შემთხვევას. შევეხებით სამხედრო ოკუპაციის წარუმატებლობის მიზეზებს. აქვე კიდევ ერთხელ წარმოვაჩენთ, თუ რა კავშირი აქვს ოკუპაციის წარუმატებლობას ქვეყანაში დამკვიდრებული პოლიტიკური ელიტების მიმართ განხორციელებულ ზეწოლასთან.

### 1.5 თეორიული ჩარჩო

ჩვენი აზრით ოკუპაციის და დაბალი ინტენსივობის[1] კონფლიქტის პირობებში განვითარებული პროცესები უფრო პოლიტიკური ხასიათისაა. შესაბამისად, დისერტაციაში ჩვენ ვიყენებთ ელიტების თეორიას. აღნიშნულ თეორიას პოლიტიკურ

[1] სტაბილურობის და მშვიდობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული ოპერაციაბი, რომლებიც მსხვილმასშტაბიანი ომისგან განსხვავებით მცირე ზომის შეტაკებებით და კონფლიქტის პერიოდული გამწვავებით ხასიათდება.

მეცნიერებებში, იყენებენ სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე ძალაუფლების გადანაწილების პროცესების ასახსნელად. მოცემულ ნაშრომში, ელიტების თეორიის პრიზმიდან ჩვენ დავაკვირდებით და განვმარტავთ, დამოუკიდებელი ცვლადების, მმართველი ელიტების და კონტრელიტების მიმართ განხორციელებული ზეწოლის ზეგავლენას დამოკიდებულ ცვლადზე, ოკუპაციის წარუმატებლობაზე.

ელიტების თეორიის თანახმად, ელიტა საზოგადოების უმაღლესი ფენაა, რომელშიც ამა თუ იმ სფეროში გამოჩენილი და წარმატებული ადამიანები შედიან. ეს კლასი (უმაღლესი ფენა) იყოფა ქვეკლასებად: (ა) მმართველი ელიტა; და (ბ) არა-მმართველი ელიტა (კონტრელიტა). მმართველი ელიტა იმ ადამიანებისგან შედგება, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ მთავრობის საქმიანობაში. მათ უკავიათ სხვადასხვა პოლიტიკური თანამდებობები და ფლობენ მინისტრის, პარლამენტარის, პრეზიდენტის, მდივნის და ა.შ. პორტფელებს. არა-მმართველ ელიტაში კი ერთიანდებიან ის პირები, რომლებსაც კავშირი არ აქვთ მთავრობის საქმიანობასთან, თუმცა გააჩნიათ არაფორმალური გავლენის ბერკეტები და პერსპექტივაში შეუძლიათ მმართველი ელიტის ჩანაცვლება (Pareto V. 1961).

ელიტების თეორიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ორგანიზებული უმცირესობა მართავს დანარჩენ საზოგადოებას. პარეტო ყურადღებას ამახვილებდა მმართველი ელიტების ცირკულაციაზე. ის აცხადებდა, რომ მმართველობის ფორმის მიუხედავად, ძალაუფლება არის იმ უმცირესობის ხელში, რომელმაც შექმნა მმართველი კლასი. მარქსისტული კლასობრივი თეორიისგან განსხვავებით, ელიტების თეორია აქცენტს აკეთებს კლასებში არსებულ ელიტებზე და მიუთითებს, რომ ნებისმიერი კლასის შიგნით არსებობს ელიტა, რომელიც რეალურად ახორციელებს მართვას, ხოლო უმრავლესობა კი ემორჩილება მის ნებას (Pareto V. 1961).

საზოგადოების მმართველ და მართულ კლასებად ისტორიული დაყოფის საფუძველზე, მოსკა განმარტავდა უმცირესობის მიერ უმრავლესობის დამორჩილების მიზეზს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ უმცირესობას შეადგენდნენ სხვებზე აღმატებული და წარმატებული ინდივიდები (Mosca G. 1961).

არამმართველი ელიტის (კონტრელიტის) წარმომადგენლებს გააჩნიათ ელიტისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება, თუმცა არ ფლობენ ფორმალურ ხელისუფლებას. დროთა განმავლობაში მმართველი ელიტა იფიტება და არაეფექტურად მართავს მოსახლეობას. სწორედ ამ დროს აქტიურდება ე.წ. კონტრელიტა და აცხადებს პრეტენზიას ხელისუფლებაზე. თუმცა, ხელისუფლებაში მოსასვლელად მას სჭირდება მოსახლეობის კეთილგანწყობის მოპოვება, რისი მიღწევის შემდეგაც ის გადადის აქტიურ ქმედებებზე და უბიძგებს ხალხს აჯანყებისა და მოქმედი ხელისუფლების დამხობისკენ (დემოკრატიულ ქვეყნებში ელიტა იცვლება არჩევნების გზით). ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ეს ელიტაც, დროთა განმავლობაში, კარგავს მართვის სადავეებს და ხელისუფლებაში მოდის ახალი კონტრელიტა. 'ელიტების ბრუნვის' ეს პროცესი პერმანენტულად ხოციელდება. პარეტოს აზრით ყველა რევოლუცია, რეალურად, ელიტებს შორის ბრძოლაა, რომლის დროსაც მმართველ ელიტას ცვლის პოტენციური ელიტა (კონტრელიტა) (Pareto V. 1961).

პარეტო ასევე ეხებოდა ე.წ. ,,ღია" და ,,დახურული" ელიტების გავლენას. ის ამტკიცებდა, რომ ჩაკეტილი არისტოკრატია, აზრთა სხვადასხვაობისა და უთანხმოებების გამო, აუცილებლად იშლება თავისივე კლასის ფარგლებში. როცა ეს ხდება, სხვა კლასებიდან ჩნდება ახალი ელიტური დაჯგუფებები, რომლებიც რევოლუციურ ცვლილებას უდგებიან სათავეში (Pareto V. 1961).

მმართველი უმცირესობა კარგად არის ორგანიზებული, მის წევრებს აქვთ ისეთი თვისებები, რომლებიც ძლიერ ფასობს და რომლითაც გავლენას იხვეჭენ საზოგადოებაში. მოსკამ ასევე შემოიტანა ქვე-ელიტის ცნებაც. ამ ჯგუფში შედიან შედარებით დაბალი რანგის მქონე სახელმწიფო მოხელეები, მრეწველობის სფეროს წარმომადგენლები, მეცნიერები და სწავლულები, რომლებიც ახალი საშუალო კლასის სახელითაც არიან ცნობილი (Mosca G. 1961).

ვინაიდან კვლევა სამხედრო ოპერაციებს და ზოგადად ომს ეხება, ჩვენი დისერტაციის საკვლევი კითხვების და ჰიპოთეზის დამოკიდებული ცვლადის, ოკუპაციის წარუმატებლობის, შესასწავლად აუცილებლად მიგვაჩნია კლაუზევიცის ომის

თეორიის გამოყენება.

კლაუზევიცის თეორია, ომის ბუნებისა და შინაარსის ასახსნელად ყველაზე ფართოდ გამოყენებული საშუალებაა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თეორიის შექმნიდან თითქმის ორასი წელი გავიდა, სამ პოსტულატზე დაფუძნებული მისი ანალიზი დღესაც არ კარგავს აქტუალობას. კლაუზევიცისეული ომის თეორიის გამოყენებით, შევეცდებით სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ავხსნათ საომარი კამპანიის წარუმატებლობის მიზეზები (Clausewitz, C., & Howard, M., Paret, P., & West, R. (1984). კლაუზევიცის თანახმად, ომი წარმოადგენს, ერთის მხრივ, სიძულვილის, ემოციისა და ინსტინქტური ძალადობის, მეორეს მხრივ, პოლიტიკური მიზნების, ლოგიკური მსჯელობისა და გამოთვლების, ხოლო მესამეს მხრივ, ალბათობის, შემოქმედებითობისა და სამხედრო ძალების, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტის სინთეზს, რაც მთლიანობაში ქმნის შესანიშნავ ტრიადას (სამეულს) (*wunderliche Dreifaltigkeit)* (Clausewitz, C., & Howard, M., Paret, P., & West, R. 1984., p 89).

კლაუზევიცის მიერ შექმნილი ამ ე.წ. ტრიადის გამოყენება განსაკუთრებით რელევანტურია სამხედრო კამპანიების გაანალიზების დროს. მისი აზრით, ომი, გარკვეულწილად, ჰგავს ჭიდაობას, სადაც ორივე მოჭიდავე ცდილობს, დაიმორჩილოს მოწინააღმდეგე. შესაბამისად, „ომი არის ძალადობა, რომელიც მიმართულია მოწინააღმდეგის დასამორჩილებლად, რათა მან შეასრულოს ჩვენი ნება“(Clausewitz, C., & Howard, M., Paret, P., & West, R. 1984., p 75). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ომი წარმატებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მოვახერხებთ მოწინააღმდეგის იძულებას, შეასრულოს ჩვენი ნება.

ჩვენ ვიზიარებთ წარმატების კლაუზევიცისეულ განმარტებას და მიგვაჩნია, რომ წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს ის ოკუპაცია, რომლის შემდეგადაც მოხერხდა დასახული მიზნების უმრავლესობის მიღწევა და მოწინააღმდეგის იძულება შეასრულოს ოკუპანტის ნება.

გამომდინარე იქედან, რომ დისერტაციაში დეტალურად განხილული სამივე შემთხვევის ანალიზი ამბოხების საწინააღმდეგო სამხედრო კამპანიებს ეხება და

ასიმეტრიული [2] კონფლიქტების მაგალითს წარმოადგენს, ჩვენ ასევე ვიყენებთ მე-4 თაობის ომების თეორიასაც, რადგან ამ თეორიის პრიზმიდან უკეთ ჩანს ამბოხების კომპლექსური ბუნება და მისი მიმდინარეობა.

ომი, ოთხ თაობად, პირველად უილიამ ლინდმა და ამერიკელი სამხედრო ოფიცრების ჯგუფმა დაყო. მათ, 1989 წელს, საზღვაო ქვეითთა კორპუსის გაზეთში გამოაქვეყნეს სტატია, სახელწოდებით „ომის სახეცვლილება: მეოთხე თაობის ომები“ (Gazette M. C., 1989, p 22-26. *The Changing Face of War: Into the Fourth Generation.* Lind W. S., Nightengale K., Schmitt J. F., Sutton J. W., and Wilson G. I.). 2006 წელს კი, თომას ჰეიმსმა აღნიშნული კონცეფცია სიღრმისეულად განავითარა. თავის წიგნში, „შურდული და ქვა: 21-ე საუკუნის ომის შესახებ“ (*The sling and the stone: On war in the 21st century),* ჰეიმსმა საფუძვლიანად გააანალიზა თანამედროვე კონფლიქტების გამოწვევები და ის პრობლემები, რომლებსაც თანამედროვე არმიები ამბოხებულებთან, პარტიზანებთან და სხვა არატრადიციული ტაქტიკით მოქმედ მოწინააღმდეგესთან დაპირისპირების დროს აწყდებიან. ჰეიმსმა ასევე ჩამოაყალიბა მეოთხე თაობის ომის თეორიული ჩარჩო (Hammes T., 2006), რომლის ძირითადი დებულებებია:

1. მეოთხე თაობის ომებში გამოიყენება ყველა ხელმისაწვდომი ქსელი: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამხედრო, რათა დაარწმუნონ მოწინააღმდეგე მხარის გადაწყვეტილების მიმღები პირები, რომ მათი მიზნები მიუღწევადია ან უდიდეს დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული.

2. ამ ტიპის ომები ამბოხების განვითარებულ ფორმას წარმოადგენს. მის საფუძველში დევს პრინციპი, რომლის თანახმადაც, პოლიტიკური ნების შემთხვევაში, შესაძლებელია გაცილებით ძლიერი (როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად) მხარის დამარცხება.

[2] ასიმეტრიული ბრძოლა არის კონვენციური ბრძოლის საპირისპირო ომის წარმოების მეთოდი. ამ დროს ოპონენტების ძალებს შორის არის მნიშვნელოვანი დისბალანსი. თუ კონვენციური მოქმედებები უმეტესწილად მიმართულია ოპონენტის სამხედრო ძალის გასანეიტრალებლად, ასიმეტრიული მიდგომა გამიზნულია გამარჯვების მოსაპოვებლად სხვადასხვა ფარული და სპეციალური ხასიათის მეთოდების გამოყენებით, მაგალითად, პარტიზანული ბრძოლით, ტერორისტული აქტებით და ა.შ.

3. ბრძოლის საწარმოებლად გამოიყენება სოციალური კავშირები.

4. ომის წინა თაობებისგან განსხვავებით, ამ ტიპის ომებში, მოწინააღმდეგის სამხედრო ძალების დამარცხება არ წარმოადგენს წარმატების აუცილებელ წინაპირობას. მიზნის მისაღწევად, მოწინააღმდეგე მხარის გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე ხორციელდება არაპირდაპირი ,,გონებრივი იერიში“.

5. მეოთხე თაობის ომები საკმაოდ გაწელილია დროში და შეიძლება, ათწლეულებიც გაგრძელდეს (Hammes T., 2006).

შეჯამების სახით, უნდა აღინიშნოს, რომ მე-4 თაობის ომების თეორია ომის კონკრეტული სახეობის (ასიმეტრიული კონფლიქტის) უკეთ აღქმაში გვეხმარება და ავსებს კლაუზევიცის თეორიულ მიდგომას, რომელიც სამხედრო დაპირისპირების გაანალიზებაში გვეხმარება.

## 1.6 ლიტერატურის მიმოხილვა

ოკუპაციის თემაზე უამრავი ნაშრომი არსებობს, თუმცა, მათი უმრავლესობა ცალკეულ ოკუპაციებზეა ფოკუსირებული. ასევე, გამოკვლეულია სახელმწიფოს და ერის მშენებლობის კონცეფტუალური მოდელები, სადაც აქცენტი კეთდება პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში სტაბილურობის დამყარებასა და განვითარებაზე. თუმცა, ოკუპაციის მიზანს, როგორც წესი, არ წარმოადგენს არც ქვეყნისა და არც ერის მშენებლობა, აღნიშნული კონცეფციები მხოლოდ სტაბილური გარემოს შექმნის მეთოდებია. ოკუპაციას განსხვავებული მიზნები აქვს, რომლებიც ყოველთვის ოკუპანტი სახელმწიფოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობს და როგორც წესი, არ მოდის დაპყრობილი ქვეყნის ინტერესებთან თანხვედრაში.

აღსანიშნავია, რომ წარუმატებლობის მიზეზების სისტემური კვლევა მხოლოდ რამდენიმე ავტორს აქვს ჩატარებული. მათ შორის არის დევიდ ედელშტეინი (Edelstein D., 2004). მის ნაშრომში „ოკუპაციის საფრთხეები: რატომ არის ზოგიერთი ოკუპაცია

წარმატებული და ზოგი – წარუმატებელი“ ("Occupational Hazards: Why Military Occupations Succeed or Fail"), დეტალურად არის გაანალიზებული წარუმატებლობის მიზეზები. დევიდ ედელშტეინის აზრით, ოკუპაცია, როგორც წესი, წარმატებული არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის ხანგრძლივია; ასეთ დროს კი ოკუპირებული ქვეყნის შიგნით იზრდება ნაციონალიზმი, რაც საბოლოოდ, ოკუპაციის მარცხით სრულდება. ედელშტეინის აზრით, ოკუპაციები, ძირითადად, წარუმატებლობით სრულდება. თუმცა, ჩვენი ნაშრომისგან განსხვავებით, მას არ აქვს გათვალისწინებული სსრკ-ის მიერ აღმოსავლეთ ევროპის და ავღანეთის ოკუპაციები და არც კოალიციური ძალების მოქმედებები ISAF-ის მისიის დროს. გარდა ამისა წარუმატებლობის მიზეზების ანალიზისას ჩვენ განსხვავებულ დასკვნებამდე მივედით და წარმოვაჩინეთ კავშირი, რომელიც არსებობს ოკუპაციის წარმატებლობას და ოკუპირებული ქვეყნის პოლიტიკური ელიტის განეიტრალების მცდელობას შორის.

ასევე, აღსანიშნავია პიტერ სტირკის ნაშრომი „სამხედრო ოკუპაციების პოლიტიკა“ “The politics of military occupation”, რომელშიც ვრცლად არის მიმოხილული ოკუპაციის თემა (Stirk, P. 2009). თუმცა, აღნიშნული ნაშრომი ფოკუსირებულია ოკუპაციის ცნების განსაზღვრასა და სხვა ზოგად საკითხებზე. ნაშრომში ასევე არ არის საფუძვლიანად განხილული ოკუპაციის მარცხის და წარმატების მიზეზები. წარმოდგენილი მაგალითები არასაკმარისადაა გამოკვლეული და ურთიერთშედარებაც ზედაპირულ ხასიათს ატარებს. სტირკის ნაშრომი სტრუქტურულად სუსტად არის ორგანიზებული და მკითხველს უჭირს საერთო სურათის დანახვა. ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილი ოკუპაციის ყველა მაგალითი საფუძვლიანად და თანმიმდევრულად არის გამოკვლეული და გაანალიზებული.

ოკუპაციების თემაზე საინტერესო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ერიკ კარლტონსაც. მის წიგნში - „ოკუპაცია: სამხედრო დამპყრობლების პოლიტიკა და მოქმედების მეთოდები“ (Carlton E. 1992, Occupation The policies and practices of military conquerors), განხილულია 1992 წლამდე მომხდარი ოკუპაციები. თუმცა, აღნიშნულ

წიგნში აქცენტი გაკეთებულია სამხედრო ხელისუფლებასა და ოკუპირებული ქვეყნის საზოგადოებას შორის არსებულ კავშირზე და იდეოლოგიის როლზე ამ პროცესში.

### 1.7 ტერმინების განმარტება

ნაშრომში მოცემული თემის განხილვამდე, უნდა განვმარტოთ, რას ვგულისხმობთ ტერმინ ,,ოკუპაციაში". ჰააგის 1907 წლის კონვენციის 42-ე მუხლის თანახმად, „ტერიტორია ითვლება ოკუპირებულად, თუ ის მოექცევა მოწინააღმდეგის არმიის კონტროლის ქვეშ" და „სადაც გავრცელდება აღნიშნული არმიის ძალაუფლება". (Convention (IV), Hague, 1907).

აშშ–ს თავდაცვის დეპარტამენტის მიერ შექმნილი განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, სამხედრო ოკუპაცია არის მდგომარეობა, რომლის დროსაც ტერიტორიაზე კონტროლს ახორციელებენ უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალები (Department of Defense (2010). Joint Publication 1-02). ამავე განმარტებითი ლექსიკონის თანახმად სამხედრო ინტერვენცია არის ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მოქმედება, რომელიც გულისხმობს შეიარაღებული ძალების გამოყენებას (Department of Defense (2010). Joint Publication 1-02).

*სამხედრო კამპანია* არის განსაზღვრულ დროსა და სივრცეში სტრატეგიული მიზნების მისაღწევად განხორციელებული მსხვილმასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციების ერთობლიობა (Department of Defense (2010). Joint Publication 1-02).

ეიალ ბენვენისტის განმარტებით, ოკუპაცია, შეიძლება არ იყოს სამხედრო დაპირისპირების შედეგი (Benvenisti, E. 2012). ის შეიძლება განხორციელდეს ძალის გამოყენების მუქარით, რის შემდეგაც ქვეყნის მოქმედმა ხელისუფლებამ მიიღოს გადაწყვეტილება ოკუპანტისათვის ხელისუფლების გადაბარების შესახებ. გარდა ამისა, „ოკუპაცია შეიძლება იყოს სამშვიდობო ხელშეკრულების ნაწილიც" (Benvenisti, E. 2012).

ანექსია არის ერთი სახელმწიფოს მიერ ტერიტორიის სამუდამო მიერთება

(Edelstein D., 2004). ასეთ შემთხვევაში, ტერიტორიაზე პოლიტიკურ კონტროლს ახორციელებს ანექსიის განმახორციელებელი სახელმწიფო. ჟენევის მე-4 კონვენციის თანახმად, ოკუპაცია ანექსიისგან სწრედ იმით გასხვავდება, რომ პირველი ატარებს დროებით ხასიათს და ამ დროს არ ილახება ოკუპირებული ქვეყნის სუვერენიტეტი და სახელმწიფოებრიობა (Pictet J., 1958).

მეორე მსოფლიო ომის დროს, ნაცისტური გერმანია და სხვა მონაწილე მხარეებიც ხშირად იყენებდნენ ტერიტორიის ანექსიის მეთოდს, რათა სრული კონტროლი დაემყარებინათ მასზე, ემოქმედათ საკუთარი საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად და არ გამოეყენებინათ ოკუპაციის შესახებ არსებული საერთაშორისო კანონმდებლობა, რომელიც ზღუდავდა ოკუპანტ ქვეყანას (Roberts A. 2007). სწორედ ამ მიზეზით, მეორე მსოფლიო ომის დროს განხორციელებული ანექსიების დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, ოკუპაციას წარმოადგენდა. 1958 წელს, ჟენევის მე-4 კონვენციაში შევიდა ცვლილებები, რომლებიც კრძალავს ოკუპირებული ტერიტორიის ანექსიას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სამშვიდობო ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული (Convention (IV) Geneva, 1949. Ccommentary of 1958).

*ოკუპაციის წარუმატებლობა, თუ წარმატება* მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, რთულია ამა თუ იმ ოკუპაციის სრულ წარმატებად ან წარუმატებლობად ჩათვლა. ყველა ოკუპაცია შეიცავს წარმატების გარკვეულ ელემენტებს და უარყოფით ასპექტებს. ერთსა და იმავე შემთხვევაზე საუბრისას, ზოგმა მკვლევარმა შეიძლება განსხვავებული საზომი გამოიყენოს და შესაბამისად, მოვლენები განსხვავებულად შეაფასოს.

ოკუპაციის წარმატების ყველაზე მნიშვნელოვან ინდიკატორად ჩვენ იმ სამხედრო-პოლიტიკური მიზნების შესრულებას მივიჩნევთ, რომლებიც მის დაწყებამდე იქნა გაცხადებული. ასევე ვითვალისწინებთ იმას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ოფიციალური მიზნები შეიძლება მხოლოდ სავარაუდო ფარული მიზნების შესანიღბად გამოიყენებოდეს, როგორც, მაგალითად სსრკ-ის მიერ ავღანეთის ოკუპაციის დროს მოხდა. სავარაუდო ფარულ მიზნებზე საუბრისას, ჩვენ ვაანალიზებთ კონკრეტული

მაგალითის გარშემო არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებას და მასზე დაკვირვებისა და კვლევის შემდეგ ვაკეთებთ სათანადო დასკვნებს. ჩვენ წარმატებულად ვთვლით ისეთ სამხედრო ოკუპაციას, რომლის შედეგადაც ინტერვენციის განმახორციელებელი სახელმწიფო აღწევს გაცხადებული, ან სავარაუდო ფარული მიზნების უმრავლესობას. საშაულო დონის წარმატებად მიიჩნევა შემთხვევა, როდესაც ოკუპაციის მიზნები ნაწილობრივ მიიღწევა, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში (ანუ კონფლიქტის დასრულებიდან რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ) სამხედრო კამპანიის დროს დაშვებული შეცდომები იწვევს ძალის ხელახლა გამოყენების აუცილებლობას და უარყოფითად აისახება ოკუპანტის გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე.

საშუალო წარმატებად ჩვენს მიერ ითვლება ისეთი შემთხვევაც, როდესაც ოკუპაციის მიზნებისათვის საჭირო ხდება სამხედრო კონტინგენტის მუდმივი ზრდა, ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე მსხვილი სამხედრო კონტინგენტის განუსაზღვრელი ვადით გაჩერება და დამატებითი ფინანსური რესურსების გამოყოფა.

წარუმატებლად მივიჩნიეთ ოკუპაცია, რომლის დროსაც სამხედროები ქვეყანას ტოვებენ საწყის ეტაპზე დასახული ღია, ან სავარაუდო ფარული მიზნების უმრავლესობის შეუსრულებლობის პირობებში. როგორც წარმატების, ასევე წარუმატებლობის შემთხვევებზე საუბრისას, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ, იყო თუ არა ზეწოლა ოკუპირებული ქვეყნის მმართველ და არამმართველ ელიტებზე (კონტრელიტაზე). გარდა ამისა, ჩვენ ვეხებით სხვა ფაქტორებსაც - საგარეო მხარდაჭერის როლს და სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებულ საკითხებს.

ელიტებზე ძლიერ ზეწოლაში ვგულისხმობთ ისეთ ვითარებას, როდესაც ხორციელდება წნეხი როგორც ქვეყნის მმართველ ელიტაზე, ასევე მის კონტრელიტაზე. საშუალო ზეწოლად განვსაზღვრეთ ვითარება, რომლის დროსაც ზეწოლა მოდის მხოლოდ კონტრელიტაზე ან მმართველ ელიტაზე. მცირე ზეწოლად კი მივიჩნიეთ მდგომარეობა, როდესაც ელიტები განიცდიან სუსტ გავლენას ოკუპანტი სახელმწიფოს მხრიდან და მეტნაკლებად დამოუკიდებლად შეუძლიათ ქვეყნის შიდა პოლიტიკის წარმართვა.

## II თავი

## 1979-89 წლებში სსრკ-ის მიერ ავღანეთის ოკუპაცია

,,დამპყრობელს ყოველთვის უყვარს მშვიდობა;
მას ურჩევნია წინააღმდეგობის გარეშე
დაიმორჩილოს ქვეყანა".
*კარლ ფონ კლაუზევიცი,*
*ომის შესახებ.*

მე-20 საუკუნეში აშშ-ც და სსრკ-ც საკმაოდ ხშირად იყენებდნენ სამხედრო ინსტრუმენტს, როგორც ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთ საშუალებას. მათ მიერ განხორციელებული ოკუპაციების უმრავლესობა წარმატებით დასრულდა და სუპერსახელმწიფოებმა შეძლეს დასახული მიზნების მიღწევა.

დეტალური ანალიზისათვის შესაბამისი მაგალითების შერჩევამდე ჩვენ შევისწავლეთ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სსრკ-ის და აშშ-ის მიერ განხორციელებული სამხედრო ოკუპაციები. აღნიშნული პერიოდი იმის გამო შევარჩიეთ, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ოკუპაციები ხშირ შემთხვევაში კოლონიალურ, ან ტერიტორიის ანექსიის ხასიათს ატარებდა. ასევე, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და დაიხვეწა ოკუპაციების შესახებ მანამდე არსებული საერთაშორისო სამართლის ნორმები.

დისერტაციაში გაანალიზებული 18 ოკუპაციის შემთხვევიდან მხოლოდ სამში დაფიქსირდა წარუმატებლობა, რომელთაგანაც ჩვენ ორი შევრაჩიეთ. კერძოდ, აშშ-ის მიერ ერაყის და სსრკ-ის მიერ ავღანეთის ოკუპაციები (ცხრილი 1 და 2). ვიეტნამის ოკუპაციაზე ყურადღება არ გავამახვილეთ, რადგან მოწინააღმდეგე მხარე, ანუ ჩრდილოეთ ვიეტნამი, ომის განმავლობაში არ იყო დამარცხებული და ოკუპირებული.

თუმცა, ჩვენ გვერდი არ ავუარეთ ამ შემთხვევას და მისი მოკლე ანალიზი დისერტაციის მე-5 თავში წარმოვადგინეთ.

წარუმატებლობის მიზეზების უკეთ წარმოსაჩენად, ასევე გადავწყვიტეთ გაგვეანალიზებინა ჩვენს მიერ საშუალოდ წარმატებულად მიჩნეული 2001-2014 წლების ISAF-ის მისია, რომლის განმავლობაშიც აშშ-ის და მისი კოალიციის წევრების სამხედრო ძალები აკონტროლებდნენ ავღანეთს და იცავდნენ საერთაშორისო უსაფრთხოებას.

## 2.1 შესავალი

დისერტაციის ამ თავში შევეცდებით ვუპასუხოთ კითხვას, თუ რატომ ვერ მოახერხა საბჭოთა კავშირმა 1979-89 წლებში ავღანეთის ოკუპაციის დროს წარმატების მიღწევა და რამ განაპირობა მისი პოლიტიკის წარუმატებლობა აღნიშნულ ქვეყანაში?

სსრკ-ის პროპაგანდა სამხედრო ინტერვენციის მთავარ მიზნებად ე.წ. ინტერნაციონალურ ვალს და ავღანელი ხალხისათვის ძმურ დახმარებას ასახელებდა. თუმცა, ამ მშრალ და არაფრის მთქმელ ფორმულირებებს, თუ გვერს ავუვლით და საფუძვლიანად გავაანალიზებთ იმ დროისათვის ცენტრალური აზიის რეგიონში არსებულ გეპოლიტიკურ ვითარებას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კრემლს იმ პერიოდში მინიმუმ ორი სტრატეგიული მიზანი გააჩნდა:

1. სსრკ-ის მიმართ ლოიალურად განწყობილი რეჟიმის დაცვა ავღანეთის რესპუბლიკაში.

2. რეგიონში აშშ-ის და ირანის მიერ გავლენის გაზრდის არ დაშვება. (Громов Б. В., 1994, p 8-15).

ასევე გასათვალისწინებელია სსრკ-ის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის არსებული დაძაბულობა და ისლამური რევოლუცია ირანში. ირანის სულიერი ლიდერი, აიათოლა ჰომეინი აცხადებდა, რომ ისლამური რევოლუციის პრინციპების ექსპორტი

მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც უნდა განხორციელებულიყო და ამ მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებები უნდა გატარებულიყო.

1979 წელს მიღებული ირანის კონსტიტუციის მე-11 მუხლში სოწრედ ამ კონცეფციის შესახებ არის საუბარი (Constitution of Iran (1979) with Amendments through 1989). აშშ-ის მოკავშირე პაკისტანის გავლენა ავღანეთში მიმდინარე კონფლიქტზე, ასევე იწვევდა კრემლის შეშფოთებას.

ავღანური სამხედრო გარნიზონის ამბოხმა ქალაქ ჰერატში, რომელიც მხარდაჭერილი იყო ირანის გასამხედროებული ფორმირებების 4000-მდე მებროლით, საგონებელში ჩააგდო პოლიტბიურო (Ляховский, А. А. 2004, p-17). გავრცელებულია მოსაზრება, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ იჩქარა ავღანეთში ჯარების შეყვანა და არ მოახდინა სიტუაციის ჯეროვანი ანალიზი. სინამდვილეში, კრემლში სურდათ ყოველმხრივ აერიდებინათ სამხედრო ძალების სრულმასშტაბიანი ჩართვა და ადგილობრივი რეჟიმის მხარდაჭერით შემოფარგლულიყვნენ (Громов Б. В., 1994, p 19-23). თუმცა, ჰერატში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადი გახადა, რომ სამხედრო ინტერვენციის გარეშე ვითარების ნორმალიზება ვერ მოხერხდებოდა. მეტიც, კრემლის მიმართ ლოიალური კომუნისტური რეჟიმი შეიძლება ისლამისტებს ჩაენაცვლებინათ, რაც შემდგომში უკვე სსრკ-ის ცენტრალური აზიის რესპუბლიკების სტაბილურობას დააყენებდა რისკის ქვეშ. შეიძლება ითქვას, რომ 1979 წელს კრემლი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა და იძულებული გახდა სიტუაციის მართვა სამხედრო ინსტრუმენტის გამოყენებით განეხოციელებინა.

1979 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირმა განახორციელა სამხედრო ინტერვენცია ავღანეთში, სადაც იმ პერიოდისათვის უკვე დაწყებული იყო შიდა დაპირისპირება მმართველ კომუნისტურ ელიტასა და ისლამური ფუნდამენტალიზმის მომხრე ოპოზიციას შორის. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კონფლიქტის ანალიზი უნდა დავიწყოთ იმ პერიოდიდან, როდესაც სსრკ-ის ხელშეწყობით ხელისუფლების სათავეში მოვიდა მარქსისტული იდეებით განმსჭვალული პოლიტიკური ელიტა, კერძოდ კი 1978

წლის აპრილიდან.

ავღანეთში ვითარება მას შემდეგ გამწვავდა, რაც მეფის ბიძაშვილმა მოჰამედ დაუდ ხანმა სამხედრო გადატრიალების შედეგად ჩამოაშორა მონარქი ქვეყნის მართვას და თავი პრეზიდენტად გამოაცხადა. საგულისხმოა, რომ ავღანელების უმრავლესობა მშვიდად შეხვდა სამხედრო გადატრიალებას, რადგან ეს სამეფო ოჯახის შიგნით მომხდარ დაპირისპირებად აღიქვეს (Ляховский, А. А. 2004, p-13).

დაუდი ყოველმხრივ ცდილობდა ბალანსი შეენარჩუნებინა ვაშინგტონთან და მოსკოვთან ურთიერთობაში. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა დაუდზე საუბრისას აღნიშნა, რომ „ის ბედნიერი იყო, როდესაც შეეძლო ამერიკული სიგარისათვის საბჭოთა წარმოების ასანთით მოეკიდებინა“ (Ляховский, А. А. 2004, p-13).

რამდენიმე წელიწადში თავად დაუდი და მისი ოჯახი ემსხვერპლა ავღანური კომუნისტური პარტიის მიერ ინსპირირებულ აპრილის (საურის) რევოლუციას, რომლის შემდეგაც ავღანეთი დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა და დაიწყო სოციალიზმის მშენებლობა. შეიცვალა ქვეყნის სიმბოლიკაც, რომელშიც ტრადიციული ნიშნების ნაცვლად კომუნისტური ინტერნაციონალის გავლენა იგრძნობოდა და ძალიან ჰგავდა სსრკ-ში არსებულს. ქვეყნის ახალმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მასშტაბური რეფორმების განხორციელება, რათა ავღანეთი ცენტრალური აზიის საბჭოთა რესპუბლიკებს დამსგავსებოდა. მათ მიაჩნდათ, რომ რადგან სსრკ-ის რესპუბლიკებში ეს რეფორმები წარმატებით დაგვირგვინდა, არც ავღანეთი იქნებოდა გამონაკლისი. ფორმალურად, ეს ჯერ კიდევ არ იყო ოკუპაცია, თუმცა ყველასათვის ნათელი იყო, რომ კრემლი იდგა, როგორც სამხედრო გადატრიალების, ასევე იმ რეჟიმის უკან, რომელსაც ნურ მუჰამედ თარაქი ხელმძღვანელობდა.

ბრეჟნევის დოქტრინა, კრემლის მოკავშირე სოცილისტური რეჟიმების დაცვას უსვამდა ხაზს (Brezhnev Doctrine, Speech by First Secretary of the Soviet Union Leonid

Brezhnev 13 November 1968). შესაბამისად, საბჭოთა ხელმძღვანელობაც ყოველმხრივ ეხმარებოდა ახალ რეჟიმს, რადგან მის საზღვრებთან მომხდარ კომუნისტურ რევოლუციას აუცილებლად უნდა გაემარჯვა და გამხდარიყო მაგალითი მსოფლიოს სხვა ქვეყნებისათვის.

საბჭოთა დახმარება, ფინანსურის და მატერიალურის გარდა, ასევე მოიცავდა მრჩევლების გაგზავნას ავღანეთის სახელმწიფო უწყებებში. ყველა სამინისტროს აპარატში დანიშნულნი იყვნენ საბჭოთა მრჩევლები, რომლებიც ფაქტობრივად მართავდნენ სიტუაციას და ღებულობდნენ გადაწყვეტილებებს ყველა დონეზე. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ერთ-ერთ უნივერსიტეტში წყალგაყვანილობის ოსტატს საბჭოთა მრჩეველი უწევდა ზედამხედველობას (Пиков, Н. И., Никитенко, Е. Г., Тетин, Ю. Л., & Шведов, Ю. Н. (1991). p-162). ამ დროს ავღანელები შიდა პარტიული დაპირისპირებით იყვნენ დაკავებული და ამ უაღრესად რთულ პერიოდში გადაწყვეტილებებს მეტწილად სსრკ-დან მოვლენილი მრჩევლები იღებდნენ, რომლებსაც კარგად არ ესმოდათ ქვეყნის სპეციფიკა და მიაჩნდათ, რომ საბჭოთა სოციალისტური მოდელი სავსებით მისაღები იქნებოდა ავღანელებისათვის.

## 2.2 ზეწოლა მმართველ და არამმართველ ელიტებზე.

ავღანეთში სოციალიზმის მშენებლობა არ იყო ადვილად შესასრულებელი ამოცანა. სასოფლო სამეურნეო რეფორმა, რომელიც სამხედრო გადატრიალებიდან მალევე დაიწყო და რომელსაც საბჭოთა სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ, ქვეყანაში ძირეული გარდაქმნების განხორციელებაზე იყო ორიენტირებული. კერძოდ, საბჭოთა სპეციალისტების მიერ შედგენილ მოხსენებაში, რომელიც 1978 წლის ე.წ. წყლისა და მიწის რეფორმის მთავარ მიზნებს ეხებოდა, ხაზგასმით ეწერა, რომ:

„- ავღანეთში უდა შექმნილიყო ხელსაყრელი პირობები აპრილის სახალხო

დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გარდაქმნისათვის;

- უნდა მომხდარიყო პროლეტარიატის და გლეხობის კავშირის გაძლიერება;
- აუცილებელი იყო მსხვილი მიწათმფლობელების, ხანების, ტომის ბელადი მალიქების და სხვა ექსპლუატატორი ჯგუფების სოციალური და პოლიტიკური ძალაუფლების წყაროების განადგურება“ (Слинкин М. Ф. 2001).

აღნიშნულ რეფორმაში არ იყო გათვალისწინებული ქვეყანაში იმ პერიოდისათვის არსებული სოციალ-პოლიტიკური წყობა. ავღანეთი აგრარული სახელმწიფო იყო და ქალაქები არ იყო იმდენად განვითარებული, რომ მომხდარიყო სოფლის მაცხოვრებლების ბუნებრივი მიგრაცია. შესაბამისად მუშათა პროლეტარიატი, რომელიც ზემოთ აღწერილი რევოლუციური ცვლილებების ლოკომოტივი უნდა გამხდარიყო, ქვეყანაში თითქმის არ არსებობდა. ინდუსტრიული სექტორიც და მსუბუქი მრეწველობაც ჩანასახოვან მდგომარებოაში იმყოფებოდა. შესაბამისად, ქვეყანაში არ არსებობდა სოციალიზმის საბჭოთა მოდელის დასანერგად აუცილებელი მუშათა კლასი.

სამაგიეროდ არსებოდა ფეოდალური სისტემა, რომლის სათავეშიც გვაროვნულ-ტომომრივი გაერთიანებების ლიდერები და მსხვილი მიწათმფლობელები იდგნენ. 1970-იანი წლების ავღანეთი დე-ფაქტო ფეოდალური სახელმწიფო იყო. მეტიც, კომუნისტური პარტიის სათავეში მყოფი და გადატრიალებაში მონაწილე სამხედრო პირების უმრავლესობა, თავად განეკუთვნებოდა ავღანურ არისტოკრატიას და მსხვილ მამულებსაც ფლობდა. გარდა ამისა, ურბანიზაციის დაბალი დონე ართულებდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ ქვეყნის სრულ ტერიტორიაზე კონტროლს. რამდენიმე ცენტრალური მაგისტრალის გარდა, საგზაო ქსელი სავალალო მდგომარეობაში იყო და მოსახლეობის 87 პროცენტი ავღანეთში არსებულ 23 000 ყიშლაყში (სოფელში) ცხოვრობდა (Ляховский, А. А. 2004, p-23).

1979 წლისთვის კომუნისტები მოსახლეობის მხოლოდ ნახევარ პროცენტს

შეადგენდნენ და მსხვილ ქალაქებში იყვნენ კონცენტრირებული. სასოფლო სამეურნეო რეფორმა ავღანეთში ერთის მხრივ მიზნად ისახავდა მსხვილი მიწათმფლობელების გავლენის შემცირებას და მეორეს მხრივ უნდა მოეხდინა სოფლად მაცხოვრებელი ხალხის ქალაქებში ჩასახლების სტიმულირება. თუმცა, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ ქალაქები არ იყო შესაბამისად განვითარებული, დაიწყო მოსახლეობის გადინება მეზობელ ქვეყნებში.

ფეოდალური წყობილებიდან, კაპიტალიზმის განვითარების ეტაპის გამოტოვებით, ავღანეთი პირდაპირ სოციალისტურ წყობაზე უნდა გადასულიყო და ეს უნდა განხორციელებულიყო ქვეყნის ხელმძღვანელობის ხშირი ცვლილების და სამხედრო გადატრიალებების ფონზე.

რეფორმის ფარგლებში მსხვილი და საშუალო მიწათმფლობელის მიწა სახელმწიფოს საკუთრებაში გადადიოდა, რის შემდეგაც უნდა მომხდარიყო მისი განაწილება უმიწო გლეხობაზე, რომელიც აქამდე დაქირავებული მუშახელის ფუნქციას ასრულებდა ფეოდალებისათვის. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 60% სწორედ უმიწო გლეხობას შეადგენდა (Слинкин, М. Ф. 1999, p 29-30). მიწის გარეშე მყოფ ყოველ ოჯახზე გათვალისწინებული იყო ექვსი ჰექტარის ნაკვეთი. რეფორმის დამგეგმავების აზრით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საფერმერო მეურნეობები და უქონელი გლეხობა, შეძლებდა იმ რაოდენობის სოფლის მეურნეობის ნაწარმის შექმნას, რომელიც საკმარისი იქნებოდა ქვეყნის პროდუქტებით უზრუნველსაყოფად. ასევე, მოხდებოდა მსხვილი ფეოდალების და ადგილობრივი ტომების ლიდერების გავლენის შემცირება, რადგან მათ აღარ ექნებოდათ მათი ძალაუფლების მთავარი წყარო, მიწა.

ექვსი ჰექტარი მიწის დამუშავების შედეგად მიღებული მოსავალი, რეალურად ერთი ოჯახის გამოსაკვებად საჭირო პროდუქტსაც ვერ უზრუნველყოფდა და გლეხობას უმძიმეს მდგომარეობაში აყენებდა, რადგან მათ არც მიწის დასამუშავებლად საჭირო იარაღები და სახნავ სათესი საშუალებები გააჩნდათ და მორწყვის საკითხშიც კვლავ მსხვილ ფეოდალებზე იყვნენ დამოკიდებული. შედეგად, დაუმუშავებელი დარჩა 300 000

ჰექტარი მიწა, მთავრობა კი იძულებული გახდა 350 000 ტონა მარცვლეული შეეძინა (მანამდე ხდებოდა 150-200 ათასი ტონის იმპორტი), ასევე 790 000-ით შემცირდა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა (Слинкин, М. Ф. 1999, p 43).

აპრილის რევოლუციის მომწყობმა ხუნტამ და მათ უკან მდგომმა საბჭოთა მესვეურებმა არ გაითვალისწინეს, რომ ისლამური ტრადიციებით სხვისი ქონების დაპატრონება აკრძალული იყო და ამის ჩამდენი შეიძლება სიკვდილითაც დაესაჯათ. სასულიერო პირები, რომლებსაც ასევე უნდა ჩამორთმეოდათ მათ საკურებაში არსებული ქონება, მოსახლეობას მოუწოდებდნენ უარი ეთქვათ მთავრობის ამ შემოთავაზებაზე და „არ შეეცოდათ ალაჰის წინაშე“. მართლაც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მიწათმფლობელთა მხრიდან დაშინებისა და რელიგიური მოსაზრებების გამო უარი თქვა იმ ადგილებში დასახლებაზე, რომლებიც მთავრობამ მესაკუთრეებს ჩამოართვა. მთავრობის საკუთრებაში დასამუშავებლად ვარგისი მიწების მხოლოდ ერთი პროცენტი იყო (40 ათასი ჰექტარი). ამავე რაოდენობის მიწა გამოიყო კოლმეურნეობების შესაქმნელად. ასეთი მწირი რესურსებით ხელისუფლება ვერ შეძლებდა ეწარმოებინა იმ რაოდენობის პროდუქცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ქვეყნის მთელ მოსახლეობას. მიწის რეფორმის შედეგად ქვეყანაში დაიწყო სასოფლო სამეურნეო კრიზისი (Слинкин, М. Ф. 1999, p 31).

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ და საბჭოთა კავშირიდან მოვლენილმა სპეციალისტებმა რეფორმის განხოციელების პროცესში რამდენიმე გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვეს. უპირველეს ყოვლისა, არ მოხდა პოლიტიკური კომპრომისის მიღწევა მიწის მესაკუთრეებთან და სასულიერო პირებთან, რამაც თავის მხრივ განაპირობა ამ უკანასკნელთა მხრიდან რეფორმის საბოტაჟი და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ამბოხის ინსპირირება. ასევე, არ მოხდა რეფორმის ეტაპობრივი განხოციელება. ის მსხვილი ფეოდალების გარდა, წვრილ და საშუალო მიწათმფლობელებსაც შეეხო (მთლიანობაში დაახლოებით 272 000 მიწათმფლობელს) (Слинкин, М. Ф. 1999, p 30).

1978 წელს განხორციელებულმა რეფორმებმა და ცვილებებმა იმდენად გაამწვავეს ვითარება ქვეყნის შიგნით, რომ მხოლოდ საბჭოთა არმიას შეეძლო ვითარების დასტაბილურება.

1979 წლის 17 მარტს, სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე კოსიგინსა და ავღანეთის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ნურ მუჰამედ თარაკის შორის შედგა სატელეფონო საუბარი, რომლის დროსაც ავღანელი ლიდერი აქტიურ სამხედრო დახმარებას ითხოვდა და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არსებობდა ჰერათის ამბოხის მთელი ავღანეთის ტერიტორიაზე გავრცელების საფრთხე (Громов Б. В., 1994, р 16-18). შესაბამისად, სსრკ-ის მხრიდან ქმედითი სამხედრო დახმარების გარეშე ავღანური რევოლუცია კრახს განიცდიდა, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაართულებდა სსრკ-ის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას. შეიძლება ითქვას, რომ 1979 წელს შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საბჭოთა კავშირს სიტუაციის ნორმალიზების სხვა საშუალება არ გააჩნდა. დაუშვებელი იყო სსრკ-ის მოსაზღვრე ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის კრახი.

ავღანეთში გვაროვნულ თემობრივი წყობა საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და მკაცრად ორგანიზებულ სტრუქტურას წარმოადგენდა. ეთნიკური ჯგუფები ტომებად, ხოლო ეს უკანასკნელნი კი თემებად და გვარებად იყო დაყოფილი. ტომების და თემების მართვა ჯირგების (გვარების უხუცესი წევრების საბჭო) მიერ ხორციელდებოდა, მათ მიერვე ხდებოდა უხუცესების არჩევაც, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციას ასრულებედნენ. საერთო ტომობრივი საკითხების გადასაწყვეტად კი ხდებოდა ე.წ. ლოია ჯირგას (დიდი საბჭოს) მოწვევა.

ყველა ეთნოსს, ტომს და თემს საკუთარი ნიშა უკავია ავღანურ საზოგადოებაში, ზოგიერთი შედარებით მეტ პრივილეგიას ფლობს, ზოგი კი ნაკლებს. ავღანეთში ყველა ტომი ფაქტობრივად სახელმწიფოს მინიატურულ მოდელს წარმოადგენს, რომელსაც საკუთარი სასამართლო სისტემა, ადათ-წესები და მცირე შეიარაღებული ფორმირებებიც კი გააჩნია, რომლებიც მომზადების მხრივ არაფრით ჩამოუვარდებიან რეგულარულ

სამხედრო ნაწილებს (Ляховский, А. А. 2004, p-25).

პაშტუნები ისტორიულად ყველაზე მრავალრიცხოვანი თემი იყო ავღანეთში და სხვადასხვა პრივილეგიით სარგებლობდა. ტრადიციულად სწორედ ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებით ხდებოდა სახელმწიფო აპარატის და სამხედრო მაღალჩინოსანთა კორპუსის ფორმირება. პაშტუნებს ჰქონდათ იარაღის ტარების უფლება და ეძლეოდათ საუკეთესო მიწები. გარდა ამისა, პაშტუნები სავალდებულო სამხედრო გაწვევასაც არ ექვემდებარებოდნენ და ერთგვარი სასაზღვრო კორდონის ფუნქციას ასრულებდნენ (Ляховский, А. А. 2004, p-25). ჯარში ძალდატანებით გაწვევა, კიდევ ერთი ფაქტორი იყო, რომელმაც დამატებითი უკმაყოფილება გამოიწვია პაშტუნებში(Слинкин, М. Ф. 1999, p 30).

სასოფლო სამეურნეო რეფორმის კვალდაკვალ მნიშვნელოვანი ზომები ტარდებოდა ისლამის მქადაგებელი სასულიერო პირების მიმართაც. ავღანეთში ისლამური რელიგიის მსახურთა რაოდენობა მოსახლეობის დაახლოებით 2%-ს (300 000) შეადგენდა, რომლებიც ქვეყანაში მოქმედ 40 000 მდე მეჩეთსა და სამლოცველოში ქადაგებნენ (Ляховский, А. А. 2004, p-30).

ავღანეთში ფუნქციონირებდა სასულიერო სასწავლებლებიც და მოსახლეობის ნაწილი ყოველწლიურად მიემგზავრებოდა წმინდა ადგილებში ე.წ. ჰაჯის შესასრულებლად. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ დაიწყო რეფორმების გატარება, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიოდა ისლამურ მოძღვრებასთან. კერძოდ, სკოლებში მანდილოსნები და მამაკაცები ერთად ესწრებოდნენ მეცადინეობებს, საზოგადოებაში დაიწყო გენდერული თანასწორობის პრინციპების ქადაგება, გატარდა ე.წ. ქორწინების რეფორმა, რომლის თანახმადაც იკრძალებოდა ადრეული ქორწინებები და ტრადიციული გამოსასყიდი ე.წ. ყალიმი (Ляховский, А. А. 2004, p-32).

ავღანელი სოციალისტები საკუთარ განცხადებებში აპრილის რევოლუციას ისლამის და დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებულს უწოდებნენ, რეალობაში კი

განსხვავებულ პოლიტიკას ატარებდნენ. რეფორმის მოწინააღმდეგე სასულიერო პირები ხშირ შემთხვევაში მრევლის თვალწინ ისჯებოდნენ სიკვდილით  და განსხვავებული აზრი ყოველმხრივ იდევნებოდა (Ляховский, А. А. 2004, p-31). სოციალისტური პრინციპების ძალადობრივი გზით დანერგვამ განაპირობა ისლამისტური ორგანიზაციების გაძლიერება, როგორც საკუთრივ ავღანეთის ტერიტორიაზე, ასევე ირანსა და პაკისტანში გახიზნულ ავღანელთა შორის.

ქვეყანაში ახალი წესრიგის შექმნის პარალელურად ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის რიგებში მიმდინარეობდა შიდა პარტიული ბრძოლა, რომელშიც ერთმანეთს ორი ფრთა უპირისპირდებოდა. ერთ ფრთას „ხალქს“ (ხალხი) პარტიის ლიდერი ნურ მუჰამედ თარაქი ედგა სათავეში, ხოლო მეორეს „პარჩამს“ (ალამი) ბაბრაქ ქარმალი. ორივე ფრაქციას მსგავსი იდეოლოგია ჰქონდა, თუმცა „ხალქის“ წევრები გაცილებით რადიკალური შეხედულებებით გამოირჩეოდნენ და არ სურდათ ყოფილ მმართველ ელიტასთან რაიმე კომპრომისზე წასვლა. საგულისხმოა, რომ აპრილის რევოლუციის მთავარი ინციატორები სწორედ „ხალქის“ წევრები იყვნენ.

„პარჩამის“ წევრები  პირიქით, უფრო ლიბერალურ მიდგომას ამჯობინებდნენ და სურდათ ხალხში მხარდაჭერის მოპოვებით და დემოკრატიული მეთოდებით მოსულიყვნენ ხელისუფლების სათავეში. 1970-იან წლებში საბჭოთა ხელმძღვანელობის თვალში, „ხალქის“ წევრები უფრო ავტორიტეტულები იყვნენ.  შესაბამისად, აპრილის რევოლუციის შემდეგ,  სწორედ აღნიშნული ფრთა მოვიდა ხელისუფლების სათავეში და დაიწყო ოპონენტების ყოველმხრივი შევიწროვება. „პარჩამის“ წევრები  იძულებული გახდნენ ქვეყანა დაეტოვებინათ და სხვადასხვა დიპლომატიურ მისიაში გაეგრძელებინათ მოღვაწეობა (Ляховский, А. А. 2004, p-10). ზოგიერთი მათგანი რეპრესირებულიც კი იყო. საბჭოთა კავშირმა, რომელიც აპრილის რევოლუციის ყოველმხრივ  მხარდაჭერას ახორციელებდა არ მიიღო ქმედითი ზომები შიდაპარტიული ქიშპობის გასანეიტრალებლად.

ქვეყნის სათავეში რადიკალურად განწყობილი ფრთის მოსვლამ გაამწვავა ვითარება. მალე ხელისუფლებას ხაფიზულა ამინი დაეუფლა, რომელმაც მოქნილი

პოლიტიკური სვლების და ინტრიგების მოწყობის გზით, ხელისუფლებას ჩამოაცილა და შემდეგ მოაკვლევინა ნურ მუჰამედ თარაქი (Ляховский, А. А. 2004, p-80).

ამინმა ძალაუფლების ხელში ჩაგდების მომენტიდან დაიწყო რევოლუციის მოწინააღმდეგეების და საკუთარი მტრების მიმართ უსასტიკესი ტერორის განხორციელება. შეიარაღებული ოპოზიციის წინააღმდეგ ჩატარდა სამხედრო ოპერაციები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლით სრულდებოდა. რამდენიმე თემი მთლიანად განადგურდა. მოსახლეობის წინააღმდეგ ქვეყნის ლიდერი არ ერიდებოდა არტილერიის და საბრძოლო ავიაციის გამოყენებასაც. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა უკმაყოფილებას გამოხატავდა მსგავსი პოლიტიკის მიმართ, თუმცა, ამინი ხაზსგასმით ამბობდა, რომ ძალადობა აუცილებლობას წარმოადგენდა და სხვაგვარად ქვეყანაზე კონტროლის დამყარება შეუძლებელი იქნებოდა. მრავლისმთქმელია მისი გამონათქვამი:

„თქვენ არ იცნობთ ჩვენ ხალხს! თუ რომელიმე თემმა იარაღი აიღო ხელში ის მას არ დაყრის. ერთადერთი გამოსავალი არის მათი განადგურება დიდიან პატარიანად! ჩვენთან ასეთი ტრადიციებია“ (Ляховский, А. А. 2004, p-70).

ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის მიერ ინიცირებული ყველა რეფორმა საერთო ჯამში მიზნად ისახავდა იმ დროისათვის არსებული ელიტების სრულ განეიტრალებას, ან განადგურებას. რეპრესიებმა და ტერორმა მთელი ქვეყანა მოიცვა და აპრილის რევოლუციდან 18 თვის თავზე დახვრეტილთა რაოდენობა ათეულობით ათასს შეადგენდა. 1979 წლის სექტემბერში, ამინმა დახვრეტილთა ნაწილობრივი სია გამოაქვეყნა, რომელშიც 12 000 ადამიანის გვარი ფიგურირებდა, თუმცა მათი რეალური რაოდენობა გაცილებით მეტი იყო (Ляховский, А. А. 2004, p-70).

საბჭოთა ხელმძღვანელ მუშაკებთან საუბრებში ამინი დაუფარავად აღნიშნავდა, რომ:

„ჩვენ 10 000 ფეოდალი გვყავს. ჩვენ მათ გავანადგურებთ და საკითხიც მოგვარდება. ავღანელები მხოლოდ ძალას აღიარებენ“ (Ляховский, А. А. 2004, p-

70) (Афанасьев А., 2013).

პრობლემური საკითხების ძალისმიერი გზით მოგვარება არც საბჭოთა მესვეურებისათვის იყო უცხო და მიუღებელი. მეტიც, საბჭოთა კავშირი, ხომ სწორედ ამინის მსგავსი ლიდერების მიერ იყო შექმნილი და მათ მიერ დამკვიდრებული ტრადიციების მიხედვით იმართებოდა. თუმცა, საჯარო განცხადებებში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი პირები გმობდნენ მსგავსი მეთოდების გამოყენებას.

1979 წლის 27 დეკემბერში საბჭოთა სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფებმა სამხედრო ოპერაციის შედეგად მოკლეს ხაფიზულა ამინი და ხელისუფლებაში მოიყვანეს მისი მოწინააღმდეგე ბაბრაქ ქარმალი. ბაბრაქ ქარმალს, რომელიც „პარჩამის" ფრთის მეთაური იყო, შედარებით შემწყნარებლური პოზიცია ეკავა ოპოზიციის და ყოფილი მეფის მომხრეების მიმართ (Давид, И. Г., & Снегирев, В. Н., 1991, p 65).

ეს უკვე რიგით მესამე სამხედრო გადატრიალება იყო ავღანეთში. თუმცა, ამჯერად მას საბჭოთა რეგულარული ნაწილები ახორციელებდნენ. საინტერესო ფაქტია, რომ საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეყვანის საკითხი თავად ხაფიზულა ამინთან იყო შეთანხმებული, რომელმაც თავის სამხედროებს დაავალა ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინათ წითელი არმიისათვის (Громов Б. В., 1994, p 42).

ხელისუფლების ძალის გამოყენებით შეცვლას და ამინის ლიკვიდაციას კრემლში იმით ამართლებდნენ, რომ ტერორი უნდა შეწყვეტილიყო და დემოკრატიული მართვის მეთოდები დანერგილიყო.

ამინის ჩამოცილების შემდეგ ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის ლიდერებზე ზეწოლა საგრძნობლად გაძლიერდა. თუ მანამდე ქვეყნის ხელმძღვანელობას მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება შეეძლო, საბჭოთა ჯარების შემოსვლის და ხელისუფლებაში ბაბრაქ ქარმალის მოსვლის შემდეგ, სიტუაციაზე კონტროლი მთლიანად კრემლის და მისი მესვეურების ხელში გადავიდა. ბორის გრომოვი თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ:

„აპრილის რევოლუციის გამარჯვების მომენტიდან ქაბულის რეჟიმის დაცემამდე ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის და ქვეყნის ხელისუფლების მოქმედებები საბჭოთა მესვეურთა მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა“ (Громов Б. В., 1994, p 50).

1991 წელს რუსი ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში თავად ბაბრაქ ქარმალმა განაცხადა, რომ საკუთარი დროის 80%-ს ის საბჭოთა ოფიციალურ პირებთან დაპირისპირებაში ატარებდა, რადგან ისინი მას დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების საშუალებას არ აძლევდნენ და უხეშად ერეოდნენ საკადრო პოლიტიკაში:

„თქვენი მრჩევლები ყველგან იყვნენ. ქაბულშიც და პროვინციებშიც, მნიშვნელოვან თანამდებობაზე მათ გარეშე ვერავინ დაინიშნებოდა... ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შემეძლო თქვენი მრჩევლების გარეშე! ისინი მკარნახობნენ როგორ უნდა მემოქმედა, როგორც პარტიაში ასევე ქვეყანაში და არმიაში (Давид, И. Г., & Снегирев, В. Н., 1991, p 64-65).“

ქარმალის განცხადებით მას მრვალაგზის ჰქონდა დაწერილი განცხადება გადადგომის თაობაზე, თუმცა, კრემლი მას ამის საშუალებას არ აძლევდა. საგულისხმოა ასევე ის ფაქტიც, რომ მის რეზიდენციას საბჭოთა მედესანტეები და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოპერმუშაკები იცავდნენ. ბაბრაქ ქარმალის თქმით, ავღანეთი „იყო ოკუპირებული სახელმწიფო“ და მასში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები ბატონობდნენ (Давид, И. Г., & Снегирев, В. Н., 1991, p 66).

გასაკვირი არ არის, რომ ავღანეთის მოსახლეობაც სწორედ ასე აფასებდა ქვეყანაში შექმნილ ვითარებას და წინააღმდეგობას უწევდა საბჭოთა ჯარებს. ავღანური ისლამისტური ოპოზიცია სახელმწიფოში დატრიალებულ ყველა უბედურებაში საბჭოთა კავშირის ბრალეულობას უსვამდა ხაზს და ხალხს საღვთო ომის, ჯიჰადისკენ მოუწოდებდა.

კონფლიქტის დასაწყისში სსრკ-ის სამხედრო ხელმძღვანელობა ვარაუდობდა, რომ თუ ავღანეთში მოქმედი წითელი არმიის რიგებში ძირითადად ცენტრალური აზიის

რესპუბლიკების მაცხოვრებლები იქნებოდნენ წარმოდგენილი, ეს ხელს შეუწყობდა მოსახლეობაში კეთილგანწყობის მოპოვებას. თუმცა, არ იქნა გათვალისწინებული, რომ ავღანელების თითქმის ნახევარი ეთნიკურად პაშტუნების ტომს მიეკუთვნებოდა, რომლებსაც ისტორიულად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ ავღანეთში მცხოვრებ ტაჯიკებთან, უზბეკებთან და სხვა ეთნიკურ უმცირესობებთან. ისლამურმა ოპოზიციამ ეს ფაქტორიც თავის სასარგებლოდ გამოიყენა და მოსახლეობაში დამპყრობლების საწინააღმდეგო აგიტაცია უფრო შედეგიანი გახადა (Рунов, В. 2017, 18).

ხელისუფლების და საბჭოთა სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომების შედეგად ისლამური ოპოზიციის ძალები ყოველწლიურად იზრდებოდა. ასე მაგალითად, თუ აჯანყებულთა რაოდენობა 1981-83 წლებში 45 ათასს არ აღემატებოდა, 1985 წლისთვის მათი რაოდენობა 150 000 აღწევდა. ქალაქების, მსხვილი რაიონული ცენტრების და მათი დამაკავშირებელი საგზაო ქსელის გარდა ავღანურ-საბჭოთა ერთობლივ ძალებს უჭირდათ ტერიტორიაზე კონტროლის შენარჩუნება, რადგან მოსახლეობა არ იყო მათ მიმართ კეთილგანწყობილი (Рунов, В. 2017, р 18).

ავღანური რადიკალური ისლამური ოპოზიციის ლიდერების ბიოგრაფიიდანაც ნათლად ჩანს ქაბულის რეჟიმის მიერ დაშვებული შეცდომები. ასე მაგალითად, ჰეკმათიარის ლიდერად ჩამოყალიბება სწორედ იმ პერიოდში მოხდა, როდესაც ქვეყნის შიგნით გაძლიერდა სასულიერო პირების დევნა და დაიწყო რეჟიმის და ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების მოწინააღმდეგეების რეპრესიები. ჰექმათიარმა პაკისტანის ტერიტორიაზე შექმნა „ავღანეთის ისლამური პარტია“, რომლის რიგებიც ყოველწლიურად იზრდებოდა ავღანეთიდან დევნილი მოსახლეობით. გულბედინ ჰექმათიარის დაჯგუფება ერთ ერთი უძლიერესი სამხედრო ფორმირება იყო, რომელსაც აშშ, პაკისტანი და საუდის არაბეთი ამარაგებდა. მასში დაახლოებით 35 000 მოჯაჰედი იყო გაერთიანებული და ისინი ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, მათ შორის დედაქალაქ ქაბულის შემოგარენში მოქმედებდნენ. აღსანიშნავია, რომ 1980-იანი წლების დასაწყისში ჰექმათიარი არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული რადიკალიზმით და ცდილობდა

გარიგებოდა ხელისუფლებას (Громов Б. В., 1994, p 115).

ოპოზიციის კიდევ ერთი ლიდერი, რომელიც ხელისუფლების უგუნურმა პოლიტიკამ აიძულა იარაღი აეღო ხელში, იყო სიბჰათულა მოჯადი, რომელიც აპრილის რევოლუციამდე ევროპაში ეწეოდა საგანმანათლებლო მოღვაწეობას და ქადაგებდა ისლამს. თავის განცხადებებში მოჯადიმ დაგმო აპრილის რევოლუცია, რის გამოც ამინმა 1979 წელს მისი 21 ნათესავი სიკვდილით დასაჯა (Громов Б. В., 1994, p 108). ამის შემდეგ სიბჰათულა იძულებული გახდა პაკისტანში ჩასულიყო და სათავეში ჩადგომოდა „ავღანეთის გადარჩენის ეროვნულ ფრონტს“. ნაჯიბულას რეჟიმის დამხობის შემდეგ სწორედ მან გადაიბარა ხელისუფლება და მცირე ხნით ავღანეთის პრეზიდენტის მოვალეობასაც ასრულებდა.

„ავღანთის ეროვნული ისლამური ფრონტის“ დამაარსებელი და ლიდერი, საიდ ახმად გაილანი, აპრილის რევოლუციამდე ქაბულის არისტოკრატიას მიეკუთვნებოდა, ფლობდა მიწის დიდ ნაკვეთებს ჯალალაბადში და უძრავ ქონებას ქაბულში, ასევე იყო ფრანგული ავტომწარმოებლის, „პეჟოს“ მაღაზიის მესაკუთრე. ის და მისი ოჯახი ხელგაშლილად ცხოვრობდა ქაბულში. 1978 წელს ახალმა სოციალისტურმა რეჟიმმა მოახდინა მისი მიწების და ქონების ნაწილის ნაციონალიზაცია, რის გამოც საიდ ახმად გაილანიმ პაკისტანს შეაფარა თავი და გახდა შეიარაღებული ოპოზიციის ერთ-ერთი აქტიური ლიდერი (Громов Б. В., 1994, p 104).

## 2.3 სსრკ-ის სამხედრო ოპერაციები ავღანეთში

ოკუპაციის წარუმატებლობის მიზეზებს შორის სამხედრო მარცხი ხშირად ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. შესაბამისად, აუცილებელია შევამოწმოთ ჩვენი დისერტაციის ჰიპოთეზის მართებულობა და გავაანალიზოთ, თუ რამდენად ქმედითი და ეფეტური იყო საბჭოთა არმიის სამხედრო ოპერაციები. დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ თუ არ ჩავთვლით რამდენიმე უმნიშვნელო ტაქტიკურ მარცხს, საერთო ჯამში სსრკ-ის

შეიარაღებული ძალები წარმატებით მოქმედებდნენ და არ აძლევდნენ აჯანყებულებს მსხვილ დასახლებულ პუნქტებზე კონტროლის დამყარების საშუალებას. სსრკ-ის მიერ ჩანატარებული სამხედრო ოპერაციები ავღანეთში პირობითად შეიძლება ოთხ ეტაპად დაიყოს:

1. აპრილის რევულუციის დაწყებიდან 1979 წლის 27 დეკემბრამდე.

2. სსრკ-ის ჯარების შეყვანიდან 1980 წლის თებერვლამდე.

3. 1980 წლის მარტიდან 1985 წლის აპრილამდე.

4. 1986-დან სსრკ-ის ჯარების გაყვანამდე.

ავღანეთის ტერიტორიაზე საბჭოთა სამხედრო მრჩევლების მთელი კოჰორტა მოქმედებდა. ისინი წარმოდგენილნი იყვნენ ყველა ზომის ქვედანაყოფის დონეზე, ბატალიონიდან დივიზიის ჩათვლით. ასევე, გენერალურ შტაბში და თავდაცვის სამინისტროში. მათ გარეშე არ იგეგმებოდა არცერთი მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაცია და სწავლება. აპრილის რევულუციის შემდეგ, მრჩევლების რაოდენობა კიდევ გაიზარდა და 1979 დეკემბრის დასაწყისში მათ რიგებს რეგულარული სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფებიც შეუერთდა. სწორედ ამ უკანასკნელთა გამოყენებით განხორციელდა ამინის ხელისუფლებიდან ძალისმიერი გზით ჩამოცილება.

საბჭოთა მრჩევლების დახმარებით ავღანეთის არმია მეტ-ნაკლებად ეფექტურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. თუმცა, ხშირი გადატრიალებებისა და ოფიცერთა კორპუსის შიგნით ხელისუფლების მიერ განხოციელებული რეპრესიების გამო, არმია ვერ ახერხებდა აჯანყების კერების ეფეტურად ჩახშობას. ამ მხრივ, ვითარება ნაწილობრივ სსრკ-ის მიერ ჯარების შეყვანის შემდეგ გამოსწორდა. თუმცა, ყველა მნიშვნელოვანი ოპერაციის ჩასატარებლად მაინც საბჭოთა არმიის რეგულარულ ნაწილებს გზავნიდნენ, ხოლო ავღანური არმია უმნიშვნელო ამოცანების და სხვადასხვა ობიექტების დასაცავად გამოიყენებოდა.

ქვეყნის სათავეში ახალი, კრემლისათვის მისაღები ხელმძღვანელობის მოსაყვანად საბჭოთა სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფებმა იერიშით აიღეს ამინის სასახლე. ოპერაცია, რომლის კოდური სახელწოდება იყო „შტორმი“, წარმატებით დასრულდა, ხოლო მოსახლეობას განუცხადეს, რომ ამინის ტირანია დაემხო და ამიერიდან ხელისუფლება გაცილებით დემოკრატიული მეთოდებით გააგრძელებდა ქვეყნის მართვას. ავღანელები ამინის ჩამოგდებას სიხარულით შეხვდნენ, თუმცა, საბჭოთა სამხედროების სიმრავლე მათ გაღიზიანებას იწვევდა.

საბჭოთა ჯარები ავღანეთში ორი მიმართულებიდან შეიჭრნენ და მალევე დაამყარეს კონტროლი ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან ქალაქზე (რუკა 1). ომის პირველ ეტაპზე, საბჭოთა სამხედროების წინაშე ორი მთავარი ამოცანა იდგა. პირველი, მათ ოპერატიულად უნდა განეხორციელებინათ ქვეყანაში ჯარების შეყვანა და სამხედრო გარნიზონებად განლაგება და მეორე, უნდა მომხდარიყო მნიშვნელოვანი სამხედრო-სამრეწველო ობიექტების დაცვა (Рунов, В. 2017, p 13).

სამხედრო ოპერაციების მეორე ეტაპზე სსრკ-ის ჯარების რაოდენობა დაახლოებით 52 000-ს შეადგენდა და ისინი ძირითადად მე-40 არმიის შემადგენლობაში ირიცხებოდნენ. კრემლში ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა სამხედროების გამოჩენა ავღანეთის მიწაზე სტაბილურობის დამყარებას შეუწყობდა ხელს და ოპოზიციური მოძრაობაც შესუსტდებოდა. თუმცა, მათი ვარაუდი არ გამართლდა. ამის მიზეზი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ბაბრაქ ქარმალის ხელისუფლებამ საბჭოთა პოლიტიკური ხელმძღვანელობის წაქეზებით, არ შეწყვიტა რეფორმების განხორციელება და არ სცადა რელიგიური და ოპოზიციური სამხედრო ლიდერების შემორიგება.

საბჭოთა ჯარების შეყვანას მორალურად უნდა გაეძლიერებინა ავღანური რევოლუციური ძალები, რომლებიც 1979 წლის აპრილში მოვიდნენ ქვეყნის სათავეში. თუმცა, საბჭოთა ჯარების განთავსებით შეგულიანებულმა ავღანეთის სახალხო დემოკრატიულმა პარტიამ და მისმა ხელმძღვანელობამ აქტიურად განაგრძო არასასურველი ოპოზიციის დევნა და შევიწროვება. შედეგად, გახშირდა თავდასხმები

საბჭოთა სამხედრო გარნიზონებზე, რომლებიც საწყის ეტაპზე ძირითადად პასიურ თავდაცვას ახორციელებდნენ და იშვიათად ერთვებოდნენ საბძოლო ოპერაციებში.

სამხედრო კამპანიის მესამე ეტაპზე, რომელიც 1980 წლის მარტიდან დაიწყო, საბჭოთა ჯარები აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ და დაიწყეს მსხვილმასშტაბიანი შეტევითი ოპერაციების წარმოება ისლამური ოპოზიციის წინააღმდეგ. ამის საჭიროება ორი ფაქტორით იყო განპირობებული. 1. ავღანურ არმიას არ შეეძლო ავტონომიურად ეწარმოებინა მსხვილმასშტაბიანი მოქმედებები, რადგან მის რიგებში ხშირად ხდებოდა ამბოხი. 2. აუცილებელი იყო აჯანყებულთა ძირითადი ბაზების და საწვრთნელი ცენტრების განადგურება, ამ ამოცანას კი როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავღანური რეგულარული ნაწილები მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ გაართმევდნენ თავს.

1980 წლის მარტიდან საბჭოთა ჯარების ე.წ. „შეზღუდული კონტინგენტი“ 30 000 ჯარისკაცით გაიზარდა და უკვე 82 000-ს შეადგენდა (Рунов, В. 2017, р 16). თუმცა, ეს რაოდენობაც არ იყო საკმარისი სამხედრო კონტინგენტის წინაშე არსებული ამოცანების შესასრულებლად.

საბჭოთა ჯარებს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიეტების და მაგისტრალების დაცვასთან ერთად, პარალელურად რამდენიმე პროვინციაში უნდა ეწარმოებინა მსვილმასშტაბიანი შეტევითი ოპერაიციები. შესაბამისად, „შეზღუდული კონტინგენტი“ განაგძობდა ზრდას და 1986 წლისთვის უკვე 110 000-ს შეადგენდა (Рунов, В. 2017, р 21).

სამხედრო კამპანიის მესამე ეტაპზე საბჭოთა ჯარებმა არაერთი მსხვილმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია ჩაატარეს ავღანეთის სხვადასხვა პროვინციაში. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ოპერაციები პანშერის უღელტეხილზე კონტროლის დასამყარებლად. ამ რაიონში წითელარმიელებს 1980-84 წლებში სამი ოპერაციის ჩატარება მოუწიათ, რომელთა შედეგადაც საბჭოელებმა ნაწილობრივ შეძლეს ამ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარება. თუმცა, მათ წინააღმდეგ მოქმედი საველე მეთაური ახმად შაჰ მასუდი, ახერხებდა საკუთარი ძალების საჭირო დროს თავმოყრას და

როგორც კი საბჭოთა ძალები უმცირესობაში აღმოჩნდებოდნენ, უმალვე იბრუნებდა ინიციატივას. შესაბამისად, საბჭოელებს ხელახლა უწევდათ დამატებითი ძალების ჩართვით დაკარგული პოზიციების დაბრუნება.

მოსახლეობის კეთილგანწყობა იყო მასუდის წარმატებების მთავარი წყარო. მისი დაჯგუფება, სამხედრო ოპერაციების კვალდაკვალ ადგილობრივებს ყოველმხრივ დახმარებას უწევდა. გარდა ამისა, მასუდის რაზმში სამაგალითო დისციპლინა იყო და მაროდიორები სასტიკად ისჯებოდნენ. მასუდი პანშერის მოსახლეობას ამარაგებდა სასუქით, აწვდიდა წამლებს, ეხმარებოდა მოსავლის აღებაში. მეტიც, მისი ხელშეწყობით იხსნებოდა სკოლები შენდებოდა მეჩეთები და მოეწყო რამდენიმე სამედიცინო დაწესებულება (Громов Б. В., 1994, p 95). ახმად შაჰ მასუდის ხელმძღვანელობით პანშერის რაიონში მოსახლეობისათვის შეიქმნა მეტ-ნაკლებად ნორმალური პირობები.

ავღანეთის სხვა პროვინციებშიც ხელისუფელბაზე მეტად ადგილობრივები ოპოზიციის საველე მეთაურებს და სასულიერო პირებს უჭერდნენ მხარს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა არმია თითქმის ყველა მსხვილმასშტაბიან ოპერაციას წარმატებით ასრულებდა და დევნიდა აჯანყებულებს, ისინი ხელსაყრელ დროს კვლავ ბრუნდებოდნენ და ახალი ძალებით გადმოდიოდნენ იერიშზე.

ოპერაციების მესამე ეტაპის ბოლოს, საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობამ გაიაზრა ავღანური პრობლემის ქვაკუთხედი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მასშტაბურ სამხედრო ოპერაციებს არ ჰქონდა ამ ტიპის ომში გადამწყვეტი მნიშვნელობა. საჭირო იყო სოციალ-ეკონომიკური, ორგანიზაციული და პროპაგანდისტული ხასიათის ღონისძიებების ინტეგრირებული და გონივრული განხორციელება. ამ მიზნით, საბჭოელებმა ძირითადი აქცენტი სტრატეგიულად მნიშვნლოვანი ინფრასტრუქტურის დაცვაზე და მოსახლების სხვადასხვა სახის პროდუქტებით და სერვისებით უზრუნველყოფაზე გადაიტანეს. თუმცა, სამხედრო კამპანიის მესამე ეტაპისათვის საბჭოთა სამხედრო მანქანას და ადგილობრივ ხელისუფლებას იმდენად მასშტაბური ზიანი ჰქონდათ მიყენებული ავღანელებისათვის, რომ ამ სახის ღონისძიებებს ვერ

მოჰქონდა სასურველი შედეგი. ავღანეთის ცხრაწლიან ოკუპაციას დაუზუსტებელი ინფორმაციით 1-დან 2 მილიონამდე ადამიანი შეეწირა და 7 მილიონი კი ლტოლვილად იქცა (Kamrany Nake M., 2012).

დაგროვილი გამოცდილების შედეგად საბჭოელებმა დაიწყეს ე.წ. „ორგანიზაციული ბირთვების“ ჩამოყალიბება (оргядра). აღნიშნულ „ორგბირთვებში“ შედიოდნენ  ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის წევრები, შინაგან საქმეთა, უშიშროების და სხვა სამინისტროების მუშაკები, ასევე ხელისუფლების მხარდამჭერი სასულიერო პირები. ამ ორგანიზაციული ერთეულის ფუნქციონირების მხარდასაჭერად გამოიყოფოდა ოცეულის ზომის სამხედრო რაზმიც (Рунов, В. 2017, p 20-21). თუმცა, ვერც ამ ტიპის სტრუქტურის შექმნამ მოუტანა სასურველი შედეგი საბჭოთა მესვეურებს.

სამხედრო ოპერაციის დასრულების შემდეგ ადგილზე დარჩენილი „ორგბირთვები“ იდევნებოდა, ან ნადგურდებოდა სამალავებიდან დაბრუნებული მოჯაჰედების მიერ. მათ დასაცავად გამოყოფილი ოცეულის ზომის რაზმი კი არასაკმარისი იყო აჯანყებულების შესაჩერებლად. მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ამ ორგანიზაციულ ერთეულებში წარმოდგენილი ადამიანები არ სარგებლობდნენ ადგილობრივების ავტორიტეტით და ასოცირდებოდნენ ხელისუფლებასთან, რომელიც ცდილობდა მათთვის მიუღებელი ცხოვრების წესი დაემკვიდრებინა ავღანეთში.

სამხედრო კამპანიის მეოთხე ეტაპზე (1986-89) საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო ჯარების თანმიმდევრული გაყვანა ავღანეთის ტერიტორიიდან. სამხედრო ოპერაციების ჩატარება კი სულ უფრო ხშირად ავღანურ რეგულარულ ნაწილებს უწევდათ, რომლებსაც საჰაერო და საარტილერიო მხარდაჭერით წითელი არმია უზრუნველყოფდა.

აჯანყებულთა ყველაზე აქტიური  დაჯგუფებები პაკისტანის მოსაზღვრე რაიონებში მოქმედებდნენ. კერძოდ, ჰოსტის, ნანგარხარის, პაკტიის, ფარვანის და ლოგარის პროვინციებში. აქედან გამომდინარე, ავღანეთის ხელისუფლებამ რამდენიმე ოპერაცია ჩაატარა აღნიშნულ რეგიონებში. მასშტაბით გამოირჩეოდა საბრძოლო

ოპერაცია ჰოსტის პროვინციაში, სადაც ავღანური რეგულარული სამხედრო ნაწილების მხარდაჭერას საბჭოთა მე-40 არმია და ავიაცია ახორციელებდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ჯარების ჩართვა მაინც წარმოადგენდა ოპერაციის წარმატებით დასრულების წინაპირობას, ჩანდა, რომ ავღანური მხარე ნელ-ნელა საკუთარ თავზე იღებდა პასუხისმგებლობას და დამოუკიდებლად ახერხებდა მცირე დაჯგუფებების განადგურებას (Рунов, В. 2017, p 20-21).

სამხედრო კამპანიის მეოთხე ეტაპზე კრემლმა აქცენტი ეროვნული შერიგების პოლიტიკაზე გადაიტანა. 1987 წელს ხელისუფლების სათავეში ბაბრაქ ქარმალი ავღანეთის უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ნაჯიბულამ შეცვალა. მან კარდინალურად შეცვალა მიდგომა აჯანყებულთა მიმართ და წამოიწყო ეროვნული შერიგების პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც უნდა მომხდარიყო მოჯაჰედების რეინტეგრირება ავღანურ საზოგადოებაში და ქვეყანა კვლავ დაბრუნებოდა მშვიდობიან განვითარებას. ეროვნული შერიგების პოლიტიკა მიზნად ისახავდა კონფლიქტის ჩაქრობას და ოპოზიციაში მყოფი ძალების, ანუ კონტრელიტის ინტეგრირებას პოლიტიკურ პროცესებში. ამ მიზნით ოპოზიციის ლიდერებს სთავაზობდნენ პრემიერ მინისტრის, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, თავდაცვის მინისტრის მოადგილის და სხვადასხვა პროვინციების გუბერნატორების თანამდებობების დაკავებას. ასევე, მინისტრთა კაბინეტის ნახევარის, მათთვის სასურველი კადრებით დაკომპლექტებას. ეს მართლაც უპრეცენდენტო ნაბიჯი იყო მთავრობის მხრიდან (Громов Б. В., 1994, **p** 150).

გარდა ამისა, ეროვნული შერიგების პოლიტიკის ფარგლებში გადადგმული ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილებით 1987 წლის 15 იანვრიდან მოხდა ცეცხლის შეწყვეტა ავღანეთის მთელ ტერიტორიაზე (Громов Б. В., 1994, **p** 151).

პოლიტიკური კომპრომისის ფარგლებში, ასევე უნდა მომხდარიყო მრავალპარტიული მმართველობის შემოღება, რასაც ქვეყანაში მშიდობა და სტაბილურობა უნდა უზრუნველეყო. კონფლიქტები და უთანხმოებები კი ბრძოლის ველის ნაცვლად მოლაპარაკებების გზით უნდა გადაჭრილიყო. ჩანს, რომ კრემლმა

კონფლიქტის პოლიტიკური მეთოდებით გადაწყვეტაზე გააკეთა აქცენტი, თუმცა შექმნილ ვითარებაში ეს საკმაოდ რთულად მისაღწევი ამოცანა იყო.

მთავრობის მხრიდან კომპრომისზე წასვლის მიუხედავად ოპოზიცია, რომელიც ავღანეთის ტერიტორიის თითქმის 80%-ს აკონტროლებდა და მოსახლეობაში სულ უფრო მზარდი ავტორიტეტით სარგებლობდა, არ დათანხმდა ხელისუფლების ამ შემოთავაზებას. მოჯაჰედები ხედავდნენ ხელისუფლების მყიფე პოზიციებს და შერიგების პოლიტიკის ინიცირებას უფრო რეჟიმის სისუტით ხსნიდნენ და სურდათ ბრძოლის გაგრძელება.

მიუხედავად წინააღმდეგობებისა შერიგების პოლიტიკამ მაინც გამოიღო გარკვეული შედეგები. კერძოდ, ადგილობრივი ტომის და თემების ლიდერებთან და სასულიერო პირებთან მოლაპარაკებების შედეგად ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მოხერხდა ვითარების დასტაბილურება და მოჯაჰედების ნაწილის შემორიგება (Ляховский, А. А. 2004, p-226).

კრემლში კი უკვე აქტიურად განიხილავდნენ ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის საკითხს. 1986 წლის 13 ნოემბრის პოლიტბიუროს სხდომაზე, მიხეილ გორბაჩოვმა უსაყვედურა სამხედროებს და განაცხადა:

„ჩვენ ავღანეთში უკვე ექვსი წელია ვიბრძვით. თუ არ შევცვლით მიდგომებს კიდევ 20-30 წელი მოგვიწევს ომი... ჩვენ სამხედროებსაც უნდა ვუთხრათ, რომ ისინი ცუდად სწავლობენ ამ ომში. იქნებ ჩვენს გენერალურ შტაბს არასაკმარისი სივრცე აქვს სამოქმედოდ? საერთო ჯამში ჩვენ ვერ ვიპოვეთ გასაღები ამ პრობლემის გადასაჭრელად“ (Заседание Политбюро ЦК КПСС 1986.11.13, "О дальнейших мероприятиях по Афганистану").

კრიტიკის პასუხად სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გენერალმა ახრომეევმა ამავე სხდომაზე აღნიშნა, რომ:

„ავღანეთში საბძოლო მოქმედებები თითქმის 7 წელია მიმდინარეობს. ამ ქვეყანაში არ არის მიწის არც ერთი გოჯი, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე არ დაეკავებინა საბჭოთა ჯარისკაცს. მიუხედავად ამისა, ტერიტორიის უდიდესი ნაწილი აჯანყებულების ხელშია. ავღანეთის ხელისუფლების განკარგულებაშია მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა, 160 000 სამხედრო, 115 000 ცარანდოი (პოლიციელი) და 20 000 სახელმწიფო უშიშროების მუშაკი. ყველა დასახული სამხედრო ამოცანა შესრულებულია, თუმცა შედეგი არ ჩანს. საქმე იმაშია, რომ სამხედრო წარმატებები არ მყარდება პოლიტიკურით. ცენტრში ხელისუფლება არის, ხოლო პროვინციებში არა. ჩვენ ვაკონტროლებთ ქაბულს და პროვინციულ ცენტრებს, თუმცა დაკავებულ ტერიტორიაზე ვერ ვამყარებთ ხელისუფლების კონტროლს. ჩვენ წავაგეთ ომი ავღანელი ხალხისათვის...“(Заседание Политбюро ЦК КПСС 1986.11.13, "О дальнейших мероприятиях по Афганистану").

ძნელია არ დაეთანხმო საბჭოთა გენერლის ამ განცხადებას. მართლაც, მრავალწლიანმა არასწორმა პოლიტიკამ, საერო და სასულიერო ელიტების შევიწროვებამ და ახალი ელიტის ძალისმიერი გზით ჩამოყალიბების მცდელობამ საბოლოო ჯამში კატასტროფულ შედეგებამდე მიიყვანა ავღანეთის სოციალისტური რეჟიმი. ეროვნული შერიგების პოლიტიკის ინიცირება კი უფრო ნაძალადევად მიღებული გადაწყვეტილების შთაბეჭდილებას ტოვებდა.

კრემლში გაიაზრეს, რომ შეიარაღებული დაპირისპირების გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. მეტიც, ის კონტრპროდუქტიულიც კი იყო. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1987 წლისათვის სსრკ-ს და ავღანურ რეჟიმს იმდენად დიდი ზიანი ჰქონდათ მიყენებული ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომ ვითარების მათ სასარგებლოდ შემოსატრიალებლად მრავალწლიანი ძალისხმევა იყო საჭირო. ამის განხორციელება კი სსრკ-მა ვერ შეძლო.

1987 წლიდან საბჭოთა არმიამ ფაქტობრივად შეწყვიტა შეტევითი საბრძოლო

ოპერაციების წარმოება და პასიურ თავდაცვაზე გადავიდა. გამონაკლისს მხოლოდ 1987 წელს პაქტიის პროვინციაში ჩატარებული ოპერაცია „მაგისტრალი“ წარმოადგენდა. აღნიშნული ოპერაციის შედეგად, ავღანურმა სახელისუფლებო ნაწილებმა და წითელმა არმიამ წარმატებით შეძლეს ქალაქ ჰოსტის დებლოკირება, მოჯაჰედების ბაზების განადგურება და რაც მთავარია მოსახლეობისათვის სურსათის და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საჭიროების ნივთების და წამელბის მიწოდება. ოპერაციის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა მოსახლების კეთილგანწყობის მოპოვება და ავღანური ხელისუფლების სიძლიერის დემონსტრირება (Громов Б. В., 1994, p 152).

სამხედრო კამპანიის მიწურულს საბჭოთა სამხედრო ნაწილები ძირითადად საგზაო კომუნიკაციების დაცვაზე გადაერთნენ და დაიწყეს მომზადება ავღანეთის დასატოვებლად. ავღანელი მოჯაჰედები აცნობიერებდნენ, რომ წინ ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად ბევრი ბრძოლა მოუწევდათ, როგორც მოქმედ რეჟიმთან, ასევე ერთმანეთთან. შესაბამისად, საბჭოთა ჯარების გაყვანის პროცესში მათი მხრიდან მასიურ თავდასხმებს ადგილი არ ჰქონია. 1989 წლის 15 თებერვალს ბოლო საბჭოთა ქვედანაყოფმა დატოვა ავღანეთი.

საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ ნაჯიბულა ყოველმხრივ ცდილობდა შემოერიგებინა მოჯაჰედები, თუმცა მათი უმრავლესობა კვლავ უარს აცხადებდა მოლაპარაკებებზე და აგრძელებდა ე.წ. ჯიჰადს. ნაჯიბულამ რელიგიური ლიდერების შემორიგებაც სცადა. შეწყდა სასულიერო პირების დევნა და რელიგიური ხასაითის შევიწროვება. ავღანეთის 1987 წლის კონსტიტუციაში ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ნაჯიბულას მმართველობის პერიოდში დაიწყო მეჩეთების მშენებლობა და რელიგიური კულტის მსახურების ყოველმხრივი მხარდაჭერა. 1990 წელს მიღებული კონსტიტუციის პირველ მუხლში ავღანეთი უკვე ისლამურ სახელმწიფოდ იყო გამოცხადებული (Constitution of Republic of Afghanistan, 1990).

კონსტიტუციიდან გაქრა სოციალიზმის და კომუნიზმის შესახებ არსებული ჩანაწერები. ამავე კონსტიტუციის 29-ე მუხლის თანახმად კერძო საკუთრებასთან

დაკავშირებული საკითხები ისლამური შარიათის კანონებით უნდა დარეგულირებულიყო. შედარებისათვის, 1980 წელს მიღებული კონსტიტუცია იყო ერთადერთი დოკუმენტი, რომელშიც ისლამი ქვეყნის ოფიციალურ რელიგიად არ იყო ნახსენები (Stanford Law School, Ehler, R. L. 2015, p-17).

საგულისხმოა, რომ აჯანყებულთა ძირითადი მასა რეგიონების ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან შედგებოდა და კონკრეტულ გეოგრაფიულ რაიონებზე იყო ფოკუსირებული. მათი ოპერაციების ხელმძღვანელობას ადგილობრივი თემების ლიდერები და რელიგიური ავტორიტეტბი ახორციელებდნენ (Рунов, В. 2017, p 19). ანუ, სწორედ ის ხალხი ვისზეც ხელისფლება ახდენდა ზეწოლას. აჯანყებულთა ამ ნაწილს ნაკლებად ჰქონდა კავშირი ქვეყნის გარეთ მოქმედ ოპოზიციურ ძალებთან და უცხოურ სპეცსამსახურებთან.

აჯანყებულთა მეორე, გაცილებით ორგანიზებულ ნაწილს წარმოადგენდა ირანსა და პაკისტანში არსებულ საწვრთნელ ბაზებზე მომზადებული მოჯაჰედები, რომლებსაც აქტიურად აიარაღებდა როგორც თავად ეს ქვეყნები, ასევე აშშ და საუდის არაბეთი. თუმცა, ისინი აჯანყებულთა მხოლოდ 10%-ს შეადგენდნენ (Рунов, В. 2017, p 20).

მოჯაჰედების ამ ნაწილის რეკრუტირება ძირითადად ირანსა და პაკისტანში გახიზნული ადამიანების რიგებიდან ხდებოდა. ვინაიდან დევნილი ავღანელები წარმოადგენდნენ მთავარ ადამიანურ რესურსს ოპოზიციის კარგად გაწვრთნილი ფორმირებებისათვის, აუცილებელი იყო სახელმწიფო პოლიტიკის იმგვარად წარმართვა, რომ რაც შეიძლება ნაკლები ადამიანი გახიზნულიყო მეზობელ ქვეყნებში. ამასთანავე საჭირო იყო დევნილი მოსახლეობისათვის ქვეყანაში დაბრუნების ხელშეწყობა. თუმცა, ხელისუფლება ამწვავებდა ვითარებას და ყოველმხრივ ხელს უშლიდა ლტოლვილთა დაბრუნების პროცესს, რაგდან მიაჩნდა, რომ ყველა ლტოლვილი ოპოზიციის რიგებს შეუერთდებოდა. ქვეყანაში არასწორი შიდა პოლიტიკის წყალობით კი ლტოლვილთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა და 1985 წლისათვის დაახლოებით 5 მილიონს შეადგენდა, ხოლო ომის დასასრულს 7 მილიონს აღწევდა (Рунов, В. 2017, p 20).

შესაბამისად, იზრდებოდა შეიარაღებული ოპოზიციის მხარეს მებრძოლთა რაოდენობაც.

## 2.4 საგარეო მხარდაჭერის როლი

აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ავღანური ოპოზიციის დახმარება საბჭოთა ჯარების შეჭრამდე დაიწყო. ერთ-ერთ ინტერვიუში პრეზიდენტ კარტერის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, ზბიგნევ ბჟეჟინსკიმ, კითხვაზე, ეხმარებოდა თუ არა აშშ მოჯაჰედებს სსრკ-ის მიერ ავღანეთის ოკუპაციამდე, განაცხადა:

„დიახ. ოფიციალური მონაცემების თანახმად ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მოჯაჰედების დახმარება 1980 წლიდან დაიწყო, ანუ საბჭოთა ჯარების შეჭრის შემდეგ. თუმცა, სიმართლე, რომელიც აქამდე საიდუმლოს წარმოადგენდა სხვა რამეში მდგომარეობდა. სინამდვილეში, პრეზიდენტმა კარტერმა პროსაბჭოთა რეჟიმის მოწინააღმდეგეების ფარული მხარდაჭერის შესახებ განკარგულებას 1979 წლის 3 ივლისს მოაწერა ხელი. იმავე დღეს მე პრეზიდენტს მივწერე წერილი, რომელშიც ავუხსენი, რომ ეს დახმარება საბჭოთა  მხრიდან სამხედრო გზით ჩარევას გამოიწვევდა“ (Interview with Zbigniew Brzezinski *Le Nouvel Observateur*, Paris, 15-21 January 1998).

ფაქტია, რომ ვაშინგტონმა აპრილის რევოლუციის შემდეგ გააძლიერა საბჭოთა რეჟიმის მოწინააღმდეგეების მხარდაჭერა. თუმცა, ეს მხარდაჭერა არ იყო იმ ზომის, რომ ის ავღანურ ოპოზიციას მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევაში დახმარებოდა. საწყის ეტაპზე ამერიკული მხარდაჭერა 5 მილიონ დოლარს არ აღემატებოდა (George Crile 2007, p-20).

აშშ-ის სენატორის, ჩარლი ვილსონის ძალისხმევით ავღანელი მოჯაჰედების დახმარების პროგრამა ყოველწლიურად იზრდებოდა და 1983 წელს უკვე 30 მილიონ დოლარს შეადგენდა (George Crile 2007, p-164-169).  მიუხედავად ამისა, 1986 წლამდე, ანუ აშშ-ის მიერ სტინგერის ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მიწოდებამდე,

აღნიშნული დახმარება გადამწყვეტ ზეგავლენას ვერ ახდენდა სამხედრო ოპერაციების მსვლელობაზე. შესაბამისად, სწორი შიდა პოლიტიკის შემუშავების შემთხვევაში სავსებით შესაძლებელი იყო სიტუაციის ნორმალიზება და რადიკალური ოპოზიციის დიდი ნაწილის შემორიგება.

კრემლმა მხოლოდ 1987 წლიდან შეცვალა მიდგომა, ანუ როდესაც სიტუაცია ფაქტობრივად გამოსული იყო მათი კონტროლიდან და ინიციატივა უკვე მოჯაჰედების ხელში გადავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს საკუთრივ ავღანეთში სტრატეგიული ხასიათის ინტერესები არ გააჩნდა, ვაშინგტონი დაინტერესებული იყო კონფლიქტის ესკალაციით და სურდა, რომ კრემლი რაც შეიძლება ღრმად ჩაფლულიყო აღნიშნულ კონფლიქტში. ცივი ომის პერიოდში აშშ-ს მთავარი ყურადღება ევროპაში არსებულ ძალთა ბალანსზე ჰქონდა გადატანილი. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ საბჭოთა ჯარების გაყვანის შემდეგ ამერიკა აღარ აქტიურობდა ავღანეთში. სავარაუდოდ, სწორედ ევროპა წარმოადგენდა აშშ-ის სტრატეგიული ინტერესის სფეროს და რაც მეტი საბჭოთა ჯარისკაცი გაემგზავრებოდა ცენტრალური აზიის მივიწყებულ და უდაბურ კუთხეში, მით ნაკლები რესურსი დარჩებოდა კრემლს ევროპული საომარი მოქმედებების თეატრის გასაძლიერებლად.

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა იყო სსრკ-ის ეკონომიკური შესუსტება, რათა მას მსოფლიოს სხვა რეგიონებში ვერ მიეღწია მნიშვნელოვანი წინსვლისათვის. აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში საკმაოდ მწვავე სიტუაცია იყო ცენტრალურ ამერიკაში, სადაც მოსკოვი კუბის დახმარებით ცდილობდა სოციალისტური რევოლუციების ინსპირირებას. ასე მაგალითად, 1979 წელს ნიკარაგუაში ხელისუფლებაში ვაშინგტონის მიმართ არაკეთილგანწყობილი სანდინისტები მოვიდნენ, რომლებსაც მარქსისტული ხედვები ჰქონდათ.

საბჭოთა ეკონომიკური რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი მომქანცველ ომში

იხარჯებოდა. ავღანეთში შეიარაღებული ძალების მხარდაჭერის პროგრამის გარდა, უამრავი სხვა ეკონომიკური, თუ საყოფაცხოვრებო ხასიათის პროგრამა ხოციელდებოდა, რისთვისაც სსრკ-ის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიარდობით რუბლი იხარჯებოდა. მთლიანობაში 10 წლიანი ომის განმავლობაში სსრკ-მ 40 მილიარდამდე დოლარი (37 მილიარდი რუბლი) დახარჯა. სსრკ-ის ყოველწლიური დანახარჯი დაახლოებით 3.3-3.7 მილიარდ რუბლს შეადგენდა (80-იანი წლების კურსით ერთი დოლარი საშუალოდ 0.7 რუბლის ექვივალენტი იყო) (Мендкович Н. 2010).

აშშ-ის დანახარჯები, განსაკუთრებით კი ომის საწყის ეტაპზე, მიზერული იყო. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ვაშინგტონის მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა იყო მინიმალური დანახარჯებით უზრუნველეყო სსრკ-ის ეკონომიკური განვითარების შეფერხება. ორივე ამოცანა ვაშინგტონმა წარმატებით შეასრულა. თუმცა, ჩვენი აზრით, აშშ-ის ამოცანა არ იყო საბჭოთა კავშირისათვის სამხედრო მარცხი მიეყენებინა. სსრკ-ის ჯარების შეყვანის შემდეგ ვაშინგტონი მოჯაჰედების მიერ ქაბულის რეჟიმის ძალისმიერი გზით შეცვლასაც სკეპტიკურად უყურებდა. აშშ-მ ქმედითი დახმარების აღმოჩენა მხოლოდ 1986-89 წლებში დაიწყო, როდესაც უკვე ნათელი გახდა, რომ კრემლის პოლიტიკამ ავღანეთის შიგნით სრული კრახი განიცადა.

1986 წლამდე აშშ-ის დახმარება საკმაოდ შეზღუდული იყო და კონფლიქტის მიმდინარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენდა. გამოყოფილი თანხები და რესურსები მხოლოდ ოპოზიციაში მყოფი მოჯაჰედების მცირე ნაწილის მოსამზადებლად და შესაიარაღებლად იყო საკმარისი. აშშ-ის მიერ მოჯაჰედების მიმართ გაწეულ დახმარებას კონფლიქტის ადრეულ ეტაპზე, არ ჰქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა ავღანეთში მიმდინარე პროცესებზე. რომ არა რეჟიმის მიმართ მოსახლეობის თავგანწირული და სულ უფრო მზარდი წინააღმდეგობა, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებით იყო განპირობებული, ქაბულის რეჟიმი ადვილად გაუმკლავდებოდა აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი ოპოზიციიდან მომავალ საფრთხეს.

ვაშინგტონისგან განსხვავებით პაკისტანს სასიცოცხლო ინტერესები გააჩნდა ავღანეთში და სურდა, რომ ამ ქვეყნის სათავეში მისთვის სასურველი ლიდერები მოსულიყვნენ. ინდოეთთან დაძაბული მდგომარების გამო შეარაღებული ძალები ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილის დაცვაზე იყო ორიენტირებული და ავღანეთში ისლამაბადის მიმართ არაკეთილგანწყობილი ხელმძღვანელობის გაძლიერება, ორ ფრონტზე ომის საშიშროებას შექმნიდა. ავღანეთსა და პაკისტანს შორის ბრიტანელების მიერ გავლებული საზღვარი, ე.წ. დურანდის ხაზი, მუდმივად წარმოადგენდა ამ ქვეყნებს შორის დაძაბულობის მაპროვოცირებელ ფაქტორს. პაშტუნები, რომლებიც საზღვრის ორივე მხარეს სახლობენ, არ აღიარებენ მას და მიაჩნიათ, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს მათი გაერთიანება. კრემლსა და ინდოეთს შორის არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობები, ასევე იწვევდა ისლამაბადის შეშფოთებას. ავღანეთში პროსაბჭოთა რეჟიმის დამკვიდრების შემთხვევაში პაკისტანი ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში აღმოჩნდებოდა.

ყველა ამ ასპექტის გათვალისწინებით ისლამაბადი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ ქაბულში მყოფ რეჟიმს ვერ მოეხდინა ძალაუფლების სრული კონსოლიდირება. მოჯაჰედების გასაწვრთნელად პაკისტანის ტერიტოტიაზე აშშ-ის მხარდაჭერით და დაფინანსებით იქმნებოდა საწვრთნელი ბანაკები. პერმანენტუად ხდებოდა დივერსიული რაზმების გადასროლა ავღანეთში ვითარების ესკალაციის მიზნით. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მოჯაჰედების უმრავლესობა სწორედ ავღანეთიდან სხვადასხვა მიზეზით დევნილ და ხელისუფლებაზე განაწყენებულ მოსახლეობას წარმოადგენდა.

1979-89 წლებში პაკისტანში სამ მილიონზე მეტი ავღანელი გაიხიზნა (Eisenberg J. 2013). აქტიურად ერთვებოდნენ ბრძოლაში პაკისტანელი პაშტუნებიც, რომლებსაც გვაროვნულ-ტომობრივი ტრადიციების გათვალისწინებით ვალდებულებაც კი ჰქონდათ დახმარებოდნენ თანამოძმეებს. შესაბამისად, ისლამაბადმა მოახერხა პაშტუნების საკითხის თავის სასარგებლოდ გამოყენება. ამ მხრივ, უაღრესად დიდი მუშობა გასწიეს მათმა სასულიერო პირებმა, რომლებიც ხაზს უსვამდნენ ქაბულის რეჟიმის ათეიზმს და უღმერთობას.

ამავე დროს, ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის წევრების უმრავლესობა ეთნიკურად პაშტუნებისგან შედგებოდა. ნურ მუჰამედ თარაქი, ჰაფიზულა ამინი და მოჰამედ ნაჯიბულაც პაშტუნები იყვნენ. ხელისუფლების ყველა მმართველ შტოშიც უმრავლესობას ასევე ამ ეთნოსის წარმომადგენლები შეადგენდნენ. მიუხედავად ამისა, კრემლის მიერ მართულმა შიდა პოლიტიკამ და ზეწოლამ, რომელიც გავლენის მქონე საერო და საულიერო ლიდერების მიმართ განხორციელდა, არ მისცა ქაბულის რეჟიმს საშუალება, რომ თავის სასარგებლოდ გამოეყენებინდა პაშტუნური ნაციონალიზმი. სწორი პოლიტიკის წარმართვის შემთხვევაში სავსებით რეალურია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ პაკისტანში მცხოვრები პაშტუნები ქაბულის რეჟიმის ხელში მნიშვნელოვანი ბერკეტი იქნებდა ისლამაბადზე ზეწოლის მოსახდენად.

ირანში 1979 წელს მომხდარმა ისლამურმა რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა მისი საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. ყველა რევოლუციის მსგავსად ირანულიც არ წარმოადგენდა გამონაკლისს და მისი იდეების სხვა ქვეყნებში გავრცელებაზე იყო ორიენტირებული. ამ მხრივ მყიფე პოლიტიკური სტრუქტურის მქონე ავღანეთი იდეალურ სამიზნეს წარმოადგენდა ისლამური რევოლუციის ექსპორტის იდეით გამსჭვალული თეირანისათვის. 1979 წელს ავღანეთის დასავლეთ დანიწლში მდებარე ქალაქ ჰერათში მომხდარი აჯანყება, სწორედ ირანის მიერ იყო ინსპირირებული და მხარდაჭერილი. სწორედ ჰერათის ამბოხის შედმეგ მივიდნენ პოლიტბიუროს წევრები იმ დასკვნამდე, რომ ავღანეთში ჯარების შეყვანა აუცილებლობას წარმოადგენდა. ირანი ძირითადად შიიტურ მოსახლეობაზე ახდენდა გავლენას, რომელთა ძირითადი ნაწილიც ჰაზარებისგან შედგებოდა. ირანი საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში აქტიურად უჭერდა მხარს მოჯაჰედებს. ამ მიზნით 1980-იანი წლების დასაწყისში ირანელებმა შექმნეს ე.წ. „შიიტური რვიანი“ (იგივე „თეირანის რვიანი“), რომელშიც პროირანული დაჯგუფებები გაერთიანდა. „შიიტური რვიანი“ თავისი გავლენით და სიძლიერით მხოლოდ აშშ-პაკისტანის მიერ მხარდაჭერილ ოპოზიციას ჩამოუვარდებოდა და მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

შიიტურ რვიანს ჰქონდა საწვრთნელი ინფრასტრუქტურა როგორც ავღანეთში ასევე ირანში. მისი წევრები შიიტური ისლამის მიმდევრებისგან შედგებოდნენ და სხვა მოჯაჰედების მსგავსად წითელი არმიის წინააღმდეგ მოქმედებდნენ, იმ განსხვავებით, რომ მათი მთავარი მიზანი იყო ავღანეთში ირანის ზეგავლენის გაზრდა. პარტიათა ეს გაერთიანება აპრილის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა და 1980 წლიდან გააქტიურდა. მისი რიგები საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა უმიწოდ დარჩენილი და სხვადასხვა მიზეზის გამო ლტოლვილად ქცეული მოსახლეობის ხარჯზე.

ირანის ტერიტორიაზე ნახეს თავშესაფარი ავღანეთიდან გახიზნულმა ადამიანებმაც, რომელთა რიცხვი 1989 წლისათვის 3 მილიონს აღემატებოდა (Wickramasekara, P., Sehgal, J., Mehran, F., Noroozi, L., & Eisazadeh, S. 2006). სწორედ ლტოლვილების და ავღანეთში მცხოვრები შიიტებისგან აკომპლექტებდნენ ირანელები დივერსიულ რაზმებს, რომლებიც იგზავნებოდნენ საბჭოთა ჯარების და ქაბულის რეჟიმის წინააღმდეგ სამოქმედოდ. მიუხედავად ამისა, ვერც დივერსიებს და ვერც ირანის ძალისხმევას ვერ ექნებოდა მნიშვნელოვანი ეფექტი, რომ არა მოსახლეობის ანტაგონისტური დამოკიდებულება ქაბულის რეჟიმის მიმართ.

საგულისხმოა, რომ ირანი 1980-88 წლებში, ერაყის წინააღმდეგ ომით იყო დაკავებული და აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციების გამო მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ჰქონდა ქვეყნის შიგნითაც. გარდა ამისა, ხაზარები, რომლებიც შიიტური ისლამის მიმდევრების ძირითად ნაწილს წარმოადგენენ, არასდროს სარგებლობდნენ ავტორიტეტით ავღანეთში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის. მეტიც, ვინაიდან ავღანელების 80%-ზე მეტი სუნიტურ ისლამს მიეკუთვნება, ირანს გაუჭირდებოდა მომხრეების მოძებნა სხვა ეთნიკურ ჯგუფებში. თუმცა, ვინაიდან ქაბულის ხელისუფლება მოსახლეობაში ანტიისლამური და ადათ-წესების შეურაცხმყოფელის სახელით სარგებლობდა, ირანიც კი, ბუნებრივ მოკავშირედ იქცა სუნიტი ავღანელებისათვის. ავღანეთის შიგნით მყარი სახალხო მხადაჭერის გარეშე თეირანი ვერ შეძლებდა მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ავღანეთში მიმდინარე პროცესებზე. სწორი ეთნიკურ-

რელიგიური პოლიტიკის მიზანმიმართულად გატარების შემთხვევაში, ქაბული ადვილად გაანეიტრალებდა ირანის გავლენას. ნაცვლად ამისა, რეჟიმის მიერ შევიწროვებული ადამიანები თეირანში ხედავდნენ მხსნელს.

ავღანეთის ოკუპაციის დროს საბჭოთა კავშირის მიმართ მნიშვნელოვანი ზეწოლა ხორციელდებოდა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდანაც. 1980 წელს გაეროში მიიღეს 462-ე რეზოლუცია, რომელშიც სსრკ-ის ქმედებები ნეგატიურად იყო შეფასებული და ყურადღება იყო გამახვილებული ლტოლვილებთან დაკავშირებულ პრობლემებზე. საერთაშორისო მედია აქტიუად აშუქებდა ავღანეთში მიმდინარე მოვლენებს და მისი უდიდესი ნაწილი უარყოფითად აფასებდა საბჭოთა ოკუპაციას და თანაუგრძნობდა მოჯაჰედებს, რომლებსაც მშვიდობისათვის მებრძოლებადაც კი მოიხსენიებდა.

1980 წელს მოსკოვში ჩატარებულ ოლიმპირ თამაშებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა 65-მა ქვეყნანამ, რამაც ასევე ნეგატიური გავლენა მოახდინა სსრკ-ის საერთაშორისო იმიჯზე. ომის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება იზრდებოდა საბჭოთა კავშირის შიგნითაც. ხელისუფლებაში გორბაჩოვის მოსვლასთან ერთად დაიწყო ავღანეთის მიმართ აღებული პოლიტიკური კურსის ცვლილება და აქცენტი გაკეთდა ჯარების გამოყვანის სტრატეგიის შემუშავებაზე. საბოლოოდ, 1988 წლის 14 აპრილს ჟენევაში არსებულ გაეროს შტაბბინაში პაკისატნსა და ავღანეთს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო ქვეყნებს შორის დაძაბულობის ნორმალიზება, დაწყებულიყო ლტოლვილების დაბრუნების პროცესი და მომხდარიყო საბჭოთა ჯარების ეტაპობრივი გაყვანა.

## 2.5 დასკვნა

სსრკ-ის სამხედრო პოლიტიკური წარუმატებლობა ავღანეთში სხვადასხვა გეოპოლიტიკური, თუ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული. თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემების ძირითადი ნაწილი სწორედ

ავღანეთში აპრილის რევოლუციის შემდეგ მცდარი შიდა პოლიტიკის წარმართვით იყო გამოწვეული. ქაბულის რეჟიმის მხრიდან განხორციელდა რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავდა ახალი ტიპის სახელისუფლებო ელიტის ჩამოყალიბებას და ძველი ელიტების განეიტრალებას, ან განადგურებას.

დაუშვებელი იყო სასულიერო პირებისათვის მიწის ჩამორთმევა, რადგანაც ავღანეთში მათ განსაკუთრებული მდგომარეობა და პატივისცემა ჰქონდათ. მეტიც, სსრკ-ის პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, არც იყო საჭირო ავღანეთში სოციალიზმის მშენებლობა და საზოგადოების რეფორმირება. მათი ამოცანა რეალურად მხოლოდ აშშ-ის და ირან-პაკისტანის გავლენის განეიტრალება და საკუთარი ქვეყნის საზღვრებთან სტაბილურობის შენარჩუნება იყო.

ავღანეთში დესტაბილიზაციის მთავარი წყარო გავლენიან ფეოდალებზე და სასულიერო პირებზე მიტანილი შეტევა იყო. პირველი შეტევა კი სასოფლო სამეურნეო რეფორმის სახით განხორციელდა. შედეგმაც არ დააყოვნა და უკვე 1979 წლისათვის ავღანეთში ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ საჭირო გახდა საბჭოთა კავშირიდან სამხედრო ნაწილების"შეზღუდული კონტინგენტის" შემოყვანა.

სსრკ-ს და მის მიერ ავღანეთში გაგზავნილ მრჩეველთა დიდ აპარატს მხედველობაში უნდა მიეღო ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ადათ-წესები და საზოგადოებაში არსებული იერარქია. დაუშვებელი იყო აპრილის რევოლუციის შედეგად ხელისფლებაში მოსული ელიტის მხრიდან მასშტაბური რეპრესიების ჩატარება და პოტენციური კონტრელიტის განადგურება, ან ქვეყნიდან გაძევება. ნაცვლად იმისა, რომ ისლამის კანონები გამოეყენბინათ ქვეყანაში მართლწესრიგის აღსადგენად, რევოლუციონერებმა რელიგიის შევიწროვება დაიწყეს და სასულიერო პირების დიდი ნაწილი სიკვდილით დასაჯეს, ან აიძულეს დაეტოვებინათ ქვეყანა.

მთავრობას ყველა პირობა უნდა შეექმნა რელიგიური ლიდერებისათვის, რომ მათ

მთავრობის მხარდამჭერი განცხადებები გაეკეთებინათ და აქტიურად ჩართულიყვნენ ქვეყანაში მშვიდობიანი ცხოვრების აღდგენის პროცესში. დახვრეტილი მოლები კი მოსახლეობის თვალში ისლამისათვის ეწამებოდნენ და მათ ალაჰი საუკუნო სასუფეველს არგუნებდა (Варенников В. 2001, p 8-9).

ათიათასობით მიწათმფლობელისათვის სახელმწიფოს სასარგებლოდ მიწის ჩამორთმევა და მისი განაწილება სხვა ნაკლებად შეძლებულ ფენებზე, ასევე დამღუპველი აღმოჩნდა აპრილის რევოლუციის განმახორციელებელთათვის.

კრემლის განზრახვით, ძველი ელიტის დევნის შედეგად ქვეყანაში ახალი, სოციალისტური წესრიგი უნდა დამყარებულიყო, სადაც ადამიანებს მეტ-ნაკლებად თანასწორი უფლებები ექნებოდათ. ამასთანავე, მთლიანად უნდა ამოძირკვულიყო ძველი, მეფის დროინდელი და ფეოდალურ პრინციპებზე დაფუძნებული იერარქია. თუმცა, ავღანური საზოგადოება არ აღმოჩნდა მზად მიეღო ამ ტიპის ცვლილებები და ახალი წესებით ეცხოვრა. ხელისუფლებას და გავლენის წყაროებს ჩამოშორებული ელიტები მალე გაერთიანდნენ რეფორმატორი ხელისუფლების და კრემლის წინააღმდეგ. მათი გამარჯვება გარდაუვალი იყო, რადგან ცენტრალური აზიის საბჭოთა რესპუბლიკებისგან განსხვავებით კრემლმა ვერ მოახდინა ავღანეთის ანექსია და მისი საკუთარ გეოპოლიტიკურ სივრცეში ინტეგრირება.

საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ მსოფლიოში ყველა ელოდა, რომ ქაბულის რეჟიმი რამდენიმე კვირაში დაეცემოდა და მოჯაჰედები ხელში ჩაიგდებდნენ ხელისუფლებას. თუმცა, ეს ასე არ მოხდა. პირველ რიგში ამის მიზეზი თავად ოპოზიციური ფრონტის დაქსაქსულობაში იყო. მოჯაჰედები საბჭოთა ჯარების ქვეყნიდან გასვლამდეც ხშირად ებრძოდნენ ერთმანეთს გავლენის სფეროებისათვის. 1989 წლის შემდეგ კი, როდესაც ძლიერი საერთო მტერი ქვეყანაში არ ეგულებოდათ გაათმაგებული ძალებით შეუდგნენ ქიშპობას. გარდა ამისა, სახელისუფლებო სამხედრო ფორმირებებმა საბჭოთა არმიის ქვეყნიდან გასვლის შემდეგ გაცილებით მეტი ენთუზიაზმის გამოვლენა

დაიწყეს, რადგან მიხვდნენ რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ.

ჯარების გაყვანის მიუხედავად კრემლი აგრძელებდა ნაჯიბულას რეჟიმის მხარდაჭერას და აწვდიდა მას როგორც შეიარაღებას, ასევე სურსათს და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა პროდუქციას. ამ დახმარების წყალობით ქაბულის რეჟიმმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ინერციით კიდევ იარსება 1992 წლამდე. რუსეთის ფედერაციამ, რომელსაც იმპერიის კრახის შემდეგ საკუთარი პრობლემების კასკადი დაატყდა თავს, ვეღარ შეძლო ნაჯიბულას რეჟიმის ქმედითი ფინანსური, თუ მატერიალური მხარდაჭერა, რის გამოც ამ უკანასკნელს გამოეცალა ბოლო საყრდენი და მოჯაჰედებმა შეძლეს ხელისუფლების შეცვლა. თავად ნაჯიბულა 1996 წელს თალიბებმა სიკვდილით დასაჯეს.

შეიძლება ითქვას, რომ ნაჯიბულას შერიგების პოლიტიკამ და რელიგიური, თუ საერო ლიდერების ნაწილის შემორიგებამ გარკვეულწილად უზრუნველყო მისი სიცოცხლისუნარიანობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც მას ყველა საყრდენი გამოეცალა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან ქმედითი დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში ქაბულის რეჟიმი კიდევ დიდხანს შეძლებდა ავღანეთში მიმდინარე პროცესებზე ზეგავლენის მოხდენას, რაც საბოლოოდ შეიძლება გარკვეული პოლიტიკური კონსენსუსითაც დაგვირგვინებულიყო და ქვეყანაში ხელისუფლება თალიბანის მსგავსი რადიკალური ძალის ხელში არ აღმოჩენილიყო.

ავღანეთში მშვიდობის დამყარების გასაღები სწორედ რელიგიურ-ფეოდალური ელიტების გადმობირებაში და მათ გონივრულად მართვაში მდგომარეობდა. კრემლში ეს გვიან გაიაზრეს და როდესაც ახალი, დახვეწილი პოლიტიკის განხორციელება დაიწყეს, ვითარება იმდენად გართულებული იყო, რომ მათ მხოლოდ გარდაუვალი მარცხის გადავადება მოახერხეს.

1978 წლის აპრილის რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსულ პირებს მეტ-ნაკლებად გამართული სახელმწიფო ინსტიტუტები დახვდათ. ქვეყანაში არსებობდა ყველა საჭირო უწყება, სამართალდამცავი სისტემა, არმია, უშიშროების სამსახურები.

გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ავღანეთი ძირითადად აგრარული ქვეყანა იყო, ნელ-ნელა ვითარდებოდა მრეწველობაც და იქმნებოდა წვრილი ბურჟუაზიაც. გავნითარებული იყო ვაჭრობა მეზობელ ქვეყნებთან. ერთი სიტყვით, ავღანეთი იყო მართალია მყიფე, მარგამ მაინც განვითარების პერსპექტივის მქონე სახელმწიფო.

დისერტაციის ამ თავში განხილული შემთხვევის ანალიზით ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულმა შტატებმა, საუდის არაბეთმა, პაკისტანმა და ირანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სსრკ-ის დამარცხებაში, კრემლის სამხედრო-პოლიტიკური ფიასკო ძირითადად სწორედ ავღანეთის შიგნით ელიტებზე განხორციელებული ზეწოლით იყო განპირობებული. ზეწოლის იარაღად კი კრემლმა და ავღანურმა რევულუციურმა მთავრობამ ფართომასშტაბიანი რეფორმები და რეპრესიები გამოიყენეს.

აპრილის რევულუციის შემდეგ ავღანური ინტელიგენცია, სასულიერო პირები, სამხედრო მაღალჩინოსნები და მიწის მესაკუთრეები ერთნაირად განიცდიდნენ ზეწოლას საბჭოთა კავშირის მიერ მხარდაჭერილი ხელისუფლების მხრიდან. მონარქის ტახტიდან ჩამოცილება და მის ნაცვლად სამეფო ოჯახის სხვა წევრის ქვეყნის სათავეში მოსვლა არ იყო განსაკუთრებული მოვლენა ავღანელებისათვის. თუმცა, მასობრივი რეპრესიები და ქვეყანაში პიროვნების კულტის და აბსოლუტური დიქტატურის დამყარების მცდელობა სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა.

პრობლემა არა თავად დიქტატურაში, არამედ მისი დანერგვის მეთოდებში მდგომარეობდა, რომლებიც გულისხმობდა, როგორც მმართველი ელიტის (ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის) შევიწროვებას, ასევე კონტრელიტის (მეფის ყოფილი მხარდამჭერების და რელიგიური ფუნდამენტალისტების) განეიტრალებას და პოლიტიკური პროცესებიდან ჩამოცილებას. კრემლის ამგვარი პოლიტიკის შედეგად ოპოზიციას სულ უფრო მეტი ადამიანი უერთდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მომავალს ყველა თავისებურად ხედავდა. ავღანეთში ოპოზიცია ერთიან ფრონტად მხოლოდ 1980-იანი წლების მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა და მაშინაც ლიდერებს

შორის არ არსებობდა ერთიანი ხედვა.

სწორი პოლიტიკის არსებობის შემთხვევაში სავსებით შესაძლებელი იყო ოპოზიციის ლიდერების გადმობირება, თუმცა კრემლში პრობლემის მასშტაბები გვიან გაიაზრეს.

მე-4 თაობის ომებში ამბოხებულთა მოქმედებები ძირითადად სამ ეტაპად იყოფა. პირველ ეტაპზე აჯანყებულები ცდილობენ მოსახლეობის კეთილგანწყობის მოპოვებას და პოზიციების გამყარებას. ავღანეთში მათ ამის გაკეთება შედარებით მარტივად შეძლეს, რადგან ქაბულის რეჟიმის და საბჭოელების გაუაზრებელმა მოქმედებებმა მოსახლეობის გაღიზიანება გამოიწვია. შემდეგ უკვე აჯანყებულებმა მოახერხეს ქვეყნის გარკვეულ რაიონებზე დე-ფაქტო კონტროლის დამყარება და ხელისუფლებასთან შეიარაღებული ბრძოლა გააჩაღეს. ბოლოს, მე-3 ეტაპზე აჯანყებულებმა მოახერხეს მოწინაამდეგის იძულება უარი ეთქვა საწყის განზრახვაზე და დაეტოვებინა მათი ქვეყანა. მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი რეჟიმის ჩამოგდება გარდაუვალი იყო. აჯანყებულები ყველაზე მოწყვლადები სწორედ პირველ ეტაპზე იყვნენ, როდესაც ჯერ კიდევ არ გააჩნდათ საკმარისი მხარდაჭერა ქვეყნის შიგნით. საბჭოთა ხელმძღვანელმა პირებმა გვიან გაიაზრეს, რომ ჯარების რაოდენობის ზრდა ვერ გადაწყვეტდა პრობლემას. აჯანყებულებმა წარმატებით შეძლეს კრემლზე არაპირდაპირი 'გონებრივი იერიშის' განხორციელება და სსრკ-ის მაშინდელი ლიდერები იძულებული გახადეს უარი ეთქვათ ავღანეთზე.

ოკუპაციის საწყის ეტაპზე ადგილობრივი ავღანური მთავრობა და არმია არაეფეტურად მოქმედებდა. ნაცვლად იმისა, რომ ხალხის მხარდაჭერის მოპოვებაზე ეზრუნა, ატარებდა გაუაზრებელ რეფორმებს და რეპრესიულ პოლიტიკას, რომელიც ადგილობრივი ლიდერების და პოლიტიკური მოწინააღმდეგეების განეიტრალებას ისახავდა მიზნად. მსგავს სამხედრო კამპანიებში კი სწორედ ადგილობრივი მთავრობის და უსაფრთხოების ძალების გამართული მუშაობა წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს. ხალხის მხარდაჭერის მოპოვება კი კონტრელიტის პოლიტიკურ დიალოგში ჩართვით

უნდა მომხდარიყო. ავღანეთის ნახევრად ფეოდალურ საზოგადოებაში სასულიერო და საერო ლიდერების გადმობირება გამარჯვების წინაპირობა გახდებოდა და სამხედრო ძალების მასიური გამოყენებაც არ გახდებოდა საჭირო.

ოკუპაციის დროს ყველაზე მნიშვნელოვანი სტაბილურობის დამყარებაა. მოსკოვმა კი პროცესებში მუდმივი ჩარევით კატასტროფამდე მიიყვანა ვითარება. ამინის ჩამოგდების შემდეგ მარიონეტისთვის ქვეყნის მართვის ფორმალურად გადაბარება, ვერ შეუქმნიდა ავღანელებს სტაბილურობის განცდას. უნდა ითქვას, რომ აჯანყების ჩანასახშივე ჩახშობა შესაძლებელი იყო პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის გზით. სწორედ ამ მიმართულებით უნდა გადადგმულიყო ქმედითი ნაბიჯები. კრემლში ამის აუცილებლობა გვიან გაიაზრეს და შესაბამისად ვერ მოხერხდა აჯანყების დამარცხება.

მოჯაჰედები მიდრეკილნი იყვნენ ვითარების ესკალაციისკენ, რადგან მათთვის ეს იყო ომი გადარჩენისათვის. საბჭოთა კავშირისათვის კი ეს იყო გეო-პოლიტიკური ინტერესების ძალის გამოყენებით დაცვის მცდელობა, რომელიც წარუმატებლობით დასრულდა.

## III თავი

## საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების ძალების (ISAF-ის) 2001-2014 წლების მისია ავღანეთში

### 3.1 შესავალი

2001 წლის 11 სექტემბერს ალ-ქაიდამ განახორციელა ტერორისტული აქტი აშშ-ის წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც დაიღუპა ათასობით ადამიანი, მწყობრიდან გამოვიდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა და ზიანი მიადგა ქვეყნის ეკონომიკას. თავდასხმისათვის გამოყენებული იყო სამოქალაქო თვითმფრინავები. ოპერაციის დამგეგმავი და შემსრულებელი ტერორისტებიც არ ემსახურებოდნენ რომელიმე სახელმწიფოს ინტერესებს. ეს ფაქტი მეტყველებდა იმაზე, რომ ომმა, როგორიც ის მე-20 საუკუნეს ახსოვდა, მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა. საკუთრივ აშშ-ის კონტინენტურ ტერიტორიაზე თავდასხმას აქამდე ადგილი არ ჰქონია და ვაშინგტონის რეაქციამაც არ დააყოვნა. უმოკლეს დროში დაიგეგმა და განხორციელდა სამხედრო ოპერაცია ავღანეთის ტერიტორიაზე არსებული ალ-ქაიდას და მისი მოკავშირე თალიბანის რეჟიმის დასამხობად.

დისერტაციის ამ თავში შევეცდებით ვუპასუხოთ კითხვას, თუ რატომ ვერ მოახერხა აშშ-მ და მის მიერ ჩამოყალიბებულმა კოალიციამ 2001-2014 წლებში, ISAF-ის მისიის წარმატებით დასრულება და რამ განაპირობა მისი ნაკლებად წარმატებული შედეგები?

უშუალოდ სამხედრო კამპანიის გაანალიზებამდე აუცილებლად მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ აშშ-ის ამბოხების საწინააღმდეგო დოქტრინას, რომელიც

გამოიყენებოდა როგორც ავღანეთში ასევე ერაყში. ამის შემდეგ, ჩვენ შევძლებთ სრულფასოვნად შევაფასოთ ორივე ქვეყანაში ჩატარებული მოქმედებები და გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები.

პოსტკონფლიქტურ ვითარებაში სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებების ჩატარების თავისებურებები და ქვეყნის შიდა თავდაცვის განვითარების სტრატეგია (IDAD- Internal defense and development) ჯერ კიდევ 1974 წელს შემუშავებულ დოქტრინაში იყო განსაზღვრული (Department of the Army (1974) FM 100-20, p-23). აღნიშნული სტრატეგია მოიცავდა სამ ფაზას: დაბალანსებულ განვითარებას, ძალების მობილიზებას და ამბოხების განეიტრალებას. დაბალანსებულ განვითარებაში იგულისხმებოდა მასპინძელ ქვეყანაში პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა. ამ დოქტრინის მიხედვით საზოგადოების ყველა ჯგუფს უნდა მისცემოდა პროცესებში ჩართვის საშუალება, რათა არ მომხდარიყო მათი რადიკალიზაცია. სტრატეგიის მეორე პუნქტში ნახსენები მობილიზება გულისხმობდა ადგილობრივი მთავრობის მიმართ მოსახლეობის კეთილგანწყობის გასაჩენად სხვადასხვა მოქმედების ერთობლიობას, ასევე მოქალაქეების დაცვას აჯანყებულთა თავდასხმებისაგან. განეიტრალებაში კი იგულისხმებოდა აჯანყებულების მოქმედებების ჩაშლა, დეზორგანიზება და მათი დამარცხება.

1990-იან წლებში, ზემოთხსენებული კონცეფცია დაიხვეწა და შემუშავდა ე.წ. არასაომარი სამხედრო ოპერაციების დოქრტინა, რომელშიც ნათლად იყო აღწერილი შეიარაღებული ძალების როლი იმ ტიპის კონფლიქტებში, რომლებიც არ წარმოადგენდნენ სრულმასშტაბიან ომს (მათ დაბალი ინტენსივობის კონფლიქტებსაც უწოდებდნენ).

აშშ-ის არმიის დოქტრინის თანახმად სტაბილურობის, ან მშვიდობის დამყარების ოპერაციებში წარმატების საზომად, სრულმასშტაბიანი ომისგან განსხვავებით, არ წარმოადგენდა მოწინააღმდეგის ფიზიკური განადგურება. მთავარი იყო ვითარების დასტაბილურება და ქვეყნის შიგნით მშვიდობის დამყარება. სამხედრო ძალა, დიპლომატიური პოლიტიკური და სხვა ძალისხმევის მხარდასაჭერად გამოიყენებოდა

და აქცენტი სტრატეგიის პოლიტიკურ შემადგენელზე კეთდებოდა (Department of the Army (1994), FM 100-23).

არასაომარი სამხედრო ოპერაციები გამიზნული იყო ომის აღსაკვეთად, მშვიდობის დასამყარებლად და ადგილობრივი სამოქალაქო ხელისუფლების მხარდასაჭერად. ამ ტიპის ოპერაციები მოიცავდა, როგორც საბრძოლო ასევე სამშვიდობო მოქმედებებში ჩართვას. დოქტრინაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ პოლიტიკური საკითხები გაცილებით მნიშვნელოვანი იყო არასაომარი სამხედრო ოპერაციების წარმოების დროს და სამხედროები ხშირ შემთხვევაში არ იქნებოდნენ მთავარი მოქმედი პირები (Department of Defense (1995), Joint Doctrine for Military Operations Other Than War).

ასევე, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ პენტაგონის მიერ შემუშავებულ ამბოხების საწინააღმდეგო სტრატეგიაზე, რომელიც 2000-იან წლებში ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე კონფლიქტების პარალელურად განვითარდა და დაიხვეწა. ამბოხების საწინააღმდეგო ეს მოდელი ხუთი ფუნქციისგან შედგებოდა და მოიცავდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, უსაფრთხოების, ინფორმაციის და კონტროლის ელემენტებს. მოდელის პოლიტიკური შემადგენელი სტრატეგიის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო და მოიცავდა მასპინძელი ქვეყნის ადგილობრივი ხელისუფლების ჩამოყალიბებას, მის გაძლიერებას და სახელმწიფოს შიგნით შერიგების პროცესის განხორციელებას. სტრატეგიაში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ ამბოხების საწინააღმდეგო კამპანია წარმატებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხერხდება ამ კომპონენტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა (U.S. Government, (2009) Counterinsurgency Guide, p-3).

აშშ-ის არმიის საველე წესდება FMI 3-07.22-ში (ამბოხების საწინააღმდეგო ოპერაციები), ამბოხების საწინააღმდეგო კამპანიის ზოგად სამხედრო მიზნებად განსაზღვრულია ამბოხების დამარცხება, ან მისი განეიტრალება და პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ ჩამოყალიბებული სტრატეგიული ამოცანების შესრულება (Department of the Army (2004), FMI 3-07.22). ეს მიზნები მიიღწევა პირდაპირი და

არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. პირდაპირი მეთოდები მოიცავს აშშ-ის სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და სპეციალური დანიშნულების ძალების გამოყენებას ამბოხების ჩასახშობად. დასახული ამოცანების შესასრულებლად ოპერაციები სტანდარტულად ხუთ ფაზად იყოფა: ძალების ფორმირება, ტერიტორიის აჯანყებულებისგან გათავისუფლება, დაკავებული ადგილების შენარჩუნება, უსაფრთხო გარემოს შექმნა და ბოლოს ადგილობრივი უსაფრთოების ძალებისათვის პასუხისმგებლობის გადაბარება (The shape-clear-hold-build-transition framework) (Department of the Army 2014, FM 3-24, Cpt. 9). არაპირდაპირი მეთოდები მოიცავს ადგილობრივი ხელისუფლების სამხედრო ძალების დახმარებას და ზოგადად უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუციონალური განვითარების ხელშეწყობას. არაპირდაპირი მიდგომის ფარგლებში ასევე ხდება მოსახლეობასთან აქტიური მუშაობა და მისი რადიკალური ნაწილის შემლებისდაგვარად გადმობირება და საზოგადოებაში რეინტეგრირება. ამის მისაღწევად ტარდება კომპლექსური მოქმედებები, რომლებიც მოიცავს რადიკალური ჯგუფების გამოვლენას, გაცალკევებას, იზოლირებას, მათზე ზემოქმედების მოხდენას და ბოლოს მათ საზოგადოებაში ინტეგრირებას (Department of the Army 2014, FM 3-24, Cpt. 10). ამბოხების საწინააღმდეგო ოპერაციების დოქტრინაში ასევე გამახვილებულია ყურადღება რისკების მენეჯმენტზე.

საერთო ჯამში, აშშ-ის საკმაოდ დახვეწილი და სასურველ შედეგზე ორიენტირებული დოქტრინა გააჩნდა ამბოხების გასანეიტრალებლად. მისი სამხედროები და უსაფრთხოების სფეროში მომუშავე პერსონალი კი მუდმივად იწვრთნებოდა და ახალ გამოცდილებას ღებულობდა აღნიშნულ სფეროში.

ავღანეთში და ერაყში შესასრულებელ მიზნებთან დაკავშირებით საწყის ეტაპზე არსებული ბუნდოვანების მიუხედავად, რომლებიც ტერორიზმთან ბრძოლასა და ქვეყანაში სტაბილურობის დამყარებაზე იყო ორიენტირებული, აშშ-ის გააჩნდა კარგად ჩამოყალიბებული დოქტრინა და ჰქონდა მსგავს ოპერაციებში მონაწილეობის გამოცდილება. შესაბამისად, არსებობდა ყველა წინაპირობა წარმატების მისაღწევად. მიუხედავად ამისა კონფლიქტი დროში გაიწელა და ორივე სამხედრო კამპანია აშშ-თვის

არასასურველი შედეგებით დასრულდა.

## 3.2 ზეწოლა მმართველ და არამმართველ ელიტებზე

2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენები გარდამტეხი აღმოჩნდა არა მხოლოდ აშშ-თვის, არამედ, ისინი გლობალური და ხანგრძლივი გეოპოლიტიკური კატაკლიზმების ათვლის წერტილადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. აშშ-ს სურდა შური ეძია ოსამა ბინ ლადენსა და ალ-ქაიდაზე. ამ მიზნის შესასრულებლად, ის მზად იყო სამხედრო ძალის გამოყენებით ჩამოეგდო თალიბანის რეჟიმი ავღანეთში, რომელიც იმ დროისათვის ქვეყნის თითქმის 90%-ს აკონტროლებდა. ვაშინგტონი ასევე მიზნად ისახავდა ავღანეთიდან მომავალი ტერორისტული საფრთხის განეიტრალებას და ვითარების დასტაბილურებას. იმის გათვალისწინებით, რომ ავღანეთში ომი 20 წელზე მეტ ხანს მიმდინარეობდა, ეს ძალზე რთული ამოცანა იყო.

თალიბანის გარდა, ავღანეთში რამდენიმე გავლენიანი დაჯგუფება მოქმედებდა, რომლებიც ძირითადად ეთნიკური ტაჯიკების, ჰაზარებისა და უზბეკებისგან შედგებოდა და ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილს აკონტროლებდა. აღნიშნული დაჯგუფებების ლიდერები გაერთიანდნენ, რათა როგორმე შეეჩერებინათ თალიბანის წინსვლა, რომელიც 2001 წლისათვის, თითქმის მთელ ავღანეთს აკონტროლებდა. ერთადერთი ანგარიშგასაწევი ძალა, რომელსაც თალიბანის საკუთარი ძალებით შეჩერების უნარი გააჩნდა, იყო საველე მეთაურ მასუდის დაჯგუფება. საგულისხმოა, რომ აჰმად შაჰ მასუდი 2001 წლის ტერაქტებადე ორი დღით ადრე მოკლეს ალ-ქაიდას ტერორისტებმა, რითაც ძალზე გავლენიანი ლიდერის გარეშე დატოვეს ანტითალიბური ჩრდილოეთის ალიანსი. მიუხედავად იმისა, რომ თავად მასუდი ეთნიკური ტაჯიკი იყო, მას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ავღანეთში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებში, მათ შორის პაშტუნებს შორისაც. თალიბებმა მასუდის მოკავშირე და პაშტუნი მოჯაჰედების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ლიდერი აბდულ ჰაკი, პაკისტანიდან ავღანეთში გადასვლისას დაიჭირეს და ასევე სიკვდილით დასაჯეს. ამ

მოქმედებებით თალიბები ცდილობდნენ ყოველმხრივ ხელი შეეშალათ ავღანური დიდი საბჭოსათვის, ე.წ. ლოია ჯირგასათვის, რომელსაც უნდა აერჩია ქვეყნის მომავალი ხელმძღვანელი.

ტერორისტები სწორად აანალიზებდნენ ქვეყანაში შექმნილ ვითარებას და იცოდნენ, რომ რეალური კონტროლის დამყარება ქაოსით მოცულ ქვეყანაში მხოლოდ მასუდის და ჰაკის მსგავს ლიდერებს შეეძლოთ. თალიბანის მთავარი ამოცანა იყო, გარდაუვალი სამხედრო მარცხის შემდეგ დარჩენილიყო ხელისუფლების ერთადერთ ალტერნატივად და ამ გზით შეენარჩუნებინა საკუთარი გავლენა.

თალიბანის რეჟიმის დამხობისა და 2002 წელს დიდი საბჭოს მოწვევის შემდეგ ქვეყნის მეთაურად არჩეულ იქნა ჰამიდ ქარზაი. არჩევნებში სხვა კანდიდატებიც იღებდნენ მონაწილეობას, თუმცა, არც ერთ მათგანს არ ჰქონდა საკმარისი ავტორიტეტი მოსახლეობაში. ერთ-ერთი გავლენიანი კანდიდატი, რომელიც არჩევნებში არ ჩაერთო, იყო ავღანეთის ყოფილი მეფე ზაჰირ შაჰი. ის ქვეყანას 1933-73 წლებში მართავდა.

მეფის კანდიდატურას ლოია ჯირგაში მონაწილეთა დიდი ნაწილი უჭერდა მხარს, თუმცა, როგორც ძლიერი და დამოუკიდებელი ლიდერის კანდიდატურა, ის მიუღებელი იყო აშშ-თვის. მიუხედავად იმისა, რომ თავად საბჭო ფორმალურად სწორად მის მიერ იყო მოწვეული, ყოფილ მონარქს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია. ჰამიდ ქარზაიმ მეფე ერის მამად გამოაცხადა, ხოლო ზაჰირ შაჰმა აღნიშნა, რომ არ სურდა ქვეყნის მეთაურობა. ჩვენი აზრით, სწორედ ამ არჩევნების დროს იქნა დაშვებული პირველი შეცდომა.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ოფიციალური მასალა, რომელიც დაადასტურებდა იმას, რომ ზაჰირ შაჰზე ვაშინგტონმა და მისმა მოკავშირეებმა მოახდინეს ზეწოლა, ფაქტია, რომ ის ჩამოაცილეს ავღანეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესს და ხელი შეუწყვეს ისეთი კანდიდატის ქვეყნის სათავეში მოსვლას, რომელსაც რეალური ძალაუფლების წყარო არ გააჩნდა და მთლიანად დამოკიდებული იყო დასავლეთის კეთილგანწყობაზე.

ქარზაი არ იყო არც რომელიმე ძლიერი სამხედრო დაჯგუფების ლიდერი და არც საბჭოთა ოკუპაციის დროს უბრძოლია მოჯაჰედების რიგებში. წითელი არმიის ინტერვენციის შემდეგ, მისი ოჯახი აშშ-ში გაემგზავრა, ხოლო თავად ჰამიდმა ინდოეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ჩააბარა, სადაც ის პოლიტიკის მეცნიერებას ეუფლებოდა. ის იდეალური ლიდერი იყო ამერიკელებისა და ევროპელებისათვის, რადგან კარგად ესმოდა საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია. ამავე დროს, ის იყო ყველაზე არასასურველი ხელმძღვანელი თითქმის 20-წლიანი ომით გამოფიტული ქვეყნისათვის, რომელსაც საველე მეთაურები მართავდნენ.

საგულისხმოა, რომ საწყის ეტაპზე ქარზაის დაცვას უზრუნველყოფდა ამერიკული სპეცრაზმი. პრეზიდენტის გვერდით სხვა ქვეყნის სამხედროების ყოფნა ადასტურებდა, რომ მას არ შეეძლო თავად უზრუნველეყო საკუთარი უსაფრთხოება, შესაბამისად ის ვერ იზრუნებდა მთელი ავღანეთის სტაბილურობაზე (Beaumont P., 2002). ავღანელ ხალხში კი ამერიკელების ამგვარი ქცევა და პარალელურად მზარდი სამხედრო კონტინგენტი, სულ უფრო მეტ გაღიზიანებას იწვევდა და ცხადად აჩვენებდა, რომ მათი სახელმწიფო ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა.

ქვეყანაში რეალური ძალაუფლება, სამხედრო დაჯგუფებების, კერძოდ კი, თალიბანის მოწინააღმდეგე ჩრდილოეთის ალიანსში შემავალი საველე მეთაურების ხელში იყო. ვინაიდან ქარზაის მხოლოდ ამერიკული სამხედრო ძალა უმაგრებდა ზურგს, მოსახლეობის, და მით უფრო, ყოფილი მოჯაჰედების თვლაში, ის არ წარმოადგენდა რეალური ძალის მქონე ლიდერს. იმ პერიოდისათვის ავღანეთის ყოფილი მეფე ჩვენი აზრით იყო ერთ-ერთი ყველაზე რეალური და მოსახლეობისათვის მისაღები ლიდერი, რომელსაც საკუთარი ავტორიტეტისა და გავლენის წყალობით, შეეძლო საველე მეთაურების ამბიციების მოთოკვა.

ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფის, პაშტუნების წარმომადგენლობა ახალ ხელისუფლებაში მინიმუმამდე იყო შემცირებული. ფორმალურად, ქვეყანას ეთნიკური პაშტუნი, ჰამიდ ქარზაი მართავდა, თუმცა,

ყველასათვის ნათელი იყო, რომ ახალ ადმინისტრაციაში საკვანძო თანამდებობები ჩრდილოეთის ალიანსის ყოფილმა მეთაურებმა და მათმა მოკავშირეებმა დაიკავეს. მათ შორის ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდათ აჰმად შაჰ მასუდის მიერ ჩამოყალიბებული შურა-ი-ნაზარის ტაჯიკ წევრებს. ასე მაგალითად, თავდაცვის მინისტრი, მოჰამედ ქასიმ ფაჰიმი, შინაგან საქმეთა მინისტრი, იუნუს ქანუნი და საგარეო საქმეთა მინისტრი, აბდულა აბდულა, სწორედ შურა-ი-ნაზარის წევრები იყვნენ (ICG Asia Report N°62, 2003).

პაშტუნებს, რომლებიც ავღანეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენდნენ და ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ, არ ჰყავდათ რეალური ძალაუფლების მქონე წარმომადგენელი ხელისუფლებაში. გარდა ამისა, თალიბანის ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ პაშტუნების წინააღმდეგ განხორციელდა ზეწოლა. ასე მაგალითად, ჩრდილოეთში მცხოვრები პაშტუნები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილები და ქვეყნის სხვა კუთხეებში დასახლებულიყვნენ (Norwegian Refugee Council, Global IDP Project, 2004).

თალიბანის რეჟიმის დამხობის შემდეგ დაიწყო პაშტუნი მოსახლეობის დევნა. მკვლელობებმა, ფიზიკურმა შეურაცხყოფამ, გაუპატიურებამ და ძარცვამ სისტემატიური და მიზანმიმართულად ეთნიკური ხასიათი მიიღო. ცნობილია, რომ თალიბანის მმართველობა ძირითადად პაშტუნებით იყო დაკომპლექტებული და მათი დამარცხების შემდეგ ავღანეთში ძალთა ბალანსი დაირღვა.

პაშტუნი მოსახლეობის დევნას, ჩრდილოეთის ალიანსში შემავალი სამი ეთნიკური ჯგუფის მიერ შექმნილი გაერთიანების წევრები ახორციელებდნენ (ტაჯიკების ჯამიათ ე-ისლამი, უზბეკების ჯუნდიში მილი ისლამი და ჰაზარების ჰიზბი ვაჰდათი) (Human Rights Watch, 2002). ასე მაგალითად, ფარიაბის პროვინციაში საველე მეთაურ დუსთუმის (ჯუნდიში მილის) დაჯგუფების წევრები თალიბანთან ბრძოლის მოტივით ახდენდნენ სასოფლო-სამეურნეო მიწების მიტაცებას და პაშტუნების შევიწროვებას (ICG Asia Report N°62, 2003, p-12).

ჰერათის პროვინციაში პაშტუნების შევიწროვებას პირადად გუბერნატორი ისმაილ ხანი ხელმძღვანელობდა. ისმაილ ხანი პროვინციას საკუთარ საფეოდალოდ

მიიჩნევდა და არ უხდიდა გადასახადებს ქაბულს. მისი მხრიდან გამუდმებული თავდასხმების ობიექტები იყვნენ პაშტუნი საველე მეთაურები, რომლებიც ცდილობდნენ დაეცვათ თავისიანები. შეიარაღებული რაზმების და მათი მეთაურების განადგურების შემდეგ ისმაილ ხანი მათ ნათესავებს და ახლობლებსაც უმოწყალოდ ანადგურებდა (IRB - Immigration and Refugee Board of Canada, 2004).

2003 წელს ბადღისის პროვინციაში ისმაილ ხანის მებრძოლებმა პაშტუნი საველე მეთაური ჯუმა ხანის რაზმი დაამარცხეს და მშვიდობიან მოსახლეობასაც გაუსწორდნენ. ინციდენტის შემსწავლელმა კომისიებმა 38 მოკლული სამოქალაქო პირი აღმოაჩინეს, ამასთანავე გაძარცვული იყო 761 სახლი და 21 მაღაზია (ICG Asia Report N°62, 2003, p-13).

პაშტუნები მასიურად ტოვებდნენ ტერიტორიებს, სადაც სხვა ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენდნენ უმრავლესობას. მათი ნაწილი სამხრეთით, ხოლო დანარჩენები კი პაკისტანში მიემართებოდნენ. 2005 წელს პაკისტანში ჩატარებული აღრიცხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ავღანელი ლტოლვილების 81% ეთნიკურად პაშტუნი იყო (Government of Pakistan, Population Census Organization Statistics Division 2005).

2004 წელს ქარზაიმ, ჰერათის პროვინციაში საჯარისო ნაწილები გაგზავნა და გუბერნატორობიდან გაათავისუფლა ურჩი საველე მეთაური ისმაილ ხანი. სანაცვლოდ მას წყლისა და ენერგეტიკის მინისტრის პორტფელი შესთავაზეს. ოდიოზური ფიგურის მოცილება ერთი შეხედვით პოზიტიური ფაქტი იყო და ვითარება ჰერათში მეტ-ნაკლებად დამშვიდდა, თუმცა, პროვინციაზე ზეგავლენის ბერკეტებს ისმაილ ხანი მაინც ინარჩუნებდა.

ავღანეთში მრავალი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს და მათ შორის ყოველთვის არსებობდა ურთიერთდაპირისპირება და შუღლი, თუმცა, ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფის მიმართ განხორციელებული ზეწოლა ცალსახად წარმოადგენდა მომავალი დესტაბილიზაციის მთავარ წყაროს. აღსანიშნავია, რომ პაკისტანში დაახლოებით ორჯერ მეტი (30 მილიონამდე) პაშტუნი ცხოვრობს ვიდრე საკუთრივ ავღანეთში და ისინი იქ სიდიდით მეორე ეთნოსს წარმოადგენენ (რუკა 2). თალიბანის მოძრაობა, რომელიც უმეტესად პაშტუნებით იყო დაკომპლექტებული, სწორედ

პაკისტანიდან იღებდა ძირითად მხარდაჭერას და ძალების შევსებას.

ვაშინგტონის მხარდაჭერის შემთხვევაში ტაჯიკებს, როგორც ქვეყანაში გავლენით და სიძლიერით მეორე ჯგუფს შეეძლოთ ვითარების დამშვიდება. თუმცა, ტაჯიკი საველე მეთაურები არ იმსახურებდნენ ვაშინგტონის კეთილგანწყობას, პირველ რიგში მათი ისლამისტური განწყობების გამო. გარდა ამისა, პაშტუნების გარდა სხვა ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის აღზევებას და გაძლიერებას, არ შეეძლო არ გაემწვავებინა ვითარება ქვეყნის შიგნით. საველე მეთაურების ამბიციების შესაკვეცად ძლიერი მმართველობა იყო საჭირო, რომელიც ქვეყნის მართვის ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა ჩამოყალიბებულიყო.

ქარზაის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, თალიბანის ადგილობრივმა ლიდერებმა სცადეს პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა. 2001 წელს, თალიბანის მხრიდან იყო დანებების და პოლიტიკური შეთანხმების მიღწევის მცდელობა. აბდულ ღანი ბარადარი (შემდგომში ამბოხებულთა ლიდერი და რანგით მე-3 ადამიანი თალიბანის მოძრაობაში), თალიბანის თავდაცვის მინისტრი მულა ობაიდულა, მოლა ომარის თანაშემწე ტაიბ აღა და შინაგან საქმეთა მინისტრი აბდულ რაზაქი, ცდილობდნენ ქარზაისათვის წერილობით გადაეცათ ამ გარიგების პირობები. წერილში აღნიშნული იყო, რომ ისლამურ იმარატს არ ჰქონდა გადარჩენის შანსი და ისინი აღიარებდნენ ქარზაის ხელისუფლებას. მათი მთავარი მოთხოვნა იყო, არ გაესამართლებინათ და არ ჩამოეშორებინათ ისინი პოლიტიკური პროცესებიდან (Clark K., 2013).

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თალიბანის მოძრაობის შიგნით არ იყო ერთობა და ყველას საკუთარი ამბიციები ამოძრავებდა, თუმცა, ამ ფაქტორის სათავისოდ გამოყენება ვაშინგტონში არ მოისურვეს (Gopal A., 2014). თავად ქარზაი არ ეწინააღმდეგებოდა თალიბანთან სამშვიდობო შეთანხმების მიღწევას, თუმცა, ვაშინგტონში ეს მოძრაობა უკვე განადგურებულად მიაჩნდათ და ავღანეთის შიგნით ეთნიკური თანხმობის მიღწევა იმ დროისათვის არ წარმოადგენდა მათი ინტერესის სფეროს. მეტიც, რადგან

თალიბანის მოძრაობა ალ-ქაიდას მოკავშირეს წარმოადგენდა, მასთან რაიმე ტიპის კომპრომისი, მიუღებელი იყო ტერორიზმის წინააღმდეგ გამართული გლობალური ომის ფონზე. შესაბამისად, მძიმე პოლიტიკურმა ზეწოლამ, რომელიც პაშტუნებმა იწვნიეს, აიძულა ისინი გაეგრძელებინათ ბრძოლა და დამდგარიყვნენ თალიბანის იმ ლიდერების გვერდით, რომლებიც მათ ინტერესებს დაიცავდნენ.

სამხედრო ოპერაციების ინტენსივობის ზრდა და პაშტუნ ელიტაზე ზეწოლა უარყოფითი შედეგის მომტანი აღმოჩნდა კოალიციური ძალებისათვის. პაშტუნების პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოცილება ვერ გახდა ქვეყანაში მშვიდობის დამყარების საფუძველი, პირიქით, ამან ნეგატიური გავლენა მოახდინა ავღანეთში განვითარებულ პროცესებზე და საბოლოო ჯამში, ძალზე რეალური გახადა ამ ელიტის ხელსუფლებაში მოსვლა. ავღანეთის სათავეში მყოფი მმართველი ელიტის რეალური ძალა, დასავლეთის მიერ მისი მხარდაჭერით იყო განპირობებული, თუმცა, მან ვერ მოახერხა გაძლიერება და მისმა სისუსტემ ავტომატურად შეუწყო ხელი მეორე, თალიბანის გაძლიერებას, რომელსაც ISAF-ის მისიის დასასრულს, თითქმის ყველა პროვინციაში ჰყავდა საკუთარი ჩრდილოვანი ხელისუფლება (Nijssen, S. 2011).

ამერიკელებმა და მათმა მოკავშირეება სცადეს ავღანეთში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა, თუმცა, არ გაითვალისწინეს ქვეყანაში, განსაკუთრებით კი სოფლებში, საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ადათ წესები (Wittmeyer Alicia P.Q., 2013). ჰამიდ ქარზაი, 2004 წელს, საყოველთაო არჩევნების გზით აირჩიეს პრეზიდენტად და ეს იყო ავღანეთის ისტორიაში უპრეცენდენტო შემთხვევა. თუმცა, არჩევნების ეს მოდელი უცხო იყო ავღანეთის მოსახლეობისათვის, რომლის უდიდესი ნაწილი არ იყო განათლებული და წერა-კითხვაც არ იცოდა. ავღანეთში გადაწყვეტილებების მიღება საუკუნეების მანძილზე უხუცესთა საბჭოების მიერ ხდებოდა. არჩევნების დასავლური მოდელი, სადაც ქალებს და კაცებს თანაბარი უფლებები აქვთ, მიუღებელი იყო ავღანელებისათვის, რომლებიც ისლამური ტრადიციებით ცხოვრობენ. თალიბანის დამხობის შემდეგ, ქვეყანაში დაწყებული

დემოკრატიზაციის პროცესი თავდაპირველად გაუგებარი, თუმცა, მეტნაკლებად მისაღები იყო ომით გადაღლილი მოსახლეობისათვის, რომელსაც მშვიდობიანი ცხოვრება სურდა. დროთა განმავლობაში, ვითარების ესკალაციის პარალელურად მოსახლეობა სულ უფრო სკეფტიკურად უყურებდა ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს (Rennie, R. 2008).

ისლამური ტრადიციების თანახმად ქალის ადგილი საზოგადოებაში მკაცრად არის განსაზღვრული. ქალების ჩართულობა სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში მიუღებელია ტრადიციული ისლამის მიმდევრებისათვის. ავღანეთის მსგავსი კონსერვატიული საზოგადოებისათვის, რომელიც დე-ფაქტო ისევ ფეოდალური პრინციპებით იმართებოდა, დემოკრატიზაცია მიუღწეველ ამოცანას წარმოადგენდა, რადგან ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც მისი დანერგვისკენ იქნებოდა მიმართული საზოგადოების დიდ ნაწილში უარყოფით დამოკიდებულებას იწვევდა. საგულისხმოა, რომ მხოლოდ 2012-2013 წლებში, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული ექვსი ავღანელი ქალბატონი მოკლეს, რაც საკმაოდ დიდი ციფრია (Hozyainova A., 2014).

2013 წელს ავღანეთის პარლამენტმა არ დაამტკიცა კანონი ქალების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც 2009 წლიდან პრეზიდენტის ბრძანებულების სახით არსებობდა. ასევე, მოხდა ქალებისათვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობის შემცირება პარლამენტში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (25% დან 20%-მდე) (Hozyainova A., 2014).

2005 წლის პარლამენტში ქალები და ყოფილი საველე მეთაურები გვერდიგვერდ ისხდნენ. პარლამენტარი ქალბატონი, მალალაი ჯოია, სისტემატიურად აკრიტიკებდა ყოფილ მოჯაჰედ პარლამენტარებს და კრიმინალებს უწოდებდა მათ, რისთვისაც არაერთხელ გახდა მათი მხრიდან თავდასხმის ობიექტი. 2007 წელს კი მალალაის შეუწყვიტეს უფლებამოსილება (Joya, M. 2011).

საინტერესოა, რომ 2015 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ავღანელი

ქალების თითქმის ნახევარი ფიქრობდა, რომ არჩევნებში ხმის მიცემამდე საკუთარი გადაწყვეტილება მანდილოსნებს კაცებთან უნდა შეეთანხმებინათ, ან მათი პირდაპირი მითითებით ეხელმძღვანელათ. მამაკაცებს გაცილებით ორთოდოქსული დამოკიდებულება ჰქონდათ ქალების საარჩევნო უფლებებთან. მათ უმრავლესობას მიაჩნდა, რომ ხმის მიცემის დროს, მანდილოსნებს მათი მითითებით უნდა ეხელმძღვანელათ (Zachary Warren and Nancy Hopkins editors 2015, p-114).

2004 წლის არჩევნებიც, დედაქალაქ ქაბულის გამოკლებით, ხშირ შემთხვევაში, ფარსს ჰგავდა, რადგან ხალხი იმ კანდიდატს აძლევდა ხმას, ვისზეც თემების ლიდერები მიუთითებდნენ. თავისუფალი აზრის გამოხატვას რეალურად ადგილი არ ჰქონია. ქარზაის ზეგავლენა ხშირად მხოლოდ ქაბულით და რამდენიმე მსხვილი დასახლებული პუნქტით შემოიფარგლებოდა, ქვეყნის დანარჩენ ნაწილს კი ყოფილი მოჯაჰედები და მოქმედი საველე მეთაურები აკონტროლებდნენ. ქარზაის მეტსახელად 'ქაბულის მერსაც' კი ეძახდნენ (Northam J., 2009).

სახელისუფლებო ორგანოებში და ორპალატიან ეროვნულ ასამბლეაში ყოფილი საველე მეთაურების და საეჭვო რეპუტაციის მქონე პირების არსებობა ადასტურებდა, რომ ქვეყანაში რეალურად იყო სახელისუფლებო კრიზისი და ქაბული სათანადოდ ვერ ახერხებდა კანონის უზენაესობის უზრუნველყოფას. ამას ემატებოდა ისიც, რომ პაშტუნების ინტერესები ყოველმხრივ იზღუდებოდა. მაღალ თანამდებობებზე მყოფი პაშტუნები, თავად ქარზაის ჩათვლით, რეალურ ძალაუფლებას ვერ ფლობდნენ. ასე მაგალითად, 2004-2012 წლებში ავღანეთის თავდაცვის მინისტრი იყო აბდულ რაჰიმ ვარდაკი, რომელიც ეთნიკურად პაშტუნი იყო. თუმცა, 2008 წლის მონაცემებით ავღანეთის ეროვნულ არმიაში ბატალიონის მეთაურების 70% ეროვნებით ტაჯიკი იყო (Giustozzi A., 2008). 2002-2010 წლებში გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობა კი ეროვნებით ტაჯიკ, ბისმილა ხანს ეკავა, რომელიც ახმად შაჰ მასუდის ერთ-ერთი საველე მეთაური იყო. ავღანეთის არმიის ოფიცერთა კორპუსიც ძირითადად ტაჯიკებით დაკომპლექტდა.

პაშტუნებით დასახლებულ ზაბულის პროვინციაშიც კი სამხედროების მხოლოდ 5% იყო პაშტუნი და უმრავლესობას ტაჯიკები წარმოადგენდნენ. გენერალ კარლ ეიკენბერის (აშშ-ის და ავღანეთს შორის უსაფრხოების საკითხების კოორდინატორი და სამხედრო თანამშრომლობის ოფისის ხელმძღვანელი 2002-2003 წლებში) რეკომენდაციით არმიაში 38 % პაშტუნი, 25 % ტაჯიკი, 19 % ჰაზარიელი და 8% უზბეკი უნდა ყოფილიყო. თუმცა, კვოტების რეალური დანერგვა და მონიტორინგი არ განხორციელებულა, რადგან თავდაცვის სამინისტროში და გენერალურ შტაბში ძირითადად ტაჯიკებისგან შემდგარი ჯამიეთ-ე-ისლამის პარტიის წევრები იყვნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე (Porter G., 2009).

აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი ჩრდილოეთის ალიანსიც არ წარმოადგენდა მონოლითურ ორგანიზაციას და ერთმანეთთან დაპირისპირებული ხაზარების, ტაჯიკების და უზბეკებისგან შედეგბოდა (Jones, S. G. 2008, p-11). ყველა ამ ჯგუფს საკუთარი კანდიდატის ხილვა სურდა საპრეზიდენტო სავარძლეში და ეთნიკურად პაშტუნი ქარზაის კანდიდატურა არც მათ მოსწონდათ. თუმცა, ვინაიდან მას რეალური ძალაუფლება თითქმის არ გააჩნდა ჩრდილოეთ ალიანსის წევრებმა მშვიდად მიიღეს აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი ეს გადაწყვეტილება.

ასეთ პირობებში ვითარების დასტაბილურება განუხორციელებელი ჩანდა. ერაყისგან განსხვავებით, ავღანეთში ამერიკელების შესვლისას ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ხელისუფლებაც მრავალჯერ იყო ძალისმიერად შეცვლილი და სახელმწიფო ინსტიტუტები მთლიანად განადგურებული იყო. ამერიკელებს ქვეყნის მშენებლობა უნდა ეტვირთათ, თუმცა, ეს არ შედიოდა ვაშინგტონის გეგმებში, რომლებიც ძირითადად ალ-ქაიდას და მისი მეთაურის განადგურებაზე იყო ფოკუსირებული. სახელმწიფო ინსტიტუტების მეტ-ნაკლებად გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად და ქვეყანის მოსახლეობაში სტაბილურობის განცდის შესაქმნელად ამერიკელებს და მათ მოკავშირეებს ძალზე მცირე დრო ჰქონდათ, რაც სამწუხაროდ მათ ვერ გამოიყენეს (ინტერვიუ 1). ძალიან მალე, მოსახლეობა დარწმუნდა, რომ ქარზაი და

მისი ადმინისტრაცია აშშ-ის მარიონეტი და კორუფციაში ჩაფლული ხელისუფლება იყო.

ავღანეთში თალიბანის დამხობის შემდგომ ეთნიკურ ჯგუფებს და ლიდერებს შორის ანტაგონისტური ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ამბოხების გაღვივებას ქვეყანაში არსებული ეთნიკური დაპირისპირებებიც უწყობდა ხელს. ტაჯიკების დაწინაურებას მკვეთრად უარყოფითად აფასებდნენ პაშტუნები, რომლებიც ისტორიულად ყოველთვის ყველაზე პრივილეგირებულ პოზიციებს იკავებდნენ ავღანურ საზოგადოებაში და უსაფრთხოების სტრუქტურებში. ქვეყანაში მშვიდობის შესანარჩუნებლად ვაშინგტონს არ უნდა მოეხდინა მათი გარიყვა.

## 3.3 ISAF-ის სამხედრო ოპერაციები

ISAF-ის მისიაში, რომელშიც NATO-ს და მისი პარტნიორების ჩათვლით 51 სახელმწიფო მონაწილეობდა, წამყვანი და სამხედრო ძალების მთავარი კონტრიბუტორი იყო აშშ, შესაბამისად ჩვენს ნაშრომში სწორედ ვაშინგტონის ქმედებებზე გავაკეთებთ აქცენტს.

ამერიკელებმა ძალზე სწრაფად და ეფექტურად შეძლეს ავღანეთში თალიბანის რეჟიმის დამხობა. აღნიშნულ ოპერაციაში, აშშ-ის მხრიდან მონაწილეობდა, დაახლოებით 100-მდე ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს წარმომადგენელი და 350 სპეცრაზმელი. ოპერაციას მხარი დაუჭირა ასევე ავღანურმა ჩრდილოეთის კოალიციამ, რომლის რიგებში 15 000-მდე მებრძოლი ირიცხებოდა (Jones, S. G. 2008, p 7-40). ამ ძალებით, რომლებსაც აშშ-ის სამხედრო ავიაცია უზრუნველყოფდა საჰაერო მხარდაჭერით, სამ თვეში და დიდი ძალისხმევის გარეშე, მოხერხდა თალიბანის დამარცხება და ტერორისტების უმეტესობის განდევნა. თუმცა, 2001 წელს მიღებული დარტყმა არ აღმოჩნდა მომაკვდინებელი თალიბანისთვის და უკვე 2002 წლიდან, მათ გააჩაღეს პარტიზანული ბრძოლა მოქმედი ხელისუფლებისა და მისი მოკავშირეების

წინააღმდეგ.

2001 წელს მიღებული გაეროს 1386-ე რეზოლუციის თანახმად ავღანეთში უნდა გაგზავნილიყო საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების ძალები (ISAF), რომლებსაც თავდაპირველად უნდა უზრუნველეყოთ ქაბულის დაცვა, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავად ქარზაის არ გააჩნდა საამისო რესურსი. მალევე, ცხადი გახდა, რომ მხოლოდ ქაბულის დაცვა არ იყო საკმარისი ვითარების დასტაბილურებისთვის. შესაბამისად, გაიზარდა ISAF-ის მანდატიც, ხოლო მისიის ხელმძღვანელობა NATO-მ გადაიბარა (Turse N., 2010).

ავღანეთში ISAF-ის ძალების ზრდის პროპორციულად, იზრდებოდა აჯანყების მასშტაბებიც (Department of Defense (2014), Report to congress on Progress Toward Security and Stability in Afghanistan, p-19). 2002-2006 წლებში, თავდასხმების რაოდენობა 4-ჯერ, ხოლო მათ მიერ გამოწვეული მსხვერპლის რიცხვი 8-ჯერ გაიზარდა, რაც შეშფოთების მიზეზი იყო კოალიციაში შემავალი ყველა ქვეყნისათვის, განსაკუთრებით კი, ვაშინგტონისათვის (Jones, S. G. 2008, p 7-40). (Livingston, I. S., & O'Hanlon, M. 2012).

2011 წელს, ISAF-ის ძალებმა 130 ათასს გადააჭარბა. მათმა მოქმედებებმა მთელი ავღანეთი, მათ შორის, ყველაზე პრობლემური ჰელმანდის პროვინციაც მოიცვა (Peters, H. M., Schwartz, M., & Kapp, L. 2017). ამის და მიუხედავად სამხედრო კამპანიაში გარდატეხის მიღწევა ვერ ხერხდებოდა და აჯანყებულები კვლავაც ინარჩუნებდნენ კონტროლს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით, მის სამხრეთ ნაწილში და პაკისტანის საზღვრის გასწვრივ, რომელზე კონტროლის დამყარებაც ფაქტობრივად შეუძლებელი აღმოჩნდა.

ავღანეთში ამბოხების გაღვივებას რამდენიმე მიზეზი ედო საფუძვლად. უპირველეს ყოვლისა, ახლად ჩამოყალიბებული მთავრობა ქვეყნის ეთნიკურ შემადგენლობასთან მიმართებაში არაპროპორციულად იყო დაკომპლექტებული. მეორე მიზეზი იყო ის რომ, თალიბანის რეჟიმის დამხობის შემდეგ ქვეყანაში ქაოსმა და გაურკვევლობამ დაისადგურა. მესამე მიზეზი იყო ის რომ, აშშ-ის და კოალიციის მიერ

მხარდაჭერილ ხელისუფლებას, არ გააჩნდა მოსახლეობის მხარდაჭერა. დასასრულს, ადგილობრივი უსაფრთხოების ძალები და სამოქალაქო სტრუქტურები ფაქტობრივად არ არსებობდა და ძალადობაზე მონოპოლია ხელისუფლების ნაცვლად კვლავ საველე მეთაურების ხელში დარჩა. პაშტუნების და მათი ლიდერების მიმართ განხორციელებული ზეწოლა კი იწვევდა ამბოხების გაღვივებას (Jones, S. G. 2008, p-10).

სამხედრო ოპერაციები ავღანეთში პირობითად სამ ეტაპად შეგვიძლია დავყოთ. პირველი, 2001 წლიდან 2006 წლამდე, როდესაც მისიამ ავღანეთის მთელი ტერიტორია მოიცვა (რუკა 3). მეორე, 2006 დან 2012-მდე, როდესაც მოხდა აჯანყების გაძლიერება და მესამე, 2012 დან 2014-მდე, როდესაც დაიწყო ჯარების ეტაპობრივი გამოყვანა. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ აშშ-ის სტრატეგიულ და ოპერატიულ-ტაქტიკურ დონეზე მნიშვნელოვანი ბრძოლა არ წაუგია (ISAF's mission in Afghanistan 2014).

შეიძლება ითქვას, რომ ავღანეთში ჩატარებული ოპერაციების პირველი ეტაპი ყველაზე წარმატებული იყო. ამ პერიოდში მოხდა თალიბანის სამხედრო ფრთის დამარცხება და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დამყარდა ქაბულის ხელისუფლება.

აშშ-ის ავიაციის დახმარებით ჩრდილოეთის ალიანსის მებრძოლებმა შეძლეს ჯერ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქალაქ მაზარი შარიფზე კონტროლის დამყარება და შემდეგ რამდენიმე დღეში დექალაქი ქაბულიც დაიკავეს. თალიბანის დარჩენილი დაჯგუფებები ყანდაარში და პაკისტანის საღვართან ახლოს მდებარე თორა-ბორას მთებში გამარგრდნენ. ეს უკანასკნელი საყრდენი პუნქტებიც მალე გადავიდა აშშ-ის და ჩრდილოეთის ალიანსის ხელში. თუმცა, ალ-ქაიდას და  თალიბანის დიდმა ნაწილმა შეძლო პაკისტანში გადასვლა. ასევე, ვერ მოხერხდა ალ-დაიდას ლიდერის ოსამა ბინ ლადენის განადგურებაც, რომელმაც პაკისტანში გადაინაცვლა. მიუხედავად ამისა პენტაგონმა თითქმის უდანაკარგოდ შეძლო თალიბანის რეჟიმის დამხობა და რამდენიმე კვირაში გაანადგურა მისი სამხედრო ინფრასტრუქტურა.

2003 წლიდან თალიბანმა ძალების რეორგანიზება და მობილიზება შეძლო ავღანეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ პროვინციებში. თალიბების მცირე რაზმები განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდნენ პაკისტანის საზღვარზე. 2003 წლიდან მოლა

ომარმა დაპირებული პარტიზანული ბრძოლა წამოიწყო, რომლის მთავარ სამიზნეს აშშ-ის სამხედროები წარმოადგენდნენ. ამბოხების საპასუხოდ პენტაგონმა რამდენჯერმე გაზარდა სახმელეთო კომპონენტი, რომელიც 2005 წლისათვის 20 000 ჯარისკაცს ითვლიდა (ISAF's mission in Afghanistan, 2014).

ეტაპობრივად დაიგეგმა სამხედრო ოპერაციები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე კონტროლის დასამყარებლად. შესაბამისად, გაიზარდა ISAF-ის ძალების მანდატიც. დაგეგმილი იყო ამბოხების საწინააღმდეგო ოპერაციის ოთხ ფაზად განხორციელება. პირველი ფაზა გულისხმობდა ვითარების შეფასებას და მომზადებას, მეორეში უნდა მომხდარიყო ოპერაციის გეორგაფიული არეალის გაფართოვება, მესამე ფაზის ბოლოს უნდა მიღწეულიყო სტაბილურობა, მეოთხე ფაზაში კი ადგილობრივი ხელისუფლებისათვის მართვის ბერკეტების სრულად გადაბარება უნდა დასრულებულიყო და მომხარიყო სამხედრო ძალების ქვეყნიდან გაყვანა (International Security Assistance Force, Placemat, 2007).

პირველი და მეორე ფაზა წარმატებით დასრულდა, თუმცა არასწორი შიდა პოლიტიკის გამო ვერ მოხერხდა ქვეყანაში სტაბილურობის მიღწევა. ხელისუფლების გადაბარება ხორციელდებოდა აჯანყების მასშტაბების ზრდის ფონზე, რაც დამატებით პრობლემებს უქმნიდა როგორც მისიაში მონაწილე სამხედროებს ასევე ქარზაის მთავრობას.

2006-2008 წლებში ISAF-ის ძალებმა რამდენიმე მსხვილმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია ჩაატარეს ამბოხებულების წინააღმდეგ. აქცენტი ყანდაარის და ჰელმანდის პროვინციებზე გაკეთდა. სწორედ ამ რეგიონში იყო თალიბანი ყველაზე კარგად გამაგრებული და ხშირად დე-ფაქტო მართვასაც ახორციელებდა. სამხედრო ოპერაციებში აქტიურად იყვნენ ჩართულები აშშ-ის მოკავშირეებიც და ზოგიერთ შემთხვევაში ძირითად დამრტყმელ ძალასაც წამოადგენდნენ. ამ მხრივ, აღსანიშნავია ოპერაცია მედუზა, რომელიც კანადური არმიის ხელმძღვანელობით განხორციელდა და ტაქტიკური წარმატებით დასრულდა. ოპერაციის ფარგლებში მოხერხდა აჯანყებულთა ნაწილის განადგურება და ისინი იძულებული გახდნენ პასიურ მოქმედებებზე

გადასულიყვნენ. 2006 წლისთვის ეს იყო NATO-ს კოალიციის მიერ ჩატარებული ერთ-ერთი ყველაზე მსხვილმასშტაბიანი ოპერაცია. მიუხედავად ამისა, ვერ მოხერხდა თალიბების საბრძოლო სულისკვეთების გატეხვა და გარკვეული დროის შემდეგ ისინი კვლავ  აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ. საპასუხოდ, იმავე წელს კოალიციურმა ჯარებმა კიდევ ერთი შეტევითი ოპერაცია, (eagles summit, არწივების შეხვედრა) წამოიწყეს და წარმატებით შეძლეს ავღანეთის სამხრეთ პროვინციებში გამაგრებული თალიბების დამარცხება და ტერიტორიიდან განდევნა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც გამარჯვება ტაქტიკურ ხასიათს ატარებდა და სტრატეგიული გარდატეხა არ შეუტანია ომის მსვლელობაში.

2007 წლის მარტის თვეში, ჰელმანდის პროვინციაში ჩატარდა კიდევ ერთი მსხვილმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, რომელშიც 6000-მდე ჯარისკაცი იყო ჩართული. მთავარ ძალას ამჯერად ბრიტანული არმია წარმოადგენდა და ამ შემთხვევაშიც მოხერხდა თალიბების ტაქტიკური დამარცხება (Roggio B., 2007).

სამხედრო ოპერაციების შედეგად მცირე ხნით მოხერხდა ქაბულის ხელისუფლების გაძლიერება აღნიშნულ რეგიონში. თუმცა, ესეც დროებითი იყო და წარმატების ილუზიას ქმნიდა, რადგან თალიბანი მაინც ინარჩუნებდა კონტროლს ამ ტერიტორიაზე. მას შემდეგ რაც სამხედროების ძირითადმა ძალებმა დატოვეს ჰელმანდი, თალიბები კვლავ დაბრუნდნენ საწყის პოზიციებზე და განაგრძეს საკუთარი ძალაუფლების გაძლიერება ავღანეთის ამ ნაწილში.

წარუმატებელი სამხედრო კამპანიის ერთ-ერთი ინდიკატორი იყო 2007 წელს კაჯაკის ჰიდროელექტროსადგურის აღდგენის პროექტის შეფერხება, რომელიც აჯანყებულთა აქტიურობით იყო გამოწვეული. აღნიშნულ სადგურს ორ მილიონამდე ადამიანი უნდა მოემარაგებინა ელექტროენერგიით და ბიძგი მიეცა ადგილობრივი წარმოებისათვის. მისი მწყობრში ჩაყენება 2007 წელს იგეგმებოდა, რისთვისაც უნდა მომხდარიყო ახალი ჰიდროელექტრო ტურბინის ტრანსპორტირება. ტურბინის ტრანსპორტირება თალიბანის თავდასხმების გამო შეფერხდა. გარდა ამისა, მის დასამონტაჟებლად საჭირო იყო 700 ტონა ცემენტის მიტანა კაშხალამდე, რაც თალიბანის

მიერ საგზაო ქსელზე თავდასხმების გამო ასევე ვერ მოხერხდა (Mehrpoor R., 2015). ტურბინა საბოლოოდ მხოლოდ 2016 წელს დაამონტაჟეს (USAID 2017).

კაჯაკის ჰიდროელექრტოსადგურის გარშემო მიმდინარე ბრძოლების მაგალითზე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ჰელმანდის პროვინციაში და მთლიანად ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, მიუხედავად ყველა სამხედრო ოპერაციის ტაქტიკური წარმატებით დასრულებისა, ვერ მოხერხდა სტრატეგიული გარდატეხის შეტანა და თალიბანის შევიწროვება. ძირითადად პაშტუნებით დაკომპლექტებული ეს ტერორისტული ორგანიზაცია ISAF-ის მისიის დასრულებამდეც და მის შემდეგაც აფერხებდა, ან ანეიტრალებდა ცენტრალური ხელისფლების და კოალიციის ჯარების მოქმედებებს.

2009 წელს ვითარების ესკალაციის გამო, ვაშინგტონი იძულებული გახდა სამხედრო ოპერაციების წარმოება ძირითადად საკუთარი სამხედროებისათვის ჩაებარებინა და დამატებითი ძალები გაეგზავნა ავღანეთში. 2007-დან 2009 წლამდე აშშ-ის საჯარისო კონტინგენტი 25000-დან 50 000-მდე გაიზარდა (Associated Press, 2016).

2009 წელს ISAF-ის მეთაურად გენერალი სტენლი მაკრისტალი დაინიშნა, რომელმაც აქტიურად დაიწყო ამბოხების საწინააღმდეგო კამპანიის წარმოება ავღანეთში. მიუხედავად იმისა, რომ მსაგვსი ოპერაციებისათვის შემუშავებულ დოქტრინაში, რომელზეც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ, ნათლად იყო განმარტებული, რომ წარმატების მისაღწევად გაცილებით მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური კონსენუსის მიღწევა და აჯანყებულების საზოგადოებაში რეინტეგრირება, მაკრისტალი სულ უფრო მეტი სამხედროს გაგზავნას ითხოვდა ავღანეთში.

მაკრისტალს სჯეროდა, რომ დამატებითი სამხედრო ძალების შეყვანას ქვეყანაში სტაბილურობის მოტანა შეეძლო (McChrystal G. S. 2013, p-424). გენერალი დარწმუნებული იყო საბოლოო წარმატებაში. მთავარ სამიზნედ მაკრისტალმა სწორედ ქვეყნის სამხრეთი ამოირჩია და საგრძნობლად გაზადა ამ რეგიონში სამხედროების რაოდენობა. გენერალი მაკრისტალის აზრით ქვეყნის შიგნით სტაბილურობის მისაღწევად ავღანეთს უნდა ჰყოლოდა 480 000 სამხედრო და პოლიციელი. მისი

გამოთვლები ეფუძნებოდა მოსაზრებას, რომ ამბოხების ჩასახშობად 1000 მოსახლეზე უნდა ყოფილიყო 20 უსაფრთხოების ძალების წარმომადგენელი (ავღანეთის მოსახლეობა იმ დროისათვის დაახლოებით 24 მილიონს შეადგენდა) (McChrystal G. S. 2013, p-344-345). ვინაიდან ადგილობრივ ავღანურ ხელისუფლებას არ შეეძლო ამ რაოდენობის ადამიანური რესურსის მობილიზება ძალოვან სტრუქტურებში (მათი რიცხვრი დაახლოებით 170 000 იყო, ანუ აუცილებელი რაოდენობის მესამედი), საჭირო იყო ISAF-ის ძალების ზრდა.

2011 წლისათვის მხოლოდ აშშ-ის სამხედრო კონტინგენტი 90 000-ს აღემატებოდა, მთლიანად კოალიციის ჯარებში კი 132 000 ადამიანი ირიცხებოდა (The Guardian 2011). გარდა ამისა ქვეყანაში ასევე აქტიურად მუშაობდნენ კერძო უსაფრთხოების კომპანიები. მიუხედავად ამ შთამბეჭდავი ციფრებისა, ჯარების ეს რაოდენობაც არ აღმოჩნდა საკმარისი ქვეყანაში ვითარების დასამშვიდებლად.

კოალიციის ჯარების რაოდენობის ზრდის პარალელურად გაიზარდა ISAF-ის ძალებზე თავდასხმების რიცხვიც. 2010 წლის სექტემბერში, მათი მისამართით 1600 თავდასხმა განხორციელდა, რაც ისტორიულ მაქსიმუმს წარმოადგენდა. არასამთავრობო ორგანიზაცია INSO-ს ავღანური ფილიალის (ANSO) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად 2010 წელს ავღანეთის მასშტაბით ვითარება წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად იყო გაუარესებული (Afghanistan NGO Safety Office (ANSO) Quarterly Data Report Q.4 2010).

გენერალმა დევიდ პეტრეუსმა, რომელმაც მაკრისტალის შემდეგ ჩაიბარა ISAF-ის მისია, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ თალიბანის ლიდერების შემორიგების პროცესი დაწყებული იყო, რაც მისი აზრით იმედის მომცემი გარემოება იყო (Baron K. 2010). ამ მიმართულებით ISAF-ის მისიის განმავლობაში მნიშვნელოვან პროგრესს ადგილი არ ჰქონია, თუმცა გარკვეულწილად მაინც მოხერხდა ამბოხებულთა აქტივობის შემცირება.

უმნიშვნელო პროგრესის მიუხედავად, საერთო ჯამში ISAF-ის მისიის ფარგლებში ვერ ხერხდებოდა ქვეყანაში მეტნაკლები სტაბილურობის შენარჩუნება, რაზეც 2011 წელს

თალიბანის მიერ ქალაქ ყანდაარზე განხორციელებული მასშტაბური იერიშიც მეტყველებს.

2011 წელს, აშშ-ის სპეცდანიშნულების რაზმმა ალ-ქაიდას ლიდერის, ბინ ლადენის ლიკვიდაცია მოახდინა პაკისტანის ტერიტორიაზე, რაც წარმატებად უნდა ჩავთვალოთ, თუმცა ამან ავღანეთში არსებულ ვითარებაზე პოზიტიური გავლენა ვერ მოახდინა. ქვეყანაში კვლავ რჩებოდა ალ-ქაიდას ქსელი და 2014 წლის შემდეგ სხვა ტერორისტული ორგანიზაციებიც გააქტიურდნენ.

2012 წელს, წინა წელთან შედარებით, ISAF-ზე თავდასხმების რაოდენობა შემცირდა, ასევე იკლო კოალიციის საბრძოლო დანაკარგებმაც (Report to Congress (2013), Report on Progress Toward Security and Stability in Afghanistan, p-23). ეს ერთის მხრივ გამოწვეული იყო ავღანური ფორმირებების უფრო აქტიური მონაწილეობით საბრძოლო ოპერაციებში, ხოლო მეორეს მხრივ სამშვიდობო ინიციატივების წამოწყებით.

სამხერდო ოპერაციების პარალელურად ISAF-ის კოალიციის მიერ დიდი ყურადღება ეთმობოდა სამოქალაქო ხელისუფლების გაძლიერებას და ინფრასტრუქტურის აღდგენას. 2002 წლიდან ავღანეთში მოქმედებდა პროვინციის აღდგენის ჯგუფები (PRT), რომლებიც სამხედრო და სამოქალაქო პერსონალისგან შედგებოდა (ISAF Provincial Reconstruction Team (PRT) Handbook 2009). აღნიშნული ჯგუფების ამოცანას წარმოადგენდა 1. ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების მხარდაჭერა, რათა მომხდარიყო სტაბილური და უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება ქვეყნის შიგნით 2. უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების და დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის კუთხით ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა. ამ სამწახნაგოვანი ამოცანის შესასრულებლად პროვინციის აღდგენის ჯგუფების შემადგენლობაში დაახლოებით 50-დან 100 კაცამდე შედიოდა, რომლებსაც საერთო ხელმძღვანელობას, კოალიციის ჯარების პოლკოვნიკის ან ვიცე-პოლკოვნიკის წოდების მქონე, სამხედრო მოსამსახურე უწევდა (ISAF Provincial Reconstruction Team (PRT) Handbook 2009, p-3).

აშშ-ის მიერ ჩამოყალიბებულ ამ ჯგუფებში USAID-ის, სახელმწიფო

დეპარტამენტის და სხვა უწყებების წარმომადგენლებიც შედიოდნენ. ჯგუფებში ინტეგრირებული იყო მცირე უსაფრთხოების ელემენტიც. სახიფათო რეგიონებში მოქმედი პროვინციის აღდგენის ჯგუფები კი უშუალოდ საბრძოლო ბრიგადების შემადგენლობაში შედიოდა. საერთო ჯამში ავღანეთში დაახლოებით 25 პროვინციის აღდგენის ჯგუფები ფუნქციონირებდა. მათი მუშაობის შედეგად ქვეყნის დიდ ნაწილში მოხერხდა ინფრასტრუქტურის აღდგენა და გაძლიერდა ადგილობრივი მმართველობის ორგანები. თუმცა, იმ ადგილებში სადაც ამბოხებულები აქტიურ ოპერაციებს აწარმოებდნენ ჯგუფების მოქმედებები ნაკლებად ეფექტური იყო. მოსახლეობაში არ იყო დაცულობის შეგრძნება და ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ კოალიციის ჯარების გასვლის შემდეგ თალიბანი დაბრუნდებოდა და დასჯიდა კოლაბორაციონისტებს. განსაკუთრებით რთული იყო ვითარება ქვეყნის სამხრეთ ნაწილში და პაკისტანის საზღვრის გასწვრივ. ამ რეგიოენებში მოსახლეობა ხშირად უარს ამბობდა დახმარების მიღებაზე და უკმაყოფილებას გამოთქვამდა უცხო ქვეყნის სამხედროების საკუთარ ტერიტორიაზე ყოფნის გამო (Tisdall S. 2010).

2012 წლიდან აშშ-მ და კოალიციის სხვა წევრებმაც დაიწყეს ქვეყნიდან საკუთარი შეიარაღებული ძალების გამოყვანა. 2014 წელს კი ISAF-ის მისია დასრულდა. ISAF-ის ძალებზე დაკისრებული ამოცანების შესრულება ძირითადად ავღანურ სამხედრო და პოლიციურ ქვედანაყოფებზე განაწილდა.

ავღანეთის ნაციონალური არმიის და პოლიციის ჩამოყალიბება და გაწვრთნა ISAF-ის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო, რადგან საბოლოოდ სწორედ ეროვნულ შენაერთებს უნდა ეტვირთათ ქვეყანაში წესრიგის შენარჩუნება. ავღანეთის არმიაში, ოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით, 180 000 ადამიანი მსახურობდა და თითქმის 160 ათასი პოლიციის რიგებში ირიცხებოდა. თუმცა, ამ ძალების ეფექტურობა და მომზადების დონე არც ისე მაღალი იყო. 2002-2014 წლებში არმიაში დეზერტირობა და სამხედრო ნაწილის თვითნებური მიტოვება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. 2011 წელს, სამხედრო მოსამსახურეთა 34%-მა დატოვა შეიარაღებული ძალები. საინტერესო ფაქტია, რომ 1988 წელს ავღანურ არმიაში დაახლოებით იგივე მაჩვენებელი იყო (36%) (Katzman,

K. 2010, p-32).

რთული ვითარება იყო პოლიციაშიც, სადაც კორუფცია ყვაოდა. ასეთ მგომარეობაში მყოფი უსაფრთხოების ძალები ვერ გახდებოდა ქვეყნის უსაფრთხოების გარანტი და სწორედ ამიტომ, 2014 წელს ISAF-ის დასრულების შემდეგ, NATO-ს ეგიდით დაიწყო ახალი, გაცილებით მცირე მასშტაბის, ე.წ. მტკიცე მხარდაჭერის მისია (RS), რომლის მიზანია ქაბულის ადმინისტრაციის მხარდაჭერა და უსაფრთხოების სექტორში არსებული პრობლემების აღმოფხვრაში დახმარების გაწევა. თუმცა, დღესაც რეალური გამოსავალი, სწორედაც რომ პაშტუნების ელიტის შემორიგებაში და მათი პოლიტიკურ პროცესებში დაბრუნებაში მდგომარეობს.

### 3.4 საგარეო მხარდაჭერის როლი.

2001 წლის ტერაქტების შემდეგ აშშ-ს საერთაშორისო საზოგადოების არნახული მხარდაჭერა ჰქონდა. მისი მოკავშირეებიც და ოპონენტებიც ყოველმხრივ მხარდაჭერას აღუთქვამდნენ ვაშინგტონს (Rumsfeld D. 2012, p-345). პაკისტანი, არაბული მონარქიები და რუსეთის ფედერაციაც კი, ქმედით დახმარებას უწევდა აშშ-ის მიერ წარმოებულ ანტიტერორისტულ ოპერაციას.

მიუხედავად იმისა, რომ თალიბების რეჟიმი პაკისტანის ხელშეწყობით მოვიდა ქვეყნის სათავეში და ისლამაბადს ხშირად ადანაშაულებდნენ მის მხარდაჭერაში, ფაქტია, რომ კოალიციური ჯარების მომარაგება ძირითადად სწორედ პაკისტანის ტერიტორიის გამოყენებით ხდებოდა. გარდა ამისა, პაკისტანელები თავადაც ხშირად აწარმოებდნენ ანტიტერორისტულ ოპერაციებს ავღანეთის მოსაზღვრე რაიონებში. პაკისტანელების სამხედრო-პოლიციური მოქმედებების ეფექტურობის შეფასება ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ პაშტუნური ნაციონალიზმი ისლამაბადისთვისაც პრობლემას წარმოადგენდა და დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. შესაბამისად, ამ კუთხით ისლამაბადიც ვაშინგტონის ბუნებრივ

მოკავშირეს წარმოადგენდა.

სსრკ-გან განსხვავებით აშშ-ი ავღანეთში კოალიციის ფარგლებში მოქმედებდა და ჰქონდა საერთაშორისო მხარდაჭერა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგარეო მხარდაჭერა არ იყო გადამწყვეტი ფაქტორი არც 1979-89 წლებში და არც ISAF-ის მისიის დროს. ორივე სამხედრო კამპანიაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის შიგნით მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება, რაც ვერც კრემლმა და ვერც ვაშინგტონმა ვერ მოახერხეს.

### 3.5 დასკვნა

ISAF-ის მიერ მხოლოდ საშუალო წარმატების მიღწევა სხვადასხვა ფაქტორებით იყო განპირობებული, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმთავრესი სწორედ პაშტუნების ელიტაზე განხორციელებული ზეწოლა იყო. სხვა მიზეზები, როგორებიცაა საგარეო მხარდაჭერა, ან ამბოხების საწინააღმდეგო სამხედრო კამპანიის წარუმატებლობა, მეტწილად, ელიტაზე მიტანილი ზეწოლით იყო განპირობებული.

აშშ-მ ავღანეთში შეჭრისას დარტყმა მიაყენა ხელისუფლების სათავეში მყოფ ელიტას და ამავე დროს მთლიანად გარიყა ე.წ. კონტრელიტა, რომელსაც შეეძლო არსებულის ჩანაცვლება. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ინტერვენციისგან განსხვავებით აშშ-ის ოპერაცია ავღანეთში NATO-ს ეგიდით ხორციელდებოდა და მხარდაჭერილი იყო საერთაშორისო საზოგადოების მიერ, ISAF-ის 13 წლიანი ოპერაციის შედეგად მაინც ვერ იქნა მიღწეული სტაბილურობა (რუკა 4).

აშშ-ის მხარდაჭერის გარეშე, ადგილობრივი ავღანური ხელისუფლება ვერ შეძლებს ვითარებაზე კონტროლის შენარჩუნებას. ამჟამინდელმა პრეზიდენტმა აშრაფ ღანიმ, CBS-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი მთავრობა ექვს თვესაც ვერ გაძლებს აშშ-ის მხარდაჭერის გარეშე (Logan L., 2018).

მათთვის მისაღები ხელისუფლების მხარდასაჭერად, საბჭოელების მსგავსად, ამერიკელებმაც სცადეს რეფორმების განხორციელება და ავღანურ საზოგადოებაში დემოკრატიული პრინციპების დანერგვა. თუმცა, ავღანეთში არსებული ვითარების გათვალისწინებით, დემოკრატიზაციას ათწლეულები და შეიძლება მეტიც კი დასჭირდეს.

განათლების დონის ამაღლებისა და საზოგადოებრივი შეგნების ჩამოყალიბების გარეშე დემოკრატიული საზოგადოების შექმნა ავღანეთში უტოპიას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ განათლების მხრივ წინსვლა ქვეყანაში მართლაც არსებობს, ტრადიციების და ისლამის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმდენად დიდია, რომ დემოკრატიული შეგნების ჩამოყალიბებას რამდენიმე თაობის ცვლა დასჭირდება. გარდა ამისა, არსებობს საფრთხე, რომ ყველა წინსვლა რადიკალური ისლამისტების ხელისუფლებაში მოსვლით გაქარწყლდება, როგორც ეს კომუნისტების ქვეყნიდან წასვლის შემდეგ მოხდა.

აშშ-ის მიერ ავღანეთის მიმართ ინტერესის შემცირება და ჯარების სრული გაყვანა ყველაფერს კვლავ ავღანეთისათვის ტრადიციულ რელიგიურ-ფეოდალურ კალაპოტში დააბრუნებს. შესაბამისად, ნებისმიერი პოლიტიკური პროცესი და ცვლილება, რომელიც ავღანურ ტრადიციებში არ ჯდება, კონტრპროდუქტიული იქნება და თავიდანვე განწირული იქნება მარცხისათვის. ეს განსაკუთრებით დემოკრატიზაციის პროცესს ეხება, რომელიც მიუხედავად ერთი შეხედვით წინსვლის არსებობისა, მაინც მიუღებელია ტრადიციული ავღანური საზოგადოებისათვის.

აღსანიშნავია, რომ თალიბანის რეჟიმი ხელისუფლებაში ყოფნის დროს გაცილებით ეფექტურად აკონტროლებდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებს. ამის ერთ-ერთი ინდიკატორია, ოპიუმის წარმოების მოცულობა 2001 წლამდე და რეჟიმის დამხობის შემდეგ.

საინტერესო ფაქტია, რომ თალიბანის ლიდერმა, მოლა ომარმა, გაეროსთან ითანამშრომლა და 2000 წელს მთლიანად აკრძალა ოპიუმის მოყვანა მის მიერ

კონტროლირებად ტერიტორიაზე. აკრძალვის დაწესების შემდეგ, თალიბები მოსახლეობას აფრთხილებდნენ, რომ კანონდამრღვევებს სასტიკად დასჯიდნენ. ამ ბრძანებულების შესრულებაზე მკაცრი კონტროლი ხორციელდებოდა, ხოლო დაუმორჩილებელ გლეხებს სახალხოდ სჯიდნენ. რადიკალური ზომების წყალობით, თალიბებმა თითქმის სრულად გაანადგურეს ნარკოტიკების წარმოება ავღანეთში (Farrell, G., & Thorne, J. 2005, 81-91).

ჩვენ რა თქმა უნდა ვგომბთ თალიბების რეჟიმსაც და მის მიერ გამოყენებულ სადამსჯელო ზომებსაც, თუმცა ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ისინი ახერხებდნენ საკუთარი პოლიტიკის სისრულეში მოყვანას და შეეძლოთ საკუთარ ტერიტორიაზე წესრიგის შენარჩუნება.

ქარზაის ხელისუფლებამაც არაერთხელ სცადა ამავე მიმართულებით რადიკალური ზომების გატარება, თუმცა ამან შედეგი ვერ გამოიღო. მეტიც, თალიბანის რეჟიმის დამხობის შემდეგ ავღანეთში ოპიატების წარმოებამ არნახული მასშტაბი მიიღო და 2014 წელს ოპიუმის მისაღებად გამოყენებული ყაყაჩოს ნათესებმა 224 000 ჰექტარი შეადგინა (Woody C., 2016). დღეისათვის კი, ავღანეთში ოპიუმის მოპოვების მიზნით 328 000 ჰექტარი მიწა მუშავდება და მსოფლიოს მასშტაბით ამ ნარკოტიკის 90%-ს სწორედ ამ ქვეყანაში აწარმოებენ (UNODC 2017).

მე-4 თაობის ომებში ამბოხებულების მთავარ ამოცანას არ წარმოადგენს მოწინააღმდეგის ძალების განადგურება, მათი მიზანია მის პოლიტიკურ ნებაზე ზემოქმედების მოხდენა და ამ გზით გამარჯვების მიღწევა (Hammes T., 2006, p.3-6). ამ დროს ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუ რა რაოდენობის და რამდენად გაწვრთნილ ძალებს იყენებს მოწინააღმდეგე ამბოხების ჩასახშობად, მთავარია ძალისხმევის უწყვეტობა. ნათელია, რომ საკუთარი ქმედებებით, თალიბანი ცდილობდა ISAF-ის კოალიციაში შემავალ სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე განეხორციელებინა არაპირდაპირი 'გონებრივი იერიში'.

საგულისხმოა, რომ აშშ-ს ამბოხების საწინააღმდეგო დოქტრინაში, რომელიც ჩვენ

ამ თავში განვიხილეთ, სწორი აქცენტები არის გაკეთებული და ხაზგასმით არის აღნიშნული ამბოხების პოლიტიკური ბუნება. შესაბამისად, არც არის გასაკვირი, რომ სამხედრო კონტინგენტის ზრდამ ვერ მოიტანა სასურველი შედეგი და სტაბილურობა ავღანეთში.

პოლიტიკური მიზანი ომის წამოწყების პირველწყაროს წარმოადგენს და სწორედ ის განსაზღვრავს მოქმედების სპეციფიკას. შესავალში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აშშ-ის სამხედრო კამპანიას ავღანეთში რამდენიმე მიზანი გააჩნდა. პირველი, თალიბანის რეჟიმის დამხობა და ალ-ქაიდას ტერორისტული დაჯგუფების განადგურება. მეორე, ავღანეთში სტაბილური ადგილობრივი მმართველობის დამყარება და მომავალში ამ ქვეყნის შიგნით ტერორისტული ორგანიზაციების ფუნქციონირების აღკვეთა. აქედან ვაშინგტონმა ნაწილობრივ მხოლოდ პირველ მიზანს მიაღწია.

კლაუზევიცი ომის მიზნებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ უმნიშვნელოვანესია მოწინააღმდეგის განიარაღება, ანუ მისი სრული განეიტრალება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის გარკვეული დროის შემდეგ გადაჯგუფდება და დაელოდება შესაფერის მომენტს შეტევის ხელახლა დასაწყებად. კლაუზევიცის თანახმად, თუ არ ხდება მოწინააღმდეგის სრულად დამარცხება, მან შეიძლება თავად მოიპოვოს გამარჯვება (Clausewitz, C., & Graham, J. J. 1873. p-16).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამბოხების საწინააღმდეგო ოპერაციები, როგორც წესი ე.წ. ‘არჩევით’ ომს წარმოადგენს და მისი განმახორციელებელი უფრო მიდრეკილია მისი შეწყვეტისაკენ, ვიდრე თავად ამბოხებული, რომლისთვისაც ეს არის ომი ‘გადარჩენისათვის’.

აშშ-თვის ავღანეთის ომი საწყის ეტაპზე ასევე არ წარმოადგენდა არჩევით ომს, რადგან მის ტერიტორიაზე განხორციელდა ტერორისტული აქტების უპრეცენდენტო სერია და ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც თავდასხმა უშუალოდ მის კონტინენტურ ტერიტორიაზე მოხდა. თუმცა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ,

განსაკუთრებით კი ომის საწყის ეტაპზე მიღწეული წარმატებების შემდეგ, ამერიკელების ინტერესი ამ ომის მიმართ ეტაპობრივად შემცირდა. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ 2008 წლამდე ერაყში ავღანეთთან შედარებით თითქმის ოთხჯერ მეტი ამერიკელი სამხედრო იმყოფებოდა (Belasco, A. 2009, p-6).

ავღანეთში საწყისი გამარჯვების შემდეგ აუცილებელი იყო მოწინააღმდეგესთან, ანუ თალიბანთან (რომელიც ძირითადად პაშტუნებისგან შედგებოდა) ერთგვარი შეთანხმების მიღწევა. მისი არარსებობის შემთხვევაში კანონზომიერია, რომ თალიბანმა გააგრძელა წინააღმდეგობა. ის რაც მისაღები იყო აშშ-თვის, ყოვლად მიუღებელი იყო თალიბანისათვის, რომელიც ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ, ჩასაფრებაში მყოფი კონტრელიტის პოზიციაზე დადგა.

ვინადიან ავღანეთში ელიტების ცვლა გარეშე ძალის დახმარებით მოხდა და არ წარმოადგენდა ბუნებრივ პროცესს, ხელისუფლებაში მოსულ ახალ ძალას ცოტა დრო ჰქონდა საკუთარი პოზიციების გასამყარებლად. თუმცა, ამ ახალ ელიტასაც, რომელიც ძირითადად ჩრდილოეთის ალიანსის ყოფილი წევრებისგან შედგებოდა, არ მიეცა აშშ-ის მხრიდან მოქმედების თავისუფლება.

ავღანეთში აშშ-ს შეჭრის მომენტისათვის არ არსებობდა არც ერთი ძალა, რომელსაც დანაშაულში არ ჰქონდა გასვრილი ხელი. თალიბების მსგავსად ჩრდილოეთის ალიანსის წევრებიც არ თაკილობდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის დევნას და შევიწროვებას (რაზეც ჩვენ უკვე დეტალურად ვისაუბრეთ დისერტაციის ამ თავში). შესაბამისად, უბრალო ავღანელების თვლაში ერთი რეჟიმი მეორით შეიცვალა და ვინაიდან ეს უკანასკნელი გამოხატულად ანტიპაშტუნურ ხასიათს ატარებდა, სავსებით ლოგიკურია, რომ ქვეყნაში ამბოხებამ იფეთქა.

კლაუზევიცის თანახმად, ომი წარმოადგენს, ერთის მხრივ, სიძულვილის, ემოციისა და ინსტინქტური ძალადობის, მეორეს მხრივ, პოლიტიკური მიზნების, ლოგიკური მსჯელობისა და გამოთვლების, ხოლო მესამეს მხრივ, ალბათობის,

შემოქმედებითობისა და სამხედრო ძალების, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტის სინთეზს, რაც მთლიანობაში ქმნის შესანიშნავ ტრიადას (სამეულს). პირველი კომპონენტი გულისხმობს მოსახლეობას, მეორე სამხედრო ძალას (არმიას), ხოლო მესამე კი ხელისუფლებას (Clausewitz, C., & Graham, J. J. 1873. p-23).

ტრადიციულ კონვენციურ ომში ზემოთ ჩამოთვლილი სამივე ელემენტის გათვალისწინება არის აუცილებელი. ამბოხების საწინააღმდეგო კამპანიის წარმოებისას კი აუცილებელია, ოკუპირებული ქვეყნის მოსახლეობის, მხარაჭერილი ხელისუფლების და მის მიერ კონტროლირებადი არმიის (უსაფრთხოების ძალების) ასპექტების გათვალისწინებაც. თუ ტრადიციულ დაპირისპირაში ჩვენ სამწახნაგოვან ომის ბუნებასთან გვაქვს საქმე, ავღანეთის მსგავს სამხედრო კამპანიებში ის ექვსწახნაგოვანია და გაცილებით კომპლექსური.

აშშ-ის მიერ ავღანეთში წარმოებული 13 წლიანი კამპანიის ნაკლებად წარმატებული შედეგი სწორედ იმით აიხსნება, რომ ომის საწყის ეტაპზე ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას, ხელისუფლების ფორმირებას და უსაფრთხოების ძალების ქმედითუნარიანობას არაჯეროვანი ყურადღება ეთმობოდა.

ამბოხების საწინააღმდეგო ოპერაციებში გაცილებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი შეიარაღებული ძალების და სამართალდამცავი ორგანოების ჩამოყალიბება და გაძლიერება. სწორედ მათ უნდა მოახერხონ ქვეყნის შიგნით სტაბილურობის შენარჩუნება, რადგან უცხო ძალას მოსახლეობის თვალში ყოველთვის ნაკლები ლეგიტიმურობა ექნება. ამ მხრივ, გაუმართლებელი იყო წამყვან სამხედრო-პოლიტიკურ თანამდებობზე ძირითადად მხოლოდ ჩრდილოეთის ალიანსის ყოფილი წევრების და მათი მხარდამჭერების დაწინაურება.

ქარზაის მთავრობის არაეფეტურობაც ასევე უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენდა. მისი ფორმირების პროცესში სრულფასოვნად რომ მომხდარიყო პაშტუნური ელიტის ინტეგრირება და ხელისუფლების ადექვატური განაწილება,

თალიბანი ვერ შეძლებდა ძალების რეგენერირებას.

ქვეყანაში კოალიციური ძალების კონტინგენტის გაფართოვებას მოჰყვა მსხვერპლის ზრდა მშვიბიან მოსახლეობაში. ყოველი ინციდენტი, რომლის დროსაც ზიანდებოდა სამოქალაქო ინფრასტრუქტურა და იღუპებოდა უდანაშაულო ადამიანები, ამძაფრებდა ავღანელების ნეგატიურ განწყობას ISAF-ის და აშშ-ის მიმართ. თალიბები ყოველ ასეთ შემთხვევას საკუთარი პროპაგანდის იარაღად აქცევდნენ და ცდილობდნენ დამატებითი მხარდაჭერის მოპოვებას.

ამერიკელების მიერ ავღანეთში პოლიტიკის შეცვლა და პაშტუნების ნაწილის შემორიგების მცდელობები დადებითად უნდა შევაფასოთ. ამ მხრივ, 2016 წელს მნიშვნელოვან წინსვლას ჰქონდა ადგილი, როდესაც გულბედინ ჰექმათიარის პარტია დაუბრუნდა მშვიდობიან პოლიტიკურ ცხოვრებას და მოხდა მისი წევრების ამნისტია (Najibullah Noorzai & Hashim Wahdatyar, 2016). 2014 წლის შემდეგ ასევე დაიწყო საუბარი თალიბების ზომიერი ნაწილის შემორიგებაზე. ვაშინგტონის და ადგილობრივი ავღანური ხელისუფლების მიერ გადადგმული რაციონალური ნაბიჯების წყალობით დღეისათვის არსებობს იმედი, რომ ქვეყანაში სტაბილურობა შენარჩუნდება და ის ხელახლა არ ჩაეფლობა სამოქალაქო ომში.

## IV თავი

## აშშ-ის მიერ ერაყის ოკუპაცია 2003-2011 წლებში

*"სიმართლე არ არის, რომ ომი მხოლოდ მიზნის მიღწევის*

*საშუალებაა და ხალხი აუცილებლად იბრძვის ამ მიზნის მისაღწევად.*

*სინამდვილეში, ყველაფერი პირიქით არის: ადამიანები ძალიან*

*ხშირად ირჩევენ ამა თუ იმ მიზეზს, რომ*

*უბრალოდ ბრძოლა წამოიწყონ".*

***მარტინ ვან ქრეველდი***

### 4.1 შესავალი

დისერტაციის ამ თავში შევეცდებით ვუპასუხოთ კითხვას, რატომ ვერ მოახერხა აშშ-მ 2003-2011 წლებში ერაყის ოკუპაციის წარმატებით დასრულება და რამ განაპირობა მისი პოლიტიკის წარუმატებლობა აღნიშნულ ქვეყანაში?

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა დიდი გავლენა მოახდინა საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაზე. იმ დროისათვის, მხოლოდ ამერიკას გააჩნდა შესაბამისი რესურსი და გავლენა, რომ მასშტაბური სამხედრო ოპერაციები ეწარმოებინა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გამაგრებული ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ. შესაბამისად, აშშ იძულებული გახდა, აქტიურად ჩართულიყო ტერორიზმთან ბრძოლაში და საკუთარი შეიარაღებული ძალები მიემართა იმ სახელმწიფოებისა და რეგიონებისკენ, საიდანაც მსგავსი საფრთხე მოდიოდა. დაიწყო ე.წ. გლობალური ომი ტერორიზმის წინააღმდეგ. 2003 წელს ვაშინგტონმა სწორედ ამ ომის ფარგლებში განახორციელა ინტერვენცია ერაყში (Petraeus D., 2013).

ავღანეთში აშშ-ის შეჭრა მკვეთრად გამოხატული ტერორისტული საფრთხის აღსაკვეთად განხორციელდა და საერთაშორისო სამართლის კუთხითაც, სამხედრო კამპანია აბსოლუტურად ლეგიტიმური იყო. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით ერაყზე. დღემდე ბუნდოვანია აშშ-ის სამხედრო ინტერვენციის რეალური მოტივები. ოფიციალურად გაცხადებული მიზნები იყო შემდეგი: 1. სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმის ხელისუფლებიდან მოშორება (ვაშინგტონის მტკიცებით, მას გააჩნდა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის დიდი მარაგები და მუშაობდა ატომური იარაღის შექმნაზე). 2. სადამის რეჟიმს ჰქონდა კავშირები და ეხმარებოდა ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომლებიც იყენებდნენ ერაყის ტერიტორიას საკუთარი მებრძოლების მოსამზადებლად. შესაბამისად, ვაშინგტონი ცდილობდა ერაყის კამპანია წარმოეჩინა, როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ომის ნაწილი. ოფიცილურად გაცხადებული მიზნების გარდა, სავარაუდოდ, არსებობდა ინტერვენციის ფარული მიზეზებიც.

რეგიონში ამერიკული ბაზების განლაგება მოწმობდა იმას, რომ ერთ-ერთი ფარული მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ირანზე ზეწოლა და მისი ალყაში მოქცევა. დონალდ რამსფელდი თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ ტერორიზმთან ბრძოლის კონტექსტში თეთრი სახლი სხვა სახელმწიფოებსაც აკვირდებოდა, მათ შორის იყო ირანიც (Rumsfeld D., 2012, p-346).

აშშ-ს და ირანს შორის ურთიერთობები მას შემდეგ დაიძაბა, რაც იქ ისლამური რევოლუცია განხორციელდა და დაემხო შაჰის ხელისუფლება, რომელსაც ვაშინგტონი უჭერდა მხარს. ერაყის კამპანიის შემდეგ, ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ამერიკელების შემდეგი სამიზნე ირანი გახდებოდა. 2003 წელს აშშ-ის უკვე გააჩნდა სამხედრო ბაზები თურქეთში, ერაყში, ქუვეითში, ყატარში, საუდის არაბეთში, ბაჰრეინში, ავღანეთსა და პაკისტანში, რაც იმას ნიშნავდა, რომ ირანი, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ფაქტორბრივად ალყაში იყო მოქცეული (რუკა 5). შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ოფიციალურად გაცხადებული მიზნების გარდა არსებობდა კიდევ მინიმუმ ერთი ფარული მიზანი, ანუ ირანზე ზეწოლის გაზრდა და აუცილებლობის შემთხვევაში მასზე

სამხედრო იერიშის განხორციელება.

დონალდ რამსფელდის განცხადებით, სადამ ჰუსეინს შეეძლო მის ხელთ არსებული მდი-ს აშშ-ის წინააღმდეგ გამოყენება. ვაშინგტონი ჰუსეინის რეჟიმსა და ალ-ქაიდას შორის არსებულ კავშირებზეც ამახვილებდა ყურადღებას (Danner M., 2005). თუმცა, როგორც ეს შემდგომმა გამოძიებამ და განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, ვაშინგტონს არ ჰქონია რეალური სამხილები სადამის რეჟიმის წინააღმდეგ. აშშ-ის საგამოძიებო სამსახურებმა ვერ აღმოაჩინეს ალ-ქაიდას და ჰუსეინის მთავრობას შორის კავშირის დამადასტურებელი მყარი მტკიცებულებები, ან ტერორისტთა საწვრთნელი ბანაკები (United States. Congress. Senate. Select Committee on Intelligence (2004) p 8-32). აღსანიშნავია, რომ 2003 წლამდე, ერაყი იყო სეკულარული სახელმწიფო და რელიგიური ფუნდამენტალიზმი, თავად რეჟიმისთვისაც წარმოადგენდა საფრთხეს.

უშუალოდ სამხედრო კამპანიის დროს განვითარებული მოვლენების ანალიზამდე აუცილებლად მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ სადამის მმართველობის პერიოდი. ასევე, მოვლენების სრულფასოვნად გასააზრებლად უნდა შევეხოთ 2003 წლამდე ერაყში არსებულ სუნიტურ-შიიტურ დაპირისპირებასაც.

2003 წლის სამხედრო ინტერვენციამდე, ერაყს მართავდა ბაასის პარტია რომელიც, ძირითადად, დაკომპლექტებული იყო სუნიტებით, თუმცა, პარტიის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე მასში შიიტებიც ფართოდ იყვნენ წარმოდგენილნი (Harith al-Qarawee., 2013). იმის გამო, რომ პარტიის დოქტრინა, ძირითადად, არაბულ ნაციონალიზმს ეფუძნებოდა, ხოლო არაბთა უმრავლესობა სწორედ სუნიტები არიან, შიიტების გავლენა ბაასის პარტიაში მცირდებოდა და მათი უმრავლესობა კომუნისტურ პარტიას უერთდებოდა. ამის მიუხედავად, ბაასის პარტია არ ყოფილა ექსკლუზიურად სუნიტური ორგანიზაცია და მასში შიიტებს ყოველთვის ჰყავდათ წარმომადგენლები (Beauchamp Z., 2014). რაც მთავარია, ერაყი იყო სეკულარული სახელმწიფო და მეტ-ნაკლებად განვითარებული სახელმწიფო სტრუქტურა გააჩნდა, რომელიც ქვეყნის ეფექტურ მართვას

უზრუნველყოფდა.

1991 წელსაც კი, როდესაც ერაყის არმიამ უმძიმესი მარცხი განიცადა ქუვეითში შეჭრის შემდეგ და ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო, ხელისუფლებამ მოახერხა ვითარების დასტაბილურება და შეძლო სრულად ჩაეხშო აჯანყება ქვეყნის შიგნით. მიუხედავად იმისა, რომ ერაყს, როგორც აგრესორს, 1991 წლის შემდეგ საკმაოდ მძიმე სანქციები დაუწესდა, სადამის რეჟიმი მაინც მყარად იდგა და რომ არა ამერიკელების პირდაპირი ინტერვენცია, მისი დამხობის რესურსი ქვეყნის შიგნით არ არსებობდა. ინტერვენციის შემდეგ, ქვეყანაში გაჩნდა ძალაუფლების ვაკუუმი, რომლის შევსებაც სცადეს ბაასის პარტიის ყოფილმა წევრებმა და გენერლებმა, თუმცა ამერიკელებმა ფსონი ქურთებსა და არაბ შიიტებზე დადეს და ქვეყნის თითქმის მთელი სუნიტური ნაწილი ჩამოაცილეს პოლიტიკურ პროცესებს.

სუნიტები, სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში, მართლაც სარგებლობდნენ დიდი პრივილეგიებით და ხელისუფლება, ძირითადად, სწორედ მათ ეყრდნობოდა. მათ ეკავათ მნიშვნელოვანი თანამდებობები მთავრობასა და არმიაში. ეკომიკის სფეროშიც, ძირითადად, სწორედ სუნიტური ნაწილი იყო წარმოდგენილი და აკონტროლებდა როგორც ნავთობმომპოვებელ, ასევე საბანკო სექტორებს. მიუხედავად ამისა, სადამის მმართველობის პერიოდში შიიტებსა და სუნიტებს შორის დაპირისპირება ისეთი მასშტაბური არასდროს ყოფილა, როგორც 2003 წლის შემდგომ. ბაღდადში მცხოვრები შიიტებიც კი აღნიშნავდნენ, რომ 2003 წლამდე მათ სუნიტებთან საკმაოდ მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდათ და არავინ აქცევდა ყურადღებას რელიგიურ კუთვნილებას (Thurber C., 2011, p-3).

ირან-ერაყის ომის დროს ჰუსეინის რეჟიმი მოსახლეობას საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებისკენ მოუწოდებდა. საინტერესო ფაქტია, რომ ერაყის არმიის დიდ ნაწილს შიიტები შეადგენდნენ და ომის დროს თავგანწირვით იბრძოდნენ ერაყის ინტერესების დასაცავად. ომის შემდეგაც, რეჟიმის პროპაგანდა უფრო არაბულ ნაციონალიზმზე აკეთებდა აქცენტს და ყოველმხრივ ცდილობდა შიიტი მოსახლეობის

კეთილგანწყობის მოპოვებას.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ერაყში დაპირისპირება, ძირითადად, მიმართული იყო ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ და მასში შიიტებთან და ქურთებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც სუნიტი კომუნისტები და მემარცხენეები, ასევე თავად ბაასის პარტიის ყოფილი წევრებიც. დაპირისპერება არ ატარდებდა ეთნიკურ-რელიგიურ ხასიათს და უფრო დიქტატურის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას წარმოადგენდა.

ჰუსეინის მმართველობის პერიოდში ერაყმა მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა. განვითარდა სოფლის მეურნეობა, შეიქმნა არაბულ სამყაროში ერთ-ერთი საუკეთესო ჯანდაცვის სისტემა. ქვეყანაში წარმატებული რეფორმების ჩატარებისათვის სადამმა იუნესკოს ჯილდოც კი მიიღო (Moore K., 2003).

სადამი საკუთარ თავს ისრაელის და სპარსელების წინააღმდეგ მებრძოლად და არაბული სამყაროს დამცველად აღიქვამდა. მას წინა პლანზე წამოწეული ჰქონდა არაბული იდენტობა და ბრძოლა ირანთან, რომელიც მისი აზრით ერაყის ისტორიულ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა. რეჟიმის პროპაგანდა ეფექტურად მუშაობდა და ირანის გავლენა, ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებზე სუსტი იყო. ამერიკულმა ინტერვენციამ და სადამის რეჟიმის ძირითადად შიიტებითა და ქურთებით ჩანაცვლებამ, კი პირიქით, გააძლიერა ირანის გავლენა ერაყის შიგნით.

სადამი მაღალ პოლიტიკურ თანამდებობზე ძირითადად მის ნათესავებს და კლანის წევრებს აწინაურებდა. თუმცა, აქაც კი დიქტატორი ცდილობდა გარკვეული ბალანსის შენარჩუნებას. რევოლუციის თავიდან აცილების მიზნით დიქტატორი მისდამი არაკეთილგანწყობილ მოსახლეობას გარკვეულ შეღავათებსაც ანიჭებდა, ხოლო ბაასის პარტიის კარები კი ღია იყო ყველა ერაყელისათვის, მიუხედავად მათი ეთნიკურ-რელიგიური წარმომავლობისა. ასე მაგალითად, თაჰა იასინ რამადანი, ეთნიკური ქურთი, სადამის უახლოეს გარემოცვაში შედიოდა და ჯერ სახალხო არმიას ედგა სათავეში, ხოლო

შემდეგ ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაც ეკავა (McDonnell P. J. and Sanders E., 2003).

ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ შიიტების სულიერი ლიდერი აითოლა ჰომეინი ირანიდან გაძევების შემდეგ, სწორედ სადამის მიერ დე-ფაქტო მართულ ერაყში, კერძოდ კი ქალაქ ნაჯაფში მოღვაწეობდა. საერთო ჯამში, მან იქ 14 წელი გაატარა და მხოლოდ 1978 წელს შაჰ მოჰამედ რეზა ფაჰლევის მხრიდან ძლიერი ზეწოლის შემდეგ გააძევეს ქვეყნიდან. ირანის ისლამური რევოლუციის შედეგად ქვეყნის სათავეში მოსულმა ჰომეინიმ, ღიად მოუწოდა ერაყელ შიიტებს ჰუსეინის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ. მიუხედავად ამისა, ირან-ერაყის რვაწლიანი ომის განმავლობაში აიათოლას მოწოდებებს შედეგი არ მოუტანია. გარკვეული ზეწოლის მიუხედავად რეჟიმი შიიტების მასშტაბურ დევნას არ ახორციელებდა და ცდილობდა მათი კეთილგანწყობის მოპოვებას (Dobbs M., 1986).

შეიძლება ითქვას, რომ სადამის რეჟიმი შიიტების მიმართ მათრახისა და თაფლაკვერის პოლიტიკას ატარებდა. ურჩებს სიკვდილით სჯიდა, ხოლო ერთგულებს კი უხვად ასაჩუქრებდა. 1991 წელს შიიტური აჯანყების შემდეგაც კი ერაყში მათ მიმართ მეტ-ნაკლებად ლმობიერი პოლიტიკა ხორციელდებოდა. საერთო ჯამში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერაყში შიიტების მიმართ რელიური ნიშნით მასშტაბურ დევნას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, ვინაიდან ჰუსეინი შიიტებსა და ქურთებს ნაკლებად ენდობოდა, ისინი სრულფასოვნად ვერ მონაწილეობდნენ ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამავე დროს, სადამისათვის არასასურველი ქმედებების შემთხვევაში ქვეყანაში მცხოვრები სუნიტებიც, შიიტებზე არანაკლებ შევიწროვებას განიცდიდნენ რეჟიმის მხრიდან (Rasha Al Aqeedi., 2016). აქვე უნდა დავამატოთ, რომ სადამი ყველა არასასურველ და საშიშ ადამიანს ერთნაირად დევნიდა და ამ მხრივ მისი უახლოესი გარემოცვა და ოჯახის წევრებიც არ იყვნენ დაცული.

საგულისხმოა, რომ ერაყელების ნაწილის აზრით, სადამის მმართველობის დროს ცხოვერბა უფრო სტაბილური იყო. ყოფილმა ვიცე პრეზიდენტმა და პრემიერმა, აიად ალავიმ, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ერაყელებს სადამის პერიოდის მიმართ

გარკვეული ნოსტალგია ჰქონდათ, რადგან მის შემდეგ ვითარება კატასტროფულად გაუარესდა (Adnan Abu Zeed., 2016).

## 4.2 ზეწოლა მმართველ და არამმართველ ელიტებზე.

პროირანულად განწყობილი შიიტი ისლამისტების ხელისუფლებაში მოსვლის აღკვეთის მიზნით ამერიკელებმა შექმნეს საოკუპაციო მმართველობა, რომლის ხელმძღვანელადაც 2003 წელს პოლ ბრემერი დაინიშნა (Katzman K., and Carla E. Humud 2016). სწორედ მის მიერ ჩატარებულმა რეფორმებმა ჩაუყარა საფუძველი დესტაბილიზაციას ერაყში.

რეჟიმის დამხობის შემდეგ, სუნიტურ ელიტას, რომელსაც ქვეყნის მართვის გამოცდილებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ფინანსური ბერკეტებიც გააჩნდა, ამერიკელებმა სახელმწიფო საქმეებში ჩარევა აუკრძალეს. ვაშინგტონმა ამ პროცესს დებაასიფიკაცია (De-Ba'athification) დაარქვა, რაც ბაასის პარტიის ერაყის პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოცილებას ნიშნავდა.

ბრემერის ადმინისტრაციის მიერ დაწყებული დებაასიფიკაციის პროცესი გაწერილი იყო კოალიციური დროებითი ხელისუფლების მიერ გამოცემულ პირველ ბრძანებულებაში (Coalition Provisional Authority, 2003, Order Number 1: De-Baathification of Iraqi Society). პირველ რიგში იკრძალებოდა ბაასის პარტიის საქმიანობა, ხოლო მისი წევრები თავისუფლდებოდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. ბაასის პარტიის ყოფილ წევრებს ეკრძალებოდათ საჯარო სამსახურში მუშაობა. გარდა ამისა, მაღალი რანგის ჩინოსნების საქმეები სპეციალურ კომისიებს უნდა მოეკვლია და დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, გაესამართლებინა ისინი.

ბრემერის მიერ გამოცემული მე-2 ბრძანებულება უფრო რადიკალური და დამანგრეველი შედეგების მომტანი იყო. მან დაშალა ერაყის არმია, უსაფრთხოების აპარატი და გააუქმა ყველა სამხედრო წოდება, რომელიც ჰუსეინის პერიოდში იყო

მინიჭებული (Coalition Provisional Authority, 2003, Order Number 2: De-Baathification of Iraqi Society). ნიუ-იორკ თაიმსის სამხედრო კორესპონდენტმა, მაიკლ გორდონმა, რომელიც 2003 წელს ერთადერთი ჟურნალისტი იყო კოალიციურ შტაბში, წლების შემდეგ ამ გადაწყვეტილებას საბედისწერო შეცდომა უწოდა (Gordon M. R., 2008). მიუხედავად ამისა, მხოლოდ ერთ ადამიანზე მთელი პასუხისმგებლობის დაკისრება არ იქნება მართებული, რადგან ბრემერის ყველა გადაწყვეტილება თეთრ სახლთან თანხმდებოდა, ხოლო დებაასიფიკაციის პოლიტიკა, აშშ-ის სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენდა და შეთანხმებული იყო მთელი სახელმწიფო აპარატის შიგნით (Bremer P., III 2007).

კოალიციური დროებითი ხელისუფლების მიერ გამოცემული ორივე ეს ბრძანებულება, მართლაც საბედისწერო შედეგების მომტანი იყო, როგორც ერაყის, ასევე თავად ამერიკელებისათვის. პირველ რიგში, სახელმწიფო აპარატის მთლიანად ჩამოშლის შემდეგ, მათ ნულიდან მოუწიათ ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბება და რადგან ჰუსეინის მთავრობის და ბაასის პარტიის ყოფილ წევრებს აეკრძალათ საჯარო სამსახურში მუშაობა, ქვეყნის მართვაში უმეტესად გამოცდილების არმქონე პირები ინიშნებოდნენ (ინტერვიუ 1). ვითარებას დამატებით ართულებდა ახლად შექმნილ მმართველობით ორგანოებში შიიტების და ქურთების დომინირება.

ბაასის პარტიის და სამხედრო მაღალჩინოსნების უმრავლესობა სუნიტები იყვნენ. მათი ნაწილი, შესაძლოა არც ყოფილიყო დიქტატორის მხარდამჭერი, თუმცა ამერიკელებმა ფსონი ერაყელ შიიტებზე და ქურთებზე გააკეთეს. ბრემერის მიერ ჩამოყალიბებულ 25 კაციან მრჩეველთა საბჭოშიც, მხოლოდ 5 წევრი იყო ეთნიკურად სუნიტი. ამ ხუთიდან, სამი ყოფილი დისიდენტი იყო, რომლებიც ქვეყანაში რეჟიმის დამხობის შემდეგ დაბრუნდნენ (Otterman S., 2005).

2004 წელს ამერიკელებმა ფორმალურად დაასრულეს საოკუპაციო პერიოდი და შექმნეს ერაყის დროებითი მთავრობა, რომელშიც პრემიერის პოსტი შიიტმა აიად ალ-ალავიმ დაიკავა, ხოლო მოადგილედ კი ქურთი ნაციონალისტი ბარჰამ სალიჰი დაინიშნა. საინტერესო ფაქტია, რომ ალ ალავი ერთი პერიოდი, თავადაც იყო ბაასის პარტიის

აქტიური წევრი და მხოლოდ სადამ ჰუსეინთან გარკვეული უთანხმოების შემდეგ დატოვა ქვეყანაც და პარტიაც (Shadid A., 2011).

აიად ალ ალავიმ დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღა ამბოხებულების წინააღმდეგ. ზოგიერთი ჟურნალისტი, მკვლელობებში მის პირად მონაწილეობაზეც საუბრობდა (McGeough P., 2004). თავად ალავი უარყოფდა ამ ბრალდებებს. თუმცა ცხადია, რომ ერაყის ახალ პრემიერს სურდა ეჩვენებინა, რომ ის არ მოერიდებოდა გადამწყვეტი ზომების მიღებას აჯანყების ჩასახშობად. პრემიერის მკვლელობისათვის ამბოხებულებმა 285 000 დოლარის ჯილდო დააწესეს (Arbuthnot F., 2010).

სუნიტი გაზი მაშალ აჯილ ალ-იავერი, რომელიც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის პოსტს იკავებდა, მხოლოდ ცერემონიალური ფუნქციებით იყო აღჭურვილი. ეს უკანასკნელი, ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი არაბული ტომის, შამარების ლიდრების შტოს განეკუთვნებოდა და მის ტომში სუნიტებიც და შიიტებიც იყვნენ გაერთიანებული (Borzou Daragahi, 2004).

2006 წელს ბაღდადიდან 160 კმ-ში მდებარე ქალაქ სამარაში შიიტებისათვის წმინდა ალ-ასკარის მეჩეთის აფეთქებამ ერაყში ეთნიკური დაპირისპირება უკიდურესად გაამწვავა (Pirnie, B., & O'Connell, E. 2008, p-16). სუნიტური რადიკალური დაჯგუფებების პარალელურად გააქტიურდნენ შიიტი ისლამისტებიც, რომლებიც ცდილობდნენ გავლენის სფეროების გაფართოვებას. ვერც ამერიკელები და ვერც ადგილობრივი ერაყული ხელისუფლება ვერ აკონტროლებდა შიიტურ რადიკალურ ჯგუფებს მუქთადა ალ-სადრის მეთაურობით, რომლებმაც ნამდვილი ომი გააჩაღეს ბაღდადის შიგნით და უმოწყალოდ გაანადგურეს სუნიტები და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები. სადრის მიერ შექმნილმა ე.წ. მაჰდის არმიამ, 2006 წლის ბოლოსთვის ფაქტობრივად შეცვალა ძალთა ბალანსი და დემოგრაფია ბაღდადის შიგნით (Hagan, J., Kaiser, J., Hanson, A., & Parker, P. 2015, p 675-697).

სუნიტები ახალ, დიქტატურისგან თავისუფალ ერაყში გარიყულებად გრძნობდნენ

თავს. 2003 წლისათვის, ისლამური ფუნდამენტალიზმის იდეებს ძალზე მცირე რაოდენობის მიმდევარი ჰყავდა ერაყში. თუმცა, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით განხოციელებულმა ცვლილებემა, მათი დიდი ნაწილი მოწყვლადი გახადა ალ-ქაიდას მსგავსი ტერორისტული ორგანიზაციების მიერ გავრცელებული პროპაგანდის მიმართ. ახლად შექმნილი მთავრობა სუნიტების აზრით ცდილობდა ისინი მაქსიმალურად შეევიწროვებინა და არ გაეთვალისწინებინა მათი ინტერესები (Council, N. R. (2005), Norwegian Refugee Council, p-38). ამგვარი დამოკიდებულების შედეგი იყო, რომ 2005 წელს გავლენიანმა სუნიტმა ლიდერებმა საკუთარ მხარდამჭერებს არჩევნების ბოიკოტისაკენ მოუწოდეს (Haddad Fanar, 2016).

ბოიკოტის შედეგად ადგილობრივი ხელისუფლება ქურთულმა და შიიტურმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა დააკომპლექტეს, რამაც დამატებითი დაძაბულობა წარმოშვა. 2005 წლის არჩევნების შემდეგ სუნიტები ინსტიტუციურ დონეზე ჩამოცილდნენ მართვის სადავეებს, არ ჩაერთნენ ქვეყნის აღდგენის პროცესში და რაც მთავარია არ მიუღიათ სრულფასოვანი მონაწილეობა ერაყის ახალი კონსტიტუციის შემუშავებაში (Hiltermann, J. R., 2006).

მიუხედავად სუნიტების აქტიური წინააღმდეგობისა, 2005 წლის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით დამტკიცდა ერაყის ახალი კონსტიტუცია. საგულისხმოა, რომ ანბარის და სალაჰუდინის პროვინციებში, მოსახლეობის 97% და 82%, ხოლო ნინევიაში 55% შემოხაზა 'არა'. ნინევიაშიც რომ 2/3 უარყოფითი ხმები დაფიქსირებულიყო, კონსტიტუციის პროექტი ჩავარდებოდა (სამ პროვინციაში 2/3 უარყოფითი ხმების მიღების შემთხვევაში კონსტიტუცია ვერ გავიდოდა), რაც იმას ნიშნავდა, რომ კონსტიტუციას რეალური ლეგიტიმაციის კუთხით პრობლემები ჰქონდა (Katzman K. 2008).

კონსტიტუციის შექმნის პროცესში სუნიტების აზრი თითქმის არც-ერთ საკითხში არ იქნა გათვალისწინებული. სუნიტებს განსაკუთრებით აღელვებდათ კონტსტიტუციაში დებაასიფიკაციასთან გაკეთებული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ამ საკითხზე

მომუშავე სტრუქტურა აგრძელებდა საქმიანობას როგორც დამოუკიდებელი კომისია (131-ე მუხლი) (Constitution of Iraq, 2005). ეს ფაქტობრივად ნიშნავდა 2003 წელს ბრემერის მიერ გამოცემული 1 ბრძანების კონსტიტუციის დონეზე გაფორმებას და დებაასიფიკაციის პოლიტიკის განუსაზღვრელი დროით გაგრძელებას.

2005 წელს სუნიტების მხრიდან ბოიკოტის მიუხედავად არჩევნების ჩატარება იყო შეცდომა, რადგან ფაქტობრივად მოხდა ამ მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯფუფის ინტერესების სრული ნიველირება და პოლიტიკური პროცესიდან ჩამოცილება. შედეგად კი, ადამიანებმა, რომლებიც უუფლებონი და გარიყულნი დარჩნენ ახალ საზოგადოებაში, აჯანყება დაიწყეს. მეტიც, ქვეყანაში გაჩაღდა სამოქალაქო ომი და ეთნიკურმა ჯგუფებმა უმოწყალოდ დაიწყეს ერთმანეთის შევიწროვება. შიდა ეთნიკური დაპირისპირების გამო ერაყში მცხოვრები უმცირესობები, განსაკუთერებით კი ქრისტიანები, იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ქვეყანა.

2009 წლისათვის ერაყელი ლტოლვილების რაოდენობა 2 მილიონს აღწევდა, ხოლო ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა დაახლოებით 2.7 მილიონი იყო (Congressional Research Service, 2009), (Harper A., 2008, 169-190). პალესტინის კრიზისის შემდეგ, ეს იყო ახლო აღმოსავლეთში ადამიანების იძულებით გადაადგილების ყველაზე მასშტაბური პრეცედენტი. ქვეყნისათვის, რომლის მოსახლეობაც დაახლოებით 25 მილიონს შეადგენდა, ეს საგანგაშო მაჩვენებელი იყო. დებაასიფიკაციამ სუნიტების წინააღმდეგ მიზანმიმართული დევნის ხასიათი მიიღო. ის უკვე გენოციდის ნიშნებს ატარებდა, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ბაღდადში, რომლის სუნიტური მოსახლეობა მასობრივად ტოვებდა ქალაქს.

შექმნილი ვითარების ფონზე, არ არის გასაკვირი, რომ სუნიტებმა დაიწყეს ამბოხების გაღვივება ერაყის შიგნით, რომელიც უკვე 2003 წლის ბოლოს, მნიშვნელოვან სირთულეებს უქმნიდა ამერიკელებს. ხელისუფლებას ჩამოცილებული სუნიტები უერთდებოდნენ აჯანყებას და ყოველმხრივ ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ ამერიკელების მიერ ფორმირებული ხელისუფლებისათვის. ძირითადად შიიტებითა და

ქურთებით დაკომპლექტებულ ახალ მმართველობით ორგანოებს არ გააჩნდათ ქვეყნის მართვის გამოცდილება. სახელისუფლებო და უსაფრთხოების აპარატის სრული დაშლის და პარალელურად სუნიტების ელიტის რადიკალიზაციის პირობებში, ამბოხების აფეთქება უბრალოდ გარდაუვალი იყო. მას ვერც სამხედრო კონტინგენტის ზრდა შეაჩერებდა და ვერც მომდევნო წლებში შედარებით გააზრებული პოლიტიკის გატარება.

მიუხედავად ორი წაგებული ომისა (1991 და 2003 წლებში), ერაყის არმიას შეეძლო გამხდარიყო სტაბილურობის გარანტი ამერიკელების მიერ ოკუპირებულ ქვეყანაში. ერაყელი გენერლები სურვილსაც კი გამოთქვამდნენ, ახალი ადმინისტრაციის პირობებში ემსახურათ (პირდი ინტერვიუ 3). თუმცა, ამერიკულმა ადმინისტრაციამ ერაყში დებაასიფიკაციის პროგრამა წამოიწყო, რომელიც რეჟიმის დროს მომუშავე პარტიული და სამხედრო კადრების ქვეყნის მმართველობიდან ჩამოცილებისკენ იყო მიმართული. ცხადია, რომ ვაშინგტონი ცდილობდა, შეექმნა ახალი პოლიტიკური ელიტა და ის რეჟიმთან დაპირისპირებული ჯგუფებით დაეკომპლექტებინა.

### 4.3 სამხედრო ოპერაციები 2003-2011 წლებში

2003 წლის მარტის დასაწყისისათვის, აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა, 350 000 მდე სამხედროს მოუყარეს თავი რეგიონში. 17 მარტს, პრეზიდენტმა ბუშმა ერაყის ლიდერს დაუყოვნებლივ მოსთხოვა ქვეყნის დატოვება და ულტიმატუმის ვადის ამოწურვისთანავე, გასცა ბრძანება ერაყში შეჭრაზე. სამხედრო ოპერაცია წარმატებით დასრულდა და რამდენიმე კვირაში, აშშ და მისი მოკავშირეები ერაყის მთელ ტერიტორიას აკონტროლებდნენ (რუკა 6).

აღსანიშნავია, რომ ერაყის არმია რეგიონში ერთ–ერთი საუკეთესო იყო, როგორც შეიარაღების, ისე მომზადების კუთხით. 2003 წლისთვის, იგი დაახლოებით, 300 000 მებრძოლისგან შედგებოდა. მათ შეიარაღებაში 2000-მდე ტანკი და 3700-მდე ჯავშანმანქანა ჰყავდათ, რომლებიც 16 დივიაზასა და 5 საარმიო კორპუსში იყო

გაერთიანებული (Otterman S., 2005). ცალკე აღნიშვნის ღირსია ერაყის რესპუბლიკური გვარდია, რომელიც შეიარაღებული ძალების ელიტარულ შენაერთს წარმოადგენდა და 70 000–მდე ჯარისკაცისგან შედგებოდა (Otterman S., 2005). ერაყის არმია წვევამდელებით იყო დაკომპლექტებული, რომელთა უმრავლესობას შიიტები წარმოადგენდნენ. თუმცა, ოფიცერთა კორპუსი და რესპუბლიკური გვარდია, ძირითადად, ერაყელი სუნიტებისგან შედგებოდა და რეჟიმის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა.

ადგილობრივი სამხედრო-პოლიტიკური ელიტის სრული განეიტრალების და სახელმწიფოს მართვის პროცესიდან ჩამოცილების გამო, ქვეყანაში რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებები გაძლიერდა, რომლებიც ებრძოდნენ ერთმანეთსაც და მთავრობასაც. მათ გასანეიტრალებლად ამერიკელებმა 2004 წელს ორი მასშტაბური სამხედრო ოპერაცია ჩაატარეს. ერთი ფოკუსირებული იყო ქალაქ ფალუჯაში გამაგრებული სუნიტი ამბოხებულების განეიტრალებაზე, ხოლო მეორე გამიზნული იყო შიიტური უკანონო შეიარაღებული ფორმირების, მაჰდის არმიის წინააღმდეგ.

ნიშანდობლივია, რომ რეჟიმის დამხობის შემდეგ, პირველი ყველაზე სისხლისმღვრელი დაპირისპირება, სწორედ ფალუჯაში მოხდა. ეს ქალაქი ბაასის რეჟიმის დროს საკმაოდ დინამიურად ვითარდებოდა. აქ იყო ბევრი სასტუმრო და კარგად იყო განვითარებული ინფრასტრუქტურა. მოსახლეობის დიდ ნაწილს კი ყოფილი სამხედროები და უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრები შეადგენდნენ (Human Rights Watch, 2003, p-3).

სამხედრო ოპერაციის ჩატარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, ფალუჯაში ამერიკული კერძო სამხედრო კომპანია ბლექვოტერის წევრების ვანდალური მკვლელობა და მათი ცხედრების ევფრატის ხიდზე ჩამოკიდება (Freeman C., 2004). ამერიკელებმა ქალაქი ალყაში მოაქციეს და მეთოდურად დაიწყეს მისი ამბოხებულებისგან გაწმენდა. აჯანყებულები მომზადებული დახვდნენ ქალაქში სამხედროების გამოჩენას და დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება.

აშშ-ის საზღვაო ქვეითებმა, რომლებიც მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენდნენ, შეძლეს ქალაქის 2/3-ზე კონტროლის დამყარება. ოპერაციის დროს ამერიკელები აქტიურად იყენებდნენ ავიაციას და არტილერიას, რამაც თანმხლები ზიანი გამოიწვია მშვიდობიან მოსახლეობაში. სამხედრო მოქმედებების შედეგად განადგურდა 184 ამბოხებული და დაიღუპა 616 სამოქალაქო პირი. ამერიკელების დანაკარგმა 27 სამხედრო მოსამსახურე შეადგინა (Bassil, Y. 2012, p 42-43).

მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, თითქმის ერთ თვიანი დაპირისპირების შემდეგ ამერიკელები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ქალაქი, რომელიც ისევ აჯანყებულების სრული კონტროლის ქვეშ მოექცა.

2003 წელს ერაყში შეჭრის შემდეგ, ეს იყო ამერიკელების პირველი ტაქტიკური მარცხი, რომელიც ძირითადად განპირობებული იყო ვითარების არასწორი შეფასებით. ქალაქში მათ კარგად მომზადებული აჯანყებულთა რაზმები დახვდათ, რომლებიც გამოირჩეოდნენ მაღალი მობილურობით. მათი განეიტრალება ძალზე რთული ამოცანა იყო 2000 კაციანი ამერიკული კონტინგენტისათვის.

რამდენიმე თვეში ამერიკელებმა ქალაქზე მეორე შტურმი მიიტანეს, რომელშიც ამჯერად 15 000-მდე სამხედრო მონაწილეობდა. მათ 3000-მდე ამბოხებული დაუპირისპირდა (Global Security, 2004). ამერიკელბმა მოახერხეს ქალაქზე სრული კონტროლის დამყარება, თუმცა, აჯანყებულთა დიდმა ნაწილმა შეძლო გაქცევა. აჯანყება უკვე მთელს ცენტრალურ და სამხრეთ ერაყზე გავრცელდა. შედეგად, ამერიკელები იძულებული გახდნენ გაეორმაგებინათ საკუთარი კონტინგენტი, რომელმაც 2004 წელს 130 000-ს გადააჭარბა. შედარებისათვის, 2003-ში რეჟიმის დამხობის შემდეგ, ერაყში აშშ-ის დაახლოებით 67 000 სამხედრო იმყოფებოდა (Belasco A. 2009, p-9).

სუნიტების აჯანყების პარალელურად გააქტიურდნენ შიიტური რადიკალური დაჯგუფებებიც. ყველაზე ძლიერი დაჯგუფება, რომელიც ამერიკელებს დაუპირისპირდა, იყო ერაყელი სასულიერო პირის, მუქთადა ალ-სადრის მიერ შექმნილი ე.წ. მაჰდის არმია,

რომელიც 2003-2011 წლების ომის განმავლობაში ორჯერ აჯანყდა.

საინტერესო ფაქტია, რომ სადრი 2003 წელს თეირანში მიიწვიეს, სადაც ის აიათოლა ჰომენეის და ირანის ისლამური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელ პირებს შეხვდა (Kagan, K. 2007, p 17-19). სადრმა ასევე მჭიდრო კავშირები დაამყარა ირანის მიერ მხარდაჭერილ ტერორისტულ ორგანიზაცია ჰეზბოლასთან, რომელიც თავის მხრივ ირანის ე.წ. ქუდსის სპეციალური დანიშნულების მიერ იწვრთნებოდა. ჰეზბოლას წარმომადგენლები ერაყში 2003 წლის შემდეგ გააქტიურდნენ. 2007 წელს ჟურნალ ინდეპენდენტისათვის (*The Independent*) მიცემულ ინტერვიუში თავად სადრმა განაცხადა, რომ „სავსებით ბუნებრივია, რომ ჩვენ გვსურს ჩვენი შესაძლებლობების გაუმჯობესება და სხვისი გამოცდილების გაზიარება. ჩვენ ჰეზბოლას ტაქტიკის და მეთოდების კოპირებას ვახდენთ და ვასწავლით ერთმანეთს, რათა უკეთესად ვიბრძოლოთ და ამ მხრივ წარმატებას ვაღწევთ“ (Roggio B., 2007).

შიიტური აჯანყება სწორედ სადრის მიერ იყო ორგანიზებული. ის ღიად მოუწოდებდა თავის მხარდამჭერებს ამბოხისკენ, ხოლო როდესაც ერაყის ახალმა დროებითმა მთავრობამ მისი დაპატიმრების ბრძანება გასცა, მისმა მხარდამჭერებმა იარაღი აიღეს ხელში (Diamond, L. 2004, 34-56). აჯანყება მალე ერაყის ყველა იმ ნაწილში გავრცელდა სადაც შიიტები წარმოადგენდნენ უმრავლესობას. განსაკუთრებით მწვავე ვითარება იყო ბაღდადში, ქარბალაში, ალ-ქუთში და ნასირიაში. ამერიკელებმა ორთვიანი ბრძოლების შემდეგ მოახერხეს აჯანყებულთა ძირითადი ძალების დამარცხება. თუმცა, მათმა ნაწილმა შიიტებისათვის წმინდა ქალაქ ნაჯაფში მოახერხა პოზიციების შენარჩუნება. მოლაპარაკებების შედეგად მოხერხდა ალ-სადრთან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა (Kozlowski, F. X. 2004, p 1-5). საგულისხმოა, რომ თავად სადრი არა მხოლოდ გადაურჩა დაპატიმრებას, არამედ მოახერხა საკუთარი გავლენის გაძლიერება ერაყის შიგნით.

2006 წლის მიწურულს, ამერიკელების მიერ ჩამოყალიბებული კოალიციური ძალები უკვე მარცხის პირას იყვნენ მისული (Petraeus D., 2007). შიიტურ სალოცავებზე

თავდასხმის შედეგად ქვეყანაში ძალადობის ახალი ტალღა აგორდა, რომლის ჩახშობა ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა.

2007-ში ერაყში კოალიციური ჯარების სარდლად გენერალი პეტრეუსი დაინიშნა. ის ჩვენს მიერ წინა თავში აღწერილი ახალი ამბოხების საწინააღმდეგო დოქტრინის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო და კარგად ესმოდა ამ ტიპის კონფლიქტის ბუნება. მის მიერ შემუშავებული სტრატეგიის წყალობით ამერიკელებმა შეძლეს ვითარების გაუმჯობესება.

გენერალს კარგად ესმოდა, რომ ერაყში ვითარების დასტაბილურება დაპირისპირებულ მხარეებს შორის პოლიტიკური კონსენსუსის გარეშე წარმოუდგენელი იყო. სწორედ ამ მიზნით პეტრეუსი ერაყის სხვადასხვა კუთხეს სტუმრობდა, ხვდებოდა ადგილობრივ ლიდერებს და ცდილობდა მათი მხარდაჭერის მოპოვებას. მისი მიდგომის წარმატებულობის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იყო ანბარის პროვინცია, სადაც მოსახლეობა თითქმის მთლიანად სუნიტური იყო და აჯანყების მთავარ ბასტიონს წარმოადგენდა.

სუნიტ ლიდერებთან მეთოდური და მიზანმიმართული მუშაობის შედეგად, რომელსაც თავად პეტრეუსი ხელმძღვანელობდა, მოხერხდა ადგილობრივების დარაზმვა ალ-ქაიდას ტერორისტული ორგანიზაციის წევრების წინააღმდეგ. 2007 წლის ზაფხულისათვის ამერიკელ სამხედროებზე თავდასხმები ამ პროვინციაში თითქმის სრულად შეწყდა. აღსანიშნავია, რომ პეტრეუსმა სუნიტების დაფინანსება და იარაღით მომარაგება ისე დაიწყო, რომ ადგილობრივი ხელისუფლება საქმის კურსში არ ჩაუყენებია. 2007 წლისათვის 35 სუნიტური ტომი ამერიკელების მხარეს გადავიდა და ამბოხებულების წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. ამ პროცესს შემდგომში 'ანბარის გამოღვიძება' უწოდეს (Knowlton Jr. W. A. 2010, p 18-19).

პეტრეუსის ახალი სტრატეგიის ქვაკუთხედს წარმოაგდენდა „მტრულად განწყობილი არაბი სუნიტების ჯერ აშშ-ის სამხედროებთან, ხოლო შემდეგ ერაყის ხელისუფლებასთან შერიგება“ (Petraeus D., 2013). გენერალი ცდილობდა გამოევლინა

ისეთი ლიდერები, რომელთა შემორიგებაც პოტენციურად შესაძლებელი იყო და არწმუნებდა მათ შეერთებოდნენ ტერორისტებთან და ამბოხებასთან ბრძოლაში. შემორიგების პოლიტიკამ საკმაოდ წარმატებით იმუშავა ჯერ ანბარის პროვინციაში, ხოლო შემდეგ ეს სტრატეგია ამერეკელებმა მთელი ერაყის მასშტაბით განახორციელეს (Petraeus D., 2013).

ახალი სტრატეგიის ფარგლებში ამერიკელები შიიტების გადმოსაბირებლადაც მუშაობდნენ და ცდილობდნენ შიიტური ამბოხებისთვისაც გამოეცალათ საყრდენი. საერთო ჯამში, პეტრეუსის მიერ შემუშავებული ახალი სტრატეგიის ფარგლებში ამერიკელებმა წელიწადნახევარში შეძლეს 100 000 მდე მებრძოლის საკუთარ მხარეს გადმობირება, რომელთაგან 20 000 შიიტი იყო (Petraeus D., 2013).

შეურიგებელი მეამბოხეების და ალ-ქაიდას ლიდერების წინააღმდეგ ამერიკულმა და ბრიტანულმა სპეციალური დანიშნულების ძალებმა წარმატებული კამპანია წამოიწყეს, რომელსაც გენერალი მაკრისტალი ხელმძღვანელობდა. ამბოხებულთა რადიკალური ლიდერების გასანეიტრალებლად სპეცდანიშნულების ძალები ყოველდღიურად 10-დან 15-მდე სპეციალურ ოპერაციას ატარებდნენ (Petraeus D., 2013).

ამერიკელებმა ასევე მოახდინეს ერაყის უსაფრთხოების ძალების ხელახლა ფორმირება და გაწვრთნა. 2008 წლისათვის ერაყის უსაფრთხოების ძალების 100-ზე მეტ ბატალიონს შეეძლო სამხედრო ოპერაციებში აქტიური მონაწილეობა (Petraeus D., 2008).

ახალი სტრატეგიის წყალობით ამერიკელების მიერ ჩამოყალიბებულმა კოალიციურმა ძალებმა შეძლეს ერაყში მეტ-ნაკლებად სტაბილური ვითარების შექმნა. საგრძნობლად იკლო თავდასხმებმა აშშ-ის ქვედანაყოფებზე. ასე მაგალითად, 2006-2007 წლებში ამბოხებულების მიერ კვირაში საშუალოდ 1600-დან 2000-მდე თავდასხმა ხორციელდებოდა, ხოლო 2008 წლის ბოლოსათვის მათი რაოდენობა 400-ს არ აღემატებოდა, 2009-თვის კი 200-მდე შემცირდა. მნიშვნელოვნად შემცირდა ბრძოლის ველზე დაღუპული აშშ-ის სამხედროთა რაოდენობაც. 2004-2007 წლებში დანაკარგი

საშუალოდ წელიწადში 900 სამხედროს შეადგენდა, 2008-ში კი ეს ციფრი სამჯერ შემცირდა. 2009-ში 150 სამხედრო ემსხვერპლა მოწინააღმდეგის თავდასხმას, ხოლო 2010-11 წლებში სულ 110 ჯარისკაცი დაიღუპა (Bassil Y., 2012).

სამხედრო დანაკარგების პარალელურად მცირდებოდა დანაკარგი მშვიდობიან მოსახლეობაშიც. 2005-2007 წლებში ერაყში ყოველწლიურად საშუალოდ 26 000 მოქალაქე იღუპებოდა, 2009-2011 წლებში კი ეს ციფრი თითქმის 4-ჯერ შემცირდა (O'Hanlon, M. E., & Livingston, I. 2011).

ავღანეთის გამოცდილების გათვალისწინებით 2005 წლიდან, ერყაშიც შეიქმნა პროვინციის აღდგენის ჯგუფები, რომელთა რაოდენობა 2008-ში 31-ს შეადგენდა (US Embassy Baghdad 2008). მათი ნაწილი საბრძოლო ბრიგადების შემადგენლობაში იყო ინტეგრირებული და ხელს უწყობდა  ადგილობრივი მოსახლების კეთილგანწყობის მოპოვებას.

აღსანიშნავია, რომ ერაყში სამხედრო ოპერაციების წარმოება ფინანსურად ძალზე მძიმე ტვირთი იყო აშშ-თვის. ამ ქვეყანაში წარმოებულ სამხედრო კამპანიაზე ვაშინგტონის საერთო დანახარჯმა დაახლოებით 1 ტრილიონი დოლარი შეადგინა (Amadeo Kimberly 2017). 2003-2012 წლებში, მხოლოდ ერაყის ინფრასტრუქტურის და უსაფრთხოების სისტემის მწყობრში მოსაყვანად აშშ-მ 61 მილიადრი დოლარი დახარჯა (Bowen Jr. S. W. 2012, p-3).

პრეზიდენტმა ობამამ 2011 წელს ერაყიდან სამხედროების სრულად გამოყვანის ბრძანება გასცა და ვითარებაზე კონტროლის შენარჩუენბა ერაყის უსაფრთხოების ძალებს გადააბარა. ამერიკელი გენერლები აფრთხილებდნენ თეთრ სახლს, რომ სიტუაცია კვლავ შეიძლება გაუარესებულიყო, თუმცა კამპანიის ხარჯი განუზომლად იყო გაზრდილი და ვაშინგტონის ახალი ადმინისტრაციისათვის ერაყი აღარ წარმოადგენდა პრიორიტეტს.

ამერკილების ქვეყნიდან გასვლისთანავე, კვლავ დაიძაბა ურთიერთობა სუნიტებსა და შიიტებს შორის. შიიტების მიერ დაკომპლექტებულმა ხელისუფლებამ

პარლამენტს სუნიტი პრემიერმინისტრის გადაყენების თხოვნით მიმართა, ხოლო ვიცე პრეზიდენტს კი დაპატიმრებით დაემუქრა (Logan J. 2011).

ამერიკელების შუამავლობით ქვეყნის შიგნით შექმნილი ძალაუფლების გადანაწილების მოდელი ნელ-ნელა ჩამოიშალა და საბოლოო ჯამში გამოიწვია სუნიტების რადიკალიზაცია და ახალი სამოქალაქო ომი.  გარდა ამისა, ერაყში კვლავ გაძლიერდა ისლამური ტერორისტული ორგანიზაციები.

### 4.4 საგარეო მხარდაჭერის როლი.

ავღანეთისგან განსხვავებით ვაშინგტონის სამხედრო კამპანია ერაყში საერთაშორისო საზოგადოების დიდმა ნაწილმა უარყოფითად შეაფასა. ირანი კი, რომლის ხელისუფლებაც აცნობიერებდა, რომ შემდეგი დარტყმის ობიექტი შესაძლოა თავად გამხდარიყო, ყოველმხრივ მხარს უჭერდა შიიტ ამბოხებულებს ერაყში და ცდილობდა სადამის შემდგომ ჩამოყალიბებულ ხელისუფლებაზე გავლენის ბერკეტების მოპოვებას. 2004-2006 წლებში ეთნიკური კონფლიქტის გაღვივება სუნიტებსა და შიიტებს შორის, სწორედ ირანის ინტერესებში შედიოდა. მეტიც,  თეირანი იყო ალ-სადრის მიერ ჩამოყალიბებული მაჰდის არმიის მთავარი დამფინანსებელი და მხარდამჭერი.

დესტაბილიზაციის დამატებით წყაროს წარმოადგენდა სირია, რომლის ტერიტორიიდანაც ხდებოდა სუნიტი ამბოხებულების შემოდინება ერაყში. სირიის მმართველი, ბაშარ ასადიც შეშფოთებული იყო აშშ-ის სამხედრო ოპერაციებით ერაყში და ცდილობდა ყოველმხრივ შეეფერხებინა ვაშინგტონის მიერ დაწყებული სტაბილურობის აღდგენის ოპერაციები (Tanter R., & Kersting S., 2009).

სადამის ჩამოგდების შემდეგ, საერთაშორისო ტერორისტულმა ორგანიზაცია ალ-ქაიდამ მთავარ სამიზნედ ერაყი ამოირჩია და საგრძნობლად გაზარდა საკუთარი გავლენა ამ ქვეყანაში (Kirdar M. J. 2011). ტერორისტული ქსელის ორგანიზებას ერაყში, აბუ მუსაბ

ალ-ზარქავი ხელმძღვანელობდა. მისი ბრძანებით ხორციელდებოდა თავდასხმები შიიტურ მეჩეთებზე და ღვივდებოდა ეთნიკური დაპირისპირება ერაყის შიგნით. 2006 წელს მისი ლიკვიდაციის მიუხედავად ალ-ქაიდაც და სხვა ტერორისტული დაჯგუფებებიც განაგრძობდნენ დესტრუქციულ საქმიანობას და არ აძლევდნენ კოალიციურ ძალებს ქვეყანაში სტაბილურობის დამყარების საშუალებას.

საგარეო ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ერაყში დესტაბილიზაციის შესაქმნელად, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, არეულობის მთავარი გამომწვევი მიზეზები, 2003 წელს ამერიკული ადმინისტრაციის მიერ გატარებულ არასწორ პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ. წარმატებული სამხედრო ინტერვენციის და სადამის ხელისუფლების დამხობის მიუხედავად, ამერიკელებმა არა მხოლოდ ვერ შეძლეს საკუთარი გაცხადებული, თუ სავარაუდო ფარული მიზნების მიღწევა, არამედ პირიქით, მნიშვნელოვნად გააუარესეს რეგიონის უსაფრთხოება და შეასუსტეს საკუთარი გავლენა ახლო აღმოსავლეთში.

## 4.5. დასკვნა

საბოლოო ჯამში, 2003 წელს, ტერორიზმთან ბრძოლის ეგიდით წამოწყებული სამხედრო კამპანია ერაყში, იმით დასრულდა, რომ ქვეყანაში მოხდა სუნიტური მოსახლეობის რადიკალიზაცია და შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელებისათვის. ამ ყველაფრის მიზეზი კი დებაასიფიკაციის პოლიტიკა იყო.

საგულისხმოა, რომ ქვეყანაში ვითარების ნორმალიზაცება მხოლოდ სუნიტ ლიდერებთან თანამშრომლობის მეშვეობით მოხერხდა. სწორედ გენერალ პეტრეუსის მიერ შემუშავებული ახალი სტრატეგია წარმოადგენდა 2009-2010 წლებში ვითარების დასტაბილურების მთავარ ხელშემწყობ ფაქტორს. 2006 წლისათვის თითქმის კატასტროფის პირას მისული უსაფრთხოების გარემო, მკვეთრად გაუმჯობესდა და 2011

წელს ჯარების გაყვანის შესაძლებლობა მისცა ამერიკელებს. ავღანეთის მსგავსად, ერაყში თუნდაც მცირე სამხედრო კონტინგენტის შენარჩუნების შემთხვევაში, დიდი ალბათობით მოხერხდებოდა 2014 წელს განვითარებული მოვლენების პრევენცია.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ოპერაციის მიზნები არ იყო მიღწეული, სამხედრო კამპანიის განუზომლად გაზრდილმა ხარჯმა, საბოლოო ჯამში, აიძულა ვაშინგტონი, ეტაპობრივად გამოეყვანა თავისი შეიარაღებული ძალები ერაყიდან. თუმცა, ფინანსური დანახარჯების ზრდა ძირითადად არასწორი შიდა პოლიტიკით იყო განპირობებული.

აშშ-ის სამხედრო კონტინგენტის გაყვანის შემდეგ ქვეყანაში კვლავ ქაოსმა დაისადგურა. 2014 წელს კი ქვეყნის თითქმის 40%-ზე ე.წ. ისლამური სახელმწიფო (დაიში) შეიმნა.[3] დაიშმა, რომელიც თავის დროზე ერაყული ალ-ქაიდას წიაღში ჩამოყალიბდა, ზაღდადამდეც კი მიაღწია. მისი დამარცხება მხოლოდ აშშ-ის მიერ ხელახლა შექმნილი ანტიტერორისტული კოალიციის და ირანის აქტიური ჩართულობით მოხერხდა.

რთულია ვაშინგტონის მიერ ამ ქვეყანაში წარმოებულ სამხედრო კამპანიაში პოზიტიური ასპექტების გამოვლენა. მიუხედავად ამისა გვინდა აღვნიშნოთ, რომ 2007 წელს გენერალმა პეტრეუსმა შეძლო კრახის თავიდან აცილება. მის მიერ შემუშავებული სტრატეგიის ქვაკუთხედს სწორედ ადგილობრივ ლიდერებთან კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარება წარმოადგენდა. ამ მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა უზრუნველყო ვითარების სასიკეთოდ შემობრუნება და ძალადობის შემცირება. თუმცა, პეტრეუსის მიერ დაწყებული სწორი ამბოხების საწინააღმდეგო სტრატეგიის შედეგები 2011 წელს ჯარების სრულად გაყვანამ გააქარწყლა.

[3] დაიში არის ე.წ. ისლამური სახელმწიფოს სახელწოდება, რომელიც გამოიყენება ახლო აღმოსავლეთში და აღნიშნული ორგანიზაციის თავდაპირველი დასახელების "ალ-**და**ვლა ალ-**ი**სლამია ფილ **ი**რაქ ვა ალ-**შ**ამ"-ს (სიტყვა სიტყვით ნიშნავს ერაყის და ლევანთის ისლამურ სახელმწიფოს) აბრევიატურას წარმოადგენს. ისლამური სამყარო ეწინააღმდეგება აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის ისლამურ სახელმწიფოდ მოხსენიებას და მას დაიშს უწოდებს. აღსანიშნავია, რომ ვინაიდან სიტყვა დაიშს უარყოფითი მნიშვნელობაც აქვს არაბულ ენაში და ფეხქვეშ გათელვას ნიშნავს, ტერორისტები ეწინააღმდეგებიან საკუთარი ორგანიზაციის მისამართით ამ სახელწოდების გამოყენებას.

2011 წელს, ამერიკელების მიერ ჯარების გაყვანის შემდეგ ერაყში კვლავ შეიქმნა ძალაუფლების ვაკუუმი, რომელიც მაშინვე შეავსეს, ერთის მხრივ ტერორისტულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ძირითადად ერაყელი სუნიტებით იყო დაკომპლექტებული, ხოლო მეორეს მხრივ, ირანმა და მის მიერ მხარდაჭერილმა შიიტურმა გასამხედროებულმა დაჯგუფებებმა. ირანის გავლენა, როგორც საკუთრივ ერაყში, ისე მთელს რეგიონში, საგრძნობლად გაიზარდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამერიკელებმა ვერ შეძლეს მისი შეკავება. დღეისათვის, ირანის გავლენა ვრცელდება ასევე სირიასა და ლიბანზეც. საგრძნობლად გაიზარდა ირანის მიერ დაფინანსებული და მხარდაჭერილი გასამხედროებული ორგანიზაცია ჰეზბოლას გავლენაც (მას ირანის საგარეო არმიასაც კი უწოდებენ).

აშშ-ის მიერ შიიტების მხარდაჭერა და პარალელურად სუნიტების შევიწროვება გახდა ირანის გავლენის განუზომელი ზრდის მთავარი მიზეზი. იმის გათვალისწინებით, რომ ირანი თავად წარმოადგენდა ვაშინგტონის სამიზნეს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ მხრივ მათ არათუ ვერ აღკვეთეს არამედ გაუაზრებელი მოქმედებებით ხელი შეუწყვეს ირანის ჰეგემონიის დამყარებას მთელს რეგიონში.

სამოქალაქო ომის ფონზე მშვიდობის დამყარება ერაყში შეუსრულებელ ამოცანას წარმოადგენდა. ამერიკელების მიერ შექმნილ კოალიციურ ჯარებს, ბრძოლა რადიკალური შიიტების და სუნიტების წინააღმდეგ თანაბარი ძალისხმევით უწევდათ. ქვეყანაში შეიარაღებული ძალების და უსაფრთხოების აპარატის დაშლის გამო შეუძლებელი იყო წესრიგის დამყარება.

ერაყელმა ამბოხებულებმა, მე-4 თაობის ომებში აჯანყებულების წინაშე მდგარი მთავარი ამოცანა, ანუ გადარჩენა, წარმატებით მოახერხეს და აშშ-ის სამხედროების გაყვანის შემდეგ კვლავ შეძლეს ძალების გენერირება. ერაყში მთავარი ბრძოლა არა ტერიტორიის, არამედ ხალხის მასებზე გავლენის მოსაპოვებლად მიმდინარეობდა და ამ მხრივ კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს გენერალ პეტრეუსის მიერ შემუშავებული სტრატეგია, რომლის წყალობითაც აჯანყებულები მარცხის პირას

აღმოჩნდნენ. სტრატეგიული მიზნების ბუნდოვანების მიუხედავად, ამერიკელმა სამხედროებმა მნიშვნელოვნად დახვეწეს და წარმატებით გამოიყენეს კიდეც ამბოხების საწინააღმდეგო დოქტრინა. სამხედრო-სამოქალაქო ძალისხმევის კოორდინირებით საგრძნობლად გაუმჯობესდა ერაყელი მოსახლეობის ყოფითი პირობებიც. 2008-2011 წლებში სულ უფრო ნაკლები ადამიანი უერთდებოდა ამბოხებას, პარალელურად კი იზრდებოდა აშშ-ის მიერ წარმოებული ოპერაციების მხარდაჭერა.

კლაუზევიცის მიხედვით, ომში წარმატების საზომი არის მოწინააღმდეგის იძულება შეასრულოს ჩვენი ნება. ამ კუთხით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელებმა 2011 წლისათვის გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს და თიქმის ჩაახშეს ამბოხება. თუმცა, ქვეყნიდან ჯარების ნაადრევად გაყვანის გამო ვაშინგტონმა ვერ შეძლო საბოლოო გამარჯვების მიღწევა. ამან, ამბოხებულებს ძალების აღდგენის და 2012 წლიდან კვლავ აქტიურ მოქმედებებზე გადასვლის საშუალება მისცა.

ჩვენი აზრით, ამბოხების დაწყება დებაასიფიკაციის და შეიარაღებული ძალების დაშლით იყო განპირობებული. სტაბილურობის მისაღწევად მშვიდობა ორივე მხარისათვის უნდა ყოფილიყო მისაღები. სუნიტებისათვის ეს იყო ომი გადარჩენისათვის და ისინი არ შეწყვეტდნენ დაპირიპირებას მათთვის მეტ-ნაკლებად მისაღები პირობების შექმნამდე. ამავე დროს, ამერიკელებისათვის ერაყის ომი იყო 'არჩევითი', შესაბამისად ისინი დაინტერესებული იყვნენ, რაც შეიძლება სწრაფად მიეღწიათ მიზნისათვის და დაეტოვებინათ ქვეყანა.

ამერიკელების მიერ დებაასიფიკაციის პროცესში მოხდა მმართველი ელიტის და კონტრელიტის ერთიანად განეიტრალება. პოლიტიკური პროცესების მიღმა დარჩენილი ელიტა დესტაბილიზაციის მთავარ მაპროვოცირებელ ფაქტორს წარმოადგენდა ერაყის შიგნით. სახელმწიფო აპარატის და უსაფრთხოების სფეროს მთლიანი და მიზანმიმართული ჩამოშლით ფაქტობრივად განხორციელდა, როგორც ძველი ელიტის, ანუ ბაასის პარტიის რეჟიმის, ასევე სავარაუდო კონტრელიტის, ერაყელი სამხედროების

სრულად განეიტრალება და პოლიტიკური პროცესებიდან ჩამოცილება.

ვითარებას ართულებდა ის ფაქტიც, რომ ორივე ელიტის უმრავლესობა სუნიტი იყო და შესაბამისად, ერაყის მოსახლეობის ამ ნაწილმა ეს მათ მიმართ ეთნიკურ დისკრიმინაციად ჩათვალა და რადიკალურ ქმედებებზე გადავიდა. ამერიკელების მიერ ახალი ელიტის შექმნის მცდელობა წარუმატებლობით დასრულდა. ქვეყნის სათავეში მოსული შიიტების და ქურთების უმრავლესობას არ ჰქონდა ქვეყნის მართვის გამოცდილება და მოსახლეობაშიც ვერ სარგებლობდა მხარდაჭერით. საერთო ჯამში მთავრობაში მყოფი შიიტები ალ-სადრის მსგავსი რადიკალების გავლენის ქვეშ მოექცნენ, ხოლო ქურთებმა კი საკუთარი დე-ფაქტო დამოუკიდებელი ავტონომია ჩამოაყალიბეს ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში. ამერიკელების გასვლის შემდეგ კი ირანის გავლენა ერაყის ხელისუფლებაზე განუზომლად გაიზარდა.

2003 წლის შემდეგ ვაშინგტონს ფსონი რომ ერაყელ სამხედროებზე გაეკეთებინა და ჯარი არ დაეშალა, ქვეყანაში სტაბილურობის დამყარება მალევე მოხერხდებოდა და ვერც ირანი შეძლებდა საკუთარი გავლენის გაზრდას ერაყში. ვაშინგტონმა არ გაითვალისწინა, რომ მე-4 თაობის ომებში წარმატების მისაღწევად, ქმედითი ადგილობრივი ხელისუფლება და უსაფრთხოების ძალები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

აღსანიშნავია, რომ კონტრელიტის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია ქვეყნის მართვის რესურსის ფლობა. ერაყში მსგავსი შესაძლებლობა რეალურად მხოლოდ ბაასის პარტიის წევრებს და სამხედროებს ჰქონდათ. ბრემერმა მის მიერ გამოცემული ბრძანებულებებით ორივე ეს ელიტა გარიყა. ამერიკელები შეეცადნენ აქცენტი შიიტებზე გაეკეთებინათ და მოეხდინათ ახალი მმართველი ელიტის ხელოვნურად ჩამოყალიბება, რაც ოკუპაციის პირობებში თითქმის შეუძლებელი ამოცანა იყო.

ერაყში ხელისუფლების შეცვლა გარე ძალების ჩარევით მოხდა, შესაბამისად ახლად ფორმირებულ ხელისუფლებას თითქმის არ გააჩნდა ლეგიტიმაცია მოსახლების თვალში. საგულისხმოა, რომ ახალ მთავრობაში შიიტების ინტერესების ყველაზე

მძლავრად წარმოდგენის მიუხედავად, ისინი მაინც აჯანყდნენ. ერაყში ხელისუფლების ჩამოშლის და ელიტის ხელოვნურად შექმნის მცდელობის გამო, ყველა მხარე უკმაყოფილო დარჩა. სამოქალაქო დაპირისპირება კი გავლენების ხელახლა გადანაწილების მცდელობით იყო განპირობებული. შესაბამისად, წინდაუხედავი ნაბიჯების გადადგმით ვაშინგტონმა ისეთი ვითარება შექმნა ერაყში, სადაც ყველა ყველას აუმხედრდა და ამავე დროს ამერიკელებს დაუწყო ბრძოლა.

თითქმის ოთხწლიანი ქაოსის შემდეგ პეტრეუსის მიერ შემუშავებულმა სწორმა სტრატეგიამ სასურველი შედეგები გამოიღო და ქვეყანაში შედარებითი სტაბილურობა მოიტანა. ეს ფაქტი ხაზს უსვამს ომში გონიერი მხედართმავრის როლს.

## V თავი

## მე-20 საუკუნის ოკუპაციები

### 5.1 შესავალი

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, დაახლოებით, 60-მდე ოკუპაცია განხორციელდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს დისერტაციაში აქცენტს სსრკ-ის და აშშ-ის მიერ განხორციელებულ ოკუპაციებზე გავაკეთებთ. დისერტაციის ამ თავში ჩვენ, საერთო ჯამში, 15 ოკუპაციას მიმოვიხილავთ და შევეცდებით ავხსნათ მათი წარმატების, თუ წარუმატებლობის მიზეზები. ასევე ჩავატარებთ ჩვენს მიერ მოყვანილი ჰიპოთეზის შემოწმებას (ცხრილი 1 და 2).

მე-20 საუკუნეში აშშ-ც და სსრკ-ც საკმაოდ ხშირად იყენებდნენ სამხედრო ინსტრუმენტს, როგორც ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთ საშუალებას. მათ მიერ განხორციელებული ოკუპაციების უმრავლესობა წარმატებით დასრულდა და სუპერსახელმწიფოებმა შეძლეს დასახული მიზნების მიღწევა.

### 5.2 აშშ-ის სამხედრო ოკუპაციები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ, მოკავშირე სახელმწიფოებმა მოახდინეს მისი ოკუპაცია. ქვეყანა, ფაქტობრივად, ორ ნაწილად გაიყო. აღმოსავლეთ გერმანიაში კრემლის დახმარებით კომუნისტური ხელისუფლება დამყარდა, ხოლო დასავლეთ გერმანია NATO-ს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში გაწევრიანდა.

ფაშიზმის დამხობის შემდეგ, აშშ და მისი ევროპელი მოკავშირეები დილემის

წინაშე აღმოჩნდნენ, რადგან ქვეყნის სახელმწიფო აპარატში მომუშავე და კერძო სექტორის წარმომადგენლების დიდი ნაწილი ნაცისტური პარტიის ყოფილი წევრები იყვნენ. ამავე დროს, საზოგადოების ნაწილი სოციალისტურ შეხედულებებს იზიარებდა და შედეგად, კომუნისტური საფრთხე სავსებით რეალური იყო. ნაცისტური პარტიის წევრების პოლიტიკიდან სრულად ჩამოცილებას შესაძლოა პრო-კომუნისტური ძალები გაეძლიერებინა ქვეყანაში, რაც კრემლის გავლენის გაძლიერებას შეუწყობდა ხელს. ოკუპაციის საწყის ეტაპზე დაწყებული ე.წ. დენაციფიკაციის, ანუ ნაცისტური პარტიის წევრების ქვეყნის მართვიდან სრული ჩამოცილების და განეიტრალების პოლიტიკა, მალევე შეიცვალა. თუმცა, ოკუპაციის პირველ წლებში, სანამ აშშ და სსრკ ე.წ. 'ცივ ომში' დაუპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, ვაშნიგტონი გულმოდგინედ ატარებდა დენაციფიკაციას.

გერმანელ ხალხს ერთგვარი 'კოლექტიური დანაშაულის' თანამონაწილედ თვლიდნენ და საკმაოდ მკაცრად ექცეოდნენ. მხოლოდ აშშ-ის მიერ კონტროლირებად საოკუპაციო ზონაში, 3.5 მილიონამდე ნაცისტური პარტიის ყოფილი წევრი იქნა გამოვლენილი, მათი საერთო რაოდენობა კი მოსახლეობის 10%-ს აღწევდა. გაცილებით მეტი ადამიანი, იყო  გაწევრიანებული სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში რომლებიც, ასევე ნაცისტური პარტიის კონტროლს ექვემდებარებოდა. ცხადი იყო, რომ ამ რაოდენობის ხალხის დასჯა კარგს ვერაფერს მოუტანდა ომის შედეგად დანგრეულ გერმანიას (German History in Documents and Images (1950). Volume 8. Occupation and the Emergence of Two States, 1945-1961 The Present Status of Denazification,).

პრეზიდენტი თრუმენი აღნიშნავდა, რომ: „ძალიან რთული იქნება იმათი გამოყოფა, ვისაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა ნაცისტურ რეჟიმთან და მის მიერ ჩადენილ დანაშაულებებთან“. მიუხედავად ამისა, ოკუპაციის პირველივე წლებში, 90 000-ზე მეტი ადამიანი იქნა დაპატიმრებული და 2 მილიონამდე გერმანელს  სახელმწიფო სამსახურში მუშაობა აეკრძალა (Truman Papers, Official File. OF 950B: Economic Mission as to Food and Its Collateral Problems. February 26, 1947).

1947 წლიდან, თეთრმა სახლმა  კომუნიზმის საფრთხის შეკავების პოლიტიკა წამოიწყო (თრუმენის დოქტრინა), რომლის ფარგლებშიც საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკური ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებები უნდა განხოციელებულიყო. აქედან გამომდინარე, ვაშინგტონში სულ უფრო ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი დენაციფიკაციის პოლიტიკით, რომელიც 1947 წლიდან საგრძნობლად შერბილდა და მის გატარებაზე პასუხისმგებლობა გერმანულ სამოქალაქო ხელისუფლებას და სასამრთლოებს გადაეცა. ნაცისტური პარტიის იმ წევრებს, ვინც მასობრივ დახვრეტებში და სხვა მძიმე დანაშაულებებში არ იყო მხილებული, ამნისტია შეეხოთ. მათ წინააღმდეგ შეწყდა ყოველგვარი დევნა.  მეტიც,  1949 – 1973 წლებში 170 ყველაზე ცნობილ მოსამართლესა და იურისტს შორის, 90 ყოფილი ნაცისტი იყო. 1957 წლისათვის კი, დასავლეთ გერმანიის სახელმწიფო აპარატში მომუშავე ადამიანების დიდ ნაწილს ნაცისტური წარსული ჰქონდა (C. Woody, 2016).

რამდენიმე წლის წინ, ბუნდესთაგის მიერ გამოქვეყნებული ნომერ 17/8134 დოკუმენტის თანახმად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ნაცისტური პარტიის ყოფილ წევრებს, ორ ათეულზე მეტი მინისტრის, ერთი პრეზიდენტისა და ერთი კანცლერის  თანამდებობა ეკავათ (Ralf Beste, and others, 2012).

ყოფილმა ნაცისტებმა ომის შემდგომი გერმანიის წარმატებულ ქვეყნად  ხელახლა გადაქცევაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს. სწორედ მათი დახმარებით მოხდა დასავლეთ გერმანიაში კომუნისტური ექსპანსიის შეჩერება და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფა. თავის მხრივ, ამერიკელი და მათი მოკავშირე ქვეყნების სამხედრო პირები იშვიათად ხდებოდნენ თავდასხმის ობიექტები და როგორც წესი თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე. 1951 წლისათვის, დენაციფიკაციის პოლიტიკა ოფიციალურად შეწყდა. ყოფილი მმართველი ელიტის მიმართ მეტ-ნაკლებად შემწყნარებლური პოლიტიკის გამო, აშშ-ის და მის მოკავშირეებს არ მოუწიათ ანტიპარტიზანული მომქანცველი კამპანიის წარმოება და მათ უდანაკარგოდ დატოვეს ქვეყანა.

ამავე პოლიტიკის შედეგი იყო ისიც, რომ 1949 წლიდან, საოკუპაციო ჯარების გაყვანის შემდეგ, ცივი ომის განმავლობაში, დასავლეთ გერმანია NATO-ს ბლოკის სამხედრო-პოლიტიკურ საყრდენს წარმოადგენდა და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა დასავლეთ ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხში.

ვაშინგტონში გერმანიის ოკუპაციის მეთოდებზე არაერთგვაროვანი შეხედულება არსებობდა. აშშ-ის ფინანთა მინისტრისა და გავლენიანი პოლიტიკოსის, ჰენრი მორგენთაუს გეგმის თანახმად, გერმანია, ძირითადად, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებით უნდა დაკავებულიყო და ინდუსტრიული მრეწველობა მთლიანად აკრძალულიყო. გეგმაში ყურადღება იყო გამახვილებული რურის ინდუსტრიულ ოლქზე და ხაზგასმით ეწერა, რომ რური „არის გერმანული ინდუსტრიული სიმძლავრის ქვაკუთხედი. ამ რეგიონიდან უნდა გაიტანონ დღეისათვის არსებული ყველა საწარმო და ის იმდენად უნდა დასუსტდეს, რომ მომავალშიც ვერ მოხდეს მისი ინდუსტიულ ცენტრად გარდაქმნა“ (Morgenthau H., 1945).

საბედნიეროდ, მორგენთაუს გეგმას მხარდაჭერა არ მიუღია და ის სისრულეში არ მოუყვანიათ. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი, ჰუვერი აღნიშნავდა, რომ გერმანიაზე ეკონომიკურ ზეწოლას ევროპისთვისაც არასასურველი შედეგები ექნებოდა და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა მისი აღდგენის მასშტაბურ გეგმას (Suri J., 2012, p-150).

გარკვეული წინააღმდეგობების მიუხედავად, ვაშინგტონმა საგარეო პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით, 1947 წლიდან შეზღუდვების უმრავლესობა მოხსნა და გერმანია რამდენიმე ათწლეულში კვლავ იქცა ევროპული ეკონომიკის ლოკომოტივად და მთავარ ინდუსტიულ ცენტრად.

1945–1955 წლების ავსტრიის ოკუპაცია აშშ-ის და მისი მოკავშირეების მიერ წარმატებული სამხედრო-პოლიტიკური მოქმედებების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ავსტრია, გერმანიის მსგავსად, საოკუპაციო ზონებად დაიყო, რომლებშიც საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, საფრანგეთის და

დიდი ბრიტანეთის სამხედრო კონტინგენტები განთავსდა.

საბჭოთა კავშირმა პირველმა აღიარა ავსტრიელი სახელმწიფო მოღვაწის, კარლ რენერის მიერ შექმნილი გარდამავალი მთავრობა და ამით ქვეყნის პოლიტიკურ მომავალზე ზეგავლენის მოხდენის მნიშვნელოვანი ბერკეტი ჩაიგდო ხელში. აშშ-ის და მისი მოკავშირეების მთავარ ამოცანას კრემლის გავლენის დასუსტება წარმოადგენდა. ამ მიზნით, ამერიკელებმა ქვეყნის პოლიტიკურ ელიტასთან ითანამშრომლეს და ეკონომიკური დახმარების ფართომასშტაბიანი პროგრამა წამოიწყეს.

საბჭოთა კავშირის მხრიდან საწყის ეტაპზე გადადგმული სწორი ნაბიჯები მომდევნო წლების მცდარი პოლიტიკითა და წითელარმიელების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროებით იქნა გაქარწყლებული. ავსტრიის ოკუპაციის განმავლობაში, საბჭოთა კავშირმა ქვეყნიდან მილიონობით დოლარის ქონება გაიტანა და ყოველმხრივ ცდილობდა შეეფერხებინა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. აშშ კი პირიქით, ხელს უწყობდა ქვეყნის აღდგენას და მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ცდილობდა ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებას. 1955 წელს, ავსტრიიდან გავიდა ყველა საოკუპაციო სამხედრო ძალა და ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. მიუხედავად ნეიტრალური სტატუსისა, ქვეყნის საგარეო ორიენტირები აშკარად პროდასავლურ ხასიათს ატარებდა და კომუნისტებმა ვერ მოახერხეს ქვეყანაში მათთვის სასურველი რეჟიმის დამყარება.

იაპონიის ოკუპაციის დროს, აშშ-ს, გერმანიის მსგავსად, არ დაუწყია ადგილობრივი ელიტების სისტემური დევნა-შევიწროება. ამერიკელებმა აქცენტი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენაზე გააკეთეს. ამ მიზნით, 1946-52 წლებში, გრანტების სახით გამოიყო 1.7 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო სესხების სახით, 0.5 მილიარდი დოლარი, საერთო ჯამში 2.2 მილიარდი დოლარი (2005 წლის კურსით, 15.2 მილიარდი დოლარი) (Serafino N., Tarnoff C., & Nanto D. K. 2006, p-5).

გერმანიის მსგავსად, იაპონიის ოკუპაციაც ორ ფაზად შეგვიძლია დავყოთ.

პირველი, 1945 - 1947 წლების ფაზა, მოიცავდა ომის გაჩაღებასა და სამხედრო დანაშაულებებში მონაწილე პირების გასამართლებას, ასევე არმიისა და ფლოტის დაშლას. ყოფილ სამხედროებს აეკრძალათ პოლიტიკური თანამდებობების დაკავება. ამავე პერიოდში განხორციელდა მსხვილი ბიზნესკორპორაციების, ე.წ. ზაიბათსუების შედარებით მცირე კომპანიებად დაშლა. გარდა ამისა, გატარდა მიწის რეფორმაც, რომლის ფარგლებშიც მსხვილ მიწათმფლობელებს ჩამოერთვათ მათ საკუთრებაში არსებული ქონების დიდი ნაწილი და ის წვრილ ფერმერებს გადაეცა (US office of Historian, 1945–52).

მეტწილად, სწორედ ამ რეფორმებმა განაპირობა ეკონომიკური კრიზისი იაპონიაში. აღმოსავლეთ აზიაში და განსაკუთრებით კი ჩინეთში კომუნიზმის სწრაფმა გავრცელებამ იაპონიაც საფრთხის ქვეშ დააყენა და ამერიკელებმა დაიწყეს ახალი, უფრო ლიბერალური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ეკონომიკურ აღმავლობაზე იყო ორიენტირებული. 1950 წელს კორეაში დაწყებულმა ომმა კი იაპონიას საშაულება მისცა გაეჯანსაღებინა საკუთარი ეკონომიკა, რადგან გაეროს ეგიდით მოქმედი შეიარაღებული ძალები, უმეტესად, სწორედ იაპონიიდან მარაგდებოდნენ.

განსაკუთებული როლი ითამაშა ასევე იაპონიის იმპერატორთან თანამშრომლობამ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ახალი კონსტიტუცია ზღუდავდა იმპერატორის უფლებებს, ჰიროჰიტო, ფორმალურად მაინც, ქვეყნის სიმბოლურ ლიდერად რჩებოდა და პრივილეგიების დიდ ნაწილს ინარჩუნებდა. ამავე დროს, ამერიკელებმა სიკვდილით დასაჯეს იაპონიის პრემიერ მინისტრი ჰიდეკი ტოდზიო, რომელსაც ომის გაჩაღება და ტყვეების არაადამიანური მოპყრობის ხელშეწყობა ედებოდა ბრალად. ამავე ბრალდებით შეიძლებოდა იმპერატორის დასჯაც, რომელიც ქვეყნის მეთაური იყო.

ჰიროჰიტო იყო იაპონიის სულიერი ლიდერი. შინტოიზმის თანახმად, იმპერატორი იყო ე.წ. *არაჰიტოგამი,* ანუ ცოცხალი ღმერთი. იაპონიაში შინტოიზმის იდეოლოგია აქტიურად გამოიყენებოდა მოსახლეობაში ნაციონალიზმის გასაღვივებლად და იმპერატორისადმი მორჩილების უზრუნველსაყოფად. შინტოიზმში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ღირსებას და მის დაცვას. სწორედ, ცხოვრების იაპონური წესის და

ღირსების დასაცავად სწირავდნენ თავს კამიკაძეები. შინტოს თანახმად, საერთო ეროვნული იდეალებისთვის თავგანწირვა ადამიანს სიკვდილის შემდეგ სამუდამო სასუფეველში დაამკვიდრებდა (Toshio K., Dobbins J. C., & Gay S. 1981, 1-21).

ადვილი მისახვერდია, რომ იმპერატორის სიკვდილით დასჯის შემთხვევაში, მომქანცველი პარტიზანული ომი გარდაუვალი იქნებოდა. მისი შეწყალებით კი, ამერიკელებმა უამრავი იაპონელი მათდამი სასიკეთოდ განაწყვეს. გარდა ამისა, ჰიროჰიტო აქტიურად უჭერდა მხარს ამერიკის პოლიტიკის გატარებას. მან ხელი მოაწერა ქვეყნის ახალ კონსტიტუციას, რომლის თანახმად, იაპონიის ნახევრადფეოდალური წეს-წყობილება დემოკრატიულით შეიცვალა და სადაც იმპერატორი აღარ წარმოადგენდა ქვეყნის რეალურ ხელისუფალს, ის ქვეყნის სიმბოლოს და იაპონიის ერთობას განასახიერებდა. ახალი კონსტიტუციის თანახმად, ქვეყანაში ახალი, უფრო დემოკრატიული წყობა მყარდებოდა. გათანაბრდა ქალთა და მამაკაცთა უფლებებიც. შეიზღუდა არისტოკრატიის გავლენები. ჰიროჰიტოს მხარდაჭერის გარეშე, ამერიკელებს გაუჭირდებოდათ მსგავსი ტიპის ცვლილებების გატარება და ქვეყნის რეფორმირება (Constitution of Japan 1947).

საწყის ეტაპზე განხორციელებული ზეწოლის გამო, განსაკუთრებით კი, იაპონური მსხვილი კორპორაციების შევიწროვებისა და მიწის რეფორმის გამო, ქვეყანაში კომუნიზმის გავრცელების საფრთხე სულ უფრო რეალური ხდებოდა. სწორედ ამის გამო, იაპონიის ამერიკულმა ადმინისტრაციამ, გენერალ მაქართურის ხელმძღვანელობით, რადიკალურად შეცვალა გეზი და დაიწყო ზრუნვა იაპონიის ეკონომიკურ აღორძინებაზე. სახელმწიფო მოხელეთა უმრავლესობამ თანამდებობები შეინარჩუნა (Weintraub S. 2012). ასევე, ციხეებიდან გაათავისუფლეს ომის შემდგომ დაკავებული ადამიანებიც და იაპონურმა მსხვილმა საწარმოებმაც, რეფორმირების შემდეგ კვლავ განაგრძეს ფუნქციონირება (Schaller M., 1985, Chpt 7).

პოლიტიკის შერბილების წყალობით, თავიდან იქნა აცილებული ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის პრობლემები. ოკუპაციის განმავლობაში თითქმის არ

იყო თავდასხმები ამერიკულ სამხედრო კონტინგენტზე. ჯარების გაყვანის შემდეგ იაპონია მოწინააღმდეგიდან რეგიონში ამერიკის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მოკავშირედ იქცა და დღესაც დიდ როლს თამაშობს აშშ-ის გეოპოლიტიკური ინტერესების დაცვის საკითხში.

აშშ-ის მიერ კორეის ოკუპაცია 1945-1948 წლებში დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. პირველ რიგში, ამერიკელების მიერ კორეის ოკუპაციის მომენტში ის არ წარმოადგენდა სუვერენულ სახელმწიფოს და 1905 წლის შემდეგ იაპონიის მიერ იყო ოკუპირებული. ქვეყნის მართვას კი ტოკიოდან დანიშნული ადმინისტრაცია ახორციელებდა. მეორე მსოფლიო ომში იაპონიის მარცხის შემდეგ, კორეაში სსრკ-მ და ამერიკამ შექმნეს საოკუპაციო ზონები. ვაშინგტონმა მის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის სამართავად ყოფილი იაპონური ადმინისტრაციის გამოყენება დაიწყო, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება და პროტესტი გამოიწვია. შედეგად, ამერიკელმა სამხედროებმა თავად ჩაიბარეს ქვეყნის მართვა და იაპონელები მრჩევლებად აიყვანეს (Stueck, W., & Yi, B. 2010, p-186).

ოკუპაციის საწყის წლებში კორეაში ფაქტობრივად არ არსებობდა კვალიფიციური მუშა ხელი, განსაკუთრებით ინჟინრები და ტექნიკოსები. ეს პროფესიები ძირითადად იაპონელების მიერ იყო ათვისებული და ადგილობრივებს თითქმის არ ჰქონდათ კომპეტენციები ამ სფეროში. პრობლემას ართულებდა ასევე ის ფაქტიც, რომ ქვეყნის ინდუსტრია ძირითადად ჩრდილოეთში იყო კონცენტრირებული, რომელსაც საბჭოთა კავშირის მიერ დანიშნული ხელისუფლება აკონტროლებდა.

საწყის ეტაპზე, ამერიკელები არ იჩენდნენ ინტერესს კორეის მიმართ და არც ქვეყნის შიგნით მიმდინარე საპროტესტო მოძრაობებს აქცევდნენ ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ კორეა მეორე მსოფლიო პერიოდში და მანამდეც, თავად იყო ოკუპირებული სახელმწიფო და მისი მოსახელობა სიდუხჭირეში ცხოვრობდა, ამერიკელები კორეელებს არ აგრძნობინებდნენ, რომ ისინი განთავისუფლებულები იყვნენ იმპერიალისტური ზეწოლისგან. პირიქით, იაპონური ადმინისტრაციის ნაწილი

კვლავ ქვეყნის დე-ფაქტო მმართველებად რჩებოდნენ და ვითარებაც ნელ-ნელა უარესდებოდა. აშშ-ის მოქმედებებით იმედგაცრუებული ინტელიგენციის ნაწილი ჩრდილოეთ კორეაში გადასახლდა (Armstrong C. K. 2003, p-74). 1947 წლიდან, როდესაც კორეაში კომუნისტური მოძრაობა გაძლიერდა და დაიწყო დაპირისპირება აშშ-ს და სსრკ-ს შორის, ვაშინგტონმა რადიკალურად შეცვალა მიდგომა. დაიწყო ანტიკომუნისტური საინფორმაციო კამპანია და ამერიკის პოზიტიური იმიჯის პროპაგანდა კორეაში. ასევე, გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები ქვეყანაში შექმნილი დაძაბულობის განსამუხტად (Armstrong C. K. 2003, p 71-79).

აშშ-ის ხელშეწყობით, სამხრეთ კორეაში შეიქმნა დემოკრატიული პარტია, რომელშიც, ძირითადად, მსხვილი მიწათმფლობელები, ბიზნესმენები და კოლონიური ხელისუფლების ყოფილი წევრები გაერთიანდნენ. ქვეყანაში აქტიურად მოქმედებდნენ კომუნისტებიც, თუმცა ცივი ომის დაწყების შემდეგ, მათ სამხრეთ კორეაში საქმიანობა აეკრძალათ. მოსახლეობის ხშირი გამოსვლები და პროტესტი ძირითადად განპირობებული იყო დამოუკიდებლობის მოთხოვნით, მძიმე სოციალური პირობებით და ქვეყნის მართვაში იაპონელების მონაწილეობის მიუღებლობით. ამერიკელებმა იაპონელები ეტაპობრივად ჩაანაცვლეს კორეელებით, რომლებმაც ინგლისური ენა იცოდნენ და გარკვეული კავშირები ჰქონდათ აშშ-ის მისიონერებთან და ქრისტიანულ ორგანიზაციებთან (Stueck W., & Yi, B. 2010, 177-209).

ქვეყანაში ვაშინგტონისათვის სასურველი პოლიტიკური ლანდშაფტის შექმნის მიზნით, გენერალმა ჰოდჯმა, რომელიც აშშ-ის სამხედრო ძალებს ხელმძღვანელობდა და ფაქტობრივ მმართველს წარმოადგენდა, დაიწყო მემარჯვენე ორიენტაციის მქონე პარტიების მხარდაჭერა და მემარცხენეთა შევიწროვება, რაც თავის მხრივ ართულებდა ქვეყანაში შექმნილ ვითარებას (Stueck W., & Yi, B. 2010, 177-209).

თავდაპირველად, კორეის ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გაყოფა არ შედიოდა ვაშინგტონის გეგმებში. 1943 წელს ხელმოწერილი ქაიროს დეკლარაციის თანახმად, სსრკ და დასავლელი მოკავშირეები თანხმდებოდნენ, რომ კორეა დამოუკიდებელ

სახელმწიფოდ უნდა ჩამოყალიბებულიყო (Young Ick Lew 2000, p-28). თუმცა, ცივი ომის გამო, კრემლი და ვაშინგტონი ვერ შეთანხმდნენ რომელი პოლიტიკური ძალა უნდა მოსულიყო კორეის ხელისუფლებაში.

ცივი ომის დაწყებამ და საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულმა წარმატებებმა ჩრდილოეთ კორეაში სხვა ალტერნატივა არ დაუტოვა ამერიკელებს. მემარჯვენე ორიენტაციის მქონე პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, ვაშინგტონის მხარდაჭერით, შეძლეს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში კომუნისტებისგან თავისუფალი სახელმწიფოს შექმნა, სადაც ძველმა ელიტებმა შეინარჩუნეს საკუთარი ქონება და გავლენა. კომუნისტებმა და მემარცხენე ელიტის დიდმა ნაწილმა კი ჩრდილოეთში გადაინაცვლა (Armstrong C. K. 2003, p-77).

1948 წელს, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, სამხრეთ კორეამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მისი პირველი პრეზიდენტი, ლი სინ მანი, მკვეთრად პროამერიკული კურსის გამტარებელი იყო. გაპრეზიდენტებამდე ის აქტიურად ეწინააღმდეგებოდა იაპონურ კოლონიურ ადმინისტრაციას და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლის იმიჯი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მან არ დაიწყო ადგილობრივი ელიტების შევიწროვება, რომლებიც იაპონელებთან თანამშრომლობდნენ. მეტიც, პოლიციელებსა და სახელმწიფო აპარატის წევრებს, რომლებიც კოლონიურ ადმინისტრაციაში მუშაობდნენ, შეუნარჩუნდათ სამუშაო ადგილები და ისინი არავის შეუვიწროვებია. საგულისხმოა, რომ პოლიციელების ნახევარზე მეტი, იაპონიის საოკუპაციო რეჟიმის დროსაც, სამართალდამცავ სისტემაში მუშაობდა (Han S. J. 1974, p 10-12).

ვაშინგტონში ხვდებოდნენ, რომ მხოლოდ ამ ტიპის ძალას შეეძლო კომუნისტური ექსპანსიის შეჩერება კორეაში. ქვეყანაში, ფაქტობრივად, მემარჯვენე ძალების დიქტატურა დამყარდა, რომელიც მალევე, თითქმის, 30 წლიანმა სამხედრო დიქტატურამ ჩაანაცვლა (Young Ick Lew 2000, p 26-28). მიუხედავად ამისა, კორეაში ეფექტური ეკონომიკური რეფორმები ჩატარდა და ქვეყანამ სწრაფი ტემპით დაიწყო განვითარება.

ქვეყნის ბურჟუაზიული ელიტისა და მემარჯვენე ძალების ერთობლივმა ძალისხმევამ, ვაშინგტონის მხარდაჭერით, სასურველი შედეგი გამოიღო. გავლენიან ელიტებთან სწორი მუშაობით, ამერიკელებმა შეძლეს კორეის დასტაბილურება და მისი სწრაფი განვითარების უზრუნველყოფა. კორეა, იაპონიის მსაგვსად, ამჟამადაც ამერიკის სტრატეგიულ მოკავშირეს წარმოადგენს.

ვიეტნამის სამხედრო კამპანია აშშ-თვის  უაღრესად მძიმე გეო-პოლიტიკური შედეგებით დასრულდა. ვაშინგტონი იძულებული გახდა გაეყვანა შეიარაღებული ძალები სამხრეთ ვიეტნამიდან, რომელიც კომუნისტებმა დაიკავეს. ეს იყო ცივი ომის განმავლობაში ყველაზე მტკივნეული და მასშტაბური მარცხი, რომელიც ვაშინგტონმა კრემლთან და კომუნიზმთან ბრძოლის დროს განიცადა.

ვიეტნამის სამხედრო კამპანიის მთავარ მიზანს კომუნიზმის სამხრეთ ვიეტნამში გავრცელების აღკვეთა წარმოადგენდა, რასაც ამერიკელებმა ვერ მიაღწიეს. თეთრ სახლში ვარაუდობდნენ, რომ რეგიონის რომელიმე სახელმწიფოში კომუნისტების გამარჯვება ‘დომინოს პრინციპით’ მეზობელ სახელმწიფოებშიც გამოიწვევდა კრემლის მიმართ ლოიალური რეჟიმების მოსვლას ხელისუფლებაში. პრეზიდენტ თრუმენის და ეზენჰაუერის ადმინისტრაციაში მიაჩნდათ, რომ პრო-დასავლურ ვიეტნამს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის რეგიონში კომუნისტური საფრთხის შესაჩერებლად (Clayton D. Laurie, 2016).

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ვიეტნამში კომუნისტების მხარდაჭერით შეიქმნა ვიეტ მინის მოძრაობა (ვიეტნამის დამოუკიდებლობის ლიგა), რომელსაც ჰო ში მინი ჩაუდგა სათავეში, ხოლო სამხედრო ფრთის მეთაურად გენერალი გიაპი განაწესეს. იაპონელების დამარცხების შემდეგ, ვიეტნამელები ფრანგებს დაუპირისპირდნენ და დიენ ბიენ ფუს ბრძოლაში გამარჯვებით,  აიძულეს  ისინი ქვეყანა დაეტოვებინათ. 1954 წელს ჟენევაში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, ვიეტნამი მე-17 პარალელის გასწვრივ ორ ნაწილად გაიყო. ჩრდილოეთ ნაწილი კომუნისტებმა ჩაიგდეს ხელში, ხოლო სამხრეთში ყოფილი იმპერატორი ბაო დაი გახდა ქვეყნის მმართველი, რომელიც ფრანგების

კოლონიური ხელისუფლების პერიოდშიც ფორმალურ ხელისუფალს წარმოადგენდა.

ვინაიდან ყოფილი იმპერატორი, ბაო, ძირითადად, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოგზაურობდა, სამხრეთ ვიეტნამის რეალურ მმართველად ამერიკელების მიერ მხარდაჭერილი პრემიერ მინისტრი, ნგო დინ დიემი ითვლებოდა. 1955 წელს, ამ უკანასკნელმა რეფერენდუმი ჩაატარა, რომლის საფუძველზეც ქვეყანაში გაუქმდა მონარქია და შეიქმნა რესპუბლიკური მმართველობა, პირველი პრეზიდენტიც თავად დიემი გახდა. გამომდინარე იქედან, რომ რეფერენდუმის შედეგები გაყალბდა, ახალ ხელისუფლებას არ ჰქონდა ხალხის მიერ მინიჭებული ლეგიტიმაცია. თუმცა, აშშ-ის მხარდაჭერით, დიემმა შეძლო ქვეყნის შიგნით საკუთარი პოზიციების გამყარება (Chapman J. M. 2013, p 166-168).

დიემი კათოლიკე იყო და ქვეყანაში მკვეთრად ანტიკომუნისტური კამპანია წამოიწყო, რომლის დროსაც ათასობით ადამიანი დახვრიტეს, აწამეს და დააპატიმრეს. თუმცა, რეპრესიები ყოფილი იმპერატორის მომხრეების წინააღმდეგაც ჩატარდა. მეტიც, ზეწოლა განხორციელდა ყველა იმ პოლიტიკური გაერთიანების მიმართ, რომელიც დიემს აკრიტიკიებდა და არ იზიარებდა მის შეხედულებებს. იმპერატორის მომხრეებს, ბუდისტებს და სხვადასხვა რელიგიური სექტის წევრებს ‘ფეოდალისტებს’ უწოდებდნენ და ყოველმხრივ ავიწროვებდნენ. ასე მაგალითად, 1955 წელს, ქუანგის პროვინციაში კომუნისტების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების პარალელურად განხოციელდა ანტი-კომუნისტური დაი ვიეტის პარტიის დევნაც, რომლის წევრებიც დახვრიტეს, დააპატიმრეს, ან იძულებული გახადეს დაეტოვებინათ ქვეყანა (Senator Gravel Edition 1971, p 314-320).

დიემს, მიაჩნდა, რომ მხოლოდ კათოლიკებს უნდა ჰქონოდათ პრივილეგიები. ის ყოველმხრივ ავიწროვებდა ბუდისტებსა და ვიეტნამის ხალხური რელიგიის მიმდევრებს. კათოლიკები ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 10%-ს შეადგენდნენ და მათი უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება ვიეტნამელების ძლიერ უკმაყოფილებას იწვევდა. დიემის მინისტრთა კაბინეტი თითქმის მთლიანად, კათოლიკებით იყო დაკომპლექტებული.

ჯარშიც და საჯარო სამსახურშიც უპირატესობა და კარიერული წინსვლის პერსპექტივა სწორედ ამ რელიგიის მიმდევრებს ჰქონდათ. გარდა ამისა, დიემი და მისი ძმა თუქი, რომელიც ვიეტნამის ეპისკოპოსი იყო, აქტიურად ეწეოდნენ კათოლიციზმის პროპაგანდას ქვეყანაში (Jones H., 2003, p-248).

ვიეტკონგის პარტიზანების შეტევების მოსაგერიებლად, მხოლოდ კათოლიკე მოსახლეობას ურიგებდნენ იარაღს. კათოლიკე მღვდლების ნაწილს საკუთარი შეიარაღებული ფორმირებებიც კი ჰყავდათ, რომლებიც ხშირად თავს ესხმოდნენ ბუდისტურ პაგოდებს და სხვა რელიგიური დანიშნულების ნაგებობებს. იყო ძალის გამოყენებით მოსახლეობის კათოლიკედ მოქცევის შემთხვევებიც. დახმარების მისაღებად და დიემის რეჟიმის მხრიდან შევიწროვების, ან სულაც გადასახლების თავიდან ასაცილებლად, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი კათოლიკობას იღებდა (Shono, Jr.  L. D. 2013, p-186-189).

ეკლესია ყველაზე მსხვილი მიწათმფლობელი იყო ვიეტნამში. მას მთავრობა მიწების შესასყიდად შეღავათიან პირობებს სთავაზობდა. კათოლიკები ასევე გათავისუფლებულნი იყვნენ სამუშაო ბეგარისგან, რომელიც დანარჩენ მოსახლეობას მკაცრად მოეთხოვებოდა. ქვეყანაში შემოსული ჰუმანიტარული დახმარებაც, პირველ რიგში, კათოლიკებს ურიგდებოდა. კათოლიკებს ჰქონდათ საგადასახადო შეღავათები, ბიზნესის წამოწყებაც და მიწის ნაკვეთის მიღებაც, მათ სხვებთან შედარებით, მარტივად შეეძლოთ. ჯარშიც, მაღალ თანამდებობებზე  ძირითადად კათოლიკები ინიშნებოდნენ, რის გამოც ბევრმა სამხედრო მოსამსახურემ კათოლიკობა მიიღო (Shono, Jr.  L. D. 2013, p-186-189).

დიემი ქვეყანაში მცხოვრებ ჩინელებსაც დაუპირისპირდა და მათ ვიეტნამის მოქალაქეობის მიღება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მათ ქონების ჩამორთმევითა და ბიზნესების დახურვით დაემუქრა. ჩინელები, ძირითადად, ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი და მნიშვნელოვანი წვილილი შეჰქონდათ ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების საქმეში. პოლიტიკის გამკაცრების საპასუხოდ, მათ დროებით შეწყვიტეს

ბრინჯის ექსპორტი და შეაფერხეს ტვირთბუნვა საიგონსა და მის მეზობლებს შორის (Jacobs S., 2006, p-91).

ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშები დღესასწაულებისა და მთავრობის მომხრეთა მიერ ორგანიზებული შეკრებების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. ამავე დროს, ბუდისტებს და სხვა რელიგიის მიმდევრებს ეკრძალებოდათ საკუთარი სიმბოლიკის გამოყენება. ერთ-ერთ ბუდისტურ დღესასწაულზე რელიგიური სიმბოლიკის გამოყენებას დემონსტრაციის ძალისმიერი დაშლა და მსხვერპლი მოჰყვა. ამ მოვლენამ, თავის მხრივ, ბიძგი მისცა ბუდისტების მასობრივ გამოსვლებს ქვეყნის მასშტაბით და უაყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის შიდა სტაბილურობაზე. სამხრეთ ვიეტნამში ე.წ. 'ბუდისტური კრიზისი' დაიწყო, რომელშიც მალე დიემთან დაპირისპირებული ყველა ძალა ჩაერთო (Jones H., 2003, p-247).

პოლიტიკური კრიზისი, 1963 წელს, სამხედრო გადატრიალებით და დიემის მკვლელობით დასრულდა. ვაშინგტონში ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ქვეყანაში გადატრიალება მზადდებოდა (CIA, The Vietnam Collection, 1963). პრეზიდენტი ჯ. ფ. კენედი, ვიეტნამში, აშშ-ის ელჩისთვის გაგზავნილ დეპეშაში, აღნიშნავდა: „ეს იყო ვიეტნამელების თაოსნობით განხორციელებული მოქმედება. თუმცა, მანამდე, ჩვენ მათ მივანიშნეთ, რომ ცვლილებები გვსურდა, რასაც დიემის ხელისუფლება არ აკეთებდა, შესაბამისად, ჩვენ დავუშვით იმის ალბათობა, რომ ჩვენს პოზიციას შეეძლო ხელისფლების ცვლილება გამოეწვია" (Foreign relations of the United States, 1961–1963, August–December,1963).

დიემის ჩამოცილებას სამხრეთ ვიეტნამისთვის სტაბილურობა არ მოუტანია. პირიქით, ქვეყანაში ზედიზედ რამდენიმე სამხედრო გადატრიალება მოხდა და ქაოსმა დაისადგურა (რუკა 7). ვითარების მეტ-ნაკლებად დასტაბილურებას, თითქმის ორი წელი და აშშ-ის სამხედრო კონტინგენტის მნიშვნელოვნად გაზრდა დასჭირდა. დიემის ჩამოგდებამდე, პენტაგონს ქვეყანაში დაახლოებით 16 000 სამხედრო ჰყავდა, ხოლო 1965 წელს, მათი რიცხვი უკვე 200 000 აღწევდა, 1968 წლისათვის კი - 500 000-ს გადააჭარბა

(American War Library, Vietnam War Allied Troop Levels 1960-73).

მიუხედავად შეცდომებისა, 1963 წლისათვის, დიემი მაინც ყველაზე კარგი კანდიდატურა იყო ქვეყანაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად. დიდი ალბათობით, ვაშინგტონმა გარკვეული როლი ითამაშა მისი ხელისუფლებიდან ჩამოცილების საქმეში და შეეცადა ვითარება უკეთესობისაკენ შეეცვალა, თუმცა, საპირისპირო შედეგი მიიღო. აშშ-მ, ფაქტობრივად, მის მიერვე შექმნილ და მხარდაჭერილ ელიტას მიაყენა დარტყმა და კომუნისტურ კონტრელიტას გაუმყარა პოზიციები სამხრეთ ვიეტნამში.

დიემი, როგორც კათოლიკე, თავიდანვე არასასურველი კანდიდატი იყო იმ ქვეყნის სამართავად, რომლის მოსახლეობის დიდ ნაწილს ბუდისტები და ადგილობრივი რელიგიის მიმდევრები წარმოადგენდნენ. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა კენედიმ სწორედ დიემს დაუჭირა მხარი (Jones H., 2003, p-4).

დიემის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ამერიკელები იძულებული გახდნენ თავად ეწარმოებინათ სამხედრო ოპერაციები ვიეტ კონგის წინააღმდეგ, რამაც თავის მხრივ, კატასტროფული სამხედრო დანაკარგები გამოიწვია. საერთო ჯამში, აშშ-მ, მხოლოდ დაღუპულების სახით, 1963-73 წლებში, 55 000-ზე მეტი სამხედრო დაკარგა. შედარებისთვის, 1956-62 წლებში, ომს მხოლოდ 100-მდე სამხედრო ემსხვერპლა (National Archives, Statistical information about casualties of the Vietnam War).

1968 წელს, ჩრდილოეთ ვიეტნამის სახალხო არმიის რეგულარულმა სამხედრო ნაწილებმა და ვიეტ კონგის პარტიზანებმა მოულოდნელად წამოიწყეს მსხვილმასშტაბიანი შეტევა სამხრეთ ვიეტნამის წინააღმდეგ, რომელიც ისტორიაში 'ტეტის' შეტევითი ოპერაციის სახელით შევიდა. თავდასხმები მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა და გამონაკლისი არც დედაქალაქი საიგონი აღმოჩნდა, სადაც აჯანყებულებმა აშშ-ის საელჩოშიც კი მოახერხეს შეჭრა.

აშშ-მ და სამხრეთ ვიეტნამის საჯარისო ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს ყველა შეტევა და უმძიმესი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს, რომელიც იძულებული გახდა

საწყის პოზიციებს დაბრუნებოდა. აშშ-ის სამხედრო კონტინგენტის მეთაური გენერალი ვესტმორლენდი, ‘ტეტის’ შეტევითი ოპერაციის დაწყებამდე, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში ვითარება მალე დასტაბილურდებოდა და გამარჯვება ახლოს იყო (Cosmas, G. A. 2007, p-17). კომუნისტების სამხედრო ფორმირებების მასშტაბურ შეტევას არავინ ელოდა და ის სრულ მოულოდნელობად იქცა ვაშნიგტონისათვის.

მიუხედავად ტაქტიკური სამხედრო წარუმატებლობისა, სტრატეგიულ კონტექსტში, ‘ტეტის’ შეტევითმა ოპერაციამ გარდამტეხი გავლენა მოახდინა ომის შემდგომ მსვლელობაზე. ვიეტკონგელებმა აჩვენეს, რომ აშშ ვერ ახერხებდა სამხრეთ ვიეტნამში სტაბილურობის უზრუნველყოფას.

მე-4 თაობის ომებში, აჯანყებულების ამოცანას სწორედ ოპონენტის გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე არაპირდაპირი ზემოქმედება წარმოადგენს, რომლის მიზანია დაარწმუნოს ისინი მარცხის გარდაუვალობაში. ვიეტკონგმა მოქმედებების უწყვეტობის შენარჩუნებით და ზეწოლის მუდმივი ზრდით აიძულა ამერიკელები ვიეტნამიდან ჯარები გაეყვანათ. საბრძოლო დანაკარგების ზრდასთან ერთად, აშშ-ში ომის მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა.

1969 წლიდან, ამერიკელებმა ეტაპობრივად დაიწყეს ქვეყნიდან საკუთარი სამხედროების გაყვანა. თავდაპირველად, მათ საკუთარი ქვედანაყოფები სასაზღვრო რაიონებიდან ქვეყნის შიგნით გადააჯგუფეს. 1973 წელს, პარიზში, ხელი მოეწერა შეთანხმებას ვიეტნამში მშვიდობის დამყარების შესახებ, რომლის ფარგლებშიც აშშ-ის სამხედროებმა სრულად დატოვეს ქვეყანა და სამხედრო ოპერაციები სამხრეთ ვიეტნამელებს გადააბარეს (Agreement on Ending the War and Restoring Peace in Vietnam Paris, 27 January 1973).

ვიეტნამიდან ჯარების გაყვანის შემდეგ, ვაშინგტონში ხვდებოდნენ, რომ ვიეტკონგი გააძლიერებდა ზეწოლას საიგონზე და ახალ მსხვილმასშტაბიან სამხედრო ოპერაციას წამოიწყებდა, თუმცა იმედოვნებდნენ, რომ სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლება

შეძლებდა ამ საფრთხესთან გამკლავებას (CIA, The Vietnam Collection, 1973).

1974 წლის ბოლოსთვის, უკვე ცხადი იყო, რომ საიგონი კომუნისტებს ჩაუვარდებოდა ხელში, მაგრამ დამატებითი დახმარების აღმოჩენას უკვე აღარ ჰქონდა აზრი, რადგან ხელისუფლება ვეღარ აკონტროლებდა ვითარებას ქვეყნის შიგნით (CIA, The Vietnam Collection, 1975).

ვიეტნამში განცდილი ფიასკოს შემდეგ ამერიკელები, თითქმის 20 წლის მანძილზე არ იყენებდნენ სამხედრო ინსტრუმენტს და მხოლოდ 1983 წელს განახორციელეს სამხედრო ოპერაცია კუნძულ გრენადაზე, რომელიც ადგილობრივი ხუნტის განეიტრალებას და ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის აღდგენას ისახავდა მიზნად. ვაშინგტონი ასევე გეგმავდა კუბის და სსრკ-ის მიერ კუნძულზე ისეთი აეროდრომის მშენებლობის აღკვეთას, რომლიდანაც საბჭოთა სტრატეგიული ბომბდამშენი ავიაცია შეძლებდა ოპერირებას და საფრთხეს შეუქმნიდა აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს.

ცენტრალური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი ყოველთვის შედიოდა აშშ-ის გეოსტრატეგიული ინტერესების სფეროში. შესაბამისად, ვაშინგტონი აღნიშნულ რეგიონში აქტიურ სამხედრო პოლიტიკურ მოქმედებებს ახორციელებდა, რათა დაეცვა საკუთარი ეროვნული უსაფრთხოება და სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები.

საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ აშშ-ის პრეზიდენტ მონროს მიერ 1823 წელს გამოქვეყნებული დოქტრინის თანახმად, ამერიკის კონტინენტზე უნდა აღკვეთილიყო ევროპული სახელმწიფოების კოლონიური პოლიტიკა და დედამიწის ამ რეგიონში არსებულ ქვეყნებს უნდა მისცემოდათ დამოუკიდებლობა. ევროპელების მხრიდან სამხრეთ ან ჩრდილოეთ ამერიკაში ძალისმიერი ინტერვენცია ვაშინგტონის მხრიდან აღიქმებოდა, როგორც აშშ-ის მიმართ არამეგობრული ქმედება და გაეცემოდა შესაბამისი პასუხი (The Monroe Doctrine (1823) A portion of President James Monroe's Seventh Annual Message to Congress, December 2, 1823).

მიუხედავად ამ ერთი შეხედვით ლეგიტიმური ოპერაციის მიზნებისა, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ხმათა დიდი უმრავლესობით დაგმო ვაშინგტონის ეს მოქმედება. რეზოლუციაში ეწერა, რომ გენერალური ასამბლეა „ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გრენადაზე შეიარაღებული ინტერვენციის გამო, რომელიც დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევას წარმოადგენს“ (Assembly, U. G. (1983). Resolution on the situation in Grenada. A/RES/38/7. 2). ოპერაციას აქტიურად დაუპირისპირდა კუბაც, რომელსაც სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი ჰყავდა კუნძულზე.

სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად აშშ-მ შექმნა ოპერატიული დაჯგუფება, რომელიც ბევრად აღემატებოდა მოწინააღმდეგის ძალებს. ოპერაცია სულ რამდენიმე დღეს გაგრძელელდა და ამერიკელების დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ინტერვენციის დროს მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოვლინდა, რამაც ფუნდამენტური ცვლილებები განაპირობა აშშ-ის სამხედრო ძალებში. ოპერაციამ აჩვენა, რომ თანამედროვე ომში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სპეციალური დანიშნულების ძალებს და ჯარების სახეობებს შორის მოქმედებების კოორდინირებას. შესაბამისად, აშშ-ში შეიქმნა რეგიონალური სარდლობები, გადაიდგა ნაბიჯები მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად და შეიქმნა სპეციალური ოპერაციების გაერთიანებული სარდლობა (Public Law 99-433-OCT, 1986).

საერთო ჯამში, მიუხედავად საწყის ეტაპზე ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებისა, ამერიკელებმა შეძლეს მოსახლეობის კეთილგანწყობის მოპოვება. პირველ რიგში, მათ ხელისუფლებაში დააბრუნეს გრენადის გენერალ-გუბერნატორი, რომელიც ელიზაბედ II-ის წარმომადგენელი და ამავე დროს, ქვეყნის ფორმალური მმართველი იყო. 1984 წელს, კუნძულზე ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები, სადაც კონსერვატიულმა პარტიამ გაიმარჯვა, რითაც დასრულდა კუნძულზე მემარცხენეთა დომინირება.

1989 წელს, ამერიკელებმა წამოიწყეს სამხედრო კამპანია პანამაში. პანამა და იქ

არსებული არხი აშშ-თვის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს ინფრასტრუქტურულ ობიექტს წარმოადგენს. 1980-იან წლების ბოლოს, ვაშინგტონსა და პანამის დე-ფაქტო მმართველ, გენერალ მანუელ ნორიეგას შორის ურთიერთობები დაიძაბა. ნორიეგა წლების მანძილზე ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან თანამშრომლობდა და მხარს უჭერდა აშშ-ის ოპერაციებს ლათინურ ამერიკაში. ნარკოტიკების რეალიზატორებთან მისი კავშირების გამოაშკარავების შემდეგ, ვაშინგტონიდან მას გადადგომისკენ მოუწოდეს, რაზეც მან უარი განაცხადა. მეტიც, მისმა საგარეო ვექტორმა კრემლისა და კუბის მხარეს დაიწყო გადახრა, რამაც საფრთხე შეუქმნა აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს.

1989 წლის არჩევნების დროს, მასშტაბური გაყალბების ფაქტები გამოვლინდა. საპრტოტესტო აქციებზე გამოსული მოსახლეობა და ოპოზიციის ლიდერები კი გენერლის მხარდამჭერებმა დაარბიეს (Ratcliff R. 2002, p-84). ხელისუფლების დემოკრატიული გზით შეცვლის იმედი დაიკარგა და აშშ-მ, პრობლემის გადასაჭრელად, სამხედრო ინსტრუმენტი ჩართო. ვაშინგტონმა შემდეგი ამოცანები დაუსახა პენტაგონს: (1) აშშ-ის მოქალაქეების დაცვა (2) პანამის არხის შესახებ, შეთანხმების თანახმად, ამერიკის ინტერესების და უფლებების დაცვა (3) ნარკოდანაშაულთან ბრძოლა (4) პანამაში დემოკრატიის დაცვა (Phillips R. C. 2004, p-9).

კამპანიის მიზნებიდან გამომდინარე, ოპერაცია ორ ეტაპად ჩატარდა. თავდაპირველად მოხდა მოწინააღმდეგის შეირაღებული ფორმირებების განეიტრალება, პანამის არხზე სრული კონტროლის დამყარება და გენერალ ნორიეგას შეპყრობა. მეორე ეტაპზე კი, დაიწყო ოპერაცია „თავისუფლების მხარდაჭერა“, რომლის ფარგლებშიც გეგმაზომიერად განხორციელდა ადგილობრივი მთავრობისათვისათვის ხელისუფლების გადაბარება.

ოპერაციის დროს გამოვლინდა ხარვეზებიც. აშშ-ის შეიარაღებული ქვედანაყოფები, საწყის ეტაპზე, მხოლოდ მოწინააღმდეგის განეიტრალებით იყვნენ დაკავებული და მისი დამარცხების შემდეგ, გარკვეული დროის მანძილზე ქვეყანაში მართლწესრიგის აღდგენა ვერ მოხერხდა, რამაც უამრავი პანამელი დააზარალა.

ვაშინგტონს პრობლემები ჰქონდა ადგილობრივი სახელმწიფო აპარატის ფორმირების საკითხშიც (Conley W. J. 2001, p-17). გარდა ამისა, პანამის სამხედრო ოკუპაცია დაგმო საერთაშორისო საზოგადოებამაც.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემის მიუხედავად, თეთრი სახლის მიერ დასახული ყველა ამოცანა წარმატებით შესრულდა და აშშ-ის სამხედროებმა მალევე დატოვეს ქვეყანა. ოპერაციის წარმატების ქვაკუთხედი ამ შემთხვევაშიც ლიდერის სწორმა არჩევანმა განაპირობა. ინტერვენციის დაწყებისთანავე, გილიარმო ენდარა 1989 წელს გამართულ არჩევნებში გამარჯვებულად გამოცხადდა და ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი ჩაიბარა. მას მოსახლეობის დიდი ნაწილი უჭერდა მხარს და სწორედ ამის წყალობით მოხერხდა ვითარების შედარებით მოკლე დროში დასტაბილურება.

პანამის ოპერაციის დროს მიღებული გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბდა არასაომარი სამხედრო ოპერაციების დოქტრინა, რომელსაც აშშ დღესაც იყენებს პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში და ჰუმანიტარული ინტერვენციების დროს. აღნიშნული დოქტრინა ომის შეკავებასა და მშვიდობის დამყარებაზე არის ორიენტირებული (Department of Defense 1995, Joint Pub 3-07).

### 5.3 სსრკ-ის სამხედრო ოკუპაციები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

სსრკ-ის მიერ უნგრეთის ოკუპაცია, თითქმის, 50 წელი გრძელდებოდა და მხოლოდ 1990 წელს, წითელი არმიის სრულად გაყვანის შემდეგ დასრულდა. მეორე მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ კრემლმა მოახდინა უნგრეთის ოკუპაცია და ცდილობდა მისთვის სასურველი რეჟიმი მოეყვანა ხელისუფლებაში. თუმცა, 1945 წელს ჩატარებული არჩევნების შედეგად, კომუნისტებმა ხმების მხოლოდ 17 % მიიღეს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ზეწოლის შედეგად, მათ მოახერხეს ხელისუფლების

ფორმირებაში მონაწილეობის მიღება და მალე სრული კონტროლი დაამყარეს უნგრეთზე, 1949 წელს კი ქვეყანა სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადეს. კრემლის დახმარებით ქვეყანაში, ფაქტობრივად, ერთპარტიული მმართველობა დამყარდა, რომელსაც მათიას რაკოში ჩაუდგა სათავეში.

ომის შემდეგ უნგრეთი ურთულეს ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1947 წლის სამშვიდობო შეთანხმების საფუძველზე, უნგრეთი, როგორც გერმანიის ყოფილი მოკავშირე, იძულებული იყო, რეპარაციების სახით, 300 მილიონი აშშ დოლარი გადაეხადა სსრკ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიისათვის (Treaty of Peace with Hungary, Article 23, p-461). გარდა ამისა, უნგრეთის, დაახლოებით, 600 000 მოქალაქე სსრკ-ში იძულებითი სამუშაოების შესასრულებლად გადაასახლეს. მათი მესამედი უკან აღარ დაბრუნებულა (Stark, T. 2000, 109-118).

ქვეყნის სათავეში მყოფი მატიას რაკოში სტალინის მომხრე იყო და სასტიკ რეპრესიებს ატარებდა. სტალინის სიკვდილის შემდეგ, კრემლმა რაკოში აიძულა, პრემიერ მინისტრად შედარებით ლიბერალური შეხედულებების მქონე კომუნისტი, იმრე ნაგი დაენიშნა. ახალმა პრემიერმა დახურა გამოსასწორებელი შრომის ბანაკები და გაათავისუფლა პოლიტიკური პატიმრები, ასევე გაატარა ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ იყო მიმართული. ნაგიმ მალევე მოიპოვა ხალხის მხარდაჭერა და რომ არა რაკოშის მიერ მისი თანამდებობიდან მოხსნა, 1956 წლის კრიზისი, დიდი ალბათობით, არც დაიწყებოდა. მალე სტალინისტური შეხედულებების გამო, თავად რაკოშიც აიძულეს სსრკ-ში გადასახლებულიყო. კრემლმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როდესაც რაკოშის ნაცვლად ხელისუფლების სათავეში მისივე თანამებრძოლი ენრე გერო მოიყვანა, რომელსაც მოსახლეობაში თითქმის არ ჰყავდა მხადამჭერები. 1956 წელს, უნგრეთში რევოლუციამ იფეთქა, რომელიც ოკუპანტებთან შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

მოსახლეობის მოთხოვნით, იმრე ნაგიმ, ხელახლა დაიკავა პრემიერის პოსტი. მან ახალი ხელისუფლების ფორმირება დაიწყო და ქვეყნის ნეიტრალიტეტის შესახებ

განაცხადა. საპასუხოდ, 1956 წელს, სსრკ-მ და ვარშავის პაქტის სხვა წევრმა სახელმწიფოებმა  მოახდინეს უნგრეთის ოკუპაცია, რის შემდეგაც ხელისუფლებას ჩამოაშორეს და ფარულად სიკვდილით დასაჯეს ნაგი.

კრემლმა მისივე შექმნილ ელიტასთნ დაპირისპირებით და უნგრეთის კომპარტიის შიგნით მიმდინარე პროცესებში მუდმივი ჩარევით კატასტროფამდე მიიყვანა ვითარება. ოკუპაციის დროს უმნიშვნელოვანესია, რომ ხალხმა დაინახოს რეჟიმის სიმტკიცე და გაუჩნდეს სტაბილურობის განცდა. კრემლმა კი თვალნათლივ დაარწმუნა უნგრელები, რომ ქვეყნის ხელმძღვანელი პირები მისი მარიონეტები იყვნენ.

რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, საბჭოელებმა ქვეყნის სათავეში კომუნისტი იანოშ კადარი მოიყვანეს, რომელიც 1989 წლამდე მართავდა უნგრეთს. მოსკოვი აღარ ახდენდა ზეწოლას უნგრულ კომპარტიაზე და სწორედ ამით აიხსნება ოკუპაციის მეტ-ნაკლები წარმატება. კადარის 30 წლიანმა მართვამ  რეჟიმის მდგრადობის განცდა გააჩინა მოსახლეობაში. უნგრეთში ჩამოყალიბდა ე.წ. 'ნომენკლატურა', ანუ პოლიტიკური ელიტა, რომელსაც ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობა  ეკავა ქვეყანაში და  მხოლოდ კომპარტიის ლიდერების წინაშე იყო ანგარიშვალდებული.

მიუხედავად 1956 წლის რევოლუციისა, საბჭოთა ოკუპაცია მაინც საშუალოდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მომდევნო წლებში ქვეყანა სტაბილურად ვითარდებოდა და ანტიკომუნისტური განწყობების მიუხედავად, მაინც რჩებოდა ვარშავის პაქტის წევრად. კონტრელიტის წინააღმდეგ რეპრესიებისა და ერთპარტიული დიდქტატურის გამო, კრემლმა ვერ შეძლო უნგრეთში საკუთარი პოზიციების დაცვა. 1989 წლიდან, სსრკ-მ დაკარგა მასზე კონტროლი და იძულებული გახდა, გაეყვანა ჯარები.

საგულისხმოა, რომ უნგრეთის კონტრელიტა, ძირითადად, მემარცხენე ძალებისგან შედგებოდა და დაბალანსებული შიდა პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, კრემლს შესაძლოა უკეთესი შედეგისათვის მიეღწია. დღეისათვის, უნგრეთი აღმოსავლეთ ევროპის სხვა პოსტ-კომუნისტურ სახელმწიფოებთან ერთად, NATO-ს სამხედრო-

პოლიტიკური ბლოკის წევრია, რომელიც კრემლის ოპონენტს წარმოადგენს.

ჩეხოსლოვაკიაში მოვლენები უნგრეთის მსგავსი სცენარით განვითარდა. კომუნისტური პარტიის პირველ მდივნად ალექსანდრე დუბჩეკის არჩევის შემდეგ, ქვეყანაში შერბილდა რეპრესიული პოლიტიკა და დაიწყო ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას ისახავდა მიზნად. საპასუხოდ, კრემლმა ვარშავის პაქტის სხვა წევრებთან ერთად ჯარები შეიყვანა ქვეყანაში და სასტიკად გაუსწორდა მშვიდობიან მოსახლეობას, რომელმაც სცადა გაეპროტესტებინა მოსკოვის ეს ნაბიჯი. უნგრეთისგან განსხვავებით დუბჩეკის გუნდი ეტაპობრივად ჩაანაცვლეს კრემლის მიმართ ერთგული ადამიანებით. მიუხედავად საწყისი წარმატებისა, ამ ქვეყანაშიც დაემხო ერთპარტიული დიქტატი და 1989 წლიდან, კრემლმა ცენტრალური ევროპის ამ სახელმწიფოზეც დაკარგა კონტროლი.

უნრგეთისა და ჩეხოსლოვაკიისგან განსხვავებით, ბულგარეთის 1944–1947 წლების ოკუპაცია გაცილებით მშვიდად მიმდინარეობდა. 1944 წელს, სამხედრო გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მოსულმა კომუნისტებმა მალევე გააუქმეს მონარქია და 1946 წელს, ბულგარეთი სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადეს. არისტოკრატიის ნაწილი სიკვდილით დასაჯეს ან გადაასახლეს. ვარშავის პაქტის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ბულგარეთში მასიურ ანტიკომუნისტურ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია.

პოლონეთის ტერიტორიის დიდი ნაწილის ანექსია სსრკ-მ ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე 1939 წელს მოახდინა. 1944 წლიდან, მეორე მსოფლიო ომში გერმანელების დევნის პარალელურად, მოსკოვმა დაიწყო პოლონეთში მისთვის სასურველი დროებითი ხელისუფლების ფორმირება, რომელიც ძირითადად კომუნისტებისგან შედგებოდა. ქვეყნიდან გახიზნული ინტელიგენცია და ემიგრაციაში მყოფი მთავრობა კომუნისტებმა მალევე გარიყეს პოლიტიკური პროცესებიდან. ასე მაგალითად, სტანისლავ მიკოლაიჩიკი (პოლონეთის პრემიერი) და ყოფილი ხელისუფლების სხვა წევრები, რომლებმაც ომის შემდეგ კომუნისტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ეროვნული თანხმობის გარდამავალი მთავრობის ფორმირებაში,

1947 წლის არჩევნების შემდეგ აიძულეს დაეტოვებინათ ქვეყანა (Chojnacki P., 2009).

პოლონეთში აიკრძალა ყველა მემარჯვენე ორიენტაციის მქონე პარტიის საქმიანობა და მოხდა ნაცისტების წინააღმდეგ მებრძოლი ლიდერების იმ ნაწილის გასამართლება, რომლებიც კომუნისტებს ეწინააღმდეგებოდნენ (Pollack, D., & Wielgohs, J. (Eds.). 2004, p 10-11). 1948 წელს, პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტიისა და სოციალისტური პარტიის გაერთიანებით ქვეყანაში ფაქტობრივად ერთპარტიული დიქტატი დამყარდა.

კრემლის მხარდაჭერით პოლონელი კომუნისტები 1989 წლამდე ახერხებდნენ სტაბილურობის შენარჩუნებას. ქვეყნის ტერიტორიიდან გერმანელების გაძევებისა და სსრკ-დან პოლონელების გადმოსახლების შედეგად, პოლონეთი მონოეთნიკური სახელმწიფო გახდა. თუმცა, გაცილებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ 1947 წლის შემდეგ შეწყდა მასობრივი რეპრესიები, არ მოხდა კათოლიკური ეკლესიის განეიტრალება და არ ჩატარდა მასობრივი კოლექტივიზაცია (Brown A., 2009, p-212). 1947 წლის ამნისტიის შემდეგ, მემარჯვენე ძალების მიერ წარმოებული პარტიზანული მოქმედებები თითქმის შეწყდა და პოლონეთში განთავსებული სსრკ-ის ჯარების დასავლეთ დაჯგუფება, 1990 წლამდე, უპრობლემოდ ასრულებდა თავის ამოცანას.

რუმინეთი 1944 წლამდე, სსრკ-ის წინააღმდეგ იბრძოდა და ამის გამო, ოკუპაციის პერიოდში ათასობით რუმინელი სამხედრო გადაასახლეს საბჭოთა კავშირში. კრემლის დახმარებით ქვეყნის სათავეში კომუნისტები მოვიდნენ და ის სახალხო რესპუბლიკად გამოცხადდა, ხოლო მეფე მიხაი I აიძულეს ქვეყანა დაიტოვებინა.

აღმოსავლეთ ევროპული კომუნისტური სახელმწიფოების მსგავსად, რუმინეთშიც ერთპარტიული დიქტატი დამყარდა, რომლის სათავეშიც 1965 წლიდან ნიკოლაი ჩაუშესკუ მოექცა. უსაფრთხოების სამსახურების გამართული მუშაობის შედეგად, ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობა სრულად იქნა განეიტრალებული. რუმინეთის ოკუპაცია საშუალოდ წარმატებულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ამ შემთხვევაშიც, 1989 წელს, კრემლმა დაკარგა კონტროლი ამ სახელმწიფოზე.

ავსტრიის ოკუპაციის დროს, კრემლის მთავარი ამოცანა ხელისუფლებაში კომუნისტური რეჟიმების მოყვანა და NATO-ს ბლოკზე გეო-სტრატეგიული უპირატესობის მოპოვება იყო. გერმანია და ავსტრია მოკავშირეებმა და სსრკ-მ საოკუპაციო ზონებად დაანაწილეს. კრემლის მიერ კონტროლირებადი საოკუპაციო ზონებიდან სსრკ-ში გაიტანეს ფაბრიკა-ქარხნები და სხვა სახის მატერიალური ქონება. მოსახლეობაც ხშირად ხდებოდა საბჭოთა ჯარისკაცების მხრიდან თავდასხმის მსხვერპლი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიის დროებითი მთავრობა, კარლ რენერის ხელმძღვანელობით, სწორედ, საბჭოელების მხარდაჭერით შეიქმნა, მოსკოვმა მალე დაკარგა საკუთარი პოზიციები. 1955 წელს კი, საბჭოთა ჯარებმა ავსტრია დატოვეს. გერმანიისგან გასხვავებით, საბჭოელებმა ვერ მოახერხეს მათ კონტროლირებად ზონაში კომუნისტური ხელისუფლების დამყარება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც 1949 წელს შეიქმნა, მკაცრად კონტროლდებოდა უსაფრთხოების სამსახურების მიერ. გარდა ამისა, უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიისგან განსხვავებით კრემლი არ ახდენდა ძლიერ ზეწოლას ადგილობრივ კომუნისტურ ელიტაზე. შესაბამისად, აღმოსავლეთ გერმანიაში, უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიისგან განსხვავებით, კომუნისტური რეჟიმი სტაბილურობას ინარჩუნებდა. მიუხედავად ამისა, 1989 წელს, მოსკოვმა ამ სახელმწიფოზეც დაკარგა კონტროლი და ის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შეუერთდა. თუმცა, ვინაიდან გერმანიაში ხანგრძლივი დროის მანძილზე, მოსკოვის გეო-პოლიტიკური ინტერესების დაცვა ხერხდებოდა, ეს ოკუპაცია, ავსტრიისგან განსხვავებით საშუალოდ წარმატებულად უნდა ჩავთვალოთ.

საბჭოთა კავშირის მიერ ჩრდილოეთ კორეის სამხედრო ოკუპაცია, მის მიერ ჩატარებულ ამ ტიპის სხვა კამპანიებს შორის ყველაზე წარმატებული იყო. კომუნისტებმა ამ ქვეყანაში სტაბილური რეჟიმი შექმნეს, რომელიც სსრკ-ის დაშლის შემდეგაც არ ჩამოიშალა და დღემდე მართავს ქვეყანას. ამერიკელებისგან განსხვავებით, საბჭოელებმა იაპონელების კოლონიური ადმინისტრაცია მთლიანად ჩამოაშორეს მართვას და

სწრაფადვე დაიწყეს ქვეყნის რეფორმირება, რაც ქვეყანაში კომუნისტური მმართველობის დამყარებას ისახავდა მიზნად.

ყველა არასასურველი ელემენტი და მემარჯვენე შეხედულების მქონე ადამიანი აიძულეს სამხრეთ კორეაში გადასახლებულიყო. რეფორმის შედეგად, მსხვილი მიწათმფლობელების ქონება ღარიბ გლეხობას დაურიგდა და მოხდა მეწარმეების საკუთრებაში არსებული ქონების ნაციონალიზაცია. შედეგად, პლანტატორები და სხვა ბიზნესმენები სამხრეთში გადასახლდნენ. ქვეყანაში მიმდინარე ამ ცვლილებების დაგეგმვასა და შესრულებას საბჭოთა გენერალი ტერენტი შტიკოვი აკვირდებოდა. 1948 წელს, როდესაც სსრკ-მ ქვეყნიდან ჯარები გაიყვანა, იგი ელჩად დანიშნეს (Тертицкий Федор 2015).

ქვეყნის მმართველად საბჭოელებმა კიმ ირ სენი მოიყვანეს, რომელმაც, თავის მხრივ, კიმების ე.წ. დინასტიურ მმართველობას დაუდო სათავე და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი დიქტატურა ჩამოაყალიბა. ყველა ანტიკომუნისტის სამხრეთ კორეაში გაძევებით და ამავე დროს, სამხრეთ კორეიდან სოციალისტური შეხედულებების მქონე ადამიანების შემოსვლის წყალობით, ქვეყანაში მთლიანად განეიტრალდა ბურჟუაზიული კონტრელიტა. ვითარება არც კორეის ომის შემდგომ შეცვლილა და დღესაც, ამ ორივე სახელმწიფოში დიამეტრულად განსხვავებული მმართველობის ფორმები სტაბილურად ფუნქციონირებს. ჩრდილოეთ კორეაში მარქსიზმ-ლენინიზმი ეტაპობრივად ე.წ. 'ჩუჩხეს', ანუ თვითმყოფადობის კონცეფციამ ჩაანაცვლა. სსრკ-ის დაშლის შემდეგ, კორეის რეჟიმის მდგრადობის ერთ-ერთი განმაპირობებლი ფაქტორი სწორედ 'ჩუჩხეს' იდეოლოგია გახდა.

### 5.4 დასკვნა

დისერტაციის ამ ნაწილში ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა ელიტებზე განხორციელებულ ზეწოლასა და ოკუპაციის შედეგებს შორის არსებული მიზეზ-

შედეგობრივი კავშირი. ჩვენ განვიხილეთ  აშშ-ის და სსრკ-ის მიერ განხორციელებული 15 სამხედრო ოკუპაცია, აქედან, შვიდი წარმატებული იყო, ხოლო ექვსი შეგვიძლია საშუალო წარმატებად შევაფასოთ.

ვიეტნამის წარუმატებელი ოკუპაციის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ძლიერ ზეწოლას ელიტებზე. საშუალო წარმატებით დასრულებული ექვსი ოკუპაციიდან ოთხ შემთხვევაში განხორციელდა საშუალო ზეწოლა, ხოლო ორ შემთხვევაში - ძლიერი. ძლიერი ზეწოლის პირობებში, როგორც უნგრეთის, ასევე ჩეხოსლოვაკიის შემთხვევაში, დაიწყო რევოლუციური პროცესები, რომლებიც მხოლოდ საბჭოთა ჯარების შეყვანის და პოლიტიკური კომპრომისის მიღწევის შემდეგ განეიტრალდა.

ჩვენს მიერ ამ თავში განხილული მაგალითებიდან, მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოხერხდა სრული წარმატების მიღწევა, ელიტებზე საშუალო ზეწოლის პირობებში. ის ჩრდილოეთ კორეაში დაფიქსირდა, სადაც ქვეყანა ორ ნაწილად გაიყო და მემარჯვენე ძალებმა სამხრეთ კორეას შეაფარეს თავი, რამაც ვითარების განმუხტვას შეუწყო ხელი.

სსრკ-ის მიერ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მემარჯვენე ელიტების დევნამ გრძელვადიან პერსპექტივაში, უარყოფითი შედეგები მოუტანა კრემლს. თუმცა, საბჭოთა კავშირმა მაინც მოახერხა საშუალო წარმატების მიღწევა და ოკუპაციის მომენტისათვის არსებული სამხედრო-პოლიტიკური ამოცანების შესრულება.

მრავლისმთქმელია სამხრეთ ვიეტნამისა და სამხრეთ კორეის მაგალითების შედარება. ორივე სახელმწიფო ყოფილ კოლონიას წარმოადგენდა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გათავისფლდა კოლონიური მმართველობისგან. ვიეტნამიც და კორეაც ორ ნაწილად გაიყო, ერთ შემთხვევაში 38-ე, ხოლო მეორეში მე-17 პარალელების გასწვრივ. ორივე ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში პრო-საბჭოთა კომუნისტური რეჟიმები შეიქმნა, ხოლო სამხრეთში, პრო-ამერიკული მთავრობები მოვიდნენ სათავეში. როგორც ქვეყნის ფართობით და გეოგრაფიული მდებარეობით, ასევე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, კორეასა და ვიეტნამს შორის ბევრი მსგავსება იყო. სამხრეთ ვიეტნამში, 1950-იან

წლებში, 173 000კვ.კმ-ზე დაახლოებით 12 მილიონი ადამიანი სახლობდა, ხოლო სამხრეთ კორეაში, 100 000კვ.კმ-ზე 19 მილიონი. სამხრეთ კორეის ოკუპაცია მხოლოდ 3 წელიწადს გაგრძელდა, რის შემდეგაც ამერიკელებმა ქვეყნიდან ჯარები გაიყვანეს. ვიეტნამის ოკუპაცია კი აშშ-თვის კატასტროფული შედეგებით დასრულდა.

კორეის ომში, რომელიც 3 წელიწადს გაგრძელდა, აშშ-ის მხრიდან, დაახლოებით, 300 000 სამხედრო მონაწილეობდა. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის დაწყებიდან რამდენიმე თვეში ჩრდილოეთ კორეელებმა თითქმის მთელი ნახევარკუნძული დაიკავეს, სამხრეთ კორეელებმა შეძლეს სრულმასშტაბიანი კონვენციური შეტევის მოგერიება, კომუნისტების უკუგდება და სტატუს კვოს აღდგენა.

ვიეტნამის ომში აშშ-ის მხრიდან, დაახლოებით, ორჯერ მეტი სამხედრო მონაწილეობდა და კორეისგან განსხვავებით, მათ არცერთი მასშტაბური კონვენციური შეტაკება არ წაუგიათ. მიუხედავად ამისა, ვაშინგტონი იძულებული გახდა გაეყვანა ჯარები ვიეტნამიდან მაშინ, როდესაც ვიეტკონგი და ჩდილოეთ ვიეტნამი დღითიდღე აძლიერებდნენ ზეწოლას ადგილობრივ ხელისუფლებაზე. ვიეტნამში ვერ მოხერხდა კომუნისტების შეჩერება, რაც ვაშინგტონის მთავარ გეო-სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა.

ჩვენი აზრით, აშშ-ის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი სწორედ დიემის მიერ რელიგიურ და პოლიტიკურ ელიტებზე განხორციელებულ ზეწოლაში მდგომარეობდა. დიემმა მიზნად დაისახა თეოკრატიული დიქტატურის შექმნა და ყველა პოლიტიკური ოპონენტი გაანადგურა, ან აიძულა ქვეყნიდან გაქცეულიყო (Edward Miller, 2013, p-14). მისდამი ლოიალურად განწყობილი კათოლიკების დახმარებით, მან სცადა ახალი ელიტა ჩამოეყალიბებინა. ამ პროცესში, ის უმოწყალოდ ანადგურებდა უკვე არსებულ რელიგიურ-პოლიტიკურ ელიტებს, რომელთა უმრავლესობაც ასევე ანტიკომუნისტურად იყო განწყობილი. დროთა განმავლობაში, ამ ელიტების ნაწილი იძულებული გახდა ვიეტკონგთან ეთანამშრომლა. დიემის ხელისუფლებიდან ძალისმიერმა ჩამოცილებამ და ქვეყანაში შექმნილმა ქაოსმა კომუნისტების პოზიციები კიდევ უფრო გააძლიერა და

გარდაუვალი გახადა ვაშინგტონის მარცხი.

სამხრეთ ვიეტნამში ამერიკელებმა დიემს ჯერ საშუალება მისცეს, მეტ-ნაკლებად პროგრესული და ანტიკომუნისტური იდეოლოგიის კონტრელიტები ჩაეხშო, ხოლო ამის შემდეგ, ხელი შეუწყვეს თავად დიემის ხელისუფლებიდან ჩამოცილებას. შექმნილი ვაკუუმით ისარგებლეს კომუნისტებმა და სწორი სტრატეგიის შერჩევით აიძულეს აშშ გაეწირა საიგონის რეჟიმი. დიემის და მისი კლანის მხარდაჭერის გაგრძელების შემთხვევაში, დიდი ალბათობით შედეგი არ იქნებოდა ისეთი კატასტროფული, როგორც მისი დამხობის შედეგად დადგა.

სამხრეთ კორეაში, ვიეტნამისგან განსხვავებით, ხელისუფლებაში მოსულმა მემარჯვენე ძალებმა ამერიკელების დახმარებით შეძლეს ძალების გაერთიანება კომუნისტების წინააღმდეგ და ქვეყნის სტაბილური განვითარება უზრუნველყვეს. ამერიკელებმა ხელი შეუწყვეს პოლიტიკურ კონსენსუსს კორეაში და არ განუხორციელებიათ ზეწოლა ელიტებზე.

სამხრეთ ვიეტნამში კი, დიემმა ყველა ძალა საკუთარი ხელისუფლებისა და შესაბამისად, ამერიკელების წინააღმდეგ განაწყო. რეჟიმის ყველა მოქმედება, რომელიც რელიგიურ-პოლიტიკური ელიტების შევიწროვებას და დევნას ემსახურებოდა, რიგითი ვიეტნამელების მიერ ვაშინგტონის პოლიტიკის ნაწილად აღიქმებოდა.

მოცემულ თავში ჩვენს მიერ განხილული ოკუპაციებიდან სამ შემთხვევაში განხორციელდა ძლირი ზეწოლა ელიტებზე, ანუ ადგილი ჰქონდა როგორც მმართველი, ასევე არამმართველი ელიტების შევიწროვებას. სამიდან ერთ შემთხვევაში, ოკუპაცია სრული წარუმატებლობით დასრულდა, ხოლო ორ შემთხვევაში - საშუალო წარმატებით. საშუალოდ წარმატებული ერთი მაგალითი იყო სსრკ-ის მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია. ძლიერი ზეწოლის ფონზე ამ ქვეყანაში რევოლუცია დაიწყო, რომელიც კრემლმა დიდი ძალისხმევის შემდეგ გაანეიტრალა. მეორე შემთხვევაში, ძლიერი ზეწოლა განხორციელდა უნგრეთის ოკუპაციის დროს, რამაც 1956 წლის რევოლუცია გამოიწვია

ქვეყანაში. პროტესტის ჩახშობის შემდეგ უნგრეთზე ძლიერი ზეწოლა აღარ განხორციელებულა. მოსკოვი თავს იკავებდა უნგრეთის შიდა პოლიტიკაში ჩარევისგან და ქვეყანას თითქმის 30 წელი იანოშ კადარი და მისი ნომენკლატურული ელიტა მართავდა.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებში სსრკ-ის მიერ განხორციელებული ოკუპაციები 1989 წელს დასრულდა. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ რეგიონზე კონტროლის დაკარგვას, საბჭოთა ჯარების ავღანეთიდან გაყვანამ მისცა ბიძგი. ვარშავის პაქტის თითქმის ყველა სახელმწიფოში მოვლენები რევოლუციური სცენარით განვითარდა და ხელისუფლების სათავეში კომუნისტებთან დაპირისპირებული კონტრელიტები მოვიდნენ.

აღსანიშნავია, რომ ავღანეთის წარუმატებელმა კამაპანიამ მოსკოვს საგარეო თუ საშინაო პრობლემების მთელი კასკადი შეუქმნა და საბოლოო ჯამში, სსრკ-ის დაშლაშიც დიდი როლი ითამაშა. რუსეთის იმპერიის მსგავსად, საბჭოთა კავშირიც სამხედრო ძლიერებაზე იყო დაფუძნებული. სწორედ ამით აიხსნება აღმოსავლეთ ევროპის ხანგრძლივი ოკუპაციები, რომლებიც ნებისმიერ ფასად უნდა წარმოჩენილიყო, როგორც იმპერიის უძლეველობის მაგალითი.

აღმოსავლეთ ევროპაში თითქმის ერთმილიონიანი სამხედრო დაჯგუფების განთავსების, ტოტალიტარული მართვის და მოკავშირეების იძულების გზით მორჩილების პოლიტიკის გარეშე, აღმოსავლეთ ევროპაში კონტრელიტები გაცილებით ადრე შეძლებდნენ ხელისუფლებაში მოსვლას.

კრემლის მიერ საბედისწერო შეცდომის დაშვება დროის საკითხი იყო და როგორც კი ეს მოხდა, სამხედრო ძლიერებაზე დაფუძნებული იმპერია მაშინვე დაიშალა. ისევე როგორც რუსეთის იმპერიის განადგურება განაპირობა პირველ მსოფლიო ომში განცდილმა მარცხმა, სსრკ-ის დაშლის მიზეზიც, დიდწილად, სწორედ ავღანეთის წარუმატებელი ომი იყო.

# თავი VI

# დასკვნა

დისერტაციაში ჩვენ დავასაბუთეთ, რომ *ოკუპირებული ქვეყნის მმართველ და არამმართველ ელიტაზე ზეწოლის პროპორციულად, იზრდება ოკუპაციის წარუმატებლობის რისკი.* საერთო ჯამში დისერტაციის ფარგლებში განხილული იყო 18 სამხედრო ოკუპაცია. აქედან სამი შემთხვევა საფუძვლიანად განვიხილეთ ნაშრომის შესაბამის თავებში. სამივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ძლიერ ზეწოლას ელიტებზე, რამაც როგორც დავინახეთ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამხედრო-პოლიტიკური ამოცანების შესრულების საკითხში.

ოკუპაციის წარმატება თუ წარუმატებლობა მრავალწახნაგოვანი მოვლენაა და მასზე, როგორც წესი, სხვადასხვა ფაქტორები ერთობლივად ახდენს გავლენას, თუმცა, რომელიმე ფაქტორმა შეიძლება შეასრულოს კატალიზატორის ფუნქცია და გამოიწვიოს მოვლენების ამა თუ იმ მიმართულებით განვითარება.

დამოუკიდებელი ცვლადების ანალიზისას ჩვენ გამოვიყენეთ ელიტების თეორია. ნაშრომში მოცემული შემთხვევების შესწავლის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრებები სრულად შეესაბამება ამ თეორიის ზოგად მახასიათებლებს. კერძოდ იმას, რომ საზოგადოებაში არსებული ელიტები ფაქტობრივად მართავენ ქვეყნის მოსახლეობას. ასევე იმას, რომ საზოდოებაში არსებობენ ე.წ. კონტრელიტები, რომლებიც ხელსაყრელ დროს ანაცვლებენ მმართველ ელიტას.

აღნიშნული თეორიის ჭრილში მოვლენების ანალიზისას ჩვენ დავასკვენით, რომ:

1. *ოკუპირებულ სახელმწიფოში დამკვიდრებული პოლიტიკური ელიტის ახლით ჩანაცვლების მცდელობა და პოლიტიკური ლანდშაფტის ძირეული ცვლილება საგრნობლად ზრდის ოკუპაციის მარცხის ალბათობას, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში,*

*როდესაც ოკუპანტი სახელმწიფო ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად დატოვოს ოკუპირებული ტერიტორია.*

*2. ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია ოკუპირებული ქვეყნის ადგილობრივი ელიტის კონტროლი და მისი სწორად მართვა.*

*3. ოკუპაციის პირობებში მმართველი ელიტის ხელოვნურად შექმნა და მხარდაჭერა საბოლოო ჯამში შეუძლებელს ხდის წარმატების მიღწევას. ქვეყნის შიგნით იწყება უმართავი პროცესები და სამოქალაქო ომი, რომელიც ახალი წესრიგის დამყარებაზე არის მომართული. შესაბამისად, ოკუპაციის დროს აუცილებელია ხელისუფლების სათავეში რეალური გავლენის მქონე ელიტის (ან კონტრელიტის) მხარდაჭერა, რათა მალევე მოხდეს სტაბილური გარემოს შექმნა.*

*4. ელიტების ცვლა სახელმწიფოს შიგნით ბუნებრივი პროცესია და ის მუდმივად მიმდინარეობს. თუმცა, როდესაც ქვეყნის შიგნით მიმდინარე ამ პროცესში გარე ძალა ერთვება და მოისურვებს ქვეყანაში მისთვის მისაღები პოლიტიკური გარემოს ხელოვნურად ჩამოყალიბებას, ეს მცდელობა ხშირ შემთხვევაში წარუმატებლობით სრულდება. შესაბამისად, არ არის მიზანშეწონილი და არახარჯეფექტურია ელიტების ხელოვნური შემნა. ეს მცდელობა საბოლოოდ წარუმატებლობით სრულდება, ხოლო ჯარის გაყვანის შემდეგ ძალაუფლებას კვლავ ძველი ელიტები, ან კონტრელიტები იბრუნებენ.*

ელიტის, ისევე როგორც კონტრელიტის მთავარი მახასიათებელია ქვეყნის მართვის შესაძლებლობა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მხრიდან მხარდაჭერა. ISAF-ის მისიის ანალიზისას ჩვენ დავინახეთ, რომ ქარზაი და მისი გუნდი არ წარმოადგენდა რეალურ ძალას და მხოლოდ დასავლეთის მხარდაჭერით იყო გამყარებული. ის ქვეყნის შიგნით არ ფლობდა საჭირო ბერკეტებს ხელისუფლების შესანარჩუნებლად. ჩრდილოეთის ალიანსის მეთაურებსაც არ მიეცათ შესაძლებლობა სრულფასოვნად გაბატონებულიყვნენ ავღანეთში. თალიბებმა, ანუ ყოფილმა ელიტამ კი,

რამდენიმე წელიწადში შეძლეს რეალურ კონტრელიტად ჩამოყალიბება და ქვეყნის მცირე ნაწილზე დე-ფაქტო კონტროლიც დაამყარეს. მათ ხელისუფლებაში დაბრუნებას დღეისათვის მხოლოდ კოალიციის ჯარები ეღობება წინ. თალიბებთან პოლიტიკური კომპრომისის მიღწევის გარეშე, ჩვენი აზრით შეუძლებელი იქნება ავღანეთში სტაბილური გარემოს შექმნა.

ერაყშიც ამერიკელებმა ხელოვნურად სცადეს მმართველი ელიტის ჩამოყალიბება, რაც ასევე წარუმატებლობით და ქაოსით დასრულდა. დებაასიფიკაციის პოლიტიკის და შეიარაღებული ძალების დაშლის შედეგად ქვეყანაში შეიქმნა ძალაუფლების ვაკუუმი, რომლის შესავსებად ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო. საბოლოო ჯამში, ამერიკელებმა მხოლოდ სადამის ხელისუფლებიდან ჩამოცილება მოახერხეს. თუმცა, ამავე დროს ხელი შეუწყვეს ირანის გავლენის ზრდას მთელს ახლო აღმოსავლეთში.

კრემლმა ავღანეთის ოკუპაციის დროს ანალოგიურად სცადა მისთვის სასურველი ელიტის ხელისუფლების სათავეში მოყვანა. აშშ-გან განსხვავებით მათ საკუთარი მიზნების მისაღწევად უკეთესი სასტარტო პირობები ჰქონდათ, თუმცა ძველ ელიტებზე ზეწოლის გამო, კრემლმა დაკარგა ვითარებაზე კონტროლი და ვერ მოახერხა სტაბილური გარემოს შექმნა ქვეყნის შიგნით. გაუაზრებელი რეფორმებით, რომლებიც პირველ რიგში სწორედ ძველი ელიტის წინააღმდეგ იყო მიმართული, მათ თითქმის მთელი ავღანური მოსახლეობა დაუპირისპირდა.

ჰიპოთეზის დამოკიდებული ცვლადის ანალიზისას ჩვენ გამოვიყენეთ მეოთხე თაობის ომების თეორია. ნაშრომში ჩვენ გავიზიარეთ აღნიშნული თეორიის ძირითადი დებულებები, ერთის გარდა, რომლის მიხედვითაც „მეოთხე თაობის ომები საკმაოდ გაწელილია დროში და შეიძლება ათწლეულებიც გაგრძელდეს“ (Hammes, 2006). ჩვენი აზრით ომმა, ხანგრძლივი ხასიათი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიიღოს, თუ ვერ მოხერხდება სწორი სტრატეგიის შემუშავება და თავიდანვე არ განისაზღვრება მეორე და მესამე ხარისხის ეფექტები, რომლებიც, სამხედრო კამპანიის დროს, შეიძლება ამა თუ იმ გადაწყვეტილებას მოჰყვეს. ეს, განსაკუთრებით, ეხება დაპყრობილ ქვეყანაში ელიტების

მიმართ გატარებულ პოლიტიკას. განსხვავებული წესრიგის დანერგვამ და ახალი ელიტის ფორმირების მცდელობამ, კონფლიქტი, შესაძლოა, დროში გაწელოს და მარცხის წინაშე დააყენოს ოკუპანტი სახელმწიფო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტისთვის ხანგრძლივი ხასიათის მიცემა, სწორედ ასიმეტრიული ტაქტიკით მოქმედი მოწინააღმდეგის მიზანს წარმოადგენს. ოკუპაციის განმახორციელებელი მხარე კი, პირიქით, ცდილობს რაც შეიძლება სწრაფად დაასრულოს საომარი კამპანია.

განხილული მაგალითების საფუძველზე ჩვენ გამოვიტანეთ დასკვნა, რომ:

*5. მე-4 თაობის ომში, პოლიტიკური ასპექტები გაცილებით წინა პლანზე არის წამოწეული და ამ კუთხით განხორციელებული ნებისმიერი გაუაზრებელი მოქმედება პირდაპირ ახდენს გავლენას ომის საბოლოო შედეგზე. შესაბამისად უაღრესად მნიშვნელოვანია კარგად გააზრებული პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავება.*

აქვე კიდევ ერთხელ გვინდა მოვიყვანოთ ერაყის მაგალითი, სადაც მცდარმა შიდა პოლიტიკამ 2003-2006 წლებში კატასტროფამდე მიიყვანა სამხედრო კამპანია და მხოლოდ გენერალ პეტრეუსის მიერ შემუშავებული ახალი ე.წ. 'შერიგების' სტრატეგიის მეშვეობით მოხერხდა ქვეყანაში ვითარების დასტაბილურება. ეს სტრატეგია მოსახლეობის გულების და გონებისათვის გამართულ ბრძოლაში გამარჯვების მოსაპოვებლად იყო შექმნილი და სასურველი შედეგები მოუტანა ამერიკელებს.

*6. დღეისათვის, მე-4 თაობის ომებში გამარჯვების მისაღწევად არც-ერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალები არ არის სრულფასოვნად ორგანიზებული, აღჭურვილი და მომზადებული, რაც დაადასტურა კიდეც ერაყისა და ავღანეთის კამპანიებმა.*

ვან ქრეველდი თავის ნაშრომში, ,,ომის ტრანსფორმაცია", აღნიშნავს, რომ „აჩრდილი დადის ,,განვითარებული სამყაროს" გენერალური შტაბებისა და სამხედრო დეპარტამენტების დერეფნებში – ეს აჩრდილი არის შიში სამხედრო ძალების უძლურებისა, და არა მარტო უძლურების, არამედ შეუსაბამობისა" (Creveld, Van M. 1991, Cpt. 1). შესაბამისად, ამ ტიპის ომებში განსაკუთრებით კი, ხანგრძლივი სამხედრო

კამპანიის განხორციელებისას, შეიარაღებული ძალები მეორე პლანზე უნდა გადავიდეს და აქცენტი გაკეთდეს ადგილობრივი ხელისუფლების სწორად ორგანიზებასა და მისთვის ქმედითი დახმარების გაწევაზე. ადგილობრივ ელიტაზე ზეწოლა და მისი პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოცილება კი იწვევს ვითარების ესკალაციას, რის გამოც კონფლიქტი დროში იწელება და ხელს უწყობს ამბოხების გაღვივებას.

ჰიპოთეზის დამოკიდებული ცვლადის ანალიზისას ჩვენ ასევე გამოვიყენეთ კლაუზევიცის ომის თეორია და გავიზიარეთ აღნიშნული თეორიის ყველა ძირითადი დებულება. კლაუზევიცის თანახმად უაღრესად მნიშვნელოვანია მოწინააღმდეგის განიარაღება და მისი იძულება შეწყვიტოს დაპირისპირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინიციატივა საბოლოო ჯამში შეიძლება ოპონენტის ხელში აღმოჩნდეს და უკვე ის შეეცდება მოგვახვიოს თავს საკუთარი ნება. ანუ, სანამ ამბოხებული მოწინააღმდეგე არ არის დამარცხებული, მას შეუძლია ოკუპანტი აიძულოს გაიყვანოს ჯარები.

*7. დისერტაციაში მოცემული შემთხვევების ანალიზის საფუძველზე ჩვენ დავასკვენით, რომ ოკუპაციის დროს, აჯანყებულები მიდრეკილნი არიან უკიდურესი დაძაბულობის და საყოველთაო-სახალხო ომისკენ, რაც მათთან სამშვიდობო შეთანხმების, ან პოლიტიკური კომპრომისის არ არსებობის შემთხვევაში დამარცხების მეტს არაფერს უქადის ოკუპაციის განმახორციელებელ სახელმწიფოს.*

ავღანეთში სსრკ-ის სამხედრო დანაყოფებმა ყველა მნიშვნელოვანი ოპერაცია წარმატებით დაასრულეს, თუმცა ვერ მოახერხეს აჯანყებულთა სრულად დამარცხება. გარდა ამისა, მოსკოვმა ვერ შეძლო ამბოხებულებისათვის მეტ-ნაკლებად მისაღები სამშვიდობო შეთანხმების დროულად გაფორმება.

სსრკ-ის მიერ ავღანეთის ოკუპაცია საერთაშორისო საზოგადოებამ დაგმო და მთელი სამხედრო კამპანიის მანძილზე მოუწოდებდა გაეყვანა ჯარები. მოსკოვზე პირდაპირი თუ არაპირდაპირი მეთოდებით ზეგავლენის მოხდენას ავღანეთის ყველა მეზობელი სახელმწიფო ცდილობდა. აქტიურად მოქმედებდა ვაშინგტონიც. მიუხედავად ამისა ავღანეთში გარდატეხა ძირითადად აჯანყების მასშტაბების ზრდამ გამოიწვია,

რომელიც საბჭოეთის და მისი მოკავშირე ქაბულის რეჟიმის გაუაზრებელი შიდა პოლიტიკის შედეგი იყო.

სსრკ-გან განსხვავებით აშშ-ს საერთაშორისო საზოგადოების სრული მხარდაჭერა ჰქონდა, ხოლო NATO-მ ისტორიაში პირველად აამოქმედა შეთანხმების მე-5 მუხლი და კოალიციური სამხედრო კონტინგენტი გააგზავნა ავღანეთში. მოსკოვისგან განსხვავებით აშშ-ის მხარეს ათეულობით სახელმწიფოდან გაგზავნილი სამხედრო შენაერთები იბრძოდნენ, რომელთა ნაწილი არც კი იყო NATO-ს წევრი. მხოლოდ საქართველოდან ISAF-ის მისიაში 11 000-ზე მეტმა სამხედრომ მიიღო მონაწილეობა (RS Media Center, 2015). მიუხედავად ამისა ამერიკელებმა ვერ შეძლეს ავღანეთში არსებული ტერორისტული საფრთხის განეიტრალება. სსრკ-ის მსგავსად ვაშინგტონსაც რომ სრულად გამოეყვანა სამხედროები ავღანეთიდან, დიდი ალბათობით ქვეყის სათავეში კვლავ რადიკალი ისლამისტები მოვიდოდნენ. თუმცა, სსრკ-გან გასხვავებით ამერიკელებისათვის ავღანეთი არ იყო არჩევითი ომი. 11 სექტემბრის ტერაქტების სერიის შემდეგ ვაშინგტონი იძულებული იყო სამხედრო ძალის გამოყენებით დაეცვა საკუთარი მოსახლეობის ინტერესები. ჩვენი აზრით, სწორედ ამის გამო, შეერტებული შტატები დღემდე ინარჩუნებს მცირე სამხედრო კონტინგენტს ამ სახელმწიფოში.

*8. შემთხვევების ანალიზის შედეგად ასევე შეიძლება დავასკვნათ, რომ სამხედრო კამპანიაზე და მასპინძელი ქვეყნის აღდგენაზე დახარჯული რესურსები არ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს გამარჯვების მისაღწევად.*

ერაყსა და ავღანეთში აშშ-მ იმაზე გაცილებით მეტი რესურსი დახარჯა ვიდრე იაპონიასა და გერმანიაში განხორციელებული ოკუპაციების დროს. შედარებისათვის, 2003-2012 წლებში აშშ-მ ერაყს 61.1 მილიარდი დოლარი გამოუყო დახმარების სახით, რაც ორჯერ აღემატება გერმანიისათვის გამოყოფილ დახმარებას, რომელიც 2005 წლის დოლარებში 29.3 მილიარდს შეადგენდა (1945-1952წწ). იაპონიისათვის გამოყოფლი დახმარება, 15.2 მილიარდი დოლარი იყო (1946-1952წწ). გერმანიის და იაპონიის ინფრასტრუქტურა ერაყთან შედარებით გაცილებით მძიმედ იყო დაზიანებული.

გერმანიის უამრავი ქალაქი და დასახლებული პუნქტი მიწასთან იყო გასწორებული. ანალოგიური ვითარება იყო ომის შემდგომ იაპონიაშიც, რომელიც ბირთვული თავდასხმის ობიექტი გახდა. მიუხედავად ამისა ერაყში ვაშინგტონმა ვერ შეძლო ტერორისტული საფრთხის აღკვეთა და ირანის განეიტრალება, რომელმაც 2011 წლის შემდეგ მასშტაბური ექსპანსია განახორციელა მთელს ახლო აღმოსავლეთში.

ერაყშიც და ავღანეთშიც აქტიურად მოქმედებდნენ პროვინციის აღდგენის ჯგუფები (PRT-ები), რომლებიც ხელს უწყობდნენ აშშ-ის მიერ შექმნილი კოალიციის ჯარების ოპერაციებს და ადგილობრივი ხელისუფლების პოზიციების გამყარებას. ორგანიზაციული სტრუქტურის სხვაობის მიუხედავად სსრკ-ის მიერ ავღანეთში შექმნილი ორგბირთვები მსგავსი კონცეფციით იყო ჩამოყალიბებული. მიუხედავად ძალისხმევისა საერთო ჯამში, ვერც ორგბირთვებმა და ვერც პროვინციის აღდგენის ჯგუფებმა ვერ შეძლეს მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენის მოხდენა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ორივე ეს ორგანიზაციული ერთეული კონცეპტუალურად კარგად იყო შექმნილი, თუმცა, ზოგადად ერაყშიც და ავღანეთშიც გაუაზრებელი შიდა პოლიტიკის გატარების გამო, მათი მოქმედებები ხშირ შემთხვევაში არ იყო ხარჯ-ეფექტური. არც ავღანეთში და არც ერაყში ადგილობრივ ხელისუფლებას არ ჰქონდა მოსახლეობის მხარდაჭერა. მისი მოპოვება ამერიკელების, ან საბჭოელების მიერ, თუნდაც ეფექტურად ჩატარებული სამოქალაქო მხარდაჭერის ოპერაციების მეშვეობით შეუძლებელ ამოცანას წარმოადგენდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ერაყში ახალი სტრატეგიის ფარგლებში მოქმედი პროვინციის აღდგენის ჯგუფები საჭირო ბერკეტს წარმოადგენდა მოსახლეობის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული მოდელი მხოლოდ გააზრებული შიდა პოლიტიკის ფარგლებში იძლევა სასურველ შედეგს.

საინტერესოა გერმანიში დენაციფიკაციისა და ერაყში დებაასიფიკაციის ფარგლებში ჩატარებულ მოქმედებებს შორის პარალელბის გავლება. 1945 წელს, მოკავშირეთა ძალებმა გერმანიის ნაცისტური პარტიის წინააღმდეგ დენაციფიკაციის

პოლიტიკა წამოწიყეს. თუმცა, ერაყისგან განსხვავებით, გერმანიაში განხორციელდა ნაცისტური პარტიის სათავეში მყოფი კონკრეტული პიროვნებების დევნა/გასამართლება და აღნიშნულ პროცესს მასშტაბური და ხანგრძლივი დევნის სახე არ მიუღია. მეტიც, დენაციფიკაციის გამოცხადებიდან მოკლე ხანში, ნაცისტური პარტიის ყოფილმა წევრებმა დაიბრუნეს გავლენა ქვეყნის შიგნით და მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ომის შედეგად განადგურებული გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საქმეში (Herz, 1948).

2003 წელს, ერაყში რომ მოვლენები ანალოგიური სცენარით განვითარებულიყო, ოკუპაცია, დიდი ალბათობით, წარმატებული აღმოჩნდებოდა და დღეისათვის რეგიონში განსხვავებული გეოპოლიტიკური სურათი იქნებოდა. უმთავრესი შეცდომა იყო ერაყის მმართველი ელიტის პოლიტიკური ცხოვრებიდან გათიშვა. 1945 წელს, გერმანიის ოკუპაციის შემდეგ ამერიკელებს, რომ ნაცისტური პარტიის ყოფილი წევრები გაერიყათ და სრულად ჩამოეშორებინათ ისინი ქვეყნის მმართველობიდან, მათ აუცილებლად ჩაანაცვლებდნენ კომუნისტები და თავიანთ გავლენას მთელს გერმანიაზე განავრცობდნენ. ამერიკელების მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი არაერთგვაროვნად შეაფასა მაშინდელმა საერთაშორისო საზოგადოებამ. ვაშინგტონი კრიტიკის ქარცეცხლში მოაქციეს და ნაცისტების მხარდაჭერაშიც კი დაადანაშაულეს, თუმცა, მათ მაინც შეძლეს საკუთარი მიზნების მიღწევა და წარმატებული ოკუპაციის განხორციელება. გერმანიის მსგავსად მოიქცნენ ამერკილები იაპონიაშიც და არ განუხორციელებიათ იმპერატორის ლიკვიდაცია და ძველი ელიტის დევნა.

დასარულს, გვინდა მოვიყვანოთ ჰენრი კისინჯერის სიტყვები: „ჩვენ სამხედრო ომს ვაწარმოებდით, ჩვენი ოპონენტები კი -პოლიტიკურს; ჩვენ მტრის ფიზიკური გამოფიტვა გვინდოდა, მათ კი ჩვენზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა სურდათ. ამ პროცესში ჩვენ დაგვავიწყდა პარტიზანული ომის მთავარი პრინციპი: პარტიზანი იმარჯვებს, თუ არ მარცხდება. კონვენციური არმია მარცხდება, თუ არ იგებს“ (Kissinger H. A. 1969, p- 214 ). ძნელია არ დავეთანხმოთ ამ განცხადებას.

მსგავსი შეფასება შეგვიძლია გავაკეთოთ როგორც ავღანეთის და ერაყის ამერიკულ

სამხედრო კამპანიებზე, ასევე, სსრკ-ის მიერ ავღანეთის ოკუპაციაზეც. ამ ტიპის ომის პოლიტიკური ბუნებიდან გამომდინარე აქცენტი უნდა გაკეთებულიყო  ელიტის, ან კონტრელიტის მხარდაჭერაზე.

ჩვენს მიერ შესაბამისი მაგალითების ანალიზით დადასტურდა, რომ სამხერდრო ოკუპაციის დროს ელიტებზე მიმართული ზეწოლა ნიველირებას უკეთებს ყველა ძალისხმევას და წარმოადგენს წარუმატებლობის მთავარ მიზეზს.

ცხრილი 1 აშშ-ს მიერ მე-20 საუკუნეში განხორციელებული ოკუპაციები

| ქვეყანა | ზეწოლა ელიტებზე | შედეგი |
|---|---|---|
| 1. ავსტრია 1945–1955 | მცირე | წარმატება |
| 2. გერმანია 1945–1949 | მცირე | წარმატება |
| 3. იაპონია 1945–1951 | მცირე | წარმატება |
| 4. სამხრეთ კორეა 1945–1948 | მცირე | წარმატება |
| 5. გრენადა 1983 | მცირე | წარმატება |
| 6. პანამა 1989–1990 | მცირე | წარმატება |
| 7. ერაყი 2003–2011 | ძლიერი | წარუმატებლობა |
| 8. ავღანეთი 2001-2014 (ISAF) | ძლიერი | საშუალო წარმატება |
| 9. ვიეტნამი 1955-75 | ძლიერი | წარუმატებლობა |

ცხრილი 2 სსრკ-ს მიერ მე-20 საუკუნეში განხორციელებული ოკუპაციები

| ქვეყანა | ზეწოლა ელიტებზე | შედეგი |
|---|---|---|
| 1. უნგრეთი 1945-89 | ძლიერი | საშუალო წარმატება |
| 2. ბულგარეთი 1945-89 | საშუალო | საშუალო წარმატება |
| 3. რუმინეთი 1945-89 | საშუალო | საშუალო წარმატება |
| 4. ჩეხეთ-სლოვაკეთი 1945-89 | ძლიერი | საშუალო წარმატება |
| 5. პოლონეთი 1945-89 | საშუალო | საშუალო წარმატება |
| 6. ავსტრია 1945–1955 | საშუალო | წარუმატებლობა |
| 7. აღმოსავლეთ გერმანია 1945-89 | საშუალო | საშუალო წარმატება |
| 8. ჩრდილოეთ კორეა 1945–1948 | საშუალო | წარმატება |
| 9. ავღანეთი 1979-1989 | ძლიერი | წარუმატებლობა |

რუკა 1. სსრკ-ს ჯარების შესვლა ავღანეთში, 1979წ.




ავტორი: newsland.com
წყარო: https://newsland.com/community/4057/content/v-pustyne/3687665

რუკა 2. ავღანეთის და პაკისტანის ეთნიკური რუკა




ავტორი: Map by The Choices Program, Brown University, www.choices.edu
წყარო: https://www.nationalgeographic.org/maps/afghanistan-and-pakistan-ethnic-groups/

რუკა 3. ISAF -ის მისიის პასუხისმგებლობის რაიონის გაფართოვება




ავტორი: globalsecurity.org
წყარო: https://www.globalsecurity.org/military/ops/oef_orbat_isaf11.htm

რუკა 4. თალიბანის გავლენა ავღანეთში




ავტორი: ROD NORDLAND and JOSEPH GOLDSTEINOCT. 11, 2015

წყარო: https://www.nytimes.com/2015/10/12/world/asia/afghanistan-taliban-united-nations.html

რუკა 5. აშშ-ს სამხედრო ბაზები ირანის ისლამური რესპუბლიკის საზღვრებთან




წყარო: https://notesonliberty.com/2012/02/23/yes-jacques-delacroix-iran-is-surrounded/
ავტორი: Brandon Christensen

**რუკა 6. აშშ-ს სამხედრო ინტერვენცია ერაყში (2003 წელი)**




წყარო: [http://www.globalsecurity.org/military/library/report/2004/onpoint/ch-2.htm](http://www.globalsecurity.org/military/library/report/2004/onpoint/ch-2.htm)
ავტორი: globalsecurity.org

რუკა 7.  ამბოხება და ამბოხების საწინააღმდეგო ოპერაციები სამხრეთ ვიეტნამში




ავტორი: Central Intelligence Agency , Center for the Study of Intelligence
წყარო: https://www.cia.gov/library/center-for-the-study-of-intelligence/csi-publications/books-and-monographs/Anthology-CIA-and-the-Wars-in-Southeast-Asia/pdfs-1/vietnam-anthology-interactive.pdf

# ინტერვიუები

ინტერვიუ 1

დევიდ ფრუ, აშშ არმიის თადარიგის პოლკოვნიკი

2006-2010 წლებში იყო სამხედრო მრჩეველი ავღანეთის თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროებში

**1. Please introduce yourself and tell a little bit about your career in the military**

I am a former (retired) US Army Infantry Colonel and a 1985 graduate of the United States Military Academy at West Point. I served in combat zone leadership positions for over 80 cumulative months, most of it at the senior or directorial level. As an infantry officer, I commanded two companies and one battalion, and served as the Deputy Commander for a group of advisors/trainers assisting in developing an Afghan National Army unit. My highest level of command was as a Colonel and while still in Afghanistan. In 2005, I planned for, coordinated the resources for, and commanded the Mobile Validation Team, the initial group of "validators" charged with assessing and reporting on the collective capabilities of the Afghan National Army's tactical units. I served on Joint Staffs and commanded units augmented with personnel from NATO allies. I advised senior members of the Defense Ministries of two nations and the Afghan Ministry of the Interior. Since arriving in Georgia, I have been participating in the development of the curriculum for CGSC and I participated in providing instruction during each years' courses.

**2. After a successful US intervention in Iraq in 2003, why did the situation deteriorate?**

While I was not serving in Iraq at that time, I made observations from afar. The short response is that the situation in Iraq deteriorated… or progressed in a manner counter to the wishes of US policy-makers… because of some very short-sighted a foolish decisions by those very policy-makers.

Iraq in late 2003 was, generally speaking, very much like any post-conflict state – experiencing clarity on who was NOT going to run the country but lacking clarity on who SHALL run the country. At the macro-level, there was a struggle between Shia and Sunni Muslims. At the micro-level, there were Shia groups who were very pro-Iran and others who were not; and there were Sunni who were of the formerly ruling Ba'athist Party, and Sunni groups who were not.

US interests would have been best served by placing experienced and competent people into positions of authority in the post-conflict government as **long as those people were NOT inclined to advance the Iranian cause**. However, all of the people who fit that description were formerly loyal to the ousted Saddam Hussein. Because of this, the US leadership there decided to bar the Ba'athists.

This short-sighted and rather foolish decision had two major effects, each of which contributed to the initial failure of the post-conflict situation:
1 – the most competent leadership, from executive level through mid-management, joined ranks with those in opposition to the newly-appointed and largely incompetent US-sponsored government.
2 – Those in government, struggling to demonstrate competence, were susceptible to influence from Iran, resulting in a dramatically increased Iranian influence in Iraq.

In short, USA inflicted exceptional hardships on itself due to incredibly ill-advised policy decisions.

**3. What were the military-political objectives during the OIF and ISAF missions? Do you thing they were achieved? Please explain your opinion**

From the USA's perspective, the political objectives were rather simple:

- **Internal to Iraq and Afghanistan**: Set conditions from which Iraq/Afghanistan and their people will, in the future, be:
    - neither willing nor capable of exporting terrorism

- neither willing nor capable of sponsoring/hosting external groups who train and export international terrorism.

- **External to both Iraq and Afghanistan**: Set conditions for favorable political developments in neighboring nations of the region.

The results have been largely disappointing if not alarmingly catastrophic.

While some political developments in neighboring nations of the region showed some early promising developments, the change in US presidential leadership in 2009 led to a spectacular and catastrophic failure to capitalize. As a result of this failure and of other similar failures, the neighboring nations have seen political and military developments which are near worst-case-scenarios from USA's perspective.

Meanwhile, the internal developments in each country are not very promising either. Afghanistan has not shown much capability to export terrorism, but there is an undeniable and growing will to do so within significant portions of the Afghan population. Iraq has already seen the birth, growth, and spread of ISIS to regions beyond its borders.

In summary, almost none of the USA's political objectives have had favorable outcomes.

**4. Would you portray the ISAF mission as a success?**

No. It could have been, and possibly still can be as long as the definition of "success" is reasonable. But horribly poor political decisions by US leaders from 2009 until very recently have all but destroyed any possibility to extract any measure of success from Afghanistan.

**5. Can you draw some parallels between the ISAF mission and the Soviet occupation of Afghanistan in 1979-89? Or, do you think that they are completely different cases?**

In my opinion, there are commonalities and significant differences.

At the macro-level, the Soviets entered the conflict when Afghanistan had relatively competent leadership and a relatively stable domestic situation. In contrast, the USA entered Afghanistan when there was mostly non-existent domestic leadership beyond a broad array of regional warlords and a horribly dysfunctional domestic situation.

**Commonalities**: The Afghan population of the 2000s and 2010s has the same root cultural values as the Afghan population of the 1970s and 1980s. It was and is a diverse mix of tribal cultures which cannot or will not mix without extraordinary power forcing them to do so. However, these diverse cultures will temporarily unite against any external occupier. These traits, coupled with a cross-cultural predisposition toward violence, create a toxic blend now just as they did during the Soviet-Afghan experience in the past.

**Differences**: However, the Soviets encountered an Afghan population which had not been engaged in inter-cultural warring for many decades. Afghan Royal rule had kept those natural and historical hostilities under control. When the Soviets gained an initial foothold of influence within Afghanistan in the early 1970s, it came at a time when the Afghan Royal situation was starting to crack. What would have ordinarily led to cross-cultural intra-Afghan fighting resulted in a loosely unified Afghan-on-Soviet insurgency instead.

When the Soviets departed, though, those normal Afghan predispositions eventually erupted. Before long, the lack of a strong central government to keep each ethic group from slaughtering all others resulted in unspeakably horrific violence.

So, the Americans encountered an Afghan population with a markedly different recent history. Rather than coming on heels of decades of inter-cultural cooperation, the USA encountered an Afghan population which had seen over a decade of post-Soviet inter-factional war. After the Soviet withdrawal and cessation of support to the Najibullah regime, the former Soviet-puppet ruler was

captured, brutalized in typical Afghan fashion, and hung in public. This act set off a de facto feudal situation within Afghanistan. Local warlords, many former Mujahaddin, formed armies and fought in bitter conflicts with neighboring warlords. The result was massive destruction of infrastructure and disruption of the supply chain for food, water, electricity, medical, and sanitation. The horrors of this feudal situation led to the rise of the Taliban as a stabilizing… albeit horrifically cruel… force.

The final sentence of the preceding paragraph says a lot; the Taliban, as utterly cruel and despotic as it was (and is), was the ONLY stabilizing force in Afghanistan prior to the arrival of USA.

However, this all may be a distinction without meaning. The Soviets encountered Afghans… and USA encountered Afghans. Afghans will be Afghans, irrespective of whether they have experienced decades of peace or decades of Stone-Age barbarity.

**6. Initially the US forces had successfully controlled both Iraq and Afghanistan, in your opinion what went wrong? Was it possible to do things better?**

In Iraq, the formula for failure was secured when former Ba'athist leaders were barred from serving in leadership roles within the government and military.

In Afghanistan, the population's acceptance of US-sponsored leadership deteriorated in stages.

**Stage 1 – Acquiescence as a result of fear and awe.** The Afghans were genuinely impressed with the awesome lethality and amazing capabilities of the US military from 2001 and for several years afterward. While they were certainly not inclined to side with or otherwise accept American presence, they did not fully understand HOW the US military was able to do the things it was doing, but there were certainly aware of the fact that it was happening. In the midst of this, the US-backed Afghan government was viewed as feckless and toothless. But as long as that weak government had US-backing, they were not to be tested.

**Stage 2 – Genuinely nationalistic attitude.** A watershed event happened in early 2004 which resulted in a palpable change in widespread Afghan attitude toward its government. With US military assistance, the Afghan National Army (ANA) projected its combat power outside of Kabul in response to a rather large flare-up of inter-warlord fighting. Shortly afterward, the ANA established permanent garrisons in Herat, Mazar-e-Sharif, Gardez, and Kandahar. The October 2004 elections happened almost immediately afterward. These were the best days of the US experience in Afghanistan. The population was largely supportive of the US-sponsored government and of the US military presence. However, this period was short-lived.

**Stage 3 – Regression toward an Afghan norm.** By the end of 2006, two significant dynamics had resulted in a decline in public support for the government and the US presence.
1 – The Afghan government's ineptitude and endemic corruption was glaringly evident.
2 – The mystique of American military wizardry had worn off. To state it succinctly, the Afghans had begun to learn the internal American processes which allowed us to bring frightening lethality with amazing speed and responsiveness. And in learning these processes, those in opposition began to devise ways to overcome or negate the US advantages.

From a macro perspective, Iraq seemed to be a place where a western-style government had a chance to succeed if not for amazingly poor decisions on the part of US leadership there. Afghanistan, though, is a place that always regresses toward a uniquely Afghan norm of inter-factional warring and brutality. It was always just a matter of time until Afghanistan was going to return to being Afghanistan.

**7. US have an outstanding history of making friends out of their enemies, (Japan and Germany are good examples) why couldn't you do something similar in Iraq or Afghanistan? What were the impediments to that?**

I firmly believe that this was possible in Iraq, but impossible in Afghanistan.

Iraq's population was already predisposed toward a pseudo-western norm. Afghanistan's was not and likely never will be.

Japan and Germany were industrialized prior to suffering defeat and US occupation. Iraq wasn't, at least not to the extent of 1940s Japan and Germany. Afghanistan wasn't and probably never will be. I point this out to say this – we were able to join hands with Germany and Japan because they started at a comparable level of industrial capability.

Furthermore, in Iraq, we missed our chance through the combination of some alarmingly bad policy decisions in the early years followed by a catastrophically bad US presidential election decision in 2008. The US mission in Iraq was actually on its way back to success from about 2006 until the Obama administration assumed authority and issued horribly bad decisions for a sustained period of eight full years.

Afghanistan, though, is a different world. Even among the Muslim-dominated nations, Afghanistan is famous for its impossibly incompatible collection of cultures. Almost all of the international borders of what is now known as Afghanistan were formed by agreement when neighboring powers decided that they wanted no affiliation with anybody on the other side of that boundary.

But the truth is that we Americans always knew that. We never expected Afghanistan to be westernized or even violence-free. At best we hoped for turbulent-but-stable and free of terrorist training camps. One could argue that this is what we had in Afghanistan, at least through the end of 2009. One could even argue that we still have that.

To be allies or partners in the international community, two nations must have mutual interests and at least some parity in inclination for industrial capability. USA and Afghanistan are not even in the same universe, and they don't even have the same aspirations toward a mutual norm. They never will.

**8. In West Germany some of the former Nazi officials have survived and were not prosecuted, moreover they occupied positions in a newly formed German government. In retrospect this was a correct decision because it facilitated the rapid development of the state. Why something similar was not done in Iraq?**

The answer is simple – Because the US decisionmakers in Iraq in 2003 and 2004 were too stupid and suborn to read history or to listen to those who advised them to do what we did in Germany.

**9. In your opinion was it the post totalitarian ruin in Iraq that caused the majority of difficulties?**

No. In my opinion, Iraq offered great opportunity. It was the US's rejection of qualified Iraqi leaders which caused the difficulties from 2003 through 2005. Then when it seemed as though we were on the road to success, the alarmingly poor decisions and policies of the Obama Administration destroyed any chance for reasonable success.

**10. Iraq descended into chaos after US had pulled out its forces from the country. Why in your opinion did this happen?**

If your question is "Why did Iraq descend into chaos?", my response is that it descended into chaos because US leadership from January 2009 through January 2017 wished for it to descend into chaos.

If your question is "Why did US pull its forces from the country", my response is largely the same; Iraq descended into chaos because US leadership from January 2009 through January 2017 wished for it to descend into chaos.

**11. Do you think the same could happen in Afghanistan if the US and coalition forces leave?**

Afghanistan will descend into chaos at any point that it is without a strong and brutal authority to force the incompatible cultures living there to co-exist.

Afghanistan was formed by two dynamics –

1 – Neighboring cultures established boundaries with the violent cultures there as a means to eject/reject the violent influences within their own nations. Most of that dynamic was NOT done with an intent to keep Afghanistan perpetually turbulent; for most, the decision was simply to shun the cultures on the other side of that border. It was a decision to leave them alone but keep a watchful eye on them. And to keep them out of Iran/Turkmenistan/Uzbekistan/Tajikistan.

2 – The Durand Line was formed for the purpose of dividing the Pashtun population and decreasing by half Pashtun influence in Indian politics. Pakistan subsequently broke free from India and took the majority of the Pashtun population with it, but the international border remains.

The result is that Afghanistan has, for hundreds of years, been a grouping of incompatible cultures rather than a unified nation. Unlike most nations which came from some unifying set of events, Afghanistan is a collection of rejects that don't even tolerate each other without the presence of an extraordinary threat of violence.

## ინტერვიუ 2

## ჯონ სკოტი, აშშ არმიის თადარიგის პოლკოვნიკი

## ერაყის სამხედრო კამპანიის ვეტერანი

**1. Please introduce yourself and tell a little bit about your career in the military**

My career spanned 28 years in enlisted and officer ranks. I served in multiple assignments and in two conflicts. First Gulf War and OEF.

**2. After a successful US intervention in Iraq in 2003, why did the situation deteriorate?**

My belief is that poor circumstantial and environmental awareness, as well as weak design and planning resulted in the deterioration of the situation in Iraq. That being said, I also do not believe, nor have I seen evidence that invading Iraq was a prudent decision at the time.

**3. What were the military-political objectives during the OIF and ISAF missions? Do you thing they were achieved? Please explain your opinion.**

The near-term objective of removing a regime that had supported and safeguarded Bin Laden and Al Qeada was achieved; however, the objective of providing a stable environment for Afghan self-determination and building Afghan capacity to defend themselves (along a western model) was counter to two strong factors in the region. (1) Neighbors in the region sought a docile and controllable Afghan state, and (2) a history of decentralized government or rule by clans and strong-men.

**4. Would you portray the ISAF mission as a success?**

I would say that ISAF has had some success, but setting a decade as a mark, and then determining victory or defeat by only one measure is not plausible here. American and ISAF efforts have resulted in improvements in education, and infrastructure. Some ethnic stability has increased involvement in many segments of society for a number of Afghans.

**5. Can you draw some parallels between the ISAF mission and the Soviet occupation of Afghanistan in 1979-89? Or, do you think that they are completely different cases?**

The most obvious parallel is the reality of a foreign Army in Afghanistan, in both cases. The obvious differences are intentions and purpose for being there, as well as what created the interventions to begin with. To me these are different cases. A most important difference is that the Soviets had no recognized legitimacy, by foreign bodies (outside the Soviet sphere of influence), to invade and do what it did in Afghanistan, whereas the United States and NATO did.

**6. Initially the US forces had successfully controlled both Iraq and Afghanistan, in your opinion what went wrong? Was it possible to do things better?**

I will speak about what I believe about Iraq first. I think the United States would probably have been better off to ignore Iraq for a time, rather than invade. But once the decision was made to invade, a better result may have occurred to go in with stronger and larger force, but also to not decapitate the leadership and experience, but instead temporarily use some of them to get the nation transitioned.

In the case of Afghanistan, I think the distraction of Iraq hurt the effort, but so many challenges exist, that what eventually happened was bound to occur.

**7. US have an outstanding history of making friends out of their enemies, (Japan and Germany are good examples) why couldn't you do something similar in Iraq or Afghanistan? What were the impediments to that?**

I believe that time and culture both played a role in why Japan and Germany developed as friends after the war. Both Japan and Germany were largely states of total commitment in the wars (with some smaller minority exceptions) so when defeat came, it was in the traditional sense – the shame and submission of a nation defeated. Additionally, both Japan and Germany looked at the world situation which was quickly clear – surrender and become friends to the West, and the United States, and ultimately have a future, or succumb to the Communist and face a stark and painful absorption process, which is what East Germany received. There was a reason the "wall" went up –

stop the hemorrhaging of people to the West.

**8. In West Germany some of the former Nazi officials have survived and were not prosecuted, moreover they occupied positions in a newly formed German government. In retrospect this was a correct decision because it facilitated the rapid development of the state. Why something similar was not done in Iraq?**

Without a doubt, the sensitivities of the Sunni vs Shia struggle, and our friends in the region, were influential in this decision. Also, the US administration promised regime change and sought to do anything to make the 2003 invasion palatable and less hypocritical.

**9. In your opinion was it the post totalitarian ruin in Iraq that caused the majority of difficulties?**

A greater ruin was probably created by influence and manipulations from the outside who recognized the vulnerability of the US position there and wished to take advantage of it. These groups and powers armed Iraqis, provided food and money, and even training.

**10. Iraq descended into chaos after US had pulled out its forces from the country. Why in your opinion did this happen?**

Nature abhors a vacuum. Without longstanding institutions that assure fairness and justice, you cannot expect a newly elected or installed government, in that environment, to be able to stand ground against all the troubles and tensions of that society.

**11. Do you think the same could happen in Afghanistan if the US and coalition forces leave?**

I suspect that unless some degree of compromise is met now, the same thing will occur to the Afghan state as befell the Iraqis. Once blood is in the water and groups and competing neighbors think an opportunity is there, they will seek to destabilize anything that looks American in any way.

**ინტერვიუ 3**

**სტივ ჰიკსი, აშშ არმიის თადარიგის პოლკოვნიკი**

**სპარსეთის ყურის და ერაყის ომების ვეტერანი.**

**1. Please introduce yourself and tell a little bit about your career in the military**

I'm Steve Hicks and I have served 30 years in the Army. I was the G3 operations plans and training officer on every level, brigade, division, and corps.

I was in the main effort, main attack into Iraq in 2003. I was head of plans and operations (G3) division for the 5th Corps, from 2002 till 2004.

**2. After a successful US intervention in Iraq in 2003, why did the situation deteriorate?**

We tried to fight Iraq, what I have often referred to as first in just time war. We tried to fight like in Afghanistan and we did not take enough forces. We often forget that it doesn't take much to break the country, what does take a lot is what happens in the aftermath, after you destroy their military. If you are not prepared for the aftermath you will have problems. So we didn't have that plan in our pocket, so we had a lot of false starts. Essentially what happened, we all got into Baghdad, everybody was all happy, flags were waving but there was no plan to actually go into the next phase, which was to build the country backup.

Bremer came in and he became the head of the effort to rebuild the country. All the nation building was done by people who were part times, they were coming for 90 days and then leaving. There was no continuity.

I think that we made major mistakes right from the start. There were division commanders and brigade commanders (Iraqi Army) that came in to us and said, 'we can put a whole brigade a division out here standing in a formation, ready to take orders from you tomorrow'. Bremer's decision was to disband the entire military and that's what he did. We wasted a year trying to build capacity inside the country because we failed to take people that were ready to help.

**3. In your opinion was it the post totalitarian ruin in Iraq that caused the majority of difficulties?**

Bremer's policy was to eliminate everybody who was part of the Baath party. We called it the De-Baathification policy. Essentially we to took all the people who were running the country and we said 'you're not going to hold a government again'. They were the ones with the money, they were the ones with the knowledge, and they knew how to run the government. We told them 'you are not going to be part of the government again'. By doing that Essentially by doing that we took all the people who had money, who will never have money again, because we are not going to allow them to have a government job, we alienated them . So the obvious thing that happened was that, they thought, 'we have nothing to lose'. So they told other, 'you used to work for me, here is 5 dollars, go blow up an M1 tank, here is 5 dollars, go shoot down that man'. That was the price, 5-10 dollars… So people who had a lot of money were now funding an insurgency …

Instead of paying them to work for us, we were allowing the Baath party to pay 5 dollars to blow us up… The De-Baathification was one of the huge mistakes…

ინტერვიუ 4

ქით დიქსონი, აშშ-ის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის პროფესორი

აშშ არმიის სპეციალური დანიშნულების ძალების თადარიგის პოლკოვნიკი

ერაყის და ავღანეთის სამხედრო კამპანიის ვეტერანი

**1. Please introduce yourself and tell a little bit about your career in the military**

My name is Keith Dickson, I'm the retired colonel in the United states Army. I served almost 30 years in the Special Operations. I deployed to Iraq and Afghanistan as part of the United states Special Operations Command. I'm currently a professor of military studies at the

**2. After a successful US intervention in Iraq in 2003, why did the situation deteriorate?**

